


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

7 ივლისი 2006 №14



**პოეტური ნიღბები**

**დასავლეთის დემოკრატიის კრიზისი**

**მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე**

**საკუთარი სქესის სალხინებელში**

**ქართული დეტექტივი**

## შინაარსი

<b>ჩვენი ყოფა, წუთისოვანი</b>	<b>2</b>	<b>კლავს გ. რინი დანსავლეთის დამოკრახტიის კრიზისი და იაკობინიზმის წარმოშობა</b>
<b>ღებუქივი</b>	<b>7</b>	<b>ლაშა იმედაშვილი დუელი</b>
<b>პოეზია</b>	<b>21</b>	<b>იზა ორჯონიკიძე ციკლიდან „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა“</b>
	<b>25</b>	<b>დარეჯან სუმბაძე ჩემი თეატრი – დაბადება</b>
<b>უსწოთის სწოვაბიდან</b>	<b>27</b>	<b>ამერიკული ლიტერატურის ერთი ვეშაპი (სოლ ბელოუ)</b>
	<b>30</b>	<b>ფილიპ ფორესტი რომანი პიტარ პენისათვის</b>
<b>ღიაღია</b>	<b>31</b>	<b>ლელა კოდლაშვილი ფოლადისსახინი, კარკაპის მისხვრეველი არტისტ-პოეტი დინების აღმა მსვლელოვას ლამოვს</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>36</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი მრისხანებისა და მიკარქოვების გარეშე (ივანე ბუქურაულის დოკუმენტური რომანი „სამი იმამი“)</b>
<b>გამოსმაუკაბა</b>	<b>39</b>	<b>გიორგი ლობჟანიძე „წამის წვერით – თვალის უკაეზა“</b>
<b>სალონების ლაბირინთები</b>	<b>40</b>	<b>ნინო ბაქანიძე აკვანაზა დაფრენილი ქერა (ლეონარდო და ვინჩი ფსიქონალიტიკოსთა თვალთახედვით)</b>
<b>ქრიტიკა</b>	<b>44</b>	<b>როსტომ ჩხეიძე წუთისოვლის კულისაპი და პოეტური ნიღვაპი (უცხოური ეპიგრამები ქართულად)</b>
<b>შიქრაპი</b>	<b>50</b>	<b>თეიმურაზ ნადარეიშვილი სულის ფოტოგრაფიები</b>
<b>პოეზიის ვარილიანები</b>	<b>54</b>	<b>ფელიქს ბრაუნი ზინარება</b>
<b>გამოსმაუკაბა</b>	<b>57</b>	<b>შოთა იათაშვილი საკუთარი სქანის სალსინევაქაპი</b>
<b>უსწოური ნოველა</b>	<b>58</b>	<b>მაჰმუდ ალ-ბადავი ბოლო ვაგონი</b>
<b>ნაკვანები</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>ყველაზე მტკივნეული სატკივაარი</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბაჟილია საბაბო „ომეგა ტეგი“  
საბაბო, თბილისი, სარაიშვილის 17  
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჟანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ლეონარდო და ვინჩი, „წმინდა ანა“

ლევან ბრეგაძე

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 21 ივლისს

კლავს გ. რინი

# დასავლეთის დემოკრატიის კრიზისი და იაკოზინიზმის ნარმოშობა

არ დარჩენილა აღარავითარი ინტელექტუალური  
საფუძველი სხვა რეჟიმისათვის, გარდა დემოკრატიისა.

ალან ბლუმი<sup>1</sup>

ლიბერალიზმმა გაიმარჯვა და მეტოქეები აღარ დარჩენია.

ფრენსის ფუკუიამა<sup>2</sup>


ჩვენ დემოკრატიის ეპოქაში ვცხოვრობთ. დასავლეთის სამყაროს ადამიანები დემოკრატიას უკამათოდ აღიარებენ. ხელისუფლებისა და ცხოვრების ამ ყაიდას საგანთა ბუნებრივი ნესრიგის ნაწილად აღიქვამენ. დასავლური დემოკრატია მიჩნეულია მძლავრ, მარადიულ და დაუმარცხებელ მოვლენად.

და მაინც, ისტორიული და ფილოსოფიური ცოდნით შეიარაღებული დაკვირვება და განსჯა გიჩენს პირქუშ ეჭვებს დასავლური დემოკრატიის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობის გამო. ალბათ, ყველაზე უფრო დამაჯერებელი ნიშანი საშიშროებისა თვითკმაყოფილებაა, რითაც დემოკრატიის საჯარო განხილვა გამოირჩევა. მრავალი კომენტატორი საჯაროდ აცხადებს დემოკრატიის ტრიუმფს ბოროტ პოლიტიკურ ძალებზე მსოფლიოში და დღევანდელ დასავლურ საზოგადოებას კაცობრიობის ნიმუშად სახავს; და ამას ირწმუნება სოციალური ლპობის ამკარა ნიშნების ფონზე. საყოველთაოდ გავრცელებული რწმენის საპირისპიროდ თანდათან ცხადი ხდება, რომ დასავლური დემოკრატია გრძელსა და ციცაბო დაღმართზე ეშვება. მოდი ჩამოვთვალოთ და ჩავფიქრდეთ: პოლიტიკური ანგარება, ოპორტუნიზმი, დემაგოგობა და უპასუხისმგებლობა, კანონის უზენაესობის ეროზია, თავმოთნეობა და ახლომხედველობა, ოჯახის რღვევა, დანაშაული და ათასგვარი თაღლითობა, პროფესიული საქმიანობის სტანდარტების დაქვეითება, ორგანიზებული დანაშაული, ნარკომანია, სექსობრივი უზნეობა, აკადემიური სიყალბე და ექსტრემიზმი, რელიგიური ზერელობა და სენტიმენტალიზმი, სასულიერო პირთა გადაცდომები, უხეშობა და დებოში ხელოვნებასა და თავშექცევის ადგილებზე, ცხოვრების საერთო გაუფლგარება. ეს თუ სხვა მოვლენები ყველგან აღწევს და ამით მიანიშნებენ ცივილიზაციის რღვევას. დემოკრატიის დაქვეითების ყველაზე დაუღლე-

ველ და შემამოფოთებელ ნიშანთა შორის გამოირჩევა მორჩილება მასმედიაში, უნივერსიტეტებსა თუ მთავრობაში მყოფი გავლენიანი ადამიანების წინაშე, მათი მხრივ კი განსხვავებული აზრის შეუწყნარებლობა. საჯარო დებატები ვიწრო და შეზღუდულ საზღვრებში რჩება, ხოლო ვინც გაბედავს, ხიფათში იგდებს თავს; ან გააძევენ, ან კუდიანივით დაუნყებენ დევნას, ან სამსახურსა და ლუკმა-პურს დააკარგვინებენ.

თუმცა დემოკრატიის პრობლემებს მთლიანად არ უარ-ჰყოფენ, მაგრამ აუფასურებენ, გვერდს უვლიან და გაუგებარს ხდიან. თვითკმაყოფილება დასავლური დემოკრატიის პრობლემების გამო, ალბათ, არასოდეს არ არის ისეთი თვალმისაცემი, როგორც ყოველწლიური სტატისტიკის კომენტარებისას, როცა გვიჩვენებენ, მაგალითად, რომელიმე სახის დანაშაულის შემცირებას, SAT\*-ის შედეგებს, ვენერიული სნეულების შემთხვევათა კლებას... თითქოს რომელიმე ეს ან თუნდ რამდენიმე მათგანი ერთად მაჩვენებელი იყოს ცხოვრების საერთო გაუმჯობესებისა. ზოგიერთი სერიოზულად ამტკიცებს, რომ დღევანდელი დასავლური საზოგადოება გამოხატავს კაცობრიობის ისტორიული ბრძოლის მწვერვალს, განათლებისა და კეთილდღეობისათვის. რომ დასავლური საზოგადოების იდეები და ინსტიტუტები მიანიშნებენ „ისტორიის დასასრულზე“; რომ დასავლური დემოკრატია აღმოჩნდა ყველა შესაძლო სახელისუფლებო ფორმაზე უმაღლესი, და კვლავ და კვლავ ამტკიცებენ, რომ ძველი ინტელექტუალური კონფლიქტები ამოიწურება და ჩამორჩენილი რეჟიმები გაქრება ერთი მეორის მიყოლებით. იმ დროისათვის, როცა დემოკრატიის პრობლემები ნამოიჭრება და საკითხი დგება მისი გადარჩენისა, ახალი იდეოლოგია – რომლის ერთ-ერთ გამოჩენულ ასპექტს შეიძლება დემოკრატიზმი ვუნოდოთ – განადიდებს დემოკრატიის უპირატესობასა და მისიონერულ ამოცანას. ანგარდაცვლილი მოაზროვნე ალან ბლუმი, ავტორი ბესტსელერისა, „ამერიკული გონების ჩაკეტილობა“ (1987), ერთ-ერთი ხმა იყო გუნდში, როცა აცხადებდა, „არ დარჩენილა აღარავითარი ინტელექტუალური საფუძველი სხვა რეჟიმისათვის, გარდა დემოკრატიისა“.<sup>3</sup>

აზრი, რომ კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს, მიუახლოვდა თავის პოლიტიკურ ბედისწერას, ახალი არ არის. 1950 წელს დანიელ ბელმა და სხვა სოციალ-დემოკრატებმა და ლიბერალებმა იწინასწარმეტყველეს, დასავლური სტილის სახალხო ხელისუფლებისა და კეთილდღეობის მომტანი სახელმწიფოს ყველა კონკურენტის შესაძლო გაქრობა. დღეისათვის თვითგანდიდება ახალი მგზნება-



\* ამერიკულ კოლეჯში მისაღები ატესტაციის სისტემა



რება შეიძინა და თავდაჯერებული საგარეო პოლიტიკის გამართლებად იქცა – რომ დასავლური დემოკრატიის უპირატესობა თავისთავად არცთუ ცხადი იყო და საჭირო გახლდათ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში მისი დამკვიდრება პოლიტიკური დაჟინებითა და დაძალებით. დემოკრატიზმი ჯერ კიდევ არ არის ერთადერთი გავლენის მომხდენი ამერიკის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ დიდ ძალას კი ამჟღავნებს.

დასავლეთის პრობლემათა სერიოზულობის, დემოკრატიზმის მგზნებარების გაძლიერებისა და გავრცელების ნიშნების ჩვენება შესაძლოა რეალობიდან გაქცევის სიმპტომად და, ამდენად, ცინიკურ გამოხედვად აღიქვან. დემოკრატიული თვითკმაყოფილება ყოვლისმომცველია და ხშირად შემოღობილი სახით გვევლინება. დემოკრატიით ზეიმი ნარკოტიკული ღრუბელივით ჩამოწოლილა ხალხის თავზე და ინტელექტუალურ თავბრუსხვევასა და ეიფორიას იწვევს. ვერანაირ შეფასებას ვერ შევძლებთ დასავლური დემოკრატიისა, თუ ჯერ დიდძალ სუფთა ჰაერს არ შევისუნთქავთ.

ამ წიგნის ერთ-ერთი მიზანია გამორჩევა და გაანალიზება დემოკრატიის ცენტრალური პრობლემისა. ვიდრე ზოგიერთ მოსაზრებას გაგიზიარებდეთ დემოკრატიის დღევანდელ ყოფაზე დასავლეთში და სავარაუდოდ პერსპექტივებსაც, საჭიროა რამდენიმე ერთმანეთს გადაჯაჭვული ფილოსოფიური მიმართულებების განხილვა. უპირველეს ყოვლისა, ტერმინის – „დემოკრატია“ – ორი მნიშვნელობა უნდა გაიმიჯნოს. დემოკრატიის სახიფათოობის ერთ-ერთი სიმპტომი ისიცაა, რომ ამ სიტყვას უკრიტიკოდ იყენებენ. ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება სახალხო მთავრობაზე თეორიამიც და პრაქტიკაშიც გაბუნდოვანებულია. წიგნში დავასაბუთებ, რომ მხოლოდ ერთი მათგანი შეესაბამება თავისუფლებისა და ცივილიზებული ცხოვრების მოთხოვნებს. მაშინ, როცა მრავალი ქვეყანა თავს აღწევს ტოტალიტარიზმს და იბრუნებს ან იქმნის ეროვნულ სახეს, დასავლური დემოკრატიები, მთელი თავისი სიმდიდრით, ფუფუნებით, ტექნოლოგიური მიღწევებით, ცოტა არ იყოს და ლატაკ მაგალითს უჩვენებენ. უცნაური არ უნდა იყოს, თუკი მთელი მსოფლიოდან მომზრალი დაკვირვებულნი თვალებისათვის ისინი აკნინებენ დემოკრატისა. ვარაუდი, რომ შეერთებული შტატებისა და დასავლეთის კრიტიკა მსოფლიოს სხვა ნაწილებში მხოლოდ შურის შედეგია, ამპარტავნებასაც გვიჩვენებს და წარმოსახვის ნაკლოვანებასაც.

თუმცა დასავლური დემოკრატიის სიძნელენი მრავალრიცხოვანია და ერთ წყაროდან არ მომდინარეობს, ყველაზე მნიშვნელოვანს, პირდაპირ თუ ირიბად, ზნეობრივი შუაგულის ნაკლოვანებებში აღმოვაჩინოთ. დემოკრატიის მძიმე ყოფა, მნიშვნელოვანწილად ზნეობის ძველი ნორმებისა და ხასიათის მიტოვებამ და, ამის შედეგად, პიროვნული პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებამ გამოიწვია. დემოკრატიას ყველა სხვა რეჟიმზე უფრო მეტად სჭირდება მტკიცე ზნეობის მოსახლეობა. სახალხო მთავრობის ცივილიზებული ფორმის ჩამოსაყალიბებლად იგივე ზნეობრივი პრინციპებია საჭირო, რაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი ეროვნულობის დასაფუძნებლად. შეერთებული შტატებში კონსტიტუციონალიზმისა და ცხოვრების სიმძლეენი იმის რეალური გაქრობის შედეგია, რასაც „რესპუბლი-

კურ სიქველეს“ უწოდებდნენ. კერძო და ნიშანდობლივი პიროვნული მოვალეობანი, რაც ახლა-სა და აქ-ს შეეხებოდა და მთავარი იყო ძველი დასავლური ზნეობისათვის, შეიცვალა თითქოსდა უფრო აღმატებული ზრუნვით, უფრო აბსტრაქტული და შორეული მიზნების გამო. ახალი ზნეობა უფრო ხალხთა მრავალრიცხოვანებაზე ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე პიროვნებისა და წინამძღოლის გარემო შემოკრებილ ჯგუფებზე. როცა წარმოსახვა დაიქანცება უპიროვნო კოლექტივის მოთხოვნილებებით, ყურადღებას იმაზე გადაიტანენ, რომ რომელიმე პირს გადიდებული პლანით გიჩვენებენ. პიროვნული და კერძო პასუხისმგებლობანი – რასაც ქრისტიანობა „მეზობლის სიყვარულად“ მოიხსენიებს – უმნიშვნელოდ გვეჩვენება დასახულ დიად ამოცანებთან შედარებით. ზნეობრივი პასუხისმგებლობის ტვირთი მოხსნილი აქვთ ცალკეულ პირებს, ოჯახებს, მცირე ჯგუფებსა და ადგილობრივ თემებს. როგორც დავინახავთ, გამოუდმებული ექსპანსია და ცენტრალიზაცია თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსი კიდევ წარმოაჩენს და კიდევ ამწვავებს რღვევასა და უარყოფას პიროვნული პასუხისმგებლობისა. ორიოდე ძირითადი გამოსარჩევი ნიშანი და განსაზღვრება გავვიადვილებს დავინახოთ თანამედროვე დასავლური დემოკრატიის იმპორტი და გავრცობა. იმასაც შეგვაძლებინებს, რომ გამოვიცნოთ სიყალბე ზოგიერთი თანამედროვე მცდელობისა – გაამაგროს დემოკრატია, გახადოს უფრო „ქველი“ და ამბიციური საზღვარგარეთ.

დემოკრატიის ძირეული პრობლემები ზემოქმედებას ახდენს ზნეობრივ, კულტურულ, პოლიტიკურ ტენდენციებზე და დიდი ხანია ამოქმედებს და წარმართავს დასავლურ სამყაროს. ბევრს იმ ფენომენთაგან, დღეს რომ კონსტიტუციურ სახალხო ხელისუფლებას ეშუქება, შეგვიძლია გავყვეთ იმ გრძნობებსა და იდეებამდე, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციიდან – 1789 წლიდან – დაიგდო სახელი. ახალი ეგალიტური სოციალური პოლიტიკური ნუსრიგისა და სახალხო მმართველობის თვალსაზრისი, რომელმაც არა მხოლოდ ტრადიციული ელიტისაგან გაათავისუფლა ხალხი, არამედ ტრადიციული ზნეობისა და ყველა სახის კულტურული საზღვრებისაგანაც, რამდენიმე წლით ადრე ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778) დიადმა წარმოსახვამ ჩამოაყალიბა. რუსოს თვალსაზრისმა ადამიანის ბუნებრივი სიკეთის შესახებ გამოიწვია ზნეობრივი ქველობისა და კარგი საზოგადოების წინაპირობის განსაზღვრის რადიკალური შეცვლა. მან უარყო ადამიანური ბუნების ბნელი ნაწილის არსებობა – რასაც ქრისტიანობა ხანდახან „პირველცოდვას“ უწოდებს – ძირი გამოუთხარა უძველეს რწმენას, რომ პიროვნულსა თუ კოლექტიურ ქმედებას შინაგანი თუ გარეგანი შეზღუდვა ესაჭიროება. იდეამ – ადამიანი ბუნებით კეთილიაო – განუმტკიცა თავდაჯერება, რომ არსებულ სახალხო უმრავლესობას გარკვეულ ჟამს უნდა ჰქონდეს განუსაზღვრელი ძალაუფლება. არსებულ საზოგადოებას, მისი ყველა გამოვლინებით, თვით ხელოვნებიან-მეცნიერებიანად რუსო ბნელ და დაუნდობელ მწავრელად სახავდა. ხელოვნებამ და მეცნიერებამ ადამიანი კიდევ უფრო სასტიკად დაამონა, ვიდრე მთავრობამო, ამბობდა. „მეცნიერება, მწერლობა და ხელოვნება... ყვაილებს თაიგულებს ხლართავს იმ რკინის ჯაჭვებზე, რითაც ხალხია დაბმული“, წერდა რუსო.

ყველაზე სახელგანთქმულ ნაშრომში, „სოციალური ხელშეკრულება“ (1762), იგი აცხადებს, რომ „ადამიანი იბადება თავისუფალი და მერე ყველგან ბორკილებით დაიარება“.<sup>4</sup> ტრადიციული ცივილიზაციის დამხობა, თანასწორობისა და უმრავლესობის სახალხო წესის დაფუძნება უნდა გამხდარიყო ქველი მიზანი.

რუსოს თვალსაზრისი ადამიანზე და მისი ხედვა ახალი საზოგადოებისა სწრაფად გავრცელდა საფრანგეთში და მალე გადაიქცა მძლავრ პოლიტიკურ ძალად. მას მხარს უჭერდა იაკობინური კლუბის მზარდი სამხედრო ძლიერება, ვინც საკუთარ თავში ხედავდა უნივერსალურ პრინციპთა გაურყვნელ მცველს. იაკობინელთა ზნეობრივმა და იდეოლოგიურმა მგზნებებებამ განმსაზღვრელი როლი შეასრულა საფრანგეთის რევოლუციის დროს. იაკობინურმა საზოგადოებებმა მთელს საფრანგეთში წამოჰყვეს თავი. სახელი იმ დიდი პარიზული კლუბიდან ისესხეს, სადაც იაკობინური კონვენტი გაიმართა და მოძრაობა დაიწყო. პარიზელმა იაკობინელებმა, ვისაც ათასობის ნაკლები წევრი არა ჰყოლიათ, 1790 წელს დააწესეს სტანდარტები პროვინციებისათვის რიტორიკასა, აგიტაციასა და კლუბის წარმართვაში; ზოგიერთ პროვინციულ კლუბს ასობით წევრი ჰყავდა. კლუბები გადაიქცა ინკუბატორებად მკაცრად მორალისტური ტიპის პოლიტიკური აგიტაციის თეორიისა. ისინი ითავსებდნენ დანიშნულებას სკოლისა, სადისკუსიო საზოგადოებისა, პოლიტიკური ორგანიზაციისა და ეკლესიისა. მათ მიერ ნაქადაგები ევალიტარიზმი და მხილება არსებული პოლიტიკური და სოციალური წესრიგისა სულ უფრო და უფრო მკვეთრი ხდებოდა. იაკობინელები მძაფრ რიტორიკულ თავდასხმებს აწყობდნენ ყველაფერზე, რასაც „ხალხის“ წინააღმდეგ შეთქმულებად მიიჩნევდნენ. იაკობინელები საკუთარ თავში ხედავდნენ ძმობითა და სოლიდარობით, დიადი ზნეობრივი მიზნებისათვის შეკავშირებულ, მეზობლად რაინდებს. ისინი იყვნენ რევოლუციურ პრინციპთა მცველები. გზას უხსნიდნენ საზოგადოების თანასწორობისა და დემოკრატიის ახალი ცხოვრების წესს, ძლევამოსილ მიზანს, რაც არავის დაინდობდა, ვინც წინ გადაუდგებოდა. იაკობინიზმმა საფრანგეთის რევოლუციაში ჩანერგა სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობა ტრადიციული ელიტისადმი, ტერორის მეუფება და მესიანური ამბიციები.<sup>5</sup>

მაქსიმილიან რობესპიერი (1758 – 1794) გახლდათ იაკობინელთა მონინავე იდეოლოგი და ორატორი. რევოლუციის ჟამს მთავარ ფიგურად და საფრანგეთის ლიდერად მოგვევლინა. მისი აზრით, საფრანგეთი და კაცობრიობა გამოკვეთილი ალტერნატივის წინაშე იდგა. არჩევანი კეთდებოდა სიქველეს, თავისუფლებას, სახალხო მმართველობასა, რაც იაკობინელთა მიზანი იყო, და ბოროტებასა და ჩაგვრას შორის, რაც მაშინდელი წყობის არსად მიიჩნეოდა. რობესპიერი რუსოს მგზნებარე თავყანისმცემელი გახლდათ. გამუდმებით კითხულობდა რუსოს შრომებს და მისი პოლიტიკური და ზნეობრივი იდეების ცხოვრებაში დანერგვას ესწრაფოდა. სულის სიღრმემდე სჯეროდა რუსოს მსოფლმხედველობის ღირსება და რუსოსავით საზოგადოების სრული გაზრდაქმნა ენადა, სურდა გადაექცა ყველაფერი, რაც ახალი სიქველის ტრიუმფს უღობავდა გზას. იაკობინური პოლიტიკა რობესპიერისათვის

ვის იყო ზნეობა და მცდელობა გაეაქტიურებინა უნივერსალური პრინციპები.

იაკობინიზმის თვისება, რაც მეტად მოსწონდა მრავალ შემდგომი დროის მოაზროვნესა და მოქმედ პოლიტიკოსს, გახლავთ – იქნებ არაოფიციალური, მაგრამ – მძლავრი ელიტარულობა. თუმცა იაკობინელები ხალხის სახელით, ხალხის კეთილდღეობისათვის მოქმედებენ, მიაჩნიათ, რომ ისინი, როგორც ქველნი და ღრმად მწვდომნი, უნდა გაუძღვნენ ხალხს იმ მიმართულებით, რა მიმართულებითაც წავიდოდა, თუკი ეცოდინებოდა, რაც ლიდერებმა იციან. იაკობინელებმა შეჰქმნეს პრეცედენტი მომდევნო პოლიტიკური მოძრაობებისათვის, რაც „ხალხის“ სახელით მოქმედებდა. ეს მოძრაობანი ცენტრალიზებულად წარმოიშობა და წარმართება და არა სპონტანურად აღიძვრის ქვემოდან წამოსული რადიკალური განცდების შედეგად. დღევანდელ დასავლურ სამყაროშიც დემოკრატიზმის რიტორიკა მალავს, რომ დემოკრატია ძირითადად ცენტრალური მიმართულებით მოქმედებს. ხალხი უმთავრესად ხმას აძლევს ისე, როგორც მასმედიაში მყოფი მომხრეებით მომძლავრებულ ლიდერებს სურთ. სახალხო მმართველობა სულ უფრო და უფრო ნაკლებ ნიშნავს იმას, რომ ხალხი გადანყვეტილებას თვითონ იღებს ოჯახებში, საზოგადოებებში, ადგილობრივ თემებში, სადაც უშუალოდ ან თითქმის უშუალოდ აკონტროლებს თავის ცხოვრებას. „სახალხო მმართველობა“ სულ უფრო და უფრო მეტად ნიშნავს, რომ ხალხი ძალაუფლებას უთმობს ლიდერებს და ეთანხმება გადანყვეტილებებს, მათი საცხოვრებლიდან და სამუშაოდან შორსა და მათ მაგივრად რომ იღებენ.

იაკობინურ სულს, მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, მრავალი, მეტ-ნაკლებად ექსტრემისტული, სახე აქვს. ხანდახან განონასწორებელი და ზომიერია საპირწონე მოძრაობების გავლენით, მაგრამ იაკობინური სული სახეა და ფორმებს იცვლის და ძლიერებას ინარჩუნებს. ემტერება ძველ დასავლურ ცივილიზაციას, განსაკუთრებით რელიგიასა და ზნეობის სფეროებს, და თანასწორობის პრინციპთა დარღვევისთვისაც. თუმცა იაკობინურმა სულმა მთავარი მარცხი საბჭოთა კავშირის დაშლითა და კომუნისმიზმის დისკრედიტაციით იწვნია, დღესდღეობით კვლავ გამოცოცხლებულია და ზემოთ მიიწევს.

თანამედროვე დასავლურ დემოკრატიებში ახალი იაკობინიზმი სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ჰპოვებს, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, და იმისათვის იღვწის, რომ განყვიტოს შემორჩენილი კავშირები სახალხო მთავრობასა და ადამიანსა თუ საზოგადოებაზე ტრადიციულ დასავლურ თვალსაზრისს შორის. ახალი იაკობინიზმი მოიმარჯვებს ძველისაგან ერთგვარად განსხვავებულ ახალ იდიომს და ნერგავს სხვადასხვა ახალ იდეოლოგიასა და ინგრედიენტს, მაგრამ ის არსებითი გაგრძელება ძველი მისწრაფებისა, ისტორიულად დადგენილი საზოგადოება შეცვალოს აბსტრაქტული, ვითომდა უნივერსალური პრინციპებით, განსაკუთრებით – თანასწორობის პრინციპზე ამოზრდილი წესრიგით. ძველი იაკობინიზმისა არ იყოს, ახალი იაკობინიზმიც არ უპირისპირდება ეკონომიკურ უთანასწორობას, მაგრამ თავს ესხმის ტრადიციულ რელიგიურ, ზნეობრივ, კულტურულ თავისებურებებსა და სოციალურ საშუალებებს, რაც ზღუდავს და წარმართავს სოციალურსა და პოლიტიკურ პროგრესსა და მეტისმეტ ეკონომიკურ აქტივო-

ბას – ამ საკითხებს მომდევნო თავებში დაფიქრებებით და ძირფესვიანადაც გამოვიკვლიეთ. ახალი იაკობინელები უფრო მიღებული არიან არსებული საზოგადოების მიერ, ვიდრე ძველები, რადგან ახლები დღევანდელ დასავლურ დემოკრატიას მიიჩნევენ ნაყოფად დიადი ზნეობრივი, სოციალური და პოლიტიკური პროგრესისა, რაც მეთვრამეტე საუკუნიდან მომდინარეობს. დემოკრატიას კი უნივერსალურ პრინციპებთან მიახლოებად აღიქვამენ.

ძველი იაკობინელები მიიჩნევენ, ჩვენი პრინციპები სავალდებულოა ყველა ხალხებისათვის, მაგრამ, ვინაიდან შინაც მრავალი თავდასხმა და წინააღმდეგობა ხვდებოდათ, ძირითადად საფრანგეთითა და ევროპით იფარგლებოდნენ და მთელ მსოფლიოზე ფიქრს ვერ ბედავდნენ. ახალი იაკობინელები კი ფიქრობენ მთელს მსოფლიოზე. დიდ ყურადღებას უთმობენ თავიანთ პრინციპთა დანერგვას საერთაშორისო ასპარეზზე. ახალი იაკობინელები განურჩეველია დემოკრატიზმისაგან. ახალ იაკობინელებს სწამთ, რომ დემოკრატია უმაღლესი ფორმაა ხელისუფლებისა და მსოფლიოს ყველა საზოგადოებაში უნდა ჩაინერგოს. ახალი იაკობინელები მთავარი იდეოლოგიური და პოლიტიკური ძალაა თანამედროვე მცდელობისას, გადავაქციოთ დემოკრატია მსოფლიო, ზნეობრივ, ჯვაროსნულ ლაშქრობად.

ახალი იაკობინელები არა მხოლოდ ზრუნავენ შორეულ მხარეებში დემოკრატიის გასავრცელებლად, არამედ აცხადებენ კიდევ, რომ იციან წამალი იმ სნეულებისა, რაც დასავლურ დემოკრატიას ჯერ კიდევ სჭირს. ამ წიგნში განვიხილავთ, თუ დანამდვილებით რა უდევთ გუნებაში ახალ იაკობინელებს დასავლური საზოგადოებისა და მსოფლიოს მიმართ.

ახალი იაკობინელების ძალაუფლების მაჩვენებელია ის, რომ მკაფიოაა წარმოჩენილი პოლიტიკურ-ინტელექტუალურ სპექტრში; გავრცელებულია ლიბერალებსა და სოციალისტებში, ვინც თავის იდეოლოგიურ ორიენტაციას შეგნებულად, სწორედაც ფრანგული რევოლუციიდან იღებენ. პარადოქსია, მაგრამ შეერთებულ შტატებში ახალ იაკობინეზმს იმ ადამიანთა აზრებსა თუ ქმედებაშიც ვხვდავთ, რომელთაც „კონსერვატორებსა“ და „ნეოკონსერვატორებს“ უწოდებენ. ეს კურიოზულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაცნობიერებული კონსერვატიზმი წარმოიშვა საფრანგეთის რევოლუციის იდეებთან დაპირისპირებისას. კაცი, ვინც საყოველთაოდ მიჩნეულია თანამედროვე კონსერვატიზმის მამად, ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე და მოაზროვნე, ედმუნდ ბერკი (1729-1797), თავის დამბუვავ კრიტიკას ფრანგული რევოლუციისა და კერძოდ იაკობინელობა წინააღმდეგ მიმართავდა.

დღეს უფრო მეტი ექსტრემისტური იდეები მოედინება მონინავე უნივერსიტეტებიდან, კულტურის ინსტიტუტებიდან, ვიდრე ოდესმე, და, უმთავრესად მასმედიისა და პოპულარული კულტურის საშუალებით, გადაეცემა ხალხს; შეხედულებანი, ათწლეულების წინათ რადიკალურად რომ იყო მიჩნეული, დახავსებული და ძველმოდური ჩანს და, ვინც მათ იცავს, „კონსერვატორებად“ მოჩანან. მაგრამ ისტორიულ სტანდარტთა მიხედვით, იდეები, რასაც ეს პიროვნებანი უპირებენ შენახვას, სინამდვილეში რადიკალურია იმის გამო, რომ ძნელად ურიგდებიან ძველ დასავლურ თვალსაზრისს ადამიანსა და საზოგადოებაზე. თვით ფრანგ იაკობინელთა რადიკალიზმიც კონსერვატულად

მოგვეჩვენება, როცა რადიკალიზმის განსაკუთრებით ექსტრემისტურ ფორმებს, მაგალითად, ამკარად და უხეშად გამოხატულ ტოტალიტარულ სახესხვაობას შევადარებთ.

მძლავრი ისტორიული ნაკადები შეეშველება იმ ადამიანთა ოპორტუნიზმს, ვისაც საკუთარ რწმენაზე მეტად ძლიერთა ამაქვეყნისათა დასტური და კარიერის კიბეზე ზეხავლა ანაღვლებს. დღეისათვის ყველგან: აკადემიურ წრეებში, გამომცემლობებში, ჟურნალიზმში, რელიგიაში, ხელოვნებაში – რადიკალური შეხედულებანია გავრცელებული და ისიც კი, ვინც დიდი ხანია დასავლური ტრადიციის ნიაღში ცხოვრობს, ვერ ბედავს ამ ტრადიციის დაცვას, რათა არ გამოინვიოს რისხვა მათი, ვინც ამინდს ქმნიან ზემოხსენებულ სფეროებში. თუკი მართლა გსურს დაუპირისპირდე აღმავლობაში მყოფ მორალურ, ინტელექტუალურსა და კულტურულ ძალებს, არადა უნდა ჩააგდო საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, დაკარგო ჯილდოები, რაც დროის ფეხდაფეხ მიყოლასა და მისაღებ მოსაზრებებზე მსაჯულთა კვერის დაკვრას მოაქვს. რადგან მიჩქმალული და დავინწყებული არ არის ძველი, მაგრამ არასასურველი რწმენა, ოპორტუნიზტები ახერხებენ ისე წარმოაჩინონ, რომ Zeitgeist-ს\* მეტად ასიაშოვნონ ან მეტად ასიაშოვნონ მის ნაკლებად ექსტრემისტ მიმდევრებს. ძველი რწმენა ოსტატურად იცვლება. კაცი ფიქრობს, ჩემი რწმენა არც ისე ძალიან ყოფილა დაშორებული დღევანდელ შეხედულებებს, როგორც ერთ დროს მეგონაო. შიში და ოპორტუნიზმი შეთანხმებულნი იღვნიან ძველი რწმენის გარდასაქმნელად.

მრავალნი მონანილობენ ამ ნაწილობრივ თავის მოტყუებაში, რათა ახალ დროებს ხმა შეუწყონ. ახალი იაკობინელები ტკბებიან იმით, რომ მასმედიის კარი ღიაა მათთვის და, შეიძლება ითქვას, მასმედიის ნაწილი არიან. ამის გამო მრავალი კონსერვატორი, ვინც უფრო ხის მტრულად განწყობილ მასმედიასა და საუნივერსიტეტო კულტურას, იმედოვნებს ძალაუფლებისმპყრობელთა კეთილგანწყობა ახალ იაკობინელთა მიზანძვით მოიპოვოს. ეს უკანასკნელნი კი „კონსერვატორებთან“ დაახლოებას იმით ხსნიან, რომ თავს მიიჩნევენ მემარცხენეთაგან დასავლური ცივილიზაციის დამცველებად, რაც კონსერვატორთათვის დამაჯერებლად ჟღერს. თუმცა მრავალი ახალი იაკობინელი სავსებით გაცნობიერებული შეგნებით მიჰყვება თავის იდეოლოგიურსა და პოლიტიკურ ამოცანებს, ოპორტუნიზტი და ინტელექტუალურად ნაკლებ მომნიფებული კონსერვატორები ვერ ამჩნევენ, რომ რასაც ახალი იაკობინელები იცავენ, როგორც დასავლურ ცივილიზაციას, სინამდვილეში მისი მცირე და შედარებით ახალი ნაწილია, ის ნაწილი, საფრანგეთის რევოლუციით რომ მოიხვეჭა პოლიტიკური სახელი და სხვა საწყისები კი რაციონალიზმსა, განმანათლებლებსა და მათ წინამორბედებში ჰპოვა. და თუმცა ახალი იაკობინელები მთლიანად არ უკუაგდებენ ძველ დასავლურ ცივილიზაციას, სრულიად განსხვავებულად განმარტავენ; ვთქვათ, ქრისტიანობის ვითომ დამცველნი მასში დემოკრატიულ რელიგიას ხედავენ, კლასიკური პოლიტიკური აზროვნების ვითომ დამცველნი კი პლატონში შენიღბულ დემოკრატს ამოიცივობენ. ასეთ „ტრადიციონალისტებს“ უფრო მეგობრულად ხვდებიან მედიასა და უნივერსიტეტებში, ვიდრე

\* დროის სული (გერმ.)

იმ ტრადიციონალისტებს, ვინც მართლა იცავენ ქრისტიანობასა და კლასიკურ ცივილიზაციას. აღიარებისა და ნდობის აღძვრის სურვილი კარგად ემსახურება ძალაუფლებისმპყრობელებს და მრავალთავან ერთ-ერთ იმ ფაქტორად ითვლება, რაც zeitgeist-ს შეადგენს შემოიერთოს ის, რასაც ამკარად თავს არ ესხმის.

ახალი იაკობინიზმი მნიშვნელოვანი პატივისცემითაა გარემოსილი, განსხვავებით სხვა სახის რადიკალიზმისაგან, როგორც დღეისათვის ეგრეთწოდებული „პოსტმოდერნიზმი“. პოსტმოდერნიზმი უარჰყოფს „უნივერსალური პრინციპთა“ არსებობას, ხოლო ახალი იაკობინელები ებრძვიან ყოველივე იმას, რაც პოსტმოდერნულ ზნეობრივ ნიჰილიზმად ესახებათ. ორივე მოძრაობას, მიუხედავად ძირეული უთანხმოებისა, აერთიანებს სურვილი – დაანგრიოს სულიერი, კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რასაც განმანათლებლობა და ფრანგული რევოლუცია ებრძოდა. რასაც ახალი იაკობინელები იცავენ, როგორც დასავლურ ცივილიზაციას, განმანათლებლური, „მოდერნული“ დასავლეთია. თავიანთი ვითომდა უნივერსალური პრინციპები, როგორც არის „დემოკრატია“, „თანასწორობა“ და „თავისუფლება“, განმანათლებლური აზროვნებიდან მოაქვთ. თავის მრავალგვარად და მცდარად შეფასებულ წიგნში ლან ბლუმი ჩიოდა „ამერიკული გონების ჩაკეტილობის“ გამო. მოგვიანებით ვნახავთ, რომ ბლუმი განმანათლებლურ გონებას გლოვობდა. ამ გონებამ დააფუძნა ამერიკაო, ამტკიცებდა. თუმცა ახალი იაკობინელები ძველი, დასავლური ცივილიზაციის გადაგდებას აპირებენ, პოსტმოდერნიზმები მათ მაინც არასაკმარის რადიკალებად მიიჩნევენ – „კონსერვატორებადაც“ კი – რადგან ახალი იაკობინელები აღიარებენ რაციონალიზმს, განმანათლებლობის ძირითად იდეოლოგიასა და საფრანგეთის რევოლუციას, რაც პოსტმოდერნიზმებისათვის იმას ნიშნავს, რომ ახალი იაკობინელები ახალ, მჩაგვრელ, ინტელექტუალურსა და პოლიტიკურ რეჟიმს უჭერენ მხარს.

წიგნში ვნახავთ, რომ ახალი იაკობინიზმი არ არის განსაზღვრული მოძრაობა, წევრების სიითა და ზოგადად შეთანხმებული იდეოლოგიური მახასიათებლებით. არცერ-

თი თანამედროვე წყარო არ გვანდის ორთოდოქსულ სტანდარტებს. მრავალი მწერალი ცდილობს შეენიოს ამ იდეოლოგიის განვითარებას და იბრძოლოს ინტელექტუალური უპირატესობის მოსაპოვებლად. ახალი იაკობინიზმი თავს მრავალ სფეროში წარმოაჩენს, მაგრამ ყველაზე მეტად პოლიტიკა და პოლიტიკური თეორია აინტერესებს. გავლენას ახდენს ხალხზე განსხვავებული გზებითა და განსხვავებული ოდენობით. ხშირად ისეთ კაცს შეეპარება, ვინც სრულიად განსხვავებულად აზროვნებს, გასხვავებული პიროვნული თვისებები აქვს და განსხვავებული მოდემისაა. სწორედ ამიტომაც უნდა გამოვარჩიოთ და განვასხვავოთ ახალი იაკობინიზმი, რომ ის ებრძვის ამ კაცის სხვაგვარ, უფრო სასარგებლო რწმენას, და ხელს უშლის მის განვითარებას. თუმცა ახალ იაკობინიზმს მაინც აქვს გამორჩეული ზნეობრივ-ინტელექტუალური მამოძრავებელი ძალა, მიმართულება და რიტორიკული შინაარსი. სახელი, მისი ნიშნების აღსაწერად რომ მოვიმარჯვებთ შერჩა მისი თვალშისაცემი მსგავსების გამო ძველ მისიონერულ მგზნებარებასთან, რამაც რადიკალურად შეცვალა დასავლური სამყარო და მუდმივად ზემოქმედებდა მთლიანად კაცობრიობაზე. რუსო წარსულის ყველა სხვა ფიგურაზე უფრო მეტად გამოხატავს იმ ზნეობრივ, წარმოსახვით და ინტელექტუალურ პოზიციას, სადაც იაკობინური სული ყველაზე უფრო დახვეწილად აისახება.

**შენიშვნები**

1. ლან ბლუმი, „ამერიკული გონების ჩაკეტილობა“, 330
2. ფრენსის ფუკუიამა, „ისტორიის დასასრული“, ეროვნული ინტერესი, 16 (ზაფხული 1989)
3. ბლუმი, „ჩაკეტილობა“, 330
4. ჟან-ჟაკ რუსო, „ძირითადი პოლიტიკური შრომები“ (Indianapolis, IN: Hackett Publishing Co., 1987), „პირველი დისკურსი“ 3, და „სოციალური ხელშეკრულება“, ნგ. I თავი I, 141
5. ფრანგი იაკობინელების შესახებ იხ. საიმონ შამა, „მოქალაქეები“ (New York: Alfred A. Knopf, 1989), დეტალური და დახვეწილი ქრონიკა საფრანგეთის რევოლუციისა, და მაიკლ კენედი, „იაკობინური კლუბი საფრანგეთის რევოლუციაში“ (Princeton, NJ: Princeton University Press, 1982).

**რედაქციისაგან**

კლავს გ. რინი ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორია. წლების მანძილზე ამ კათედრას (პოლიტიკის კათედრას) ხელმძღვანელობდა. ასწავლიდა ვირჯინიის, ჯორჯთაუნისა და თავისი მშობლიური შვედეთის, უფსალას უნივერსიტეტებში. 2000 წელს ლექციების წასაკითხად მიწვეული იყო პეკინის უნივერსიტეტში, როგორც სახელგანთქმული მეცნიერი. არის დამფუძნებელი და თავმჯდომარე ეროვნულ ჰუმანიტარული ინსტიტუტისა, (National Humanities Institute) და ჟურნალ „ჰუმანიტას“ ანუ ჰუმანიზმის გამომცემელი. ავტორია მრავალი წიგნისა, რომელთაგან გამოჩეულია: „ამერიკა ქველი“, „ნება, წარმოსახვა და გონება“, „საერთო ადამიანური საფუძველი“ და „დემოკრატია და ზნეობრივი ცხოვრება“. კლავს გ. რინი ნამდვილი კლასიკური ტიპის კონსერვატორია, აზროვნებით, გარეგნობითა და ცხოვრების წესით. მის ოჯახში შვედურ ტრადიციებს ინახავენ. თავისი შეხედულებების გამო ჩრდილშია მოქცეული. ნეოკონსერვატორებს აწუხებთ მისი კრიტიკა და ცდილობენ ან მიჩქმალონ ან სახელი გაუტეხონ; იცინის, ჩემი წიგნის გამო მემარცხენედ

მომხსენიებენო. პირადად იცნობდა რასელ კერკს, ვინც დიდად აფასებდა კლავს რინის შემოქმედებას.

მიიჩნევს, რომ ე.წ. „პლემბისციტარული“ ანუ მაჟორიტარული დემოკრატია ხალხთა, განსაკუთრებით ახალ-დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნების დასამონებლად გამოიყენება. მისი აზრით, შეგნებულად მალავენ იმ ფაქტს, რომ ამერიკა რუსოისტული იდეებით არ ამეხნებულა და ამერიკული დემოკრატიის კლასიკური სახე კონსტიტუციური ანუ „მაინორიტის“ – უმცირესობის დემოკრატიაა. ამას, რა თქმა უნდა, ყველა აღიარებს, ვისაც პოლიტიკური თეორია ესმის, მაგრამ საქართველოსა და ერაყისათვის მაინც მაჟორიტარული დემოკრატია ემეტებათ მსოფლიოს მოდებულ ახალ იაკობინელებს.

ყურადღება მიაქციეთ ტერმინს „დემოკრატიაში“. კლავს რინი ამ ტერმინს განასხვავებს სიტყვისაგან დემოკრატია. ჩვენი პოლიტიკოსები ამ ტერმინის მიხედვით დემოკრატები კი არა „დემოკრატისტები“ არიან.

ეს ესეი კლავს გ. რინის წიგნის – „ამერიკა ქველი“ – პირველი თავია, მეორე თავს „ახალი იაკობინელები“ ჰქვია.

ლაშა იმედაშვილი

# დუელი

## 1. პაციენტი

მცირე პროზის ოსტატი, ვანო ჩალაძე, იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც გულწრფელად, თუმცა, ამავე დროს, გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ, მიუხედავად დროისა თუ შექმნილი მდგომარეობისა, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, მაშინაც კი, როცა ის რაღაც, საქმეს რომ ეძახიან, თვალითაც არავის უნახავს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას გულისხმობდა ამ ყველაფერში მწერალი ჩალაძე. რა თქმა უნდა, კონკრეტული საქმის ზედმიწევნით ზუსტ ცოდნას, ანუ – პროფესიონალიზმს. მეტიც, მისთვის პროფესიონალიზმი და ქვეყნის სიყვარული, იგივე პატრიოტიზმი, სიამის ტყუპებივით განუყრელი იყვნენ. ნაწილობრივ ეს მართალიც იყო, რადგან, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ორივე იზმი გახლდათ. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს ხელოვანი კაცისგან, ვანო სხვა პროფესიის იმ ადამიანებსაც ეთაყვანებოდა, რომლებიც საკუთარ ხელობას ისე ფლობდნენ, როგორც საკუთარ სხეულს. თავად ჩალაძე დიდი ხანია ასეთად ითვლებოდა და, ამის გამო, გამუდმებით თავისნაირებისკენ ილტვოდა, ამიტომაც, ბევრი აღარ უფიქრია და შერყეული ჯანმრთელობის გამოსასწორებლად საუკეთესო ექიმი შეარჩია. ექვსიოდე თვის უკან, ვინმეს რომ მისთვის ექიმი ეხსენებინა, ვანო მას დაუყოვნებლივ ამოიღებდა დამძიმებული გულიდან და სამეგობრო სიიდანაც საფუძვლიანად ამოშლიდა, მაგრამ ეს გადანყვეტილება, როგორც სხვა ყველა, თავად მიიღო და საყვედურსაც ვერავის ეტყოდა.

ფსიქოთერაპევტი ედიშერ სეხნიაშვილი საქართველოში რამდენიმე წლის დაბრუნებული იყო, ძვირფას თუ ძვირიან კლინიკას ხელმძღვანელობდა და, როგორც თვითონ ამბობდა, განათლება ერთ-ერთ პრესტიჟულ სასწავლებელში ჰქონდა მიღებული, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამის დასამტკიცებლად, უამრავ ინტერვიუში, იმ დიპლომებს იშველიებდა, რომლებიც საკუთარი კაბინეტის ახლად შეთეთრებულ კედელზე უნესრიგოდ ჰქონდა გაბნეული.

– შეიძლება?

მორიდებულად იკითხა ვანო ჩალაძემ, კიდევ ერთხელ შეხედა ოქროსფერ აბრას და კარის ზღურბლზე ისე არაბუნებრივად შეჩერდა, თითქოს აქედან უკან მოუხედავად გაქცევას აპირებდა.

– მობრძანდით, ბატონო ვანო, გელოდით, აი, აქ დაბრძანდით.

რადგან ვანოს ხშირად სცნობდნენ ხოლმე, ეს ამბავი არ გაჰკვირვებია და ტყავის სავარძელში ისე მოხერხებულად მოენყო, თითქოს არაფერზე ლელავდა. თუმ-

ცა გამოცდილი ექიმის თვალს არაფერი გამოჰპარვია და ედიშერმაც წამსვე შეამჩნია, რომ პაციენტს სიგარეტი პირში უკულმა ედო, მაგრამ ნდობა რომ თავიდანვე არ დაეკარგა, პირდაპირ არაფერი უთხრა და ამ შემთხვევას სხვაგვარი გასაღები მოუხახა.

– ჩვენთან არ ეწევიან, ბატონო ვანო.

– უკაცრავად. – დაიმორცხვა ვანომ და სიგარეტი პიჯაკის ჯიბეში ჩაიღო.

– ეგ არაფერი, ხდება ხოლმე. – დაამშვიდა ედიშერმა. – თავს როგორ გრძნობ?

– როგორც ყველა. – მხრები აიჩეჩა ვანომ.

– ანუ ცუდად. – დააზუსტა ედიშერმა.

– იქნებ პირიქით?

– თავს რომ კარგად გრძნობდეთ, ჩემთან არ მოხვიდოდით.

– მართალია... – დაეთანხმა ვანო და მოვლილ იატაკს დააჩერდა. – სათქმელი უნდა ითქვას... ნერა მიჭირს... ასე, როცა ვინცები, მაშინ არ გამჭირვებია.

– დიდი ხანია?

– ზუსტად ვერ გეტყვით.

– რას გრძნობთ ხოლმე ამ დროს?

– მიჭირს ერთი სიტყვით ამის გამოხატვა.

– სიმძიმე... უიმედობა... უპერსპექტივობა...

– ეგრეა. – ამოიოხრა ვანომ. – არც კი ვიცი, ჭირდება თუ არა ვინმეს ჩემი ნაშრომი, ან თუ ჭირდებათ, გამაგებინონ მაინც...

– ოჯახი თუ გყავთ? – იკითხა ედიშერმა და ორი, ჩინური, ვერცხლის, ხმაურიანი ბურთი მარჯვენა ხელში აათამაშა.

– ცოლი. – გაჭირვებით წარმოთქვა ვანომ.

– შვილები?

– ადრე ამაზე არ ფიქრობდით, არ გვეცალა, სულ რაღაც იყო, შემოქმედ კაცს სიმშვიდე უყვარს, ესაჭიროება კიდევ, გვეგონა ყველაფერი წინ იყო და დრო გვექონდა... მერე მივეჩვიეთ... ახლა უკვე გვიანია... – გული დასწყდა ვანოს.

– თქვენი უიმედობის მიზეზი კიდევ უფრო გასაგები გახდა ჩემთვის. – დაასკვნა ედიშერმა. – სიკვდილზე ხშირად ფიქრობთ?

– გამუდმებით... თუმცა ვერაფერს ვწერ, მეშინია ალბათ... საერთოდ, ქართველი მწერლები გაურბიან სიკვდილის პრობლემას, ჩემი აზრით, ეს ფაქტი ფრიად საყურადღებოა და ჩვენი მწერლობის ნაციონალურ ხასიათს ამჟღავნებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი საქართველო თავის კუბოში ცოცხლადაც რომ ჩაეჭედოს, სიკვდილზე მაინც არ იფიქრებს. ცუდია ეს თუ კარგი, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.





– გეთანხმებით, თუმცა ნაწილობრივ. – თავი დააქნია ედიშერმა. – მას შემდეგ, რაც ადამიანმა იგრძნო, რომ ცხოვრება წარმავალია, იგი საგონებელში ჩავარდა. პიროვნება ვერასოდეს ვერ გადააბიჯებს დროის მიერ შექმნილ საზღვრებს. ადამიანისთვის საშინელი და მტანჯველია აზრი დროებითი განსაზღვრულობისა, სიკვდილის იდეისა. თავისთავად სიკვდილში საშიში არაფერია, სიცოცხლე გაცილებით სახიფათოა, რადგან საკუთარ თავში სიკვდილის საშიშროებას მოიცავს. არადა სიკვდილი ჩვენი საუკეთესო მეგობარია, იგი დაბადებიდან თავს დაგვტრიალებს, როგორც მზრუნველი მშობელი, გვერდიდან არ გვცილდება, როგორც ერთგული მრჩეველი, უღალატოდ გვემსახურება, როგორც სისხლისმომცემი ძმა და უსიტყვოდ გვემორჩილება, როგორც ყურმოჭრილი მონა. ყველაზე მეტ დროს ჩვენ სწორედ მასთან ვატარებთ, თუმცა ეგაა, ვერასოდეს ვხედავთ ჩვენს საუკეთესო მეგობარს, იგი ჩვენშია და ამავე დროს, ჩვენს შორის დაჰქრის ფარფარით, მხოლოდ თვალის მოკვრა შეგვიძლია, ისიც წამით, ვინც ამ ჩრდილის შეხებას, ან მის გამოსხატვას მოინდომებს ენა დაუშვანჯდება... ასე რომ, ბატონო ვანო, ხელოვნების აქტილესის ქუსლი გამოთქმის ტექნიკაშია, თქვენ არ ხართ პირველი და, მერნმუნეთ, არც უკანასკნელი, თქვენი პრობლემა შემოქმედის ტიპიური პრობლემაა, ასაკი, შემოქმედებითი კრიზისი, არამდგრადი ოჯახური გარემო, თუმცადა, დღევანდელ დღეს, ამ ყველაფრის მოგვარება სავსებით შესაძლებელია.

– როგორ? – ვანო ექიმს ისე მიაჩერდა, როგორც წყალში ჩავარდნილი, უსუსური ადამიანი გამოცდილ მოცურავეს.

– წარმოიდგინეთ... – ედიშერი შეჩერდა პაციენტს გულით გაუღიმა. – თქვენ მწერალი ხართ და ამის წარმოდგენა არ გაგიჭირდებათ... წარმოიდგინეთ, რომ თქვენ დიდი ხელოვანი ხართ, რა თქმა უნდა, თქვენც გიფიქრიათ ამაზე, თუმცა, ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ერთულების ხვედრია. ამავე დროს, უფუნქციოდ რჩება უზარმაზარი მასა, რომელიც რაღაცას ქმნის, ავად თუ კარგად ხატავს, ძერწავს, უკრავს, წერს, მღერის, მაგრამ ამაოდ, მათი ქმნილება დროსთან ჭიდილში განუწყვეტლივ მარცხდება და რამდენიმე წლის შემდეგ ისინი აღარავის ახსოვს. არადა, ხელოვანის მომთხოვნი ბუნება ამას ვერ ეგუება, ყველას პირველობა და უკვდავება უნდა, აქედან შური, გაუტანლობა, ბოღმა, შემოქმედებითი კრიზისი, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვა... ამ ყოველივეს კარგი არაფერი მოაქვს, თავიდან ალკოჰოლი, მოგვიანებით ნარკოტიკები, საბოლოოდ კი პიროვნების დეგრადირება... ჩვენნაირ, მცირერიცხოვან ერს ადამიანის ასე იოლად დაკარგვის უფლება არა აქვს, თუნდაც ეს ადამიანი დიდი ნიჭიერებით არ გამოირჩეოდეს, ხომ მეთანხმებით?

– რა თქმა უნდა. – თავი დააქნია ვანომ, რადგან მართლაც ასე ფიქრობდა.

– ახლა რაც შეეხება მწერლობას... ნუთუ არასოდეს გდომებიათ დიდი მწერალი ყოფილიყავით, მაგალითად

ტოლსტოი, ჩეხოვი, თუნდაც პო, ანდა სულაც ტვენი, ბოლოსდაბოლოს ჯავახიშვილი მაინც...

– როგორ არა, მაგრამ ცარიელ ფიქრს რა აზრი აქვს. – სიტყვა დაუბრუნა ვანომ.

– არაფერი, მართალი ბრძანდებით... მწერლობა მძიმე ხვედრია, ყველას არ შეუძლია მისი აზიდვა, სხვაგვარ სიტყვას მოითხოვს, სხვაგვარ ქცევას, ცხოვრების წესს, სხვაგვარ მიდგომას. ვინ შესძლებს, ვის გაუჭირდება, ვინ საერთოდ ვერ მოახერხებს? დღეს ამის დადგენა თითქმის მეცნიერული სიზუსტით არის შესაძლებელი.

– ძალიან მრცხვენია, ექიმო, ამას რომ გუებნებით, მაგრამ ვერაფერი გავიგე. – გამოტყდა ვანო.

– ეხლავე ავიხსნით ყველაფერს. – წყნარად თქვა ედიშერმა და უჯრიდან სქელტანიანი წიგნი ამოიღო. – სამოცდათორმეტი საათის განმავლობაში თქვენ იცხოვრებთ რომელიმე დიდი მწერლის ცხოვრებით. შეხვედრები, აღიარება, წიგნები, სახელი, შემოსავალი, ავტორიტეტი, ვარდნა, დროებითი კრიზისი, კვლავ აღიარება და ასე დაუსრულებლად. ამ ყველაფრის შედეგი ყოველთვის ერთია: თქვენ ან საბოლოოდ რწმუნდებით საკუთარ შესაძლებლობებში და მწერლობას აგრძელებთ იმ იმედით, რომ ოდესმე დროს გადაასწრებთ, ანდა ხვდებით, რომ ეს თქვენი საქმე არ არის და სამუდამოდ ანებებებთ თავს წერას. ორივე შემთხვევაში ჩემი, როგორც ექიმის და თქვენი, როგორც პაციენტის, მიზანი მიღწეული იქნება, შემოქმედებითი კრიზისი დაძლეული, მინაზეც ორივე ფეხით მყარად დადგებით და ცხოვრებაც თავიდან დაიწყება, რა თქმა უნდა, თუ თქვენ ამას მოინდომებთ.

– ეს რომ ვერ შევძელი, იმიტომაც მოვედი თქვენთან. – ახლა უკვე ვანომ გაიღიმა. – მაგრამ ძალიანაც რომ მოვიწოდო, სხვისი ცხოვრებით როგორ ვიცხოვრებ?

– ჩვენ დაგეხმარებით, აბა აქ რისთვის ვართ. – წყნარად თქვა ედიშერმა. – კლინიკის მთელი პერსონალი, გარდა იმისა, რომ საკუთარ პროფესიას კარგად ფლობენ, მოყვარული მსახიობებიც არიან, მართალია დიდი ნიჭითა და აღმაფრენით არ გამოირჩევიან, მაგრამ საქმეს კარგად ართმევენ თავს. მათი დახმარებით და ტექნიკური მუშაკების ხელშეწყობით, ეპოქის აღდგენაც შეგვიძლია, შესაბამის გარემოსაც შევქმნით, განწყობასაც მოვიტანთ, მასალებითა და ჩასაცმელით მოგამარაგებთ, მოგეხსენებათ კომპიუტერისთვის დაუძლეველი არაფერია, არჩევანი თქვენზეა.

ედიშერმა წიგნი პაციენტს გადასცა და სანამ ის, ლამაზი შრიფტით დაბეჭდილ სახელთა ჩამონათვალში გარკვევას ცდილობდა საუბარი განაგრძო.

– შურიან ადამიანს რა გამოლევს, ბატონო ვანო, ერთი-ორმა ისიც კი თქვა, თითქოს მე სხვაზე მეტ სარგებელს ვეძებდე ამ საქმეში და მხოლოდ საკუთარი მოგება მაინტერესებდეს. მერნმუნეთ, ეს არ არის ასე და ეგ ყოველივე მეორე ხარისხოვანია, ძალით აქ არავინ მოჰყავთ, საკუთარი ფეხით მოდის ყველა. არც იმას დაგიმალავთ, რომ საკმაოდ ბევრი მოგვმართავს და ხელოვნურად თუ ხრიკებით პაციენტების მოზიდვა

არაფერში გვჭირდება. დიდი მოთხოვნა ილია ჭავჭავაძეზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, კონსტანტინე გამსახურდიაზე... გრიგოლ რობაქიძე, სიძვირის გამო, ჯერ არავის აურჩევია, შვეიცარია საკმაოდ შეძლებული ქვეყანაა და ცხოვრების დონეც მაღალია, თუმცაღა, ჩვენ მხოლოდ პაციენტის გემოვნებას არ ვენდობით და, ბევრი რამის გათვალისწინებით, ყველას ინდივიდუალური გეგმით ვმკურნალობთ.

– ზუსტად იმეორებთ ყველაფერს? – დაინტერესდა ვანო.

– ვცდილობთ... თუ საჭიროა დავაბეზლებთ, საჭირო გახდება და დავიჭერთ, კამერები იჯარით გვაქვს აღებული, არც წამებაზე დავიხვეთ უკან, არც სროლაზე, სამთავრობო ჯილდოებიც გვაქვს გამზადებული და დიდუბის პანთეონში რამდენიმე ადგილიც ვიყიდეთ. გულმოდგინეთ ვამზადებთ ყველაფერს, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც ხდება ხოლმე. ერთმა თქვენმა კოლეგამ, ორიოდე თვის უკან, გალაკტიონის ცხოვრებით იცხოვრა. იცხოვრა მძიმედ, თუმცა არც სახელი დაჰკლებია. მთელი გზა ისე გაიარა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თავადაც კმაყოფილი იყო. ბოლო დღეს, როგორც წესია, საავადმყოფოს ფანჯრიდან უნდა გადმოხტარიყო. ეზოში, ფანჯრის ქვეშ ექიმები და ბრეზენტ მომარჯვებული მეხანძრეები იცდიდნენ, თითქოს ყველაფრისგან დაზღვეულები ვიყავით, მაგრამ ცუდად დახტა და კოჭი მოიტეხა, ახლა ჩვენ ვმკურნალობთ, ჩვენი ხარჯით, და თუ საჭირო გახდა, საზღვარგარეთაც გავამგზავრებთ ოპერაციის გასაკეთებლად.

– ლექსებს ისევ წერს?

– მართალი გითხრათ, არ დავინტერესებულვარ, ისიც კი არ ვიცი, საერთოდ წერდა თუ არა, ყოველშემთხვევაში, როცა ჩემთან პირველად მოვიდა, ამას დაჟინებით ამტკიცებდა.

– მესმის მისი, ძნელია საავადმყოფოში წერა, ბგერათა ნყობას ცუდი სუნი არ უყვარს. – გულწრფელად თქვა ვანომ და ის დრო გაიხსენა, როდესაც რესპუბლიკურ საავადმყოფოში თიანჯარის ოპერაციისთვის ემზადებოდა.

– სულ რამდენიმე დღის წინ კი ერთმა მთელი ციკლი უმტკივნეულოდ გაიარა, ხასიათიც გამოუსწორდა, სამედიცინო თვალსაზრისით სრულიად გამოჯანმრთელდა, მაგრამ ბოლოს მაინც გვიმტყუნა, წინამურთან სიკვდილზე კატეგორიული უარი განაცხადა, თუმცა გადასარევიად იცოდა, რომ ნამდვილ ტყვიას არავინ ესროდა.

– მსროლელის მონახვა არ გაგიჭირდებოდათ.

– რას ბრძანებთ, რამდენიმე გვყავდა, ასეთ დროს ერთ იარაღს ვერ ენდობა ადამიანი, საერთოდ ვცდილობთ, რომ ყველაფერი საუკეთესო მოვიპოვოთ, სიამაყით შემოძლია განვაცხადო, რომ ამას ვახერხებთ, ბოლოსდაბოლოს ადამიანი ფულს იხდის და შედეგიც უნდა მიიღოს, ასეთია საბაზრო ეკონომიკა... ვინმე ხომ არ შეარჩიეთ, ბატონო ვანო?

ვანომ კიდევ ერთხელ დახედა წიგნს და ექიმს ისე დაუბრუნა, შიგნით ერთხელაც არ ჩაუხედავს. ვანო ჩა-

ლაძე ძველი ყაიდის კაცი გახლდათ და რესტორნის მენიუს არასოდეს ათვალიერებდა.

– იქნებ თქვენ მითხრათ... უფრო იცით, დღეს კარგია რა გაქვთ.

– კი, ბატონო, კლიენტის... ბოდიში, პაციენტის სიტყვა კანონია. – ედიშერმა რამდენიმე გვერდი გადაშალა და ჩამონათვალს თითით მისდია. – მგოსნები, პოეტები, როგორც მათ ხალხში ეძახიან, ისინი ამჯერად არ გვანტერესებს... პროზაიკოსები... ჩავყვეთ და რამეს აუცილებლად შევარჩევთ... გრიგოლ რობაქიძე ყოველმხრივ კარგია, მაგრამ ძალიან ძვირია, როგორც უკვე ვთქვი, მეექვსება, რომ დღევანდელ სიტუაციაში ქართველმა მწერალმა ეს თანხა დაძლიოს... ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი... ორივე საკმაოდ იაფია, მაგრამ პირობებია გაუსაძლისი, არა მგონია, ისევე უშუქობაში მოგინდეთ ყოფნა... დავით კლდიაშვილის ფასი მისაღებია, მაგრამ თქვენს შემთხვევაში არ გამოგვადგება... კონსტანტინე გამსახურდიაც საკმაოდ ძვირია, დაუსრულებელი მოგზაურობა დიდ თანხებს მოითხოვს, რომც შევწვდეთ, სხვა სირთულეებიც ახლავს თან, ვექვობ, რომ შედეგს არ გამოიღებს და კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებს... მიხეილ ჯავახიშვილს თითქოს არაუშავს, თქვენი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ფინალია მიუღებელი... ილია ჭავჭავაძეზე შეკვეთა უკვე მიღებული გვაქვს... ლეო ქიაჩელი ყოველმხრივ მისაღები კანდიდატია, ოპტიმალური ფასი, ჩინებული გარემო, შემოქმედებითი მემკვიდრეობა, თუმცა, დღემდე შეუფასებელია, ეს კი, ჩვენს შემთხვევაში, დიდი ნაკლია... ვასილ ბარნოვი... მგონი არც ის გამოგვადგება... ლევან გოთუას დიდი მოსამზადებელი დრო სჭირდება... კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, როგორც ექიმი არ გირჩევთ, ასევე ეგნატე ნინოშვილსაც... გიორგი ლეონიძეს პროზაიკოსად ვერ ჩათვლის ადამიანი, დიდი ალბათობაა იმისა, რომ გაორებულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ და ხელი ლექსებზეც წაგცდეთ, ეს კი სავალალო აღმოჩნდება თქვენთვის, იგივე ეხება აკაკი წერეთელსაც... რჩება ჰაგიორაფიული მწერლობა, რომელსაც ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი, დროის ფაქტორი, რელიგიური სარჩული, მეცნიერები ჯერ კიდევ კამათობენ და ბევრი რამ დასაზუსტებელია... ახლა თანამედროვე მწერლებიც ვნახოთ, მაგალითად ჭაბუა ამირეჯიბი... თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ საოცარ ფიზიკურ მონაცემებს მოითხოვს პაციენტისგან, ბანაკები, შიმშილი, მკაცრი კლიმატური პირობები... ნოდარ დუმბაძე პროგრამიდან ოჯახის დაჟინებული თხოვნით ამოვიღეთ... გურამ ფანჯიკიძე... სულ რაღაც ორიოდე წლის უკან საესებით შესაძლებელი გახლდათ, დღეს კი ყველაფერი გართულდა, მისი ბიოგრაფიის დიდი ნაწილი მწერალთა გაერთიანებას უკავშირდება, კავშირს რომ ეძახიან, სწორედ იმას, როგორც იცით, ამ ორგანიზაციის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია... თქვენ თუ ხართ ნევრი?

– რა თქმა უნდა.

– მაშინ ეს ყველაფერი უფრო გასაგები იქნება თქვენთვის... სხვებზე რა გითხრათ, თქვენ მათ კარგად

იცნობთ, საინტერესო მწერლები არიან, ამინდს ქმნიან, ზოგჯერ დრამატული ბიოგრაფიაც გააჩნიათ, ზოგჯერ მისაბაძიც, მაგრამ ყოველმხრივ გვენიანალმდეგებიან, ამ თემაზე ვერ დაელაპარაკები, ღიზიანდებიან, თვლიან, რომ ყველას საკუთარი ცხოვრება უნდა ჰქონდეს, კატეგორიულ უარს აცხადებენ ამ პროგრამაში ჩართვაზე, რამდენჯერმე სასამართლომდეც კი მივიდა საქმე.

– არ ყოფილა ჩემი საშველი. – დანალვლიანდა ვანო.

– ნუ ლელავთ, გამოსავალი მოინახება. – ედიშერი წამოდგა, ნიგნი გადაშალა, ანბანის რიგს ჩაჰყვა, მერე რკინის კარდასთან მივიდა და საჭირო საქალაღე შეარჩია. – აი, ეს მგონი გამოგვადგება.

ვანო ჩალაძეს მზერა წარწერისკენ გაექცა.

– მაჩაბელი?! . . მთარგმნელი?! . .

– მესმის თქვენი, კლასიკური გაგებით მას ადამიანი პროზაიკოსს ვერ დაარქმევს, მაგრამ შექსპირი სწორედ მან გვაჩუქა ქართველებს და ევროპის ფერხულში ჩაგვაბა, მგონი ეს საკამათო არ უნდა იყოს. – ედიშერმა პაციენტს შეხედა.

– ისე არ გამიგოთ, თითქოს უარს ვამბობდე, უბრალოდ არაფერი მითარგმნია, არც ინგლისური ვიცი და, ამ ბოლო დროს, მგონი რუსულიც დამავინწყდა. – უკან დაიხია ვანომ.

– მაგაზე ნუ იდარდებთ, ყველაფერს გადათარგმნილს დაგახვედრებენ. – განაგრძო ედიშერმა. – მთავარი მაინც სხვაა, თქვენ უფრო კარგად გაიგებთ იმას, რასაც ახლა გეტყვით: დიდი ხალხის გარშემო ყოველთვის რჩება საკმაო სიცარიელე, გონებრივი თუ ზნეობრივი სივინროვე, პრაქტიკულ ძალთა მოუმზადებლობა, რაც ერთობლიობაში სავალალო შედეგს იძლევა: დავაში – სიჯიუტეს, თავმოყვარეობაში – დანვრილმანებას. ასეთები ყოველთვის მრავლად არიან, სწორედ ისინი ქმნიან ისტორიას თუ არა, ატმოსფეროს მაინც და უსაქმურობით დაგროვილ უზარმაზარ ენერგიას ახმარენ ამა თუ იმ დიდი ადამიანის ჟინიან თაყვანისცემას. ამ ხალხში ნაკლებია გაგება და გაცილებით მეტია ცულად დაფარული პატივმოყვარეობა. ასე მგონია, ივანე მაჩაბელი, სწორედ ასეთი გარემოს მსხვერპლი შეიქნა, ამის გამო, ძალა ერთთავად წვრილმანებში დახარჯა, ბევრის შემძლე გაცილებით ნაკლები მემკვიდრეობა დაუტოვა ქართულ კულტურას. ხომ მიმიხვდით რისი თქმაც მინდა?

– იგი ისეთივე მოვალეობის გრძნობით თარგმნიდა შექსპირს, როგორც ძველები თარგმნიდნენ საქრისტიანო წიგნებს. – აიტაცა ვანომ სადღაც ნაკითხული.

– მიხარია, რომ ერთმანეთს გაუფეთ, ესეიგი თანახმა ხართ?! – დააზუსტა ედიშერმა.

– რა ვიცი... მგონი კი...

– არც იმას დაგიმაღავთ, რომ თქვენ, სხვასთან შედარებით, ერთი უპირატესობა კიდევ გექნებათ.

– მაინც რა?

– სახელი. ორივე ივანე ხართ, ეს უფრო გაგიადვილებთ საქმეს, სხვა შემთხვევაში სახელის შეჩვევის ორკვირიანი კურსი უნდა გაგველოთ, ბევრი ამას ვერ უძლებს.

– რალაცაში ხომ უნდა გამიმართლოს. – გულით თქვა ვანომ და დაცვარული შუბლის მოსანმენდად ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო.

– რადგან ობიექტი შევარჩიეთ და ზოგად თეორიულ პრინციპებშიც გავერკვიეთ, შეგვიძლია დეტალებზეც გადავიდეთ. – თქვა ედიშერმა და საქალაღე გაშალა. – ეს დედათქვენი, ნატალია ერევანცოვია...

– სომეხი?! – თითქმის იყვირა ვანომ და სურათს შეშინებულმა დახედა.

– არ იცოდით?! – გაიკვირვა ედიშერმა. – მეტად მშრომელი ქალი იყო, მაგრამ ხელმოჭერილი, შეიძლება ითქვას, ძუნწიც, ქართული კარგად იცოდა, თუმცა შეილების აღზრდაში არ ერეოდა... ეს კი მამათქვენი, გიორგი მაჩაბელი, ერთი უდარდელი კაცია, უზრუნველი ცხოვრების ყველაზე იოლ გზას მიავნო და ცოლად შეირთო მდიდარი, თბილისელი სომხის ქალი. როგორც ხვედებით, ახალგაზრდა თავადიშვილი იმდენად ქალის სილამაზეს არ მოუხიბლავს, რამდენადც მამამისის ოქროების ელვარებას... ეს მოხუცი, ბაბუათქვენი, სამაჩაბლოს უკანასკნელი მთავარი, სვიმონ მაჩაბელი, მძიმე ხასიათის მქონე, ახირებული ბერიკაცი, ყოველივე ახლის მტერი და ძველი ცხოვრების მოტრფიალე... ეს ვასიკო მაჩაბელია, თქვენი უფროსი ძმა, ყოველთვის გვერდით გედგათ და ხელს გიმართავდათ, დიდი ამაგი აქვს თქვენზე... ამათ კი უნდა იცნობდეთ, პირველი საშუალო სკოლის წინ დგანან...

– ვიცნობ, რა თქმა უნდა, მეც ეგ სკოლა დავამთავრე. – გაუხარდა ვანოს.

– მაშინ ისიც უნდა გახსოვდეთ, ჯოხი რომელს უჭირავს ხელში?

– მგონი ილიას... არა, აკაკის... თუ ილიას?... დავიბენი, მიჭირს პასუხის გაცემა...

– გული არაფერზე დაგწყდეთ, მაგის გამოსწორება ადვილია, იქ იქნებით და თავად კითხავთ. – დაამშვიდა ედიშერმა. – განვაგრძოთ... ეს ლამაზი ქალი თქვენი საყვარელია, მაკო საფაროვა, უფრთხილდით, ძალიან ეშმაკი მანდილოსანია, თქვენს ხარჯზე მოუნდომებია კარიერის გაკეთება... ეს კი თქვენი ცოლია, ტასო, ანასტასია ბაგრატიონი, შვილებიც გყავთ.

– შვილები?! – გაიმეორა ვანომ და თვალეებში უცნაური ნაპერწკალი აუთამაშდა.

– ძირითადად ეს არის, რა თქმა უნდა, ამას ბანკის თანამშრომლებიც ემატება, სკოლის კოლექტივი, გაზეთის რედაქციაც და თეატრის მსახიობებიც, უამრავი თაყვანისმცემელი, მტერი, გამვლელი თუ შემთხვევითი ნაცნობი.

– ამდენს მაინც ვერ დავიმახსოვრებ.

– ამიტომაც არ ჩამოვთვალე ბოლომდე, მაგრამ ნელ-ნელა, ეტაპობრივად შემოვიყვანთ თქვენს ცხოვრებაში და არ გაგიჭირდებათ.

– იმედი მაქვს. – მშვიდად თქვა ვანომ.

– აქვე იმასაც გეტყვით, რომ ყველა ვერ აბარებს ამ გამოცდას, ჯერ გვიან არ არის, უარის თქმა კიდევ შეგიძლიათ.

– არა, რატომ, საინტერესოც კია, ჩემს უღიმღამო ცხოვრებას მაინც სჯობს.

– ის ვინც მალლა, ყველაზე მალლა მიიღტვის, ვერა-სოდეს ასცდება სიბნელეს, ისევე როგორც ყველაზე დაბლა მდგარი, ორივეს ეს სიბნელე აერთიანებთ სწორედ. სიბნელესაც აქვს თავისი მიმზიდველობა, სიბნელეშიც არის თავისებური მისტიკა, ვინც ამ სიბნელეს თვალს შეაჩვევს მწერალიც ის იქნება. – დასვა დიგნოზი ედიშერმა. – ესეიგი, თანახმა ხართ?

– რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, როდის დავინწყოთ?

– რაღას გადავდოთ, დღესვე.

– ალბათ იმას მაინც გამიმხელთ, თუ საიდან დავინწყებთ ამ ყველაფერს?

– დუქნიდან. მაშინაც და დღესაც საქართველოში ყველაფერი დუქნიდან იწყება, თქვენთვისაც კარგია, მოშიებულნი იქნებით.

ვანო ჩალაძე წამოდგა და ხელის ჩამოსართმევად ექიმისკენ გაიწია.

– ერთი ფორმალბობა კიდევ დავგრჩა მოსაგვარებელი, ბატონო ვანო, ხელშეკრულებაზე უნდა მომიწეროთ ხელი. სუფთად, ლამაზად, ისე რომ, ყველა ასო კარგად იკითხებოდეს, თქვენ ხომ ბანკში უნდა იმუშაოთ.

ყველა ხელშეკრულება ერთმანეთს გავს. ეს ამბავი ვანო ჩალაძემაც კარგად იცოდა, ამიტომაც არაფერი წაუკითხავს და მეორე გვერდის ბოლოს, ლამაზი, მაგრამ ოდნავ გაკრული ხელით რამდენიმე სიტყვა დაწერა: თანახმა ვარ, ივანე მაჩაბელი.

## 2. ორეული

მგონი მართლა მომშივდა, გაიფიქრა ვანომ, დასიცხული სხეული ხის ჩრდილს შეაფარა და გორის მტკრიან ქუჩას გახედა, რომელიც მაშინაც ისეთივე მოუვლელი იყო, როგორც დღეს. ორ განუყრელ მეგობარს, დროსა და ავდარს, დუქნის თავზე გაკრული აბრისთვის დალი დაესვათ, მაგრამ ვანომ მაინც შეძლო წელში გატეხილი ასოების გარჩევა: ტრახტირი მიხაილ! ამათ ქვევით კიდევ უფრო ნაქცეული და კიდევ უფრო ფერგადასული : კარგი ვსვათ და კარგი ვჭამოთ, ამის მეტი რა შეგვგრჩება!

ვანო ხეს მოსცილდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დუქნის ციცაბო კიბეს ჩაუყვა.

შენ სოროში როგორ გაძლებ, ნიკლო საბედო, ჯან გულო, ჯან!

სიმღერა დაუხვდა, როგორც ყაჩაღი და სული ბუდიდან ისე ამოაცალა, საბრალო ვანოსთვის არც არაფერი უკითხავს. კაცმა რომ თქვას, წინააღმდეგობა არც მცირე პროზის ოსტატს გაუწევია, რადგან, გულის სიღრმეში, ასეთი მოტივის მოტრფიალაც კი გახლდათ. რიდი რომ არა, თავადაც სიამოვნებით დასძახებდა, თუნდაც ამას: შაბათისა მონა ვარ, ცხელა წყალი მწყურია... ანდა ამას : ვაიდა როგორ გიხდება, ზოლიანიდა ხალათი... ან სულაც ამას : მიდის-მოდის პარახოდი, შავ ზღვას ათეთრებს... განსაკუთრებით კი ეს უყვარდა : საყვარელო

ზღვა დამშრალა, აღარ დადის პარახოდი, ანი ალბათ ხშირად გნახავ, რალაი დაგიახლოვდი... თუმცაღა დუქანში გაგონილსაც არა უშავდა რა, მაგრამ ჯერ სხვისი ცხოვრების პირველი დღეა და მორიდების ხუნდები ბორკავს.

ქართულ დუქანში, ორი საუკუნის განმავლობაში, განათების მეტი არაფერი შეცვლილა.

ვანოს ყური ღრიანცელს ადვილად ეჩვევა, ცხვირი თუ ყნოსვა – სუნს, თვალი – ოხშივარს. ვანომ, კლინიკიდან წამოღებულ სურათს კიდევ ერთხელ დახედა და ნავთის ლამფით განათებულ დარბაზს თვალი მოავლო.

თავჩაქინდრული მამაკაცი მაგიდასთან იჯდა. იჯდა და არც იჯდა. აწეწილი სამოსი მორღვეულ სხეულს ველარ მისდევდა, სხვისას ჰგავდა და უკვე საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა. ძნელი მისახვედრი აღარ უნდა ყოფილიყო, გიორგი მაჩაბელი ისეთი მთვრალი ჩანდა, როგორც ვანოს ქუჩის კუთხეში მჯდარი მენაღე.

კაცმა რომ თქვას, დიდი არაფერი, ვინღა არ დამთვრალა, თავადაც ასეთი თრობა იცის, ხშირ შემთხვევაში უარესიც კი, მაგრამ ამ გვარის კაცისგან მაინც არ ელოდა ასეთ საქციელს. არადა, სხვას რას უნდა ელოდეს ადამიანი ჯიბეგაფხეკილი თავადისგან.

გიორგის შვილის დანახვა მაინც უხარია. რალაცის თქმას აპირებს, მაგრამ არაფერი გამოსდის, ენა გაურბის, მხოლოდ თვალეები საუბრობენ, როგორც ახლად ფეხადგმული ბავშვები. თუმცა ვანოს კარგად ესმის ამღვრეული თვალეების ენა.

რაც არ უნდა ითქვას, თავადი მთვრალიც თავადია. სხვაზე მეტად ეს ამბავი მიხეილ მაისურაძემ იცის, ამ დუქნის მეპატრონემ. მისი სახელი ისე დაივინყა ყველამ, როგორც საკუთარი ქვეყნის ისტორია და ვილაცის წამოსროლილი, დამამცირებელი, „ბელტიყლაპია“ შეარქვა. ალბათ, მუდამ მომლიმარი, დიდი პირის გამო. მაგრამ ჩვენს მიხეილს თუ მიმას ეს ამბავი სულაც არ ანალვლებს, საპატიო სტუმარს თავს დასტრიალებს და შელახულ სამოსს ჭუჭყიანი ჩვრით უწმენდს. ვანო ჩალაძე, როგორც დაარიგეს, მამისკენ მიდის, წამოდგომაში ეხმარება და გასასვლელისკენ მიჰყავს. მთელმა გორმა იცის, მიმას არაფერი ავიწყდება. ახლაც დაკეცილ ქალაღღში რალაცას ინიშნავს, ციფრებს თავს უყრის და გასასვლელისკენ პირველი გარბის.

მთვრალი კაცის ჩასაფრებული მტერი სწორედ რომ სუფთა ჰაერია. მოვარდნიღმა ნიავემა გიორგი მაჩაბელი საბოლოოდ მოცელა. ზევით ამოსულებს ეტლი ელოდებათ. ორივენი ერთად ადიან ამ ცხენებშებმულ აკვანში, რათა იქაურობას დროებით გასცილდნენ და უკუნეთ ღამეში გაუჩინარდნენ.

წინ გრძელი გზაა.

მეეტლე კი დროს არ კარგავს და მათრახს იმგვარი მონდომებით იქნევს, თითქოს სანაძლეო ჰქონდეს ნაგებული. ეტლი ნაპირს მიბმული ნავივით ირყევა. გიორგისაც მეტი რა უნდა, ამ რყევას თავს აყოლებს და თვალებს უშფოთველი ბავშვივით ლულავს.

როცა რამე გეცნობა, ადგილი მხოლოდ ფიქრისთვის რჩება. ვისაც ცოტა მაინც უფიქრია, კარგად მოეხსენ-

ნება თუ საიდან იღებს სათავეს ეს ყოველივე. ზრდასრული ადამიანის გონებაც, როგორც სხვა ყველასი, ბავშვობისკენ გარბის.

დევებივით მდგარი კაკლის ხეები, უზარმაზარი ეზო და ეზოს შემორტყმული მაღალი გალავანი. თავდაპირველად ეს ეგონა ივანეს სამაჩაბლო და ჯოხის ცხენზე გადამჯდარი ყოველდღე, დაუზარლად გარს უვლიდა საკუთარ სამფლობელოს. გალავნის ერთ კუთხეში სპილენძის ზარბაზანი გდია, ისე როგორც ყავლგასული, ბოროტი გველეშაპის ფულურო სხეული. დროდადრო ახსენდებათ, ისიცა და სხვებიც მისცვივდებიან ამ ზარბაზანს, გაჭირვებით, რის ვაი-ვაგლახით დასძრავენ ადგილიდან და მუსსრს ავლებენ შემოსეულ მტერს.

მიუხედავად ყველაფრისა, დრო მაინც გავიდა.

პატარა სამაჩაბლოს სიგრძე თუ განი მიემატა და ლიახვის პირამდე ჩავიდა. ჩადგებიან ბიჭები მდინარის ტოტში, ყორეს გაავლებენ და ამ ყორეზე ფარდაგებს გადააფარებენ. წყალი ჯერ დაინრიტება, დათხელდება, დანვრილებდა, მერე კი სადღაც უჩინარდება, ისე თითქოს არც არასდროს ყოფილა. ახლა უკვე ადვილია თევზის ამოყვანა, ახლა უკვე ყველას შეუძლია. თევზი ხტის, სხმარტალებს, ეს კანკალი ხელსაც ედება და მეთევზეს ისე ახტუნებს, როგორც მაღარით დასწეულს სხეულს. ზოგჯერ მაინც შემოიპარება წყალი, ჯერ გამოჟონავს, თავს გამოყოფს, მსტოვარით დაზვერავს იქაურობას, კარგად მოსინჯავს გასაძრომ ადგილს, მერე იხუვლებს, ზღუდეს გამოანგრევს, გამშრალ ქვებს განუნავს, განწირულ თევზებს მსხნელად ევლინება და აპარებს.

ბავშვობა უკან დარჩა, როგორც ტალახში გაკაფული ეტლის კვალი. ფიქრი შეწყდა. შეწყდა ისე, როგორც, ერთის შეხედვით, ჯანმრთელი ადამიანის გულისცემა.

სახლიდან არავინ გამოსულა, მათი მოსვლა არავის გაუგია. მეეტლე, რა თქმა უნდა, ფულს ითხოვს. ფულს, რა თქმა უნდა, არავინ აძლევს. ვანო ჩალაძემ ერთი კი იფიქრა, რა უნდა იყოს ასეთი, ბარემ მე გადავიხდიო, მაგრამ გიორგი მაჩაბლის მოწყენილ სახეს რომ შეხედა, გადაიფიქრა, ჯერ კარგად არ იცნობდა და მის წყენას მოერიდა. კაცმა რომ თქვას, არც ამაში იყო საქმე. ვანო ჩალაძე საკმაოდ ძუნწი კაცი გახლდათ და სხვისას კი არა, ზოგჯერ საკუთარსაც არ იხდიდა ხოლმე, თორემ ერთი გასეირნების სამყოფი თანხა ყოველთვის ეგულებოდა შარვლის თუ პიჯაკის ჯიბეში. ასეა თუ ისე, ეს ამბავი მეეტლესთვის არაფერს ცვლიდა, ამიტომაც ძველ, შეჩვეულ გამოსავალს მიმართა: ხიფთანის ჯიბიდან გაპოხილი დავთარი ამოიღო და ნირნამხდარმა მგზავრმა მორღვეული ხელით თავის ვალს ბეჭედი დაასვა.

გიორგი მაჩაბელმა გაუბედავად შეალო ქიშკარი. დარწმუნებული იყო, წინ რამდენიმე უსიამოვნო შეხვედრა ელოდა. ვინც ასე დამთვრალა და დათქმულ დროზე გვიან გამოცხადებულა სახლში საყვარელ მეუღლესთან, თავადის შიშს აუცილებლად გაიგებს და მის სატიკივარსაც ადვილად მიიტანს გულთან ახლოს.

გიორგიმ ამჯერად მოახერხა და ცოლს თავად დაასწრო.

– დავავიანე, მაგრამ უსაქმოდ არ ვყოფილვარ. ქალაქს იმიტომ შემოვრჩი, ბავშვს ყურის გდება ესაჭიროება. მართალია, კარგად სწავლობს, კარგადაც არის, მაგრამ მარტოკას მაინც ვერ დავაგდებ, რა დროც არის, შენც კარგად მოგეხსენება, ამ ეშმაკსაც რომ არ სძინავს?!

დროზე მოფიქრებულმა სიტყვამ გაჭრა. შვილის ამბავმა ქალს გული მოუღბო, გაიღიმა და სხვა რამ ცოტა ხნით გადაავიწყდა.

– შვილო, ბევრი ხალხი ნუ შემოგდის ოთახებში და ბალკონში, პოლს ძალა მოუვა, კრასკაც გაცვდება... მე რომ მიყურებ, მე რალა შემეძლია, ჯანი უნდა ყველაფერს... მე როცა მოვკვდე, ქელეხი არ გადამიხადოთ, რა საჭიროა, ოჯახი ხარჯში ჩავარდება... – ეს თქვა და იქაურობას გაეცალა.

ვანომ მზერა მიადევნა მომცრო ტანის, წელში მოხრილ, მუხლმაგარ ქალს და მიუხედავად ამ მცდელობისა, მაინც ვერაფრით ამოხსნა მისი გათხოვების საიდუმლო.

ფულს რომ დიდი ძალა გააჩნია ნატალია ერევანცოვას შემხედვარე ადამიანი კიდე ერთხელ, თვალნათლივ დარწმუნდებოდა. გიორგი მაჩაბელს ქალის სილამაზე ვერ მოხიბლავდა, მამამისის ოქროების ელვარება კი ნამდვილად მოსჭრიდა თვალს. სიმართლე ვის უთქვამს გიორგის რომ ეთქვა, ამიტომაც ეს ამბავი დროებით ყველას დაუმალა და მდიდარ სიმამრს პირდაპირ არაფერი უთხრა, თუმცა იმაზე აღარ დაფიქრებულა თუ რას დააკლებდა ქართველი თავადი სომეხ ვაჭარს, მიუთმეტეს, რომ საქვეყნოდ ცნობილი ნაკლი გიორგისაც ჰქონდა. რამდენადაც შემოსავალი უმცირდებოდა, იმდენად ქეიფისა და უზრუნველი დროსტარების მადა თუ ხალისი ემატებოდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ნატალიამ მამა დაითანხმა, თუმცა მზითვი ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც ელოდნენ. ფული კი უზარისხსო საპოხივით დნებოდა. ორთაჭალის ბალები, მასკარადები, ბალები, მდიდრული კარეტები, ბანოვნები – ამათ, ფულთან ერთად, ასაკიც თან მიჰქონდათ და გიორგის ჯანსაც უმოწყალოდ ცვეთდნენ.

ცოლთან საუბარმა და პირველმა გამარჯვებამ თავადი გაათამამა, მამის ოთახის კარი შეალო და სვიმონ მაჩაბელს წინ დაუდგა.

– გაგონილა?! – ზღურბლიდანვე დაიწყო გიორგიმ, რათა მამისთვის დაესწრო და საყვედურის თქმის საშუალება მოესპო. – გაგონილა?! ეს ილია ჭავჭავაძე მანდილოსნებსაც აღარ ეპუება, ლეჩაქსაც არაფრად აგდებს... ნაიკითხე?!

ნაიკითხა, როგორ არა, თანაც ძალიან ყურადღებით. სვიმონ მაჩაბელმა „ცისკრის“ ახალი ნომერი ბუხრისკენ მოიქნია, მერე მოზრდილი ჩიბუხი ისეთი ძალით დაანარცხა იატაკს, თითქოს სახლში შემოპარულ რაიმე მცოცავს ებრძოდა და თავს უჩეჩქვავდა.

– ახია! თქვენისთანებზე ახია, თქვენისთანებზე ყველაფერი ახია!

ლვინოს სითამამე ისე დასდევს, როგორც ადამიანს სიკვდილი. გიორგიმ უკან არ დაიხია და მამას სიტყვა არ შეარჩინა.



– ჩვენ კარგი, მაგრამ... თქვენისთანებისთვისაც მოუგრიხავთ კისერი... მაინც რა უნდოდათ, კნიაზო, ამდენ ხანს ციხეში რატომ იჯექი, ან მერე რად გამოგიშვეს საყვედურის გარეშე?!

– რუსის ჩინოვნიკებმა ვერაფერი დამაკლეს და შენ გინდა მათქმევინო?! რა იყო, გამოტყუვას ხომ არ მიპირებ?!

გიორგის საქციელი ნაუხდა, თავი დახარა და ბუხარს მიაჩერდა.

სვიმონმა შვილიშვილს უხმო და თითქმის ჩურჩულთ, ისე, რომ მხოლოდ მას გაეგო, უთხრა.

– ვიდრე მოვკვდები, გამახსენე და აუცილებლად მოგიყვები ჩემი დაპატიმრების ნამდვილ ამბავს.

განა ადამიანმა იცის საკუთარი სიკვდილის ჟამი. – გაიფიქრა მარაბელმა.

იცის არა, ჩემი ფეხები.

– იქვე უპასუხა ვანო ჩალაძემ. არადა, ვანოს დაეჯერება, ამ საქმეში ნაღდად არაფერი ესწავლება, მამამისიც ასე იყო. ვალერიან ჩალაძე ყველასთვის მოულოდნელად, თუმცა ყველა ქართველისთვის სანატრელი სიკვდილით აღესრულა, სუფრასთან მჯდარი, სავსე ჭიქით ხელში გამოემშვიდობა ნუთისოფელს.

მოსაყოლი კი არც არაფერია, უმეტესობამ ისედაც კარგად იცოდა „ბუნტოვშიკი“ თავადის დაპატიმრების ამბავი. ავლაბრის ციხეში შეთქმულებთან ერთად მოხვედრილა, თუ ვის წინააღმდეგ იყო შეთქმულება, ამას, მგონი, ახსნა არ უნდა ჭირდებოდეს. გიორგი წერეთელიც აქ გაიცნო, ამ დილეგში. მტკიცე ხასიათმა და გაუტყულობამ იხსნა, ვერაფერი დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს. დრომ მეგობრობას ბევრი არაფერი დააკლო, „ცისკრის“ ის ნომერი, რომელიც ახლა ბუხარში იწვის, სწორედ რომ გიორგი წერეთლის გამოგზავნილია, ეს არის და ეს. თუმცა გიორგი, ამ ბოლო დროს, რაღაც ხშირად იხსენებს ციხის ამბებს, სათქმელიც არ მიჰყავს ბოლომდე, ვინემ თუ ნააქეზა მამის წინააღმდეგ, მტერს რა გამოუღევეს სვიმონ მარაბელს.

ამ მცირე, ოჯახურ უსიამოვნებას თუ არ ჩავთვლით, იმ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. პროზაიკოს ჩალაძეს ივანეს ოთახი მისცეს. ნატალიას შიშით თუ რიდით, ვანომ სქელლანჩიანი ფესსაცმელი გაიხადა და ოთახში წინდების ამარა შევიდა. ოთახთან ერთად ვანოს სიზმარიც ერგო. მართალია, ეს ამბავი ტრადიციული სიზმრის ზომებში არ ეტეოდა და უფრო მოგონებას ჰგავდა, მაგრამ დაღლილი ჩალაძისთვის ეს არაფერს ცვლიდა.

იგონებდა ვანო იმას, რაც არ გადახდომია.

ხატები დგანან, როგორც ჟანდარმები. იქვე სანთლები, უამრავი სანთელი, თითქოს სინათლეა, უნდა იყოს კიდეც, მაგრამ ეკლესიაში მაინც ბნელა. ვინრო სარკმლიდან საკმაო შუქი აღარ შემოდის და შეკრებილ ხალხს ვერ სწვდება. ამ ბინდში მკაფიოდ მხოლოდ ხელში აყვანილი რვა წლის ბავშვი მოსჩანს, რომელსაც კელაპტარი უჭირავს და მის წინ გადაშლილ უზარმაზარ წიგნს კითხულობს. კითხულობს მაღალი ხმით, თითქმის ყვირილით, ამავე დროს, გარკვევით და მკაფიოდ, სწორედ იმ კილოთი, როგორც სამოციქულოს კითხულობენ ხოლმე.

– ვინ არის?!

– ვისი შვილია?!

– საიდან მოვიდა?!

– კნიაზო, რევაზ, ნუთუ ვერ მიცანი ელენე, დიასამიძის ქვრივი?! ჩემი ძმისწულია, ვანო, ჩემი საამაყო და საყვარელი მოწაფე.

– ახლა კი მესმის, თუ საიდან შეისწავლა ამ პატარამ ასე მკაფიოდ საღმრთო წერილის კითხვა. თქვენი სიბრძნე განთქმულია მთელს ქართლში.

– კარგი, კარგი, ქათინაურებს ნუ მოჰყვები, სხვა რამეში კი მართალი ხარ, საქართველოს მომავალი პატრიარქია.

მაგრამ პატარა ივანე არაფრით ჰგავს მომავალ პატრიარქს.

თუმცა რაც იყო, იყო.

დილა ისე ანადგურებს ყოველგვარი მოგონების კვალს, როგორც გამოცდილი და მოუხელთებელი დამნაშავე. რიჟრაჟი ვერ იტანს წარსულს და ამომავალი მზის მწველი სხივით დაუზოგავად შანთავს მას.

ყოველი დილა იმედიანია.

ყოველი ნაღდი გამოთხოვება უხმოა, უხმო კი ყოველთვის სევდიანი.

ვანო ჩალაძეს ძველი თბილისი ისე დაუხვდა, როგორც წარმოედგინა: სანახევროდ ბინძური, თითქმის ბნელი და ცუდი მშობლებისგან მიგდებული ბავშვივით უპატრონო.

ქალაქის განაპირას ცეცხლი ანთია. ცეცხლის გარშემო აღქაჯებივით დაქრიან შავი სილუეტები. ღამის წყვდიადში ისმის მათი შეძახილი, ძნელად ამოსაცნობი გრუხუნი და საქონლის ბღავილი. ამ დროს ქალაქში შეშა იცლება. მეურმეები თითქმის არ ისვენებენ, გამუდმებით შრომობენ, მაგრამ საქმეს მაინც ვერ ართმევენ თავს. დარბიან, ჩხუბობენ, ბილნსიტყვაობენ. საქონელი ფრუტუნებს, ხვნემის, იცოხნის, დრუნჩიდან ორთქლს უშვებს და ამ ხმას მეურმეთა შეძახილებს უერთებს. ჰაერშიც ნახირის სუნია, უფრო სწორედ, ფუნის. ვერის



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

სანაპიროზე დუქნები და ფუნდუკები. მეურმეები სიიაფის გამო აქ ჩერდებიან, დილით კი ქალაქში შედიან. ხიდს იქით საფოსტო გზაა. გზა საკუთარ სახელს ამართლებს, აქ საფოსტო ეტლებს აკეთებენ, რაღაცეებს აჭედებენ, აახლებენ, რაღაცას უცვლიან, მოკლედ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ჩვეულებრივი პროფილაქტიკაა და მეტი არაფერი. მოზრდილი შენობაც აქვეა, პირქუში ნაგებობა, თითქოს თეთრია, მაგრამ ამ სითეთრეში უფრო მეტი შიში იგრძნობა, ვიდრე დაბურულ ტყეში. უცნაური ფერია თეთრი, ადამიანი მის საზღვრებს ვერ გრძნობს და ამიტომაც, გულის სიღრმეში, ყოველთვის უფროხის მას, ტყუილად ხომ არ უხამებს საკუთარ გლოვას. თუმცა ხშირად სიხარულსაც უხდება და ესეც, ამ უცნაური ფერის სიღრმეს უკავშირდება. ადამიანის თვალი ვერ სწვდება მის სიგრძეს და ვერც გრძნობს ფარავს მის სიდიადეს. რაღა დასამალი, არც დიდ გლოვასა და არც დიდი სიხარულს საზღვარი არ გააჩნია. თეთრი საავადმყოფოს წინ მოზრდილი სასაფლაოა. იქ არის, სადაც უნდა იყოს. უფრო იქით მოსკოვის ხეობა მოსჩანს, სამსახურიდან დათხოვილი სალდათებით დასახლებული. ამათ წინ დიდი ხრამია, იქვე დგას წყლის საქაჩი მოზრდილი, ორთქლის მანქანა. ამ წყლიდან იწყება ალექსანდრეს ბაღი. მალე გამოჩნდება ქალაქის გული, გოლოვინის პროსპექტი, რომელიც რამდენიმე, მზუფტავი ფარნით ნათდება და ეს შუქი ახლადმოკირწყლულ ქუჩას გველის პრიალა ტყავის იდუმალებასა და ლაპლაპს სძენს. მარცხნივ, დაღმართის ბოლოს, ერევნის მოედანია, სადაც თივითა და შეშით ვაჭრობენ. მტკვრის მეორე ნაპირზე ახალი პროსპექტი გაჰყავთ და მშენებლებს თითქმის არ სძინავთ. მუშახელი, როგორც დღეს, მაშინაც მუქთა იყო. ზურგით ეზიდებიან კირს, ქვას, აგურს. ამ საშენ მასალასავით ჭრელია მოსახლეობაც და ეს სიჭრელე თვალში ხვდება ადამიანს, როგორც ვინმეს კუზი თუ სიკოჭლე. ყველგან ისმის ცოტა ქართული, ცოტა რუსული, ცოტა სომხური, ცოტა თათრული, ცოტა ფრანგული, თუმცა ყველა ერთმანეთში ირევა, ერთნაირად მახინჯდება და გაუგებარი ხდება.

უკვე გასაგებია, რომ ამ ქალაქს ხმაური არასოდეს აკლდა, თუმცა, ბოლო ერთი კვირაა, თბილისში უჩვეულო, განსაკუთრებული მიდი-მოდია. ჯგუფურად დგანან, საუბრობენ, კამათობენ, რაღაცას არჩევენ და ეს რაღაც, მათ იერშიც პოულობს ადგილს. ერთნი შეშფოთებულნი არიან, სახეარეულები, სასონარკვეთილი მზერით აწყდებიან მეორეთა სიხარულს, რომლებიც უნილბო, თამამი მხიარულებით დაჰქრიან აქეთ-იქეთ. მესამენი არაფერში ერევიან, არც მოწყენა ეტყობათ, არც დიდი სიხარული და უფრო მეტად სეირის მაყურებლების იერი დაჰკრავთ. გახარებულებს ზოგჯერ სული წინ უსწრებთ და დროდადრო ქალაქში მცირე შეტაკებებიც ხდება ხოლმე. ერთი-ორი თავადიც კი გაილახა... მთავრობის ამორჩეულ გოლოვას სახლი დაუნგრის და გაძარცვეს... მისი დამხმარე, იგივე პამომჩინიკი ჩამოახრჩვეს, უკაცრავად პასუხია, მოსჭრეს და პირში ჩაუტენეს... ამ ამბებს თუ არ ჩავთვლით,

თბილისი სიმშვიდეს ინარჩუნებდა და სიახლის მოლოდინში იყო. რა გასაკვირია. თბილისი ხომ გამუდმებით რაღაცის მოლოდინშია.

მაგრამ მაჩაბელს ასეთი რამეებისთვის არა სცალია, უნდა ისწავლოს.

ყველა სასწავლებელი ერთნაირია, ისე როგორც ყველა საპატიმრო, ადამიანისთვის ორივე მოსაწყენი და დამთრგუნველია. გამოცდილმა ვანო ჩალაძემ ეს კარგად იცოდა, მაგრამ, რადგან საქმეს ასე სჭირდებოდა, მაინც შეალო გიმნაზიის კარი. აქაც არაფერი შეცვლილა, თავი გადააქნია ვანომ და გულით შეეცოდა კიდევ მაჩაბელი, რომელსაც ამ კედლებში რამდენიმე წელი უნდა გაეტარებინა. თუმცა, არც ეგრეა საქმე, რაღაც მაინც გამოუცვლიათ, უფრო სწორად, ჯერ არ გაუკეთებიათ. ვანოს ამ კედელზე მარმარილოს დაფა ახსოვდა, რომელზეც გიმნაზია დამთავრებულ, გამოჩენილ ადამიანთა გვარ-სახელი იყო ამოკვეთილი. მართალია, დაფა უკვე შეესებოდა გახლდათ, მაგრამ ძალიან რომ მოენდომებინა ჯიუტ ადამიანს ერთ სახელს კიდევ ჩაატევედა ამ ჩამონათვალში, ოღონდ ერთი პირობით, რა თქმა უნდა, ეს სახელი თავად ვანოსი უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს აკლდა აქაურობას, დანარჩენი კი, როგორც უკვე ითქვა, ხელუხლებელი გახლდათ. მაინც რატომ ვიბადებით ქართველები, ანდა რატომ ვმრავლდებით, თუკი ვერც ვერაფერს ვცვლით და ვერც ვერაფერს ვძრავთ ადგილიდან, გაიფიქრა ვანომ და იმ მოხუცს მიაჩერდა, რომელიც რაღაც ნაწერს უფრიალებდა ცხვირწინ და დაუნდობლად გადაშლილ სიტყვებს საკუთარი, თითქოსდა უკეთესით ცვლიდა.

– მგონი ასე აჯობებს, მართალია, ვითომდა ასე უფრო კარგად ჟღერს, მაგრამ თუ დინჯად დეაკვირდებით, ქართულ სიტყვას ასე უფრო გამოადგება და მოუხდება.

პეტრე უმიკაშვილს მაჩაბლის ნიჭი კი მოსწონს, მაგრამ ასაკის ხუნდები ბორკავს და, ამ საქმეში, ჭკუის დარიგების მეტი არაფერი ეხერხება. პედანტ მოხუცს ვერაფრით წარმოუდგენია, რის სწავლასაც მან წლები შეაღია, სხვას უსწავლელად უბოძა ღმერთმა. ამის გამო, სხვისას ისე დაუნდობლად ჭრის და კერავს, თითქოს მამამისის დანატოვარ ქურთუკს ირგებდეს ტანზე. ეს კიდევ არაფერი, კერვაც რომ არ იცის?!

თავად განსაჯეთ:

მედეა თავის საწოლზე იწვა და ეზმანებოდა მას მოუსვენარი სიზმრები. – ეს მაჩაბლისაა.

ახლა მკერავის ვნახოთ: მედეა თავის საწოლზედ იწვა და ესიზმრებოდა აღშფოთებული სიზმრები.

ვანო ჩალაძესაც ბევრჯერ შეხებია ამგვარი მკერავის დაუნდობელი მაკრატელი, ნელ-ნელა მათთან საუბარიც ისწავლა და საკუთარი სიმართლის გატანაც, მაგრამ მაჩაბელი ჯერ პატარაა და პეტრე უმიკაშვილსაც ისე შესცქერის, როგორც უნდა შესცქეროდეს მოსწავლე მასწავლებელს, ფუჭი იმედითა და შიშნარევი მორჩილებით.

ოჯახს ისევ უჭირს. ვალები მატულობს. თათარი მევალე თითქმის ყოველდღე მოდის და თავისას ითხოვს,

თუმცა, ასევე ყოველდღე ხელცარიელი ბრუნდება უკან ნელთბილი ჩაის დასალევად, იმ იმედით, რომ ოდესმე მაინც დაიბრუნებს საკუთარ გასესხებულს. ახლებიც ჩნდებიან, ზოგს ტყუილით აჯერებენ, ზოგს თავს აცოდებენ, ზოგს ემალებიან. ბევრი ხედავს ამ წვალეზას და სირცხვილს, თუმცა სხვისი ჭირი მაინც სხვისი ჭირია. ხელი მხოლოდ ორბელიანებმა გაუმართეს, ოღონდ ისე არა, როგორც ბევრს წარმოუდგენია. არა, ფული არ მიუციათ, არც შემანუხებელი მევალე გაუსტუმრებიათ, თავისთვის გაცილებით მარტივი გზა გამონახეს და მაჩაბელს კერძო გაკვეთილები გამოუძებნეს. აბა ვის უხარია ცხვირმოუხოცავი ბავშვების რეპეტიტორად დადგომა, მითუმეტეს, რომ ამ ცხვირმოუხოცავებს, ანუ ბავშვებს, შენზე უკეთესად აცვიათ, შენზე უკეთესად ცხოვრობენ და შემოსავალიც შენზე მეტი აქვთ. ასეთი რამ, ჯოჯოხეთური შრომა თუ მონად დადგომა უმეტესად აბოროტებს ადამიანს, მაგრამ მაჩაბელს გაბოროტებისა და საკუთარ თავთან წვრილმანი კინკლაობის არც დრო რჩება და აღარც ხალისი. ფულს თავს უყრის და პეტერბურგში გასამგზავრებლად ემზადება, ამისთვის კი სული კბილითაც რომ დაჯიჯგნოს, იმასაც მოითმენს, მითუმეტეს, რომ მოსათმენი თითქმის აღარაფერი დარჩა, საცაა გაემგზავრება კიდევ.

გამცილებლები მგზავრებს ემშვიდობებიან. გაუნძრევლად მდგარი ომნიბუსი ღრიანცელშია გახვეული და ამ ხმებისგან შემკრთალი ლამის ირყევა კიდევ. ცხენები ცქმუტავენ, ფლოქვებს ქვაფენილს ურტყამენ და მეეტლეს გზისკენ ექაჩებიან. მეეტლე მზეს ემალება და კონდუქტორის ნიშანს ელის. ამ ნიშნის მერე კიდევ უფრო ძლიერდება ხმაური, ცხენებსაც რალაც ნაცნობი ესმით და ყურებს ცქვეტენ. მეეტლე კოფოზე ძვრება, მას მგზავრებიც ბაძავენ და საკუთარ ადგილებს იკავენებენ.

- თავს გაუფრთხილდი...
- ხშირად მოინერე...
- ჩვენებთან მისვლა ნუ მოგერიდება...
- ხომ იცი, როგორ გელოდებით...
- ფულს მოუარე, გზაში არ შემოგეხარჯოს...

ალერსის, დარბაზების, გაფრთხილების სიტყვა ერთმანეთში ისე ირევა, როგორც საქორნილო სუფრის გადამთვრალი, ძვირფასი სტუმრები.

აქაც არაფერი შეცვლილა, დაასკვნა ვანო ჩალაძემ და სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამჯერადაც მართალი აღმოჩნდა, რადგან ქართველები დღესაც ასე მიემგზავრებიან დიდ რუსეთში.

ვანოს ფიქრი, თუნდაც მართებული, ცხოვრებას ვერ შეაჩერებს.

ომნიბუსი დაიძრა.

დიდი მტვერი დადგა, მტვერს ხველა და ცხვირსახოცების ფრიალი მოყვა. მგზავრები ერთმანეთს დაუნდობლად თელავენ, რათა მოასწრონ და კიდევ ერთხელ თვალი მოჰკრან ნაცნობ სახეს. გამცილებელთა გუნდი პატარავდება, თითქმის აღარ შეიძლება მათი გარჩევა. მტვერში ძლივსლა მოჩანს ფერადი ქოლგები და მზით ანთებული, ოქროსფერი ეპოლეტები.

მაჩაბელს არავინ აცილებს. არც თავად იყურება უკან.

ომნიბუსი დაღმართში დაეშვა, გვერდი აუარა აგურის ქარხნებს, საკირეს, სასაფლაოს, საავადმყოფოს, ეტლების საამქროს, გასცდა ტრაქტირებს და ვენახებით დაბურულ აღმართს აუყვა.

დრო ომნიბუსზე სწრაფად მიჰქრის.

ჯერ კიდევ დღე იყო, როდესაც ძველი, სატახტო ქალაქი გაიარეს, ახლა კი საღამოა და უკვე ყაზბეგში არიან. ღამე აქ უნდა გაათიონ, ამ გზას ასეთი წესი აქვს, დილით კი აიბარებიან და ვლადიკავკაზში ავლენ, იქიდან კი მატარებელი ჩაიყვანს პეტერბურგში.

მგზავრები ბარგს ტოვებენ და ომნიბუსიდან ხტებიან, ყველას ყაზბეგის დანახვა სურს. მოხრილი ხელის მტევანი შუბლთან მიაქვთ და ცდილობენ როგორმე თვალი აანვდინონ მის სიმაღლეს თუ სიდიადეს. მთა მზერას ემალება და მორცხვი პატარძალივით ღრუბლების მანდილში ეხვევა.

საქმეზე მიმავალი კაცის მგზავრობა იმდენად მოსაწყენია, რომ თუ განსაკუთრებული რამ არ შეემთხვა, მოგზაურობა არასოდეს ამასსოვრდება. ახლაც ასეა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაჩაბლისთვის, ყველაფერმა ჩვეულებრივად ჩაიარა. გრძელმა გზამ დრო ჯერ გააჯანჯლა, შემდეგ ააჩქარა, უზრდელი მასპინძელივით ბოლო ლუკმა ეთბამად გადასანსლა და ძალაგამოცლილი მაჩაბელი პეტერბურგში ჩაიყვანა.

ლენინგრადში ვანო ჩალაძეც ბევრჯერ იყო ნამყოფი. ქართული კულტურის დღეებშიც მიუღია მონაწილეობა და მწერალთა დელეგაციის რიგებშიც არაერთხელ ჰყავდათ შეყვანილი, თუმცა, რამდენიმე სადღეგრძელოს თუ არ ჩავთვლით, ხმას არასოდეს იღებდა და დისპუტებსა თუ კამათში მონაწილეობისგან ყოველთვის თავს იკავებდა, მაგრამ დროს მაინც კარგს ატარებდა, არაყთან და რუს ლამაზმანებთან ერთად, რომლებთანაც ურთიერთობას ცოლის, ლენა აროშიძის მოყვანის შემდეგაც ინარჩუნებდა, თითქმის ბოლო დრომდე ანუ სანამ ვიზებს შემოიღებდნენ და მიმოსვლაც უსაშველოდ გაძვირდებოდა. ასე რომ, ამ დანესტილ ქალაქს, ვანოც კარგად იცნობდა, თუმცა აქ არასდროს უსწავლია. რამდენიმე მეგობარი კი მართლაც ჰყავდა, რომლებსაც განათლება ჩრდილოეთ პალმირაში ჰქონდათ მიღებული. მათი ზედმინევიზით ზუსტი მონათხრობი სტუდენტური ცხოვრების შესახებ ამ დანაკლისს სრულიად ადვილად ავსებდა. ამიტომაც, აღმოჩნდა თუ არა პაპიროსით გაბულულ, პატარა ოთახში უხერხულობა არ შექმნია და იოლად მიეჩვია იქაურ ყოფას.

ოთახში სამნი არიან:

ილია.

ვასილ მაჩაბელი.

და ივანე.

ვანო ჩალაძე, რა თქმა უნდა, არ ითვლება.

ილია ჭავჭავაძისთან შეხვედრას ელოდა, როგორც გახსოვთ, ამის შესახებ გაფრთხილებულიც კი იყო, მაგრამ თუ ასე მალე მოხდებოდა ეს ყოველივე, ამას ნამდვილად ვერ იფიქრებდა.

ილია ყურადღებით კითხულობს ნანერს, ტუჩებს უხმოდ ამოძრავებს, დროდადრო თავს წევს და მეგობრებს თვალს უსწორებს. ივანე ფანჯარასთან დგას და არაფერში ერევა, თითქოს მის ნანერს არც კი კითხულობდნენ. კაცმა რომ თქვას, სანერვიულო არ არაფერი აქვს, კარგად იცის, რასაც მოუყარა თავი.

ილიამ კითხვა დაამთავრა, წამოდგა, ერთხანს ჩუმად იარა ოთახში და ბოლოს, როგორც იქნა, ამოთქვა.

– დიდებულის!

ვასომ ამოისუნთქა.

ივანე სხვას არც ელოდა.

– როდის დაიწყე ენის სწავლა?

– ინგლისურის შესწავლა, ჯერ კიდევ, გიმნაზიაში გადავწყვეტიე, სწორედ იმიტომ, რომ შექსპირი მეთარგმნა, ფრანგულის ცოდნა დამეხმარა, სწავლა გამიადვილა, ერთი წელი მოვანდომე ამ საქმეს...

– ბარაქალა, ბარაქალა... – აწყვეტინებს ილია. – ეს თარგმანი ორი რამით არის საინტერესო, ჯერ ერთი, რომ ჩვენს ლიტერატურას გაამდიდრებს და მეორეც, თეატრსაც წამოაყენებს ფეხზე, შექსპირის ხეირიანი თარგმანი ჯერ ჩვენ არ გვქონია.

– რას გეუბნებოდი! – გაუხარდა ვასოს.

– რამდენი ხანია ცდილობენ ქართული მუდმივი თეატრის აღდგენას, მაგრამ დღემდე ვერაფერს გახდნენ. სათეატრო ძალები გაფანტულია, სათანადო სახსრები არ არსებობს და, რაც მთავარია, ღარიბი რეპერტუარი აქვთ, არადა, თეატრის დაარსება დიდი ეროვნული საქმეა, ეცადე მალე დაამთავრო, როცა წავალ წავიღებ და კრებულში დავბეჭდავ.

– ვეცდები. – უხალისოდ თქვა ივანემ, რადგან დარწმუნებული იყო, რომ თარგმანს გაცილებით მეტ დროს მოანდომებდა, ვიდრე მისგან ითხოვდნენ.

– ალბათ სწავლაში ხელი გეშლება... მართალია, რა საქმესაც ადგიხარ, ჯერ ის უნდა დაამთავრო, ახლა მთავარი უნივერსიტეტია, სწავლას ვერ მოსცდები, თარგმანს კი დიდი დრო მიაქვს, შექსპირის გადმოქართულება იოლი საქმე როდია.

ჩემი საქმისა მე ვიცო, უნდოდა ეთქვა ივანეს, მაგრამ საკუთარი ძმის ცივმა მზერამ ადგილზე გააშემა და სიტყვა ადგილიდან ვეღარ დასძრა.

ვასო მეგობრის განწყობას კარგად ხვდება.

ჩათრევას ჩაყოლა სჯობია.

– შენ ხომ მაინც დიდხანს მოგიხდება დარჩენა ილიკო, აქაური ჩინოვნიკების ამბავი ხომ ვიცო, კარგა ხანს დაგოყონებენ, ბარემ დასხედით და ერთად თარგმნით. ესეც გამოსავალი.

ილიამ ძმებს შეხედა და, თითქოს, უხალისოდ დათანხმდა.

რა გაეწყობა, ვასომ უფრო იცის და ეტყობა საქმისთვისაც ასე აჯობებს, თანაც უფროს-უმცროსობა ჩვენში უკვდავი სენია. ივანეც თანახმაა, თუმცა, სხვაზე მეტად მოეხსენება, რომ მწერლობას კოლექტიურ შრომასთან საერთო არაფერი აქვს, ამას ისიც ემატება, რომ ილიას ინგლისურის არაფერი გაეგება, მეტიც, ერთი სიტყვაც კი არ იცის.

ვანო ჩალაძე, რა თქმა უნდა, ყველა ქართველივით, ილია ჭავჭავაძეს უდიდეს პატივს სცემდა და სხვანაირად ვერც კი წარმოედგინა, მაგრამ ამ შემთხვევამ ჩააფიქრა და რადგანაც, ყველა დანარჩენი მოკვდავივით თავისუფალ ადამიანად იყო ჩაფიქრებული, წამსვე მაჩაბლის მხარეს დადგა. ქალაქმა, სიტყვამ და კალამმა ერთი დარტყმით მოშალა მათ შუა გადებული ზღვარი: ასაკობრივი, საზოგადოებრივი, აღზრდისა თუ განათლების, რადგან მწერლობა არ ცნობს წარმომავლობას და მხოლოდ ტალანტს ემონება. ამიერიდან ისიც, ანუ ვანოც, მაჩაბელი ხდებოდა. ასე რომ, ექიმის ჩანაფიქრმა, ნაწილობრივ მაინც, გამართლება დაიწყო, ეს ვანოც იგრძნო და პირველი, დამოუკიდებელი ნაბიჯი გადადგა გამოჯანმრთელებისკენ. რამდენად ნიჭიერი იყო ვანო ჩალაძე ძნელი სათქმელია და ამის უტყუარ დადგენას რამდენიმე დღე თუ არა, ერთი-ორი საათი მაინც დასჭირდებოდა. მაჩაბლის ნიჭიერებაში, დღემდე, ეჭვი არავის შეუტანია და იმედაა, არც შემდგომში შეიტანს ვინმე.

თარგმანი წინ მიიწევს.

მაჩაბელი ენის გაკვეთილს უტარებს ილიას, მერე კი ერთად თარგმნიან. ცოტა უცნაური ხერხი კია, მაგრამ სხვა გზა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ამას დაყაბულდნენ.

მაგიდის ერთ მხარეს მაჩაბელი ზის და ინგლისურ სტრიქონს ქართულად თარგმნის, ილია აუცილებლად რამეს შეამველებს, მაჩაბელს თითქოს ეს არ ესმის.

– პილიკოკი იჯდა, პილიკოკის გორაზე... ეს უნდა იყოს ნაწყვეტი რომელიმე ხალხური ბალადისა, ასეთ სტრიქონებს ხშირად ვხვდებით ხოლმე შექსპირის პიესებში... მეორე სტრიქონი ეტყობა რეფრენია, რამდენჯერმე მეორდება და უბრალო შეძახილს გამოხატავს.

– მგონი ასე აჯობებს. – ამბობს ილია დი თითქმის გამართულ სტრიქონს მიაშველებს. – ზის პილიკოკი, პილიკოკის მალალ გორაზე, ჰალუ, ჰალუ, ჰალუ, ჰალუ... დედანშიც ხომ ასეა?!

– არა. – მოსჭრა მაჩაბელმა. – ორიგინალში ეს სტრიქონი მსუბუქია, სხარტი, რეფრენს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ რალაც განწყობას მაინც უნდა ქმნიდეს. თუნდაც ისეთს, როდესაც გაბრაზებული ბავშვები უაზრო, უშინაარსო სიტყვებს ისვრიან ხოლმე.

სწორედ ამ დროს ახსენდება საკუთარი ბიძაშვილი და მისი უცნაური სახელი: ტიტკო.

ამ მოგონებამ სტრიქონიც გამართა: პილიკოკი ჯდომილა, პილიკოკოს მთაზედა, ტიტლი, ტიტლი, ტიტლი, ტიტლი...

რა გაეწყობა, ილია თანხმდება.

ჯერი სხვა სტრიქონზეა.

– სიტყვასიტყვით ეს ასე ითარგმნება: ბედი ნამდვილი გარყვნილი დედაკაცია, ღარიბისკენ ერთხელაც არ მოიხედავს. – მერე დაამატებს. – რამდენჯერ გამიგონია ჩვენში, გლეხები ამბობენ ხოლმე, ბედი უნამუსო ქალიაო.

– ჰოდა, ასევე უნდა ითარგმნოს. – თავისას არ იშლის ილია.

– მიძიმა და, ამავე დროს, ძალიან მარტივი, არც ყურს სძენს რაიმეს და არც გულს, ასე აჯობებს: ბედი სწორედ უნამუსო ქალია, ღარიბი სძაგს, მდიდრის ემხით მთვრალია.

კიდევ ერთხელ, რა გაენცობა.

ამას იმისი არ მოსწონს, ის ამისით უკმაყოფილოა, ზოგჯერ მაინც თანხმდებიან, არც უმაგისობაა. ამ პაექრობის შემხედვარე, ნახევრად ნამონოლილი ვასო მარჩაბელი, გაზეთს სახიდან არ იცილებს და ვინ იცის, იქნებ ნანობს კიდევ, რომ უნებურად ამ ნამონყების სულისჩამდგმელი გახდა.

ასეა თუ ისე, სამ თვეში, ეს ამბავი დასრულდა და ამ ტანჯვა-წამებას ბოლო მოეღო.

თარგმანმა თბილისშიც ჩამოაღწია. „მეფე ლირი“ კრებულში დაიბეჭდა. ილია საჯარო კითხვებსაც აწყობს, თუმცა საშინლად კი კითხულობს და თავადაც ვერ ხსნის ამგვარი ჩავარდნის მიზეზს. ამის ბრალია, თუ კიდევ სხვა რამის, არავინ იცის, მაგრამ აკაკის თარგმანი არ მოსწონს, თუმცა საჯაროდ არაფერს ამბობს და მიზეზი დღესაც ისეთივე ბუნდოვანია, როგორც მაშინ.

გაზეთებს კი მოსწონთ:

არ გვეგონა, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენივრად გადმოიღებოდა ქართულს ენაზედ.

სხვაგან:

ამ დღეებში ილიამ საკუთარი თარგმანი წარუდგინა საზოგადოებას. კითხვას ესწრებოდა ოცდაათ კაცამდის. ყველანი აღფრთოვანებულები დარჩნენ, თარგმანი დასრულებულია და მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. ილიას თარგმანი...

მეტის ღირსია, გაიფიქრა ვანო ჩალაძემ, ეთარგმნა მართო, ვერ მოერეოდა თუ რა?!

მოერეოდა. მოერევა კიდევ, მაგრამ ეგ მერე იქნება, რამდენიმე ზაფხულის შემდეგ.

ამ ფიქრსა თუ ორჭოფობაში თოვლიც დადნა და წყენაც აღარ ჩანდა ყინულოვით მწველი. აღრენილი ბიძები თითქოს ამინდის გამოკეთებას ელოდნენ, მგლების ხროვასავით პირი შეკრეს და დასაგლეჯად განწირული მაჩაბელი შუაში მოიქციეს.

- სად არის ჩვენი მამულები?!
- რაც კარგი მიწები იყო, სულ მამაშენმა გაყიდა!
- ჩვენ რას გვიბრძანებ, ჩვენ რაღა ვქნათ?!
- ბარემ გავიყაროთ და მოვრჩეთ საქმეს!

გიორგი მაჩაბელი ამ ყფვას ისმენს და არაფერში ერევა. დაბერებულა. თავის ამყად თუ ცოცხლად დაჭერას ცდილობს, მაგრამ მაინც ეტყობა ცხოვრების ნარეკალი, მხოლოდ უდარდებლობა შერჩა ისე, როგორც გაუსტუმრებული ვალი.

ღარდის გაქარვების დიდოსტატი ყოფილა გიორგი მაჩაბელი. რაღაც მოიმიზეზა, საქმე გამოიგონა და რამდენიმე დღით გორში გაემგზავრა. ეს უფრო გაქცევას ჰგავდა. სამ დღეში თავად არა, მაგრამ ამბავი კი დაბრუნდა: გიორგი მაჩაბელი, მიხეილ მაისურაძის დუ-

ქანში გარდაცვლილიყო. „ბელტიკლაპიას“ ტრაქტირში გაჰყოლოდა უკან სტუმრად მოსულ მიქელგაბრიელს.

ყველა სიკვდილის შვილები ვართ, თუმცა ერთი აქეთაც უნდა ითქვას, ასეთი სიკვდილი მაინც საზარელია: ვილაცის სარდაფში, თან ღვინოში, თანაც ლოთობის დროს.

მიხეილ მაისურაძემ ივანეს მიუსამძიმრა, თითქოსდა დანადგლიანებული თავიც ბევრი აქნია აქეთ-იქით, მაგრამ სხვა თადარიგიც ადრინად დაიჭირა.

– ამას როგორ უნდა ვამბობდე, მეც კაცი ვარ, ქვეყანა მიცნობს, მაგრამ... მიცვალებულს ვერ გაგატანთ...

– ეგ როგორ, რა მიზეზით?! – უკვირს ივანეს.

– ცხონებულ თავადს ოთხმოცი თუმანი ემართა ჩემი, სანამ ფულს არ გადამიხდით მიცვალებულს ვერ გაგატანთ, ან კი როგორ გაგატანოთ, დანაკლისს ვინ ამინაზღაურებს?! – თავი მოისაწყლა მიხეილ მაისურაძემ და თავადის მიერ უხვად გაცემული თამასუქები ჯიბიდან სათითაოდ ამოაძვრინა.

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და თავები ჩაჰქინდრეს.

შეკრებილმა ხალხმა ერთხმად ამოიხვნეშა.

ატყდა ჩორქოლი, მისვლა-მოსვლა, თხოვნა, დანამუსება, მუქარა და ძიძგილაობა. მაისურაძე უკან მაინც არ იხევს, არც ხანჯლის ეშინია და არც ძმების თვალცრემლიანი გამოხედვა უღობს გულს, მოკლედ, თავისაზე მაგრად დგას. არადა, დრო არ ითმენს, ამ სიცხეში მიცვალებულს შეიძლება სუნიც აჰყვეს, საქვეყნოდ თავის მოჭრა მერე ნახეთ. მაისურაძემ ეს ამბავი კარგად იცის, ამიტომაც არსად ეჩქარება და გამუდმებით იმეორებს ერთსა და იმავეს.

– ვერ გაგატანთ, თქვენი დიდი ხათრი მაქ, კნიაზო, მაგრამ ვერ გაგატანთ და მორჩა!

– მიდი, გადაუხადე. – უთხრა ივანემ ძმას და მაისურაძის ტრაქტირს ზურგი აქცია.

ვასოს რაღა უნდა ექნა?! ივანეს სწავლისთვის გადადებული ფული ჯიბიდან ამოიღო და ოთხმოცი თუმანი მიხეილ მაისურაძეს გაქონილ ხელში ჩაუთვალა.

შორს! ამ ქვეყნიდან, რაც შეიძლება, შორს! სადაც ძმა ძმას კლავს და ტრაქტირში მიცვალებულს შებოლილი ძეხვივით ჰყიდიან.

ფოთში წვიმს და ქარიშხალია. გაბერილი და სველი ტალღები წელში იმართებიან და საკუთარი სიდიდით ცას აშინებენ. ცას ეს მუქარა სასაცილოდ არ ყოფნის, კიდევ უფრო იცვლის ფერს, კიდევ უფრო შავდება. ნირნამხდარი და განბილებული წყლის მთები ახლა ნაპირზე იყრიან ჯავრს და საკუთარი ძალის დასამტკიცებლად მომალლო ჯებირსა და მიმოფანტულ ქვებს ღმუილით ასკდებიან.

მაჩაბლისთვის ამოდენა წყალი აღმოჩენაა. ვერც კი წარმოედგინა, თუ მის პატარა ქვეყანას მართლაც უზარმაზარი ზღვა ერტყა გარს, ამიტომაც ფეხს არ იცვლის, ცუდ ამინდს არ უშინდება და მონუსხულოვით შესცქერის ჰორიზონტს. ჰორიზონტთან კი გაუნძრევლად დგანან გემები, როგორც ლამაზი, ჯიუტი ვირები.



ზღვა ამოუცნობი ბედივით მაცდურია, ერთი დაბერვით აშენებაც შეუძლია შენი და შენი დანგრევაც.

ამ ზღვებს იქით უცნობი ქალაქებია: ჰოჰენჰაიმი, პარიზი, მონპელიე... მაჩაბელი სწორედ იქით მიემგზავრება.

ვანო ჩალაძე, როგორც შეთანხმებული იყო, ფოთში რჩება. მას ამ მგზავრობის ფული არ გადაუხდია, თანაც წინასწარვე გააფრთხილეს და თავადვე განაცხადა უარი სიძვირის გამო, თორემ უცხო ქალაქების ღამესთან დანოლა ხომ ყველა მწერლის ჩუმი ნატვრაა. ისე, კაცმა რომ თქვას, იქ არც არაფერი ესაქმებოდა მცირე პროზის ოსტატს. ბოლო-ბოლო ამას კიდევ ეშველებოდა რალაც, სხვა რამ უფრო მეტად აშინებდა. ლენა აროშიძის გადამიკვდი, კარგ კვებას შერჩევულ ვანოს, სიკვდილივით აფრთხობდა სტუდენტური შიმშილის გრძნობა და ისიც კარგად იცოდა, რომ ამ გრძნობაზე ჯერ არავის გაუმარჯვია.

მაჩაბელმა მაინც სცადა:

„თუმცა რამდენიმე ასი ათასი ვერსითა ვარ დამორებული, მაგრამ ისე ხშირად მოგვდის ერთმანეთისგან წიგნი, რომ ვერც კი ვგრძნობ ამ დამორებას. გუშინ მოგწერე წიგნი, მაგრამ დღეს რომ შენი წიგნი მომიტანეს ისე წავხალისდი, რომ კვლავ მეორე წიგნსა გწერ. მართლა, უნდა მომეწერა, რომ სადილზედ სტუდენტობაში მგზავრობაზედ ჰქონდათ ლაპარაკი და ყველას თავი მოჰქონდა, რომ მე ამა და ამ რკინის გზაზე პირველ კლასში ვიჯექიო და მხოლოდ ცოტა ხანობით მეორე კლასში გადავჯექიო და სხვა – მაგრამ შემეშინდა, არ იფიქრო, რომ მეც მეორე ან პირველი კლასით მინდა ამას იქით მგზავრობა.“

კიდევ ბევრჯერ სცადა:

„ამის გამო მეც ამ სახლის პატრონს გამოვართვი ოთახი, რადგან დიდხანს ყოფნა გოსტინიცაში მემძიმებოდა მეტისმეტი სიძვირის გამო. ამის გარდა, ამავე სახლში აძლევენ საუზმეს და სადილს. ვინც თვეობით მოურიგდება, უნდა აძლიოს ოთხმოცდაათი ფრანკი სადილისთვის და საუზმისთვის, მაგრამ მე მარტო სადილს გავეურიგდი ორმოცდათხუთმეტე ფრანკად, რადგან საუზმით ძვირად დაჯდებაოდა. თუმცა სადილს ექვს საათზედ აძლევენ, მე მინდა საუზმის მაგივრად ყავა გავიჩინო, რადგან დილიდან ექვს საათამდის ძნელია მოთმენა, მეტადრე აქაურ სადილამდის, რომელიც თუმცა ოთხი თავი საჭმელისგან შედგება, მაგრამ ორად კი არა ღირს.“

არა, ძმაო, მშვიერი მაინც ვერ გავძლებ, ამის ფასი რა უნდა ვისწავლო, გაიფიქრა ვანო ჩალაძემ და ლენას გაკეთებული საყვარელი კერძი უკვე მერამდენედ გაიხსენა. არადა, მაძლარი კაცის მიღწეული იშვიათად თუ უნახავს ვინმეს რამე. ისიც სათქმელია, რომ თუკი რამე ფასეული შექმნილა, ნახევრად მშვიერი ადამიანის დამსახურებაა, თუმცა ერთი ნაკლი აქაც მოინახება, მშვიერი ქმნიდა, ოღონდ არა მშვიერთათვის. ეს ამბავი ოდითგანვე ცნობილი იყო და ვანოსაც, დაახლოებით, მესამე კურსისთვის უკვე შეგნებული ჰქონდა ეს კანონზომიერება, უბრალოდ, დაღლილსა თუ ნამგზავრს თავიდან

ამოუვარდა. ისე, მისთვის სჯობდა თბილისში დაბრუნებულიყო და რამე გაეკეთებინა, საქმეში მაინც ჩაეთვლებოდა.

საქმე კი თავზე საყრელი დახვდა მაჩაბელს.

ილია ბანკში ეპატიჟება...

საცაა მუდმივი დასიც შედგება...

ყალიბდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება...

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემასაც ფიქრობენ...

ჟურნალშიც საიმედო კაცია საჭირო...

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, თეატრი ვერ შედგება პიესის გარეშე. პიესაც მზად არის, მოლიერის „ექვით ავადმყოფი“, ჯერ კიდევ პეტერბურგში თარგმნილი. მაჩაბელი რეპეტიციებსაც ესწრება, მაგრამ დარბაზში ასე ხშირი სიარული ავტორის ახირებითა და მხოლოდ თეატრის სიყვარულით არ უნდა იყოს გამონვეული. ცოდვა გამხელილი სჯობს, აქ სულ სხვა რამის გამო დაიარება.

მაკო საფაროვას სახელი დიდსა თუ პატარას პირზე აკერია. გაიცნეს კიდევ ერთმანეთი, მაგრამ ხალხმრავლობამ ენას კლიტე ჩამოჰკიდა, ქცევას ყალიბი მისცა და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ ნაცნობობას ელფერი დაუკარგა.

– ვოცნებობ, თქვენი თარგმნილი ოფელია ვითამაშო, იქნებ, ოდესმე მეღირსოს კიდევ. – ამ სიტყვას მოჰყვა მაცდური ღიმილი.

ეს იყო და ეს.

მაჩაბელმა პასუხი ვეღარ მოასწრო. ქალი კი, თითქოს შეგნებულად, წამსვე სადღაც გაუჩინარდა.

ის ღამე ფიქრსა და წუხილში გაატარა. ამის მიზეზი მხოლოდ მეორე დღეს დაადგინა, როდესაც საკუთარ თარგმანს დასწვდა და გადაიკითხა. ბრაზი იყო, გაღიზიანება თუ სხვა რამ, არავინ იცის, მაგრამ ამ აღმოჩენამ საფაროვას ქალის ნახვის სურვილი საშინელი ძალით გაუორკეცა.

მაჩაბელმა პალტო აიღო, იქვე, სადარბაზოში ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. ქალზე კი ფიქრობდა, მაგრამ მის ნახვას, რა თქმა უნდა, არ ელოდა, უბრალოდ სახლში აღარ დაედგომებოდა.

მაჩაბელი, ჩვეულებრივზე ჩქარი ნაბიჯით, აუყვა ბარიატინსკის აღმართს და გოლოვინის პროსპექტზე ავიდა. ბედმა იქ მიიყვანა სადაც საჭირო იყო. ბაღის კართან მაკო საფაროვა იდგა.

მაჩაბელი შეცბა.

ქალმა ჯერ გაუღიმა, მერე მიესალმა. მაჩაბელმაც მოახერხა თავის დაქნევა. ქალი მეტს ელოდა და ნაბიჯს აყოვნებდა. მაჩაბელი ამას ხვდება, ხელს ართმევს და ხმის ამოღებასაც ახერხებს.

– მცირე დროს თუ დამითმობთ, ბედნიერი ვიქნები.

– მცირეს დაგიტმობთ... – ისევ მაცდური ღიმილი.

– გავიაროთ.

– საით წავიდეთ?

– ნარიყალისკენ, მიყვარს ის უბანი, ძველი დიდების ხილვა, სიონის ტაძარიც განსაკუთრებით კარგად მოსწონს.

ჯერ ჩუმად მიდიან. მოედანი უკან რჩება, ნაბიჯს ნაბიჯი ემატება. მაჩაბელი გრძნობს, რომ ეს სიჩუმე ქალს აკარგვინებს და კიდევ ერთხელ ბედავს ხმის ამოღებას.

– კაცობრიობის წინსვლა ის არის, რომ გონიერი არსება დაჩაგრულს, ან გავერანებულს არსებას კი არ ჰგავდეს, ისეთს სულიერად კი არ იყოს გამხდარი, რომელსაც მხეცური და გარეულის ინსტიქტით აქვს სავსე გული, არამედ სიყვარულით, კეთილის გრძნობით, სინდონით იყოს შემკული და ნამდვილ ქმნილებათა გვირგვინს წარმოადგენდეს.

ქალმა ამოიოხრა, ოხვრას დარდი თუ გრძნობა ამოაყოლა და გახშირებულმა სუნთქვამ მკერდი წამწამივით აუთამაშა.

მაგრამ ივანე დაყრუვდა და ეს დაბანგული სუნთქვა მის სმენას არ სწვდება.

მაგრამ ივანე დაბრმავდა და საკუთარი თავის მეტს ვერავის ხედავს, თითქოს გრძლად ნათქვამი სიტყვის სანაძლეო ჰქონდეს დადებული.

– პირვანდელი კაცის ტლანქსა და მხეცურს ბუნებაზე უნდა მთელს საკაცობრიო ისტორიას ემუშავნა. მთელს ოცსა და ორმოცს საუკუნეს დაესრულებინა თავისი შრომა, რომ ადამიანს ადამიანობა დასჩენოდა, ცხოველური ინსტიქტები დაეთრგუნა, ძალადობა და მტარვალობა შეჰზიზღებოდა და შეჰყვარებოდა ყოველივე კეთილი. საუკეთესო მონყობილობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა ის იყო და არის, რაც კაცის ბოროტსა და მხეცურს ინსტიქტებს გზას უღობავს, ფრთასა ჰკვეცავს და სამაგიეროდ კეთილს მისწრაფებას უღვივებს. ამგვარსავე დანიშნულებას ექვემდებარებოდა და ექვემდებარება დღესაც საკაცობრიო ისტორიაში პირვანდელი და დღევანდელი საერო დაწესებულებანი, საერო პოეზია, მუსიკა, გართობა-თამაშობანი. პოეზია აკეთილშობილებს კაცის გრძნობას, მოქმედებს გულზე, აგრილებს მის ბუნებას, ჰლაგმავს ბოროტ ინსტიქტებს და ხეპრეს ჩვილ არსებად აქცევს. პოეზიის გვირგვინი კი დრამა და დრამატული მწერლობაა. მისი ზეგავლენის სფერო უფრო ვრცელია, მისი სახსარნი და იარაღნი უფრო მარჯვენი არიან და ამისთვის დრამის სამსახურიც კაცობრიობის წინაშე უფრო დიდია და უფრო საყურადღებო. თუ ჩვენმა სათეატრო დასმაც შეიგნო ეს დიდი მნიშვნელობა დრამისა და თეატრისა და თუ ამ შეგნებით...

სიტყვა განყდა, როგორც ხმარებისგან გაცვეთილი უხარისხო თოკი. ფურგონების ქარავანმა ხმაურით გადაჭრა ქუჩა, სიტყვაც შთანთქა და ქალთან უაზრო საუბარიც.

– კარგ დროს გამაჩერა, თორემ ვატყობ ლექცია გამომივიდა და ისიც მოსაწყენი. თქვენთვის სულ ზედმეტიცა ასეთი ლექცია, თეატრის ფასიც კარგად გეცმით და თავდადებულად ხართ ამ საქმისთვის.

– პირიქით, სასიამოვნო იყო თქვენი მოსმენა. – თქვა ქალმა და იქვე დაამატა. – მადლობელი ვარ...

მაჩაბელს ქალის მადლობა მართალი ჰგონია და ლექციას აგრძელებს.

– ჩვენს დასს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. საერო-სოციალური საქმესა და თეატრის მატერიალურად მოლონიერებას რომ თავი დავანებოთ, მოთამაშებებსაც ძალიან ბევრი მუშაობა დასჭირდებათ, თუნდა დიქცია ავილოთ, აბა რასა ჰგავს ჩვენი მსახიობების გამოთქმა, ასე გგონია სიტყვა ყელში ეჩხირებათო.

მაჩაბელს სიტყვა გაურბის.

საფაროვას ქალი თავს ხრის. იქნებ მართალიც არის მაჩაბელი, მაგრამ იმისთვის არ გაჰყოლია სასიეროდ, რომ გაუგებარი და დაუსრულებელი საყვედურები ისმინოს.

– ვინ იცის, მეც როგორ ვბლუყუნებ. – სიცილით ამბობს მაკო.

– თქვენ ბედნიერი გამონაკლისი ხართ. – დნება მაჩაბელი და უკან იხევს. – მხოლოდ თქვენა გაქვთ მშვენიერი, კაფიერი გამოთქმა, რაც არ უნდა ჩქარა ლაპარაკობდეთ, ყოველი სიტყვა უკანასკნელ სკამებზედ მჯდომებსაც კი ესმით. ოდესმე თუ მივუბრუნდი შექსპირის თარგმნას, დაბეჭდვამდე თქვენ უნდა წაგაკითხოხოდ ხოლმე ხმამალა, თქვენით უნდა შევამოწმო, რამდენად სცენიური იქნება მოქმედ პირთა მეტყველება.

სუსტად მბჟუტავი შუქი მაკოს საფეთქელთან ჩამოვარდნილ წაბლისფერ კულულს იდუმალ და, ამავე დროს, ჟინიან ელფერს აძლევს. ეს იდუმალეზა ენას უბორკავს მაჩაბელს და სეირნობაც, ცოტა ხნით, სიჩუმის სამოსში ეხვევა. ნაბიჯის რიტმიული ხმა საუბარს ითხოვს, სხვაგვარად არც ყოფილა და არც შეიძლება იყოს.

– ერთი-ორჯერ მეც მითამაშია, გიმნაზისტობის დროს, მონავარდისას როლი შევასრულე, მგონი ურიგოდ არ გამომივიდა.

მაკო იცინის. არა, არ დასცინის, უბრალოდ იცინის. თუმცა ვინ იცის, ქალებს რას გაუგებს ადამიანი.

– გავიგე, რომ ამასწინათ პეტერბურგშიაც არანაკლებ წარმატებით გამოსულხართ „მზის დაბნელებაში“, იქნებ კვლავაც განაგრძოთ თქვენი მოღვაწეობა სცენაზე.

– არა, ეგ ზედმეტიცა, ასეთ კამკაშა ვარსკვლავებში ჩემი ბჟუტავით ვერავის გავაკვირებ, მე სხვაგვარად უნდა ვემსახურო ჩვენს თეატრს.

– მეც ამას ვაპირებ...

– მაინც რა უფრო გიტაცებთ, რა თქმა უნდა, კორდელის გარდა?

– თუნდაც დეზდემონა, ოფელია, ჯულიეტა...

– მოგწონთ „რომეო და ჯულიეტა“?

– მომწონს, როგორც სიყვარულის ძღვევამოსილი ჰიმნი. საბოლოოდ მაინც სიყვარული იმარჯვებს.

– მაშ, რომ გითარგმნოთ, სიყვარულით ითამაშებთ?

– მთელის გატაცებით.

– მით უფრო, რომ ჩემი თარგმანი იქნება, არა?!

– მით უფრო, რომ თქვენი თარგმანი იქნება.

ეს უკვე რაღაც პირობას ჰგავდა. მაგრამ მაჩაბელი შიშით, რიღით თუ სხვა რამ მიზეზით პირობას თავადვე

არღვევს და მაკო საფაროვას ნაჯაფარს ერთთავად წყალს ატანს.

– სამწუხაროდ, ჩვენი დასი, ჯერჯერობით, შექსპირს ვერ მოერევა, ისევე მოლიერს უნდა დავუბრუნდეთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ მალე შექსპირიც დავდგათ. – მაჩაბელი ხვდება, რომ რალაც ისე არ გამოუვიდა და ნაგვიანებად, თუმცა მაინც სცადა საკუთარი გაუბედაობისთვის ახსნა მოეძებნა. – ახლა რომ დავფიქრდი, დიდად შორს არ უნდა იყოს ეგ დრო.

– როცა ეს დღე მოვა, მე შეგახსენებთ და სიტყვას არ გადახვიდეთ. – ისევე აიტაცა ქალმა.

– არა, უსათუოდ გითარგმნით. – უხალისოდ ამბობს მაჩაბელი და ეს თანხმობა უფრო უდანაშაულო სიკვდილიმისჯილის დასტურს ჰგავს.

– მით უფრო მონდომებით, რომ ჩემთვის უნდა თარგმნოთ, არა?!

– მით უფრო მონდომებით, რომ თქვენთვის უნდა ვთარგმნო. – ისევე იმეორებს მაჩაბელი.

– მსურს არ გამტყუნდეს სიტყვა თქვენი სიყვარულისა...

მგონი გვეშველა, ამოისუნთქა ვანო ჩალაძემ და იმისთვის მოემზადა, რისთვისაც ყველა წყვილი ემზადება ამგვარი საუბრის შემდეგ.

ალბათ, ასეც მოხდებოდა, რიყეზე ხანძარი რომ არ გაჩენილიყო. მაშინდელი ხანძარი უფრო მეტად სანახაობა იყო, ვიდრე სტიქიური უბედურება. ორივენი მონუსხულებივით მიაჩერდნენ ცეცხლის ალით განათებულ ცას, ერთმანეთიც გადააინწყდათ და მიცემული პირობაც.

ხანძრის ჩაქრობას პირი არ უჩანდა. შუალამე ახლოვდებოდა. დაგვიანებულ მანდილოსნებზე მაშინაც ისე ნერვიულობდნენ ოჯახის წევრები, როგორც დღეს. მაჩაბელმა ქალი სახლამდე მიაცილა და განშორებამდე, ალბათ რამდენიმე სიტყვა კიდევ უთხრა. სახლში დაბრუნებულმა შექსპირის ტომები სათითაოდ გადმოალაგა, პიესებს თვალი გადაავლო და „ჰამლეტზე“ შეჩერდა.

ექვსი წელია არაფერი უთარგმნია. ეს უფრო პროტესტს ჰგავდა. ლირის გადმოქართულებას თუ გავიხსენებთ, აღარც ეს პროტესტი გახდება გაუგებარი, მაგრამ ფინიანობის დრო წარსულს ჩაბარდა. შეძლება ჰქონდა, ძალასაც გრძნობდა და ვერც მონდომებას დაუწუნებდა ადამიანი, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, ერთ ღამეში თარგმნიდა მთელს ტრაგედიას, მაგრამ, რაც არ უნდა ილაპარაკონ, მოკვდავის შესაძლებლობას საზღვარი მაინც აქვს. დაღლილობამ მაჩაბლის მოთენთილი სხეულის დამარცხება სრულიად ადვილად შესძლო. მაჩაბელი გაუხდელად მიწვა ტახტზე და, იმედიანი სიზმრის მოლოდინში, მალევე ჩაეძინა. უშფოთველად, ისე როგორც უნდა ეძინოს შეყვარებულ მწერალს.

ბედი დაუკითხავად მიაქროლებს ორივეს საკუთარი ეტლით.

დასასრული შემდეგ ნომერში

ჩვენი ფოსტა

7 ივნისი, 2006 წ

ძვირფასო პროფ. ნემოიანუ,  
სულ რალაც ორი კვირაა დავბრუნდი საქართველოში და თუმცა ვხარობ ახლობლების ხილვითა და ქართული კერძებით, უკვე მენატრება კათოლიკური უნივერსიტეტი და იქაური კოლეგები, განსაკუთრებით ჩვენი შეხვედრები და საუბრები ოთხშაბათობით. უბრალო ქათინაურად ნუ ჩამითვლით თუ ვიტყვი, რომ სიამაყით მავსებს თანამშრომლობა და მეგობრობა დიდ ამერიკელ ლიტერატორთან.

თქვენი წერილი გივი ალხაზიშვილისადმი მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა ქართულ სამწერლო ცხოვრებაში. არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირდაპირი კონტაქტებით დიდ დასავლელ მეცნიერებთან განებივრებული არა ვართ, არამედ იმიტომაც, რომ დასავლელი ინტელექტუალი გვესაუბრება არა რალაც „ადამიანის“ უნივერსალურ უფლებებზე არამედ კონკრეტულ ადამიანურ ღირებულებებსა და ქრისტიანულ რელიგიაზე.

სულ მალე ჩვენს შურნალს ექნება კარგი ვებგვერდი და შეგვეძლება მთელს მსოფლიოში ინტერნეტის საშუალებით გავავრცელოთ ინფორმაცია ქართული ლიტერატურისა და აზროვნების შესახებ.

ჩვენ ვეძებთ მაღალი დონის ამერიკულ ლიტერატურულ შურნალს, რომელთანაც კავშირს დავამყარებთ, დავბეჭდავთ მის მასალებს ქართულად და გაუფზავანით ჩვენს მასალებს ინგლისურ ენაზე გამოსაქვეყნებლად; ეგებ თქვენ გვიჩიოთ რამე.

პატივი მაქვს შურნალ „ჩვენი მწერლობის“ სახელით მოგიწვიოთ საქართველოში. მე და ჩემი მეგობრები ბედნიერნი ვიქნებით გაგინიოთ მასპინძლობა.

მოკითხვა ქალბატონ ნემოიანუს.

გულწრფელად თქვენი  
პაატა ჩხეიძე

18 ივნისი, 2006 წელი

ძვირფასო მ-რ ჩხეიძე,  
გმადლობთ თბილი და კეთილი წერილისათვის. დაგვიანებით იმიტომ გპასუხობთ, რომ გასული ვიყავი ქვეყნიდან; 5 კვირის მანძილზე ვმოგზაურობდი სამხრეთ იტალიასა და სიცლიაში; რამდენიმე დღე რომშიც დავყავი. მრავალი საინტერესო რამ ვნახე.

დიახ, რა თქმა უნდა, შევეცდები და გამოვქებნი რამდენიმე შურნალს, რომელთანაც კავშირი საინტერესო იქნება თქვენთვისაც და მათთვისაც.

და თუ ღმერთი ინებებს და ჯანმრთელობა ნებას მომცემს, 2008 წელს გენვევით.

ჩემთვის დიდად სასიამოვნო და საამაყო იყო თქვენთან ერთი წლის მანძილზე მუშაობა.

გულწრფელად,  
პირჯილ ნემოიანუ



ირა ორჯონიკიძე

## ციკლიდან „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა“

\* \* \*

არ დაგიმაღავ,  
მეშინია ამ ქვიშრობების.  
ჩემ თვალწინ დაშრა ოაზისები;  
უდაბნო კი, ღმერთო ჩემო,  
როგორ იზრდება...

### მზე ნელა ჩადის

ნამოჭარხლებულ სანიერთან  
ისვენებს თვალი.  
აალისფერდა მთის ძირიც და  
უხნავი მიწაც.  
უძლური ტალღა  
შემეხო და წამს უკუიქცა,  
წაშალა თითქოს  
უღიმღამო სურვილის კვალი...

ეჭვს თუ შეჰყევი,  
უეჭველსაც აურ-დაურევს!  
რალას ინაღვლი,  
რად ჩაჰკიდე უღონოდ თავი?!  
შიშინებს ყურთან  
წამიანი, თბილი ზღვაური,  
მხურვალ ქვიშაში  
თავწარგული წრიალებს ნავი...

### არჩევანი მა...

ბუხრის ყელში  
ჭოტი ბუდობს, სხვენში –  
ბნელი მლამიობი,  
ვებრძვი ლექს და  
ვებრძვი დურდოს,  
წინაღამე არის შობის...

უნდა გამოგვაგო სახლი,  
ძველი ძველზე გადავკიდო,  
მტკივანს ხელი აღარ ვახლო,  
თავი ყურთ ბალიშზე მივდო,

არაფერზე დავიჩივლო,  
არც ვეძებო, არც ვინატრო,  
ტანზე ცეცხლი აღარ ვივლო,  
გულიც აღარ გავიფატრო...

ღმერთო! რასაც ვიქადნები,  
როგორღაც რომ ავიხდინო,  
თუ არ ისევ ჩემი ვნებით  
ვით ვაქციო ლექი ღვინოდ?

რას მოისხამს ლადა-ლუდა,  
ხავსით ახორხლილი კბოდე?!  
ან უგულოდ როგორ უნდა  
მიყვარდე და მიხაროდე?!

### მაისის პოლოს

გადაიგრგვინა.  
გაიქცნენ და  
დასკდნენ ღრუბლები...  
ჩემი მზე არ ჩანს,  
მონმენდილი – არც ლაჟვარდები...  
რა კარგია, რომ  
ნაცვეთს, ერთსაც არ მეუბნები,  
თუმცა სარკმელებს  
მაინც შერჩათ  
ნისლის ფარდები...

ვიდრე აქა ხარ,  
ამ რიდეებს დავაცქერდები,  
უფაქიზესი,  
გადაბმული ძაფებით ნაქსოვს...  
შენს ნადირივით მფრთხალ სიყვარულს  
რა შეედრება,  
რა შეედრება იმ მზის ნათელს,  
ჩემს გულს რომ ახსოვს...

**განწყობილება**

აქ უქმად ვზივარ.  
ნიგნიც კი არ გადამიშლია.  
მზე არ მასვენებს,  
მომადგა და თმას მიღიავენებს,  
ჩაიქცა სხივი,  
ფერდობებზე აღარც ნისლია,  
აღარც ჩანჩალა  
ღრუბლის ნაკუნს  
წენავს ნიავი...

არავინა ჩანს  
ამ სიჩუმის ყურისდამგდები,  
არც სხივიანი და მხურვალე  
მზერის დამჭერი –  
ყვავილთ ნაქსოვი  
რომ აკრიფოს გზად ფარდაგები  
და ცის ნარჩენი – თან წაიღოს  
ლურჯი ნაჭერი...

**სასაქონლო მიპატიჟება**

მოდით, ჭიშკარს გადავიდეთ,  
ავიაროთ ერთხელ კიდევ  
აღმართები ძნელი...  
ნუ ვიჩქარებთ,  
ბევრიც არ ვთქვათ,  
მენისქვილემ  
უკვე დაფქვა  
მოსავალი ჩვენი...

**შინისაკენ მივსაქონლო**

სმა გაზაფხულის –  
უნაზესი და წამლეკავი...  
ნელი ნაბიჯი,  
შორი-შორი,  
მორცხვი ხელკავი,  
ყვავილის ქარი,  
მოვარდისფრო,  
მოტკობო ჰაერი,  
ენის ბორძიკით  
ძლივს ნათქვამი  
სიტყვისნაირი...  
სუსტი სინათლე  
ფეხქვეშ გრძელი,  
თბილი ჩრდილები,  
პირველი ზარი  
სევდის პირველ  
გაკვეთილების...

აღარც შენა ხარ,  
არც იმ დღეთა  
ალი და ლული...  
ო, სიყმანვილევ,  
რა ხმამალა  
გიცემდა გული.

**შეყვარებულზე გულმოსული  
არაყს ხდის და ფიქრობს**

*(თბილირონიული)*

არეული დარებია,  
არეული დადის მთვარეც.  
თურმე, არა ვყვარებივარ!  
ერთი მაგის – ვხუხავ ბარემ!

როცა ქლიავს ქვევრში ვყრიდი,  
მერე ორგზის ვხდოდი როცა,  
ერთხელობას კი ვიფიქრე:  
„არ გაავსებს, ალბათ, ბოცას!“

ახლა ბოცაც სავსეა და  
იმნაირი ორიც კიდევ...  
მე რა მიჭირს!  
ნაცარცხელში  
ცარიელი თავი მიდევს...

**შვიდმანისის წვიმა**

*ვუძღვნი იზოლდა ცერცვაძეს  
და ჩემს თანაკლასელებს*

მაინც გეჩურჩულება  
ლამე მოუსვენარი!  
ვინმე თუ დაგასიზმრა  
ლამაზი და კენარი,

ჩუმად მონატრებული,  
ნაფერები ძილისპირს,  
როგორც დაუვიწყარი  
შენი ჟერარ ფილიპი?

ლამის ოინებია!  
გადმოგინყო კადრებად,  
თუ რამ გიოცნებია,  
თუ რამ მოგენატრება –

ელდაც და სიხარულიც  
და მარია კალასიც,  
ყველაფერი ნამდვილი,  
ყველაფერი ხალასი...



ახლა იმავ განწყობით  
ალარ გამოიდარებს,  
დიდედების აწყობილს –  
შვიდსიმიან გიტარებს,

იქნებ კიდეც ინახავ,  
იქნებ არა ვიცი მე,  
მოდი, დავსხდეთ ინახად,  
ვიდრე გადაინვიმებს...

შორს, ჩვენს სიყმანვილეში  
დიან თბილი წყარონი,  
დღესაც შეუმღვრეველნი,  
დღესაც უანგარონი...

**ნატვრა**

დამესიზმრა – ნათელ ღამით,  
როცა სიჩუმეში ჩქამი  
ისმის როგორც ზათქი ღამის  
შორ კუნჭულშიც სახლის,

როცა მთვარის უხვი სხივი,  
როგორც აღმასების მწკრივი  
მშვიდი ნეტარებით ღვივის  
ბინდბუნდებში ბალის,

გამოვედი გარეთ, ვითომ,  
ვხედავ – სად რომ სიპი იდო,  
გველი ათამამებს ხვითოს,  
ტანჭრელი და მარღი...

მესმის – ვილაც მეუბნება,  
„სამი ნატვრის გაძლევ ნებას,  
ოლონდ ერთს კი, ოლონდ შვებას  
ნუ ჩაუთქვამ – არ ღირს!“

მე კი, ღმერთო, როგორ მინდა  
ტკბილსაც ვკრეფდე ცოდვის ხიდან,  
ვინატრო და გადმოვიდეს  
ანგელოზი მაღლით...

**საგაზაფხულო სანტიმენტები**

იქნება ჩემი წასვლის დროც არი,  
მაგრამ არ მიშვებს ჩუმი მოცხარი,  
გული და გულის ძარღვი ცოცხალი,  
და კიდეც ერთი ხმა საოცარი...

არ მიშვებს ჩემი დედინაცვალიც, –  
უნდა ვურკვიო ბზისგან მარცვალი,  
დავუნთო ცეცხლი, ვხვეტო ნაცარი,  
და ბროლის ქოშიც – მუდამ ცალ-ცალი,

ვაჩუქო ჩემს დებს – სიტყვის მპარავებს,  
გულმოცარულებს – გონშემზარავებს,  
არ მოერგება, ვიცი, არავის!  
მაინც მაღალი ღმერთი ჰფარავდეთ!

აურაცხელი მაკავებს დარდი,  
გადაუბმელი კვანძი და ხლართი,  
დილის ცვარ-ნამით სოველი ღართი  
და... მატყუარა მზეც შლეგი მარტის...

**წვიმიანი გაზაფხულის  
ქრონიკა**

ულონონი, უგონონი,  
ცივი, აცაბაცები,  
თავს გავიდნენ ეს წვიმები,  
როგორც ჩვენი კაცები.

თითქო დამყაყებულწყლიან  
ჭურჭლებს მოხსნეს საცობი,  
იმნაირი სუნი ასდის  
თავაშვებულ ღვარცოფებს...

მენატრება ამინდები,  
სიყვარულით მდიდარი,  
ღმერთო, როდის გადაიღებს,  
როდის გამოიდარებს...

**მეგობრის შებონებანი**

გულს გიჩუყებს შავი შაშვი,  
შენს ბალს შემოჩვეული...  
გაიზარდა ყველა ბავშვი –  
მცონარეც და რჩეულიც...

ნულარ, თავანყვეტილ ქარებს  
ნულარ გაეტირები,  
ნუ ინალვლებ,  
დაივიწყონ ოდეს დანაპირები...

დაიჯერე, ღმერთი განყრა,  
რისხვა ჩვენზედ მოსულა,  
აქ არავინ აღარ არის  
სიყვარულით ორსულად!

დაცხრი, გულიც დაიოკე,  
დაისვენე, დრო არი,

გადაშალე კარგი წიგნი,  
გინდაც „მადამ ბოვარი“ ...

დაჯექ, სიტყვას დაუყვავე,  
სტრიქონს აბი სტრიქონი,  
თვალი მოიწყლიანე და  
სულაც გამოიგონე!

თორემ განყდა ყველა ძაფი!  
შავი შაშვის ჰანგებიც,  
მიითვალე, ვით ნიშანი  
უცდომელი განგების...

**მარტოხელა მებოზარს**

*და ყველას, ვისაც ეკუთვნის*

როგორ უძლებ ახალ-უხლებს,  
არას ჩივი ნუთუ?!  
ავდრის მაცნეთ – მტკივან მუხლებს,  
ჰაერს ჩამოხუთულს,

კრამიტს – აყრილს, მაისს – მშიერს,  
უციაგო ცისმარს,  
როგორ უძლებ უკაცრიელ  
სანოლსა და სიზმარს?!

შემოგწვდება ღია სარკმლით  
ბროწეულის ალი,  
ო, სასტიკი ძველი სარკე!  
როგორც ძველი ვალი,

თავს გახსენებს დარდი მზეზე,  
და სიბერის ქართან  
სხვას არაფერს იმიზეზებ  
უფლის ნების გარდა...

**უპილობა**

ვერ მოვხუჭე თვალი წუხელ, –  
ავედევნე ღრუბლის ნახევს,  
ალარც ღმერთი შევანუხე,  
ალარც სულდგმულს დავენახვე...

ვიტრიალე, როგორც კაბდომ,  
რომ მოთენდა, როს იალა,  
გულმა გარეთ გამომაგდო,  
გულმა ამახეთიალა.

ახლა ვდგავარ სანაპიროს,  
სადაც ერთხელ ვიდექ ოცის...  
ავი რომ არ დავაპირო,  
ქარი მცემს და წვიმა მკოცნის...

**უსიტყვოდ**

სხვაგან არსად,  
არსად წვიმს,  
ჩემს ეზოში  
ბარდნის!  
ცა დაემხო  
ქედის ქიმს,  
სახელს იხვეჭს  
მარტი!

არ წავისვამ უმარილს!  
თუ ვენდობი გუმანს,  
ვიცი, რად დუმს სტუმარი,  
იცის, რატომ ვდუმვარ...

**ქრონიკა**

9 ივნისს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა გივი ალხაზიშვილთან, როგორც პოეტთან – ეს მთავარი ასპექტი გამოიჩინა მისი მეტად კოლორიტული სამწერლო მოღვაწეობიდან.

გივი ალხაზიშვილი – რომანისტი, ნოველებისა და მინიატურების ავტორი, კრიტიკოს-ესეისტი, პუბლიცისტი, გამომცემელი – მრავალფეროვანია მისი საქმიანობის არეალი, ხელოვანის მარჯვენით გამოკვეთილი და ამიტომაცაა ასე მკაფიო მისი მოღვაწეობის კვალი ჩვენს ლიტერატურულ-კულტურულ და საზოგადოებრივ სივრცეში. იგი ახალგაზრდობისათვის რჩება მაგალითად, თუ როგორ არ უნდა დასჯერდეს შემოქმედი მიღწეულს და ყოველთვის გაუნელებელ ძიებაში იყოს, სულ სრულყოფილები-საკენ სწრაფვაში.

გივი ალხაზიშვილი ტრადიციის ერთგულებასაც ინარჩუნებს და არც მოდერნული ხერხებია მისთვის უცხო. მისი პოეზია აღ-

მსარებლობით ყაიდისაა და თითქოს ტრიბუნა არ უნდა უხდებოდეს, მაგრამ პოეტის დეკლამაციური ხელოვნება მსმენელსაც არანაკლებ ალელევებს, ვიდრე მკითხველს.

ისაუბრა აგრეთვე თანამედროვეობის უმწვავეს ზნეობრივ და საზოგადოებრივ პრობლემებზე, რაც არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვისაა საჭირობოროტო, არამედ დასავლური სამყაროსთვისაც, რადგანაც სულიერების უკმარისობას ყველა ერთნაირად განიცდის, ვისაც ალელევებს კაცობრიობის ბედი. განაცხადა, რომ გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით გვევალება გადავარჩინოთ ჩვენი ეროვნული მეობა და კულტურის თვითმყოფადობა.

შეხვედრას ემზარ ჯგერენაია უძღვებოდა, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, სიტყვით კი გამოვიდნენ: მერაბ ლალანიძე, როსტომ ჩხეიძე, ტარიელ ჭანტურია და ზაზა შათირიშვილი.



**ბიოგრაფია?** – თითქმის არ გამაჩნია. თუ არ ჩავთვლით, რომ დავიბადე თელავში. 1995 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი უახლესი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. 2002 წლიდან ვმუშაობ ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ამავე დროიდან ვთანამშრომლობ პრესასთან. და მთავარი: მყავს ორი შვილი და პოეზია – ჩემი გატაცება. თუ მე – მისი.

**დარეჯან სუმბაძე**

**ყველაფერი ძველებურადაა**

აქ ყველაფერი ძველებურადაა  
სახლიც, კედლებიც, მწვანე ეზოც და  
მიმოზებაც აღარ დარდობენ ეჭვებისგან,  
როცა თვალს ვხუჭავ.  
თითქოს იგრძნეს და მომიმარჯვეს  
ვაშლის ხეებმაც ორივე მუჭი –  
თუ გამოვიცნობ დამარწმუნონ,  
რომ ყველაფერი ძველებურადაა  
დიდი ხნის შემდეგ.  
შენც აყოლილხარ მკრთალ ხეივანებს  
და ძველ სურვილებს – როგორც თამაშში  
გატარებდა და გიყოლებდა  
ზოგჯერ გვერდით და  
ხშირად კი ფეხქვეშ...  
აქ ყველაფერი ძველებურადაა.  
ვხუჭავ თვალებს, რომ დავინახო:  
მოახერხე და დაანგრე. მერე ჩემიდან  
ნარჩენები ისე სუფთად გამოიტანე,  
სიცარიელეც აღარ დარჩა, აღარ ხმაურობს.  
ბოქლომდადებულ სამკაულების კიდობანში  
მოაქციე მკვეთრი დღეების აურზაური,  
გადმოალაგე თაროებიდან დაპირებების  
ჩემიგულისფერი ტომეული  
და მომახედე მომავლიდან,  
რომ დაგაჯერო, თითქოს სავსე ვარ.  
და მათქმევინო გულის გარეშე:  
აქ ყველაფერი ძველებურადაა  
ჯერ კიდევ...

**თმით ვსუნთქავ**

ფანჯრის ყურები დავგმანე.  
ფარდა-ჯალუზებს თვალები ავუხვიე,  
ველარ ხედავენ გადაჩვეულ ახირებას  
შემოდგომაზე წვიმების წკაპებს  
აყოლილი სუნთქვა შევიკრა

დარჩენილი ერთი ღილით  
(დანარჩენი დაუდევრობისგან შემომეკარგა).  
რა არის ერთი ღილი ნოემბერში,  
ვერ ერევა. ყურებს აფარებს,  
თმას ახარებს – ის ისმენს  
დაგმანული ყურების და თვალების ნაცვლად.  
მიცვალებული ფანჯრისკენ გახედვაც არ სურს –  
შენი სიტყვების ბალზამით ითქვამს სულს.

**არიადნეს ზღარბი**

ზღარბს, ხელისგულზე ყინვით შეკუმშულს,  
ვცდილობ, ვუპოვო მკერდის საკინძე.  
მყავე ურუანტელს რომ მივსებს პეშვით,  
მჩხვლეტავ ნათებას მიქრობს აკინძულს

ქინძისთავებად. ნამკალ თავთავებს  
ვალაგებ გამხმარ ნა-მზესუმზირალს  
-შორის, ამოზრდილ სტალაგმიტებზე  
დართულს ცხვრისფერი მატყლის კუზიდან

აქლემის ეჭვებს – ბამბის ძაფების  
ბენვის ხიდად და ბილიკად ნაქსოვს.  
და არიადნეს ტერფქვეშ დაფენილ  
ცივი ქვეყნიდან გზას ვიდრე ახსოვს

და შეუძლია ვიდრე გაუძლოს –  
მჩხვლეტავ ბურთულას თითებს ვაბიჯებ.  
ვეძებთ:  
მე – ზღარბის გულის საკინძეს,  
ეკლები – ჩემი სისხლის ნარინჯებს.

**სიზმრის კალმასი**

დამე ნახშირის წინდებს ირგებს,  
ნათურები ქცეულან ფერფლად  
მძიმე სხეულებს ებნევიან და ჩრდილს უქრობენ.  
რევმატიული წინათგრძნობა მოიკვეთს მუხლებს  
გავარვარებულ ოქროს სურამში,  
ააშიშხინებს წვეთების ქუხილს,  
ნისლეულის ბამბის ფიქრების.

დაიძინე.  
ღამით ამ სხეულს არ ვეკუთვნი.  
ძალის ამაყი ერთგულება  
როცა მძაფრდება,  
თანაც დეკემბრის ოცდაერთამდე,  
ღამე მუქია,  
თვალებს სითეთრე ეკარგება,  
აუყვება კალმასის სიზმარს,  
განთიადამდე იქ მუქია,

ვიდრე ბგერები აირევა,  
ვიდრე მზის გულის  
უტეხილო კარდიოგრამა  
შემოდგომის გადაბმულ წვიმებს დაემსგავსება,  
როგორც ჩვენგან გაქცეული უთავბოლო გრძელი  
ჩრდილები.

და რაკი აქ ხარ და გჭირდები,  
ვალეზ დარაბებს.  
ოთახში, ღამის სიცივემ რომ დაასამარა,  
იძინე მშვიდად.  
სიზმრის კალმასხს  
მე ვუდარაჯებ  
გიორგობის ქარის ამარა.

**ჩემი თეატრი – დაბადება**

მზერით ვიპოვე. თუმცა ოდითგან  
აქ სირინოზებს ბინა ედოთ.  
მოიისფრო მდინარეები ღომის ხახიდან  
ბილიკს ბაძავდნენ.  
ბილიკზე ფენის დაბიჯება დაგენანება.

ბულბულებმა მომღერალო  
ბუმბულები აათრთოლეს ქვაფენილად – შეეხე  
წეროებმა დაუზარებლად მოიკეცეს ნემსის ფეხები –  
წერენ დაუღლებლ ორფეხა სკამებს  
სპილენძის დაფის ფირფიტაზე – დაისვენე.  
თვალეები სვამენ და ვერც სვამენ  
ამფითეატრის ნარინჯის ბორცვებს –  
უმალავენ ღიანები ვუალის ფარდის  
ლილიების მჭვირვალე კოცონს – ილოცე.

კარი არის, კარი არ არის – ფარშევანგები  
მხოლოდ დროდადრო ე-ფარ-ებიან  
შე-ვან-ულ თალებს,  
ჯადოსნური სიტყვა რომ აღებს:  
“სიმსიმ, გაილე”.

ვპატიუებ ყველას,  
ყველას: ვისაც ბავშვობა ახსოვს.  
ვინც შეეღევა გაიხადოს სხეულის საზრდო:  
შური, ეჭვი, ღალატი, სქესი.

ნაცვლად მოირგეთ:  
თრთოლვა – შობილის.  
აღფრთოვანება – ბავშვის გულის,  
ბედნიერება – დაბადების.  
შთავგონება – პოეტის ლექსის.

კეთილი იყოს – თქვენ დაიბადეთ  
აი, აქ კი  
მე ვიქნები დიასახლისი.

\* \* \*

*კვირის*

დღესაც ქარია, როგორც გუშინ. უერთმანეთოდ  
დახარეს სავსე თავები და ფიქრში მიდიან  
მატარებლები. შენ კი ზიხარ. უნდა გაერთო  
და გადაართო მორბენალი მზერა ხიდიდან

ხიდეებს და ხეებს. რომ გკარგავენ შენი სიჩქარით.  
შენი ნადილით. დაჟინებით. თუმცა ამაოდ  
რომ გეჩვენება, როგორც გუშინ, დღესაც იჩქარე.  
მერე სისწრაფით გალურჯებულ ქარში ბანაობ.

რომ გადაივლო ბოლო ყლუპი ზიგზაგი-ქარი  
და გამჭოლ ხვალეს დაუმსხვრიო ხსოვნა-ნიჟარა  
მატარებელში. გაგიმართლა თუმცა იჩქარე,  
მიუხედავად ამის, მაინც გამოიდარა.

**სიმართლე**

სიმართლე ისე უგრძნობია, ცივისსხლიანი,  
როცა ვბრუნდები  
და ბუხართან შეყუჟული სიცივე მხედება  
და ქამასკოს ნაკვერჩხლებზე როცა ვალაგებ.  
დამწვარი ხორცის სუნი რომ არა.  
მშვიდად შესცქერი აბოლებულ ანაბეჭდებს ჩემი  
თითების -

ამ დროს არ გძინავს, არ ფიქრობ, არ გასურს.  
მხოლოდ იკრებ სოკოს ულუფად  
მომავალს, წარსულს  
იმ შუადღეში,  
სადაც იკრებ გულქვა სიმართლეს -  
უვნებო სოკოს ბუტაფორიას.

**სიშიშველი**

ვყოფილიყავი თითქოს ქალთევზა,  
მინაზე სიტყვა ვერ ვიპოვე.  
სიტყვის ზღვაში – ფრთები შემესხა.

წყლის ჩრდილი გავდა შეღამებას სარაფანის  
ღრუბლიან ზღვაზე.  
ზღვიდან ამოსულს აღარ დამხვდა ჩემი სამოსი –  
არყის ტყეების თხელი მინორით.  
შევიფერე ძველი სიშიშველე – საკვები მათი  
ალმაცერი ვინრო გუფების.

ნუთუ ფიქრობთ, მე თქვენს თვალწინ შევიმოსები.  
ნუთუ ფიქრობთ, – აბრეშუმის სიკაშკაშიდან,  
ვიდრე კაბამდე – ზღვის სიტყვების სანავარდომდე.

მიყურეთ. კარგად შემისწავლეთ.  
მე ვარ მასალა – სენსაცია – ლამის ოცნება  
უჰონორარო ჟურნალისტების.

იქნებ, სახელი – უსახელო ვარსკვლავისთვის დიდი  
ხნის შემდეგ.  
ანდა, საბაბი – შენი სიტყვის დაბადებისთვის.

ოღონდ, მანამდე გაზაფხულის მაუნყებელი  
თხელი კვირტები ჟრუანტელად უნდა დამასკედეს.

მანამდე კი – დეკემბერში – ისე უკვირთ ჩემი  
სიშიშვლე,  
თითქოს სიშიშვლე – ამავე დროს – ხის თვისება არ  
ყოფილიყოს.

უცხოეთის ცხოვრებიდან

# ამერიკული ლიტერატურის ერთი ვეშაპი

\*  
სოლ ბალოუ

შარშან, 5 აპრილს მასაჩუსეტსში გარდაიცვალა მსოფ-  
ლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანისტი,  
1976 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში,  
ამერიკელი მწერალი სოლ ბელოუ. იგი მაშინ 89 წლის იყო.  
სულ რამდენიმე თვე დააკლდა, რომ თავისი 90 წლის იუ-  
ბილე ეზეიმა.

სოლ ბელოუ, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია  
სოლომონ ბელოუზი, 1915 წლის 10 ივლისს დაიბადა კანა-  
დაში, კვებეკის პროვინციაში. აბრამ ბელოუზისა და ლიზა  
(გორდონ) ბელოუზის ოთხი შვილიდან ყველაზე უმცროსი  
იყო. ბელოუზები რუსი ებრაელები იყვნენ, რომლებიც კა-  
ნადაში პეტერბურგიდან გადასახლდნენ 1913 წელს. სოლ  
ბელოუ იზრდებოდა გარემოში, რომელიც „ნაწილობრივ  
საზღვარი იყო, ნაწილობრივ პოლონური გეტო, ნაწილობ-  
რივ კი შუა საუკუნეები“. იგი ინტერესით კითხულობდა  
შექსპირს და XIX საუკუნის მწერლებს. ბავშვი, რომელსაც  
ძველი ალტემის ტრადიციების მიხედვით ზრდიდნენ, სხა-  
პასხუპით ლაპარაკობდა ოთხ ენაზე. მამამისმა, რომელიც  
სპირტიანი სასმელებით კონტრაბანდისტობდა, 1924  
წლიდან, მას შემდეგ, რაც ოჯახი ჩიკაგოში გადასახლდა,  
ნახშირით ვაჭრობას მიჰყო ხელი.

9 წლის სოლ ბელოუ ჩიკაგოში გადასვლით პროვინცი-  
ელიდან უზარმაზარი ქალაქის მცხოვრებად იქცა. „მე ჩი-  
კაგოში გავიზარდე და თავი მკვიდრ ჩიკაგოელად მიმაჩ-  
ნია“, – წერდა მოგვიანებით. ოჯახი ჰუმბოლდტპარკში  
დასახლდა, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს  
შორის, სადაც ბელოუ და მისი ამხანაგები კვირაში ერ-  
თხელ საქველმოქმედო სკოლაში იკრიბებოდნენ და ერ-  
თმანეთს თავიანთ თხზულებებს აკითხებდნენ.

„მე და ჩემი თანატოლები პირდაპირ ვგიჟდებოდით  
ლიტერატურაზე“, – იგონებდა ბელოუ.

დედას შვილის რაბინობა სურდა, ბავშვი კი პატარაო-  
ბიდანვე მწერლობაზე ოცნებობდა. ამერიკის ქრელი, ფე-

რადოვანი ქალაქი მისი წიგნების გმირად იქცა. ერთ-ერთ  
ინტერვიუში ბელოუმ ჩიკაგოს თავისი „შემოქმედების ბუ-  
ნებრივი ინგრედიენტი“ უწოდა.

„როცა თქვენ ხანგრძლივად ცხოვრობთ ერთ ადგილ-  
ზე, ის თითქოს თქვენს სულად იქცევა ხოლმე, – ამბობდა  
მწერალი. – თქვენს გარემომცველ სინამდვილეს და  
თქვენს სულიერ სამყაროს შორის დაუსრულებელი ურ-  
თიერთობაა, რაც თქვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. აუ-  
ცილებელი არაა, ეს სიყვარული იყოს, შეიძლება უბრა-  
ლოდ შეჩვევაც დავარქვათ, მაგრამ შეუძლებელია არ იგ-  
რძნოთ“.

სკოლის დამთავრების შემდეგ – 1933 წელს – ბელოუ  
ჩიკაგოს უნივერსიტეტში შევიდა, მაგრამ იქაური ატმოს-  
ფერო რატომღაც სასტიკად თრგუნავდა და ორი წლის მე-  
რე ნორტუესტერნის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც  
ანთროპოლოგიას სწავლობდა. 1937 წელს ბაკალავრის  
ხარისხი მიიღო სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაში.  
რამდენიმე თვე ვისკონსინის შტატში ასპირანტურაში  
სწავლობდა, შემდეგ კი ჩიკაგოში დაბრუნდა და ბავშვო-  
ბის ოცნება აისრულა – წერა დაიწყო.

პირველი მოთხრობა „დილის ორი მონოლოგი“ 1941  
წელს გამოაქვეყნა, იმავდროულად ჯერ კლერკად მსახუ-  
რობდა რომელიღაც ფედერალურ კომისიაში, შემდეგ პე-  
დაგოგობდა და რედაქტორად მუშაობდა ენციკლოპედია  
„ბრიტანიკაში“. მეორე მსოფლიო ომის დროს ბელოუ ამე-  
რიკის სამხედრო-საზღვაო ქვეით ჯარში მსახურობდა.  
სწორედ იმხანად დაამთავრა პირველი რომანი „ჰაერში  
გამოკიდებული კაცი“, რომელიც 1944 წელს გამოაქვეყნა.  
წიგნი დღიურების ფორმითაა დაწერილი. რომანის გმირია  
წვევამდელი, რომელიც უწყებას ელოდება ჯარში წასას-  
ვლელად. ის საერთოდ არ იცნობს ცხოვრებას, არავითარი  
ადგილი არ უკავია საზოგადოებაში. ამერიკელი კრიტი-  
კოსი ედმუნდ უილსონი კეთილად გამოეხმაურა „ჰაერში  
გამოკიდებულ კაცს“. მასში დაინახა „მთელი თაობის გან-  
წყობილების ყველაზე მართალი ასახვა, თაობისა, რომე-  
ლიც დიდი დეპრესიისა და მსოფლიო ომის პერიოდში  
აღიზარდა“.

1946-დან 1948 წლამდე სოლ ბელოუ მინესოტის უნივე-  
რსიტეტში კითხულობდა ლექციებს, წერდა ესეებს და  
მოთხრობებს. იმხანად დაწერა მცირე ზომის ნაწარმოები  
„მსხვერპლი“. მასში მოთხრობილია ნიუ-იორკელი ჟურნა-  
ლისტის ოჯახური და რელიგიური კონფლიქტების შესა-  
ხებ. მართალია, ამ თხზულებას ის რეზონანსი არ მოჰყო-  
ლია, რაც პირველ რომანს, მაგრამ მწერალს სწორედ ამ  
ნაწარმოებისთვის დაუნიშნეს გუგენჰაიმის სტიპენდია,  
რამაც საშუალება მისცა მომდევნო რომანზე ემუშავა

1948-1949 წლებში და პარიზსა და რომში ეცხოვრა. მწერლის მესამე რომანი – „ოგი მარჩის თავგადასავალი“ ეროვნული პრემიით აღინიშნა და წლის საუკეთესო წიგნად აღიარეს. რომანში აღწერილია თავგადასავლების მადიებლის ცხოვრება, დაწყებული მისი ბავშვობიდან ჩიკაგოში და მონიფულაბის ასაკით დამთავრებული, როცა იგი ომის შემდგომი ევროპის შავ ბაზარზე მუშაობდა. „ოგი მარჩმა“ მწერალს პირველი ნამდვილი წარმატება მოუტანა. სოლ ბელოუმ ამ რომანში თავი აარიდა ტრადიციულ, ქრონოლოგიურ თხრობას. იყენებს ისეთ ხერხებს, როგორცაა კამათი-დიალოგი ნაწარმოების მთავარ გმირსა და მის შინაგან ხმას შორის, ასევე გაცხოველებული საუბარი სრულიად განსხვავებულ ადამიანებს შორის, რომელნიც იძულებული არიან, არსებობისთვის იბრძოლონ დიდი ქალაქის კოლორიტულად აღწერილი ცხოვრების ატმოსფეროში.

„ავტორის შესანიშნავი მონაპოვარია ოგის ცოცხალი, პრეტენზიული ენა“, – აღნიშნავდა ამერიკელი კრიტიკოსი ალფრედ კაზინი.

„გაოცებას იწვევს მწერლის მახვილგონიერება და ემოციური გაქანება, რაც ბელოუსთვის ადრე არ იყო დამახასიათებელი“, – მიაჩნია ამერიკელ პოეტს ჯონ ბერიმენს.

50-იან წლებში ბელოუ ინგლისურ ენას ასწავლიდა ჯერ პრინსტონის უნივერსიტეტში, შემდეგ კი ბარდკოლეჯში. ინტელექტუალური პროზის აღიარებული ოსტატი კარგად უთავსებდა ერთმანეთს მწერლობასა და პედაგოგობას. იგი დიდად აფასებდა უნივერსიტეტის ატმოსფეროს, რომელიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ურთიერთობის საშუალებას აძლევდა. იმ ხანად მან გამოსცა კრებული „ჩაეჭიდე დღეს“. იგი შედგება სამი ნოველისაგან, ერთმოქმედებიანი პიესისა და მოთხრობისგან, რომლის სათაურიც მთელი წიგნის სახელწოდებააა გამოტანილი. ამ მოთხრობის გმირია ტომი უილჰელმი, რომელსაც მიაჩნია, რომ იოლად ნაშოვნი სიმდიდრე დაეხმარება, თავი დააღწიოს „მოსაწყენსა და ნაცრისფერ ყოველდღიურობას“. ამიტომ ცდილობს, „მომენტი დაიჭიროს“ და ფულს სარისკო საქმეში აბანდებს. ამის შედეგად გაკოტრებული უილჰელმი დაკრძალვაზე მოხედება და მწარედ ატირდება, როცა გააცნობიერებს, რომ „ადამიანის მთელი შფოთვა და ღელვა დამშვიდებით კი არა, დავიწყებით მთავრდება“.

„ნიუ-იორკ თაიმს ბუქ რევიუში“ გამოქვეყნებულ სტატიაში კაზინმა ბელოუს ამ წიგნს „ძალზე გულისამაჩუყებელი წიგნი“ უწოდა, ხოლო ინგლისელმა მწერალმა პრიჩეტმა – „პატარა პირქუში შედევრი“.

სამი წლის შემდეგ ბელოუმ გამოაქვეყნა რომანი „ჰენდერსონი, წვიმის მეფე“, რომელიც მკითხველს მოუთ-

ხრობს ერთ მილიონერზე, აფრიკაში რომ გაემგზავრა, რათა, როგორც თვითონ ბელოუმ განსაზღვრა, „სიკვდილის შიშისგან განკურნებულიყო“.

ნიუ-იორკის ლიტერატურული ცხოვრებით იმედგაცრუებული სოლ ბელოუ ჩიკაგოში დაბრუნდა, „ჭეშმარიტ ამერიკაში“, სადაც 1962 წლიდან მუდმივად ცხოვრობდა.

მალე მწერალმა მუშაობა დაიწყო ჩიკაგოს უნივერსიტეტში. გახლდათ საზოგადოებრივი აზრის ფაკულტეტისაშორისი კომისიის წევრი. მისი მომდევნო ნაწარმოების – „ჰერცოგი“ – გამოსვლის შემდეგ, 1964 წელს, ბელოუმ კვლავ მიიღო პრემია წლის საუკეთესო წიგნისთვის და მიენიჭა აგრეთვე საფრანგეთის საერთაშორისო ლიტერატურული პრემია.

იგი ამ პრემიის მფლობელი პირველი ამერიკელი მწერალი გახდა. „ჰერცოგის“ გმირი უნივერსიტეტის პროფესორია, რომელიც ცდილობს, დაძლიოს გაუცხოება საკუთარი თავისა და საზოგადოებისგან. ბრწყინვალე ერუდიტი, თანამედროვე საზოგადოების პრობლემებისა და მანკიერებების სპეციალისტი მოხეს ჰერცოგი თავგამოდებით ებრძვის ამქვეყნად გამეფებულ უსამართლობას, შედეგად კი ცხოვრებას ისეთად იღებს, როგორც არის. „ბელოუ მხოლოდ თავისი თაობის ყველაზე ინტელექტუალური რომანისტი კი არ არის, – წერდა „ჰერცოგის“ გამოქვეყნების შემდეგ ამერიკელი კრიტიკოსი ფილიპ რაივი, – არამედ მწერალი, რომელიც ყველაზე თანმიმდევრულად აანალიზებს ევოლუციის თემას. გარდა ამისა, ჩემი აზრით, იგი საუკეთესო სტილისტია ამერიკელ მწერალთა შორის“. კრიტიკოსმაც და მკითხველმაც საზოგადოებამაც აღფრთოვანებით მიიღო ეს ნაწარმოები და „ჰერცოგმა“ უმაღლესი წიგნი ნამყვანი ადგილი ამერიკულ ბესტსელერთა შორის.

1964 წლიდან ბროდვეიზე იდგებოდა ბელოუს პიესა „უკანასკნელი ანალიზი“. ბელოუს რომანებს, მოთხრობებსა და პიესებს ლაიტმოტივად გასდევს პიროვნების შიშში გულგრილ საზოგადოებაში. ეს პიესაც სწორედ ამით იყო გამორჩეული.

1967 წელს ბელოუ გაზეთ „ნიუსდის“ კორესპონდენტი გახლდათ და არაბულ-ებრაულ კონფლიქტს აშუქებდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ახალი კრებული „მოსბის მოგონებები“, რომელიც ექვსი ნოველისაგან შედგებოდა, და მწერლის მეშვიდე რომანი „მისტერ სამლერის პლანეტა“ კრიტიკამ სხვადასხვაგვარად შეაფასა, სოლ ბელოუმ 1971 წელს კვლავ მიიღო ეროვნული პრემია წლის საუკეთესო რომანისათვის. ეს უკვე მესამე ეროვნული პრემიაა მის ბიოგრაფიაში.

საინტერესოა თვითონ ბელოუს მოსაზრება კრიტიკასა და კრიტიკოსებზე. ერთხელ შენიშნა, რომ კრიტიკოსე-



სოლ ბელოუ

ბი გაუმართლებელი თავდაჯერებით გამოირჩევიან: ისინი თავს უფლებას აძლევენ, განსაჯონ, თუ რა უნდა ნაიკითხოს ხალხმა და რა არა: „რა თქმა უნდა, უვარგისი წიგნები ყოველთვის მეტი იქნება, ვიდრე კარგი. მაგრამ, ვფიქრობ, ძალზე ცუდია, როცა ვინმე მკითხველსა და წიგნს შორის ჩადგება. ამის შედეგად მკითხველი ორჭოფობს, ღირს თუ არა ამა თუ იმ წიგნის ნაკითხვა“.

რომანმა „ჰუმბოლდტის ნაანდერძევი“ ბელოუს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ორი ამერიკელი მწერლის დაპირისპირების საშუალებით ბელოუ წერს ხელოვანის სულიერი ავტორიტეტის როლზე თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ყველაზე მეტად წარმატება, დიდება და ფული ფასობს.

„მართალია, „ჰუმბოლდტის ნაანდერძევი“ კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ბელოუს უზადო ინტელექტუალურ და ენობრივ შესაძლებლობებს, რომანის იდეური და მხატვრული მიზანი მაინც შეუსრულებელია, – წერდა ამერიკელი კრიტიკოსი როჯერ შატაკი. – რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი ამერიკელი მწერალი ჩარლი სიტრანი ძალზე ახლოა ბელოუსთან, ამიტომ უარყოფითი გმირი არ გამოვიდა...“

„ჰუმბოლდტის ნაანდერძევის“ ერთადერთი სერიოზული ნაკლი ის არის, – აღნიშნავდა ამერიკელი მწერალი და კრიტიკოსი ჯონ აპდაიკი „ნიუორკერში“, – რომ პრობლემები, რომლებიც ავტორს აინტერესებს, რომანში ვერ წარმოჩნდა“. მიუხედავად კრიტიკის ასეთი განცხადებებისა, ბელოუმ ამ რომანისთვის 1975 წელს პულიცერის პრემია დაიმსახურა.

ერთი წლის შემდეგ კი – 1976 წელს – ბელოუს ნობელის პრემია მიანიჭეს ლიტერატურაში „ჰუმანიზმისა და ანალიზის დახვეწილი კულტურისათვის, რაც ასე კარგად ერწყმის ერთმანეთს მის შემოქმედებაში“. პრემიის გადაცემისას ნობელის პრემიების კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა სოლ ბელოუს უდიდესი როლი ამერიკული ლიტერატურის განვითარებაში:

„მან სრულიად ახალი, მხოლოდ ბელოუსთვის დამახასიათებელი სტილი შეიმუშავა. ბელოუ ადამიანს თავისუფლებას ანიჭებს, ამით კი ერთგვარ პასუხისმგებლობას აკისრებს, მოქმედების სურვილს უღვიძებს, მომავლის რწმენას უწერავს“.

ნობელის სიტყვაში ბელოუ საუბრობდა გმირის განადგურებაზე თანამედროვე პროზაში, მაგრამ, ამასთან, ირონიულად იხსენებდა იმ ინტელექტუალებს, რომლებიც „ხელოვნებას მართავენ“.

„ძალიან მართობს, როცა ეს მალალშუბლიანი ესეისტები ცდილობენ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ ამა თუ იმ ლიტერატურულ ფორმას“, – დასძინა მან. და აღნიშნა, რომ „წარმოსახვამ თვითონ უნდა გაიკვილოს გზა საუკუნეში, როცა ლიტერატურული, ფილოსოფიური და პოლიტიკური სისტემები უძლურნი აღმოჩნდნენ დახმარებოდნენ ადამიანს. ჩვენი ყოფის არსი, მისი სირთულე, ხლართები, მისი ტკივილი მხოლოდ წამიერ შთაბეჭდილებებში თუ წარმოგვიდგება, რასაც პრუსტი და ტოლსტოი „თვალის ახელას“ უწოდებენ. რომანი მუდმივ მოძრაობაშია ობიექტურ, ქცევათა და მოვლენათა სამყაროსა და „თვალის ახელას“ შორის, რომელსაც იმის გააზრებამდე მიყვავართ, რომ სიკეთე, რომლისკენაც ყველანი მივის-

წრაფვით და რომელსაც ვებლაუჭებით ბოროტების წინაშე მდგარი, სულაც არაა ილუზია“.

ნობელის პრემიის მიღების ნელს სოლ ბელოუმ გამოაქვეყნა მორიგი ნაწარმოები „იერუსალიმში და იერუსალიმიდან: პირადი შთაბეჭდილებანი“. ესაა დღიური, რომელიც დაინერა მწერლის ისრაელში მოგზაურობისას – 1975 წელს.

„დეკანის დეკემბერი“, რომანი, რომლის მოქმედებაც კომუნისტურ რუმინეთში ხდება, 1982 წელს გამოვიდა. ეს ნაწარმოები კრიტიკამ ცუდად მიიღო. ორი წლის შემდეგ გამოვიდა მოთხრობების კრებული, რომელმაც, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, კიდევ ერთხელ დაადასტურა სოლ ბელოუს ნიჭიერება.

გარდა ასეთი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისა, სოლ ბელოუ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ძალზე სისხლსავე ცხოვრებით ცხოვრობდა. 1937 წელს იგი დაქორწინდა ანიტა გომპინაზე. მათ შეეძინათ ვაჟიშვილი გრიგორი. მწერლის მეორე ცოლი იყო ალექსანდრა შახბაზოვა, რომელმაც 1956 წელს ვაჟიშვილი ადამი გაუჩინა. სიუზან გლასმანთან ქორწინებას (1961 წ.) მესამე ვაჟიშვილი – დანიელი – მოჰყვა. მწერლის მეოთხე ცოლი გახლდათ ალექსანდრა ბაგდასარი, რომელიც რუმინეთიდან ჩავიდა ამერიკაში და მათემატიკას ასწავლიდა ნორტ-უესტერნის უნივერსიტეტში. თვითონ სოლ ბელოუ რაღაცით თავის ლიტერატურულ გმირებს ჰგავდა. ეს იყო ტიპიური ქალაქელი, ჭალარა, მუდამ ფეტრის შლაპიანი, მახვილგონიერი ინტელიგენტი, რომელიც ძალიან სერიოზულად უდგებოდა ცხოვრებას.

ბელოუს ნაწარმოებთა ბევრი პერსონაჟი ავტორის თვისებებითაა შემკული. მწერალმა ეს შემდეგნაირად ახსნა: „გამოცდილებამ მასწავლა, რომ როცა რომელიმე მწერლის კითხვას იწყებ, გარდა სიტყვებისა, იმასაც აღიქვამ, რაც მისი სულიდან მომდინარეობს, ოღონდ სულიდან – არც გონებიდან და არც გულიდან. თითქოს გესმის სიტყვები, რომლებსაც იგი საიდუმლოდ გიჩურჩულებს. მათ შეიძლება მიგიზიდონ ან პირიქით, განგიზიდონ, მაგრამ ისინი უთუოდ ხმიანებენ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სული კვლავ განაგრძობს ჩურჩულს ზუსტად ისე, როგორც მე ვჩურჩულებ განსვენებულთა სიტყვებს. თუკი ეს შევძელი, მხოლოდ იმიტომ, რომ ღვთისმოსავ ოჯახს ვეკუთვნი, რომელმაც მაქცია კიდევ მწერლად“.

სოლ ბელოუს შემოქმედებას თავყანისმცემლებიც ჰყავდა და კრიტიკოსებიც. მაგალითად, კრიტიკოსები, რომლებიც აღნიშნავდნენ მწერლის მიდრეკილებას, თავის ნაწარმოებებში წამოეჭრა ზნეობრივი პრობლემები, უკიფინებდნენ, რომ არ შეეძლო ხასიათების, განსაკუთრებით ქალების ხასიათების მალამხატვრულ დონეზე შექმნა, საყვედურობდნენ სიუჟეტის არასაკმარისად ენერგიულ განვითარებასაც, ესეისტური სტილის გადამეტებულ გამოყენებასაც.

„მართალია, ბელოუს ხშირად მოსდიოდა თავში კარგი იდეები, მაგრამ ზოგჯერ მისი რომანები მონოლოგებად იქცეოდა ხოლმე“, მიაჩნია ამერიკელ მწერალს სტივენ მილერს, ხოლო ამერიკელმა კრიტიკოსმა ჰიუ კონერმა ერთხელ ისიც კი თქვა, რომ ბელოუს მხატვრული მეთოდის შედეგია რომანი, „რომელიც უფრო დისერტაციის შავ მონახაზს ჰგავს“.



მიუხედავად ამისა, კრიტიკოსთა უმეტესობა სოლ ბელოუს ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ ამერიკელ მწერლად მიიჩნევს, რომელიც ისეთ უნივერსალურ თემებზე წერდა, როგორცაა ადამიანის ბრძოლა საკუთარ თავთან, მცდელობა, მოსპოს დაპირისპირება ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, რეალურობის დაკარგვა ილუზორულ სამყაროში, კონფლიქტი იმედსა და სასონარკვეთილებას შორის...

„ბელოუს არა მარტო ყველაზე კარგად წერს ამერიკაში, – აღნიშნავდა ამერიკელი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე ირვინგ ჰოუ, – არამედ ყველაზე კარგადაც აზროვნებს“.

სოლ ბელოუს ყოველ ახალ ნაწარმოებს მუდამ დიდი ინტერესით ხვდებოდნენ. მართალია, კრიტიკა ყოველთვის კეთილგანწყობილი არ ყოფილა მის მიმართ, მაგრამ მკითხველთა სიმპათიები მუდამ მის მხარეს იხრებოდა. ამას მონშობს მრავალრიცხოვანი პრემიები და ჯილდოე-

ბი ამერიკაშიც და მის ფარგლებს გარეთაც – ფრანგებმა იგი საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვეს.

სოლ ბელოუს ღრმა მოხუცებულობამდე განაგრძობდა წერას. ბოლო წლებში დაწერა მოთხრობები „ქურდობა“, „ყველაფერი ყულაბაში“, „ბელოროზასთან დაკავშირებით“. 2000 წელს გამოაქვეყნა რომანი „რაველშტაინი“.

მწერლის გარდაცვალებისთანავე ამერიკულმა კრიტიკამ დაიწყო მისთვის ადგილის ძებნა XX საუკუნის ამერიკელ მწერალთა შორის. ყველა მათგანი სათანადოდ აფასებდა მის დამსახურებას ამერიკული ლიტერატურის განვითარებაში. ყველას კი მწერალმა ფილიპ როტმა „აჯობა“. მან განაცხადა: XX საუკუნის მთელი ამერიკული ლიტერატურა ორ ვეშაპს ეყრდნობა – უილიამ ფოლკნერსა და სოლ ბელოუსს...

მოამზადა  
მანანა ნაცვლიშვილმა

ფილიპ ფორესტი\*

## რომანი პიტერ პენისათვის

\*

გამოსაქვეყნა ნიშნა: როდრიგო ფრასანი\*\*  
(არგენტინა), „ქანსინგტონის პალეტი“

იმ დღიდანვე, როცა ლეგენდა იბადება, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ის მუდამაც არსებობდა. ასეთია ლეგენდის ბუნება. გუშინ შეთხზული ამბავი ისეთივე ძველი გვეგონია, როგორც უხსოვარი დროის მითები და ფოლკლორული თქმულებანი. ბევრ მწერალს როდი ხელეწიფება, არსაიდან მოიყვანოს ფიგურა, რომელიც უმაღლესი დიკავეს ადგილს უნივერსალურ პანთეონში, თანაც ისე მკვიდრად, თითქოს სულ მისი კუთვნილება ყოფილიყო და რომელიც, ერთდროულად ყველა ენაზე, გაიგნებს გზას ნებისმიერი გულისაკენ, მეტადრე ყველაზე ნორჩთა გულებისაკენ; პატარები კი ისე მიიღებენ ამ ფიგურასა თუ გმირს, რომ სულაც არ ინალღლებენ მისი წარმომავლობის თაობაზე, მიიღებენ ერთხელ და სამუდამოდ და თავისი შინაგანი ცხოვრების თეატრში განუყრელ სასცენო პარტნიორად აქცევენ.

ჯეიმზ მეთიუ ბარი გახლდათ ის კაცი, რომლის წარმოსახვიდანაც ამოიჭრა ერთ მშვენიერ დღეს ის სილუეტი, ლონდონის ლამეულ ცაზე რომ გამოიკვეთა, სილუეტი ერთი ბიჭუნასი, რომელმაც უარი თქვა, დიდი გამხდარიყო და არაერთი გოგონა და ბიჭი დაიმგზავრა იმ იდუმალი ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე, „არსაით“ რომ ჰქვია. ბუნებრივი და სამართლიანიც იქ-

ნებოდა, რომ პიტერ პენს დაეჩრდილა მეთიუ ბარი, და რომ ავტორი გმირში განქარვებულიყო. შოტლანდიელმა მწერალმა თავის გმირს გადასცა საკუთარი ცხოვრების მთელი პათეტიკა, ნაზი სევდა და სასტიკი სიხარული, გადასცა, რათა მისგან შეექმნა მასალა საუცხოო, ფერიული თავგადასავლისათვის, რომელიც მანამ გაგრძელდება, „სანამ ბავშვები იქნებიან მზიარულები, უმანკონი და უგულონიც“, ესე იგი, გაგრძელდება მარადიულად.

როდრიგო ფრესანის ნიგნი ჯეიმზ ბარის ცხოვრებას ასახავს და უთუოდ ყველაზე ლამაზი და სამართლიანია იმ ბიოგრაფიულ რომანთა შორის, რაც ასეთი მწერლის სიყვარულით გამთბარ ხსოვნას შეიძლება მიეძღვნას.

„პიტერ პენის“ ავტორის შესახებ დაწერილი ესეების უმრავლესობა მწერლისაგან საგანგებო შემთხვევას ქმნის. მართლაც, გლოვის ადრეული გამოცდილება, სავარაუდო სქესობრივი უძღურება, გარდაუვალი და აშკარად დაუსაბუთებელი ბრალდება პედოფილიისა, – პირველივე შემხვედრ ფსიქოლოგს უხვ მასალას მისცემდა სამუშაოდ. ფრესანმა არჩია, ბარი სასტიკი და მღელვარე ზღაპრის გმირად წარმოედგინა: იყო და არა იყო რა, შოტლანდიის მიკარგულ მინაზე ცხოვრობდა ერთი ბიჭუნა, რომელმაც ძმის სიკვდილის შემდეგ გადაწყვიტა, აღარ გაზრდილიყო; გაემგზავრა ლონდონს და დაეძაქალაქის ყველაზე სულიერებით განმსჭვალულ მწერალთა შორის დაიკავა ადგილი (ამას კარგად მონშობს მისი რომანი „My Lady Nicotine“). ლონდონში ხან ერთ, ხან მეორე მომხიბლავ მსახიობ ქალს ეტრფოდა პლატონურად, ერთი მათგანი ცოლადაც შეირთო, მაგრამ მიხვდა, რომ ამგვარი თამაშები მისი ასაკისათვის შეუფერებელი იყო და არჩევანი ინგლისური კარგი საზოგადოების ერთ ოჯახზე შეაჩერა, თავისადაც აქცია ის და ამ გამოცდილებიდან აიღო კიდევც მასალა ერთადერთი შედევრისათვის – „პიტერ პენი“, რომელიც 1904 წელს შეიქმნა. დაბოლოს, თვალნათლივ დაინახა, თუ როგორი გამამაგებთი ესხმოდნენ თავს მის მეგობრებსა და გმირებს ბედისწერა, სენი და სიკვდილი.

კინალამ დამავიწყდა: როდრიგო ფრესანის ახალი ნიგნი რომანია, რომანი თავისი ისტორიით, რომლის გათვალისწინებითაც „World-literature“-ს დიდ ბაზარზე ფრესანი უნდა წარადგინო, როგორც „ავტორი რამდენიმე რომანისა და ნოვე-

\* ლიტერატურის პროფესორი, ესეისტი და რომანისტი, ლიტერატურული პრემიის – „ფემინა“ – ლაურეატი

\*\* მწერალი და ჟურნალისტი. დაიბადა 1963 წ. ბუენოს-აირესში. ამჟამად ცხოვრობს ბარსელონაში. მის კალამს ეკუთვნის „განაპირა კაცი“ და „ესპერანტო“

ლათა კრებულისა, რომლებიც ითარგმნა მთელს ევროპასა და შეერთებულ შტატებში, „ლათინო-ამერიკული ლიტერატურის განახლების ერთ-ერთი მედროშე“, „ავტორი, რომელსაც გვერდს ვერაფრით აუფლი“, „დაუღალავი, მძლავრი, კანონური“ (მიხვდებოდით, რომ ნიგნის გარეკანის მეოთხე ფურცლიდან მომყავს ეს ციტატები). მეთიუ ბარის ცხოვრების მთხრობელს პიტერ ჰუკი ჰქვია. ეს გახლავთ 60-იანი წლების მოზარდი, LSD-სა და ტელესერიალებზე გაზრდილი, რომელსაც ადრე გარდაეცვალა მშობლები – ეს მითიური წყვილი, არანაკლებ მითიური პოპ-ჯგუფის „Beater“-ის დამაარსებელი, რომელიც თურმე „ბითლზის“ მივიწყებული სერიოზული მეტოქე ყოფილა. როცა გაიზრდება, ბიჭუნა პლანეტარული მასშტაბის ბესტსელერთა იდუმალი ავტორი ხდება. ბესტსელერები ახალგაზრდებს ეძღვნება და იქ ჯიმ იანგის თავგადასავლებია მოთხრობილი. ჯია იანგი ერთგვარი ფსიქედელური (psychedelic) ჰარი პოტერია, რომელიც „ქრონოსიპედის“ მეშვეობით დროში მოგზაურობს და რომლის წარმატებაც ავტორს საბავშვო ლიტერატურის ახალი გენიოსის დაფნას არგუნებს.

კი მაგრამ, სად პოულობენ რომანისტები ყველაფერ ამას? ანდა რატომ? რა საჭიროა ამგვარი ამბების მოყოლა, როცა სწორედ მათი სარჩულის შიგნითაა საძიებელი ის, რასაც ნამდვილი ლიტერატურა ჰქვია.

როდრიგო ფრესანის მთავარი სათქმელი, მისი თხრობის მაგისტრალური ხაზი საუცხოო მედიტაციებია სიკვდილსა და ბავშვობაზე, მათ შორის გაბმული ძაფების შესახებ, რა-

საც ცხოვრების მღელვარე და უსასრულო მდინარება ქსოვს და ხლართავს. „ჩვენ, ცოცხლები, მინდვრები ვართ, სადაც მკვდრებსა სთესენ და აჩრდილებს იმკიან. ჩვენ ნოციერი ნიადაგი ვართ, რომელიც ელის ცრემლის წვიმასა და მერე მოსავლის აღებას, ანუ აჩრდილთა მომკას, როცა მათი ფოთლები და შტონი მნიფობას მიაღწევს. ეს აჩრდილები ცოცხალი მკვდრები კი არ არიან, არამედ გარდაცვლილი ცოცხლები“.

**ფრანგულიდან თარგმნა ნინო ციმაკურიძე**

**მთარბმნელისაბან:**

ჯიმი მეთიუ ბარის „პიტერ პენს“ ბავშვობაში როგორღაც ავცდი და საკმაოდ მონიფულ ასაკში წავიკითხე. გამაოცა ერთმა პასაჟმა, სადაც ანგელოზთა წარმოშობაზე საუბრისას ნათქვამია, რომ გოგო ანგელოზები თეთრები არიან, ბიჭი ანგელოზები კი – იასამნისფერები, ხოლო ანგელოზი, რომელსაც ჯერ ვერ გადაუწყვეტია, გოგო უნდა იყოს თუ ბიჭი, ცისფერია. რა თქმა უნდა, გამიჩნდა გარკვეული ასოციაცია და სახალისო ამბადაც ვყვებოდი, ვიდრე ინგლისურის ჩემზე უკეთ მცოდნეები მეტყოდნენ, რომ ამ მშვენიერ ფერს ინგლისურში სულაც არ გააჩნია გვის დატვირთვა. სტატიის დასაწყისში ლეგენდის დაბადებაზე იყო საუბარი და ეს პატარა ჭორ-ლეგენდაც ამიტომ გამახსენდა.

**ღიალოგი**

ლელა კოდალაშვილი

**ფოლადისსახიანი,  
კარკაბის მმსხპრკველი  
არტისტ-პოეტი  
ღინაბის ალმა  
მსვლელობას ლამობს**

მას ძირითადად თამაში სწყურია. თამაში ლექსებით, თამაში აქციებით, რეგულაციებით, ურთიერთობებით. არტისტულობა აშკარა მოთხოვნილებაა და არავითარ შემთხვევაში ცხოვრების სტილი, ან უარესი – საქმიანობა. თუ ვერც ერთ „სცენარს“ ვერ გადაანყდა, ზურა რთველი-აშვილი მას თვითონ შექმნის, შექმნის ლექსებს, აქციებს, რეგულაციებს, ურთიერთობებს – ექსპრომტ „სცენაზე“ ყველანაირ არტისტულ მოულოდნელობას შეიძლება ელოდო მისგან. ანარქისტული დროში ხელში ის ერთგვარ ეგზისტენციალურ სახედ იქცა ქალაქის ქუჩებისთვის, იგი ზოგს აფრთხობს, ზოგს აღფრთოვანებს – შეფასებები რადიკალურად განსხვავებულია, და ეს ისეთივე ბუნებრივია მისთვის, როგორც პარალელური, ალტერნატიული კულ-

ტურების სინქრონული თანარსებობა. მთავარი კი რთველიაშვილის შემოქმედების თავისუფლების ხარისხია – თავისუფლების ხარისხია მთავარი...

– მოდი, დასაწყისში ერთგვარად შევაჯამოთ ის ლიტერატურული პროცესები, რომელიც განვითარდა საქართველოში – 80-იანი წლების ბოლოს...

არსებობდა გენიალური, მაგრამ ყელში ამოსული ტრადიციული ლექსი, მერე ცალკეულმა ინდივიდუალურმა თუ პატარ-პატარა დაჯგუფებებმა დაიწყეს გარკვეული ალტერნატიული მიმართულებების დამკვიდრება, იმავე დათო ჩიხლაძემ, კარლო კაჭარავამ, ბადრი გუგუშვილმა, შოთა იათაშვილმა, შენ. გაჩნდა ვიზუალური, დადაისტური, საუნდ პოეზია, პერფორმანსი და ა. შ. ავიღოთ თუნდაც თქვენი დაჯგუფება – ანომალისტები...

საერთო ჯამში კი ეს ის ჩანასახი იყო, რომელმაც ადრე, მეოცე საუკუნის დასაწყისში უკვე სცადა განვითარება.

– 80-90-იანი წლების მოძრაობა გარკვეული ფორმის პროტესტიც იყო იმ არსებული რეალობის მიმართ, რაც არსებობდა კულტურაში და საერთოდ, საზოგადოებაში. ამ რეალობის ნაწილი იყო მაშინ იდეოლოგიზირებული



მწერალთა კავშირიც, რომელიც წლების განმავლობაში პოლიტიკური ბერკეტი იყო ბოლშევიკური რეჟიმისთვის მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არაჩვეულებრივი მწერალი და პოეტი მოგვცა იმ ეპოქამ. მაგრამ აქ გაჩნდა აუცილებლობა – გამოგვეხატა პოზიცია, როგორც ცალკე მდგომ ინდივიდებს და გვეჩვენებინა მზადყოფნა, რომ შეგვიძლია რალაცის შექმნა, ახალი ესთეტიკის შემოტანა. ეს იყო რალაც სასწავლო ეტაპი, ერთგვარი ტრამპლინი, რომ შევსულიყავით ამ ლიტერატურულ სივრცეში და ახალგაზრდული ენერჯით შევემდგარეყავით, როგორც ახალი მიწის აღმოჩენები. შემოქმედმა არაერთი ეტაპი უნდა გაიაროს, სანამ მიუახლოვდება იმ წერტილს, რომელთან შეხებაც მიახვედრებს, რომ ეს არის მისი მაქსიმუმი, ის რაოდენობა და ის ხარისხი, როცა მას უფლება აქვს, – გარკვეულწილად კმაყოფილების გრძნობა გაუჩნდეს და თქვას, რომ მე ეს გზა გავიარე, ახლა რალაც ახალია საჭირო. როცა მეცნიერი მიიღებს დოქტორის წოდებას და ჩათვლის, რომ ეს არის პიკი, ის, როგორც შემოქმედი კვდება. თვითრეალიზაცია კი მუდმივად უნდა გრძელდებოდეს ხელოვანში, სხვანაირად ის გადაიქცევა სამუზეუმო ექსპონატად, და გარკვეულ და დაზუსტებულ სტატუსს შეიძენს.

რაც შეეხება მე-20 საუკუნის დასაწყისს, მე უფრო დიდ დატვირთვას მივცემდი, ვიდრე შენ. განვითარება სცადაო, წელან რომ აღნიშნე... მე მთლად მასე არ ვიტყვოდი, რადგან ქართული ხელოვნება საკმაოდ მდიდარია და არცთუ ისე მწირი. 10-იანი წლების ბოლოს, 20-იანის დასაწყისში, ვიდრე საქართველოში პოლიტიკური ვითარება შეიცვლებოდა, ანუ სანამ ფეხს მოიკიდებდა სოცრეალიზმი და ა. შ. ავანგარდისტული ხელოვნება აქტიურად ვითარდებოდა. ამის დასტურია არაერთი პოეტი, იგივე ჯგუფები „41 გრადუსი“, ილია ზდანევიჩი, აქ მოღვაწე გიორგი გურჯიანი თავისი ექსპერიმენტული ჯგუფით... იცი, ეს ხალხი რალაცას ნიშნავს, და თუკი საქართველოს ექსპერიმენტული ხელოვნების თვალსაზრისით შეუძლია თავი მოიხონოს, ძირითადად სწორედ ამ პერიოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კულტურა, რომელმაც დაიწყო ფეხის მოკიდება, ყველასათვის გასაგებ მიზეზთა გამო შეწყდა. არ მოხდა ისე, როგორც ევროპაში. შემდგომში კი ეს დიდი სიცარიელე ხელახლა უნდა შევსებულიყო. მცდელობის შანსი კი 60-70 წლის დაგვიანებით გაჩნდა, რომელიც ზუსტად ემთხვევა წელან ნახსენებ 80-იან წლებს, როცა გამოჩნდნენ ახალი გენერაციის არტისტები, არტისტებს მე იმიტომ ვამბობ, რომ აქ არ არის გამოკვეთილი მხოლოდ პოეტის ცნება. ჩვენი ბაზისი კი პოეზიაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ლექსით შემოვიფარგლებით. პირადად ჩემი ინტერესებიც მაშინვე იყო გამოკვეთილი და ვმუშაობდი იგივე საუნდ პოეზიაში, ჩვენიან ერთად ვითარდებოდა აქციონიზი, პერფორმანსი.

– **დათო ჩიხლაძის პერფორმანსის თეატრმა საკმაოდ აქტიურად შეცვალა მაშინდელი რტ-კლიმატი...**

– ხო, ძალიან საინტერესო როლი ითამაშა მაშინ დათო ჩიხლაძემ, მასთან გაერთიანდა არაერთი ჩვენი კოლეგა, საინტერესო და მნიშვნელოვანი პოეტები, იგივე შოთა ითაშვილი, ალექო შუბლაძე, ამასთანავე, ეს ის პერიოდი იყო, როცა საინტერესო ურთიერთქმედება და პარტნიორობა სხვა მიმართულების არტისტებთან შესაძლებელი იყო, უფრო მეტად მხატვრებთან ერთად ვმუშაობდით, ერ-

თობლივ პროექტებს ვაკეთებდით „მეათე სართულის ავანგარდისტ მხატვართა“ მონაწილეობით, მათთან ერთად ვახორციელებდით ბევრ რამეს, იქნებოდა ეს ნიკო ცეცხლაძე, გურამ ნიბახაშვილი თუ თემო ჯავახიშვილი, ამავე დროს პარალელურად მუშაობდა რეაქტიული კლუბი – კოტე ყუბანიშვილი, ირაკლი ჩარკვიანი. ეს ყველაფერი ცალ-ცალკე არ არსებობდა, საერთო ჯამში სოლიდური ჯგუფი იყო, რომელიც ქმნიდა თანამედროვე ხელოვნებას. ერთმანეთს ვავსებდით და ერთსა და იმავე ინტერესებს ვემსახურებოდით ერთმანეთისაგან ცოტა განსხვავებული კუთხით. საინტერესო პერიოდი იყო.

საერთოდ, თანამედროვე რტ-კულტურას აკლია იმ არსებული ნიშების დაფიქსირება, რაც უკვე არსებობს თანამედროვე ეპოქაში. ეს სამუშაო ჩასატარებელია, საჭიროა ამ პერიოდის კვლევა, ვინ იყო, რატომ იყო, რამდენად საინტერესოა, მნიშვნელოვანია თუ არა, განვითარების ამ შტოს შექმნა აუცილებლად მიმაჩნია. იმსახურებს და საჭიროა ამ ყველაფრის რევიზიონიზაცია. უნდა ვისწავლოთ უბრალო, ადამიანური ურთიერთობა, გავაკეთოთ არჩევანი, რა ენაზე ვსაუბრობთ, სად ვდგავართ, გვინდა ჩვენ, ვთქვათ, პოლიტიკოსების ენა? ან ფილოსოფოსების? ნაპოლეონის სიტყვები მახსენდება, როცა ის კოლეგებს მიმართავდა, თუ არ მეშლება, ასეა – წერეთ კანონები რაც შეიძლება მოკლედ და გაუგებრად. აი, ეს არის პოლიტიკოსების სასაუბრო ენა, და თუ ჩვენც ჩვენს საასპარეზო ველზე იგივე არსენალით წავალთ, რაც მათ დააგროვეს და დაამუშავეს, მოდერნიზაცია გაუკეთეს საუკუნეების განმავლობაში, დავმარცხდებით. ჩვენი პრიორიტეტი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ენა არ არის დაზუსტებული იმ სტერეოტიპებით, რომლებითაც მოქმედებენ ხელისუფალნი და პოლიტიკოსები, ჩვენ უნდა გავხედეთ თავისუფალი საზოგადოება (რომანტიკული არშიით ვმოსავ სათქმელს, მაგრამ...), უფრო მეტად შემოქმედებითი და კიდევ უფრო მეტად საკუთარ ძალაში დაჯერებული. ეს დიდი პრობლემაა. ხშირად მესმის ზოგი ჩემი კოლეგისგან – ჩემი არ ესმით, მე ვინაგრები!.. არ მნამს, არ მჯერა დაჩაგრული კაცის. თუ არსებობს ერთი ადამიანი მაინც, რომელიც დაგისაბუთებს თუნდაც ასეთ ინტიმურ საუბარში, რატომ ხარ საჭირო, რატომაა მნიშვნელოვანი შენი შემოქმედება, ის საკმარისი უნდა იყოს შენთვის, რომ მნიშვნელოვან ხელოვანად იგრძნო თავი. და არც მტრის ხატს არ უნდა დაუნყო ძებნა. თუკი ერთი ადამიანიც არ მოიძებნება, მაშინ საკუთარ თავში უნდა ეძებო პრობლემები, რატომ არ ხდება შენი მიღება. ამგვარი ძალიანხმევი შეიძლება იპოვო შავი ლაქა და ახალი ეტაპი დაიწყო შენს შემოქმედებაში. ეტაპები ხომ ძალიან სწრაფად იცვლება ხანდახან, ხშირად ხდება, რომ ადამიანმა გაიარა გარკვეული გზა, რალაცას მიაღწია და ჰგონია, რომ არ არის საჭირო მისი შემდგომი ზრდა. ასე აზროვნება ხომ აბსურდია. ადამიანი ისეთივე უსასრულოა, როგორც კოსმოსი. ბანალურია, მაგრამ კოსმოსის ნაწილი ვართ და კოსმოსის თვისებები თავისი ამოუწურაობით ადამიანში ყოველთვის იქნება და მარტო ამის გაცნობიერებით უნდა იყო ბედნიერი, ეს გაძლევდეს იმის უნარს და სურვილს, რომ იმოძრაო წინ. არ უნდა ხდებოდეს თვითდალაღობა საკუთარ ცნობიერებაზე, შემოქმედებით პროცესში უნდა იყო ჩართული. საზოგადოებისგან მონიჭებუ-

ლი სტატუსი თავისთავად იარსებებს და მიიღებს საჭირო ფორმას. შემოქმედი კი, თუ თავიდანვე ამაზე ფიქრობს, მისი თვითრეალიზაცია არასტაბილურად და ნელა განვი-თარდება.

– შენ მტრის ძიების მომენტი ახსენე... ხალხში ძალი-ან დიდი დოზით დაგროვდა აგრესია, რომელიც თავის გამოხატულებას ვილაცაში ან რაღაცაში უნდა პოუ-ლობდეს, ამიტომაც წამოეგება ხოლმე რევოლუციურ გამოხდომებსა თუ სხვა ექსცესებს. ზოგადად ჩვენი სა-ზოგადოება აგრესიადაგროვილი საზოგადოებაა, ხე-ლოვნებაშიც ყონავს ეს და ალბათ ბევრი გვიკლია იქამ-დე, სანამ სიყვარულის ეტაპზე გადავალთ. თუმცა, დღეს ისევ მტრის ძიების ეტაპზე ყორეს ვაწყდებით. შე-ნი და შენი თანამოაზრე არტისტ-პოეტთა მდგრადობა როგორია ამ პროცესთან მიმართებაში, თქვენც ხომ არ ეგებით განწყობილებრივ პროვოკაციებს?

– ანუ უნდა არსებობდეს აგრესიის სიმბოლო, რომე-ლიც გამოკვეთილად არ ჩანს. თუმცა, პრობლემები ჩვენ-შია. თუკი რაიმე ხდება, ვგულისხმობ თუნდაც შეცდომებს იგივე ბიუროკრატის მხრიდან, ძირითადად საზოგადოე-ბის მოუმნიფებლობის ბრალია. ზოგადად სახელმწიფო თავისთავად არის ძალადობის სიმბოლო. რამდენადაც ვაძლევთ საშუალებას, მოახდინოს ჩვენზე ძალადობრივი ქმედება, ბიუროკრატია ყოველთვის დაგვჩაგრავს, რა ქნას, ხელთ ყველანაირი ბერკეტი აქვს და ისიც იყენებს. ჰოდა, სწორედ ეს ფეოდალური ცნობიერება უნდა იქნას აღმოფხვრილი ჩვენი ცნობიერებიდან, სხვანაირად ვერ განვითარდებით. არ გადავალთ იმ სიყვარულის ეტაპზე, რაზეც წელან შენ ამბობდი. თუმცა, ეს ადვილი არ არის. საკმაოდ საშიში გზაა. ერთხელ მაინც უნდა შევძლოთ და ჩვენი არჩევანი გვაკეთოთ. ყოველთვის ხელოვნება იყო ამ პროცესების ავანგარდში და რაღაც იმპულსიც სწორედ მან უნდა გააღვივოს, რომ ბოლოს და ბოლოს გაჩნდეს სა-მოქალაქო საზოგადოების მკაფიო ნიშნები. მე ვერ ვიტყვი, რომ ერთი ათწლეული ეყოფა ამას. ბევრი პრობლემაა გა-დასალახი, და როცა ეს მოგვარდება, მაშინდა ვაგზდებით ჩვენ ევროპული ორიენტაციის ქვეყანა, ახლა ყველას პირ-ზე რომ გვაკერია. ვთქვათ, საფრანგეთი, რომელმაც არაჩ-ვეულებრივი მაგალითი აჩვენა მსოფლიოს, როცა ორასმა სტუდენტმა დაიკავა სორბონა და მეორე თუ მესამე დღეს სამი მილიონი ფრანგი გამოვიდა მთელი ქვეყანაში და გააპ-როტესტა უხეშად დარღვეული კანონი. ჰოდა, მეც აი, ისეთ სახელმწიფოს ვისურვებდი, როგორიც საფრანგეთია. აი, აქტივობის ის განწყობა და ხარისხი მინდა აქაც. მინდა, რომ ეს იმპულსი ჩვენთვისაც იყოს ნიშანდობლივი და სა-მაგალითო. უფრო მასშტაბურად უნდა ვიაზროვნოთ. კი, საფიქრალი გაქვს, თავი როგორ გაიტანო, საკუთარი ოჯა-ხი როგორ შეინახო, მაგრამ ჩვენ თუ იმ არაჩვეულებრივ დროს დაველოდებით, როცა ყველაფერი კარგად იქნება და მერე გამაძლარ კუჭებზე დავიწყებთ მანიფესტაციებს, არაფერი არ გვეშველება და საქართველო, როგორც ერი, შეიძლება გაქრეს მსოფლიო რუკიდან. ვილაცა იღებს ასეთ პროცესებს თავის თავზე, რათა აჩვენოს საზოგადოებას, რომ შეცდომის გამოსწორება ყოველთვის შეუძლია. შეგუ-ება კი ნიშნავს სიკვდილს.

– შენ შეცდომა მოგივიდა, როცა უკმეი უახლოეს პე-რიოდში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებს?

– ცოტა არასწორადაა დასმული შეკითხვა. დაახლოე-ბით 6 თვით ადრე ვწერდი:

**დროა მაჩვენე ისეთი გუნდი,  
ამბოხებული რომ გაჰყვეს ხალხი,  
როცა სტროფი ქადაგებას უდრის,  
როცა ტემპი კვილია ქარხნის.**

ეს განწყობა მქონდა 6-8 თვით ადრე რევოლუციამდე და ვწერდი ამ მინიპოემას. პოეტური წინათგრძობა ად-რეც მქონია. ვგრძნობდი, რომ რაღაცა უნდა შეცვლილი-ყო, ჩემშიც დაგროვდა დიდი დოზის ემოცია. ამ კლანური სისტემის წინააღმდეგი ყოველთვის ვიყავი და ვაკრიტი-კებდი. ამით არც თავს ვინონებ და არც ვიმართლებ, არსე-ბობს პრესა, აუდიოჩანაწერები სადაც არაერთხელ არის დაფიქსირებული ჩემი პოზიცია, თუნდაც ის მინიპოემა, რომლითაც რევოლუცია ვინინასწარმეტყველე, ასე მთავ-რდებოდა:

**ოლიგარქები  
ინერენ პირჯვარს,  
რევოლუციამ  
დარეკა ტამი  
დააკანონე,  
ღირსებას ნიშნავს,  
რაც ებრძვის ნიშანს  
სასტიკს და საშიშს,  
დააკანონო უეკლო ვარდი,  
რომ ყველამ კრფით  
იჯეროს გული,  
დააკანონე  
და ისე წადი,  
რომ მიხაკების  
არ გააყვეს სუნი.**

ეს არის რევოლუციის პირველი დღეები და, ბუნებრი-ვია, ასეთი ტონი და მიმართება არც ერთ პოლიტიკოსს არ მოსწონს. ამას მოჰყვა ლექსების მთელი ციკლი ჟურნალ „ალტერნატივაში“, „ნიგნებში“, „24 საათში...“ მთელი ჩემი პუბლიკაციები საბედნიეროდ ამ თემატიკას არ ეძღვნებო-და, მაგრამ შიგადაშიგ ჩემს უკმაყოფილებას გამოვთქვამ-დი სიახლეების მიმართ, რომლისგანაც მეც, ისევე, რო-გორც მთელი საზოგადოება, მაქსიმალურად ბევრს მო-ვითხოვდი. რევოლუცია შეიძლება მოკლე გზაა სიახლის-კენ, მაგრამ მეტად მტკივნეულია, ის პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება აიღოს რევოლუციონმა ხელისუფლე-ბამ, მას მოეთხოვება ასმაგად ბევრი, ვიდრე სხვა პოლიტი-კურ რეჟიმს. ჰოდა შენს შეკითხვას დავუბრუნებდი. არა-სოდეს არავის გვერდით არ ვმდგარვარ. ჩემი შავი, ანარ-ქისტული დროშით ავედი პარლამენტის წინ, პოზიცია გა-მოვხატე ძველი რეჟიმის მიმართ, რომელიც უნდა შეც-ვლილიყო რაღაც ახლით, ვერავითარ კონკრეტულ სახეს იქ ვერ ვხედავდი და არავისტი არ ვყოფილვარ, მით უმე-ტეს, იმ დღეებში. რადგან არასოდეს არ მჯეროდა კონკრე-ტული პოლიტიკოსის.

ყოველთვის რადიკალურად მოაზროვნე პოლიტიკოსი გამოდის წინა ფლანგზე, რათა მონაწილეობდეს იმ პროცე-

სებში, რომელიც რაღაცის შეცვლისკენ არის მობილიზებული, მაგრამ კანონზომიერია ისიც, რომ ავანსცენიდან გადის მაშინ, როცა სპექტაკლი მთავრდება. ჩემთვისაც, ეს ყველაფერი, არტისტული სპექტაკლია, სადაც იმ წუთებში მართლა მინდოდა ყოფნა. იმ მომენტში, ხელოვანი ვარ, პოეტი ვარ, სწორედ იმ წამს, როცა მე ვგრძნობ ამ ძალას, შემოქმედებით განწყობას და მერე კი მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვხდები, ყოველ შემთხვევაში მინდა დავუბრუნდე ჩემს ადამიანურ სანყისს თავისი კარგი და ცუდი მხარეებითურთ. ამიტომაც გავედი ჩემი შავი დროშით და არა ხუთჯვრიანით, რომ ჩემი პოზიცია მინდოდა დამეფიქსირებინა. თუმცა, იყო არაერთი შემთხვევა. ეს ბუნებრივია, რადგან პოლიტიკოსი ასე

აღიქვამს – რაკი შენ თანადგომას გამოხატავ, ე. ი. ამას რაღაცისთვის აკეთებ. ამ დროს, მაპატიე და, სულ ფეხებზე მკიდია ნებისმიერი პოლიტიკოსი, ალექსანდრე მაკედონელიდან მოყოლებული დღემდე, პირველი მტერი ვარ ზოგადად პოლიტიკოსების. ისე, რამოდენიმე მეგობარიც მყავს მათ შორის, მაგრამ არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც პიროვნება, რომელსაც შეიძლება რაღაც შეცდომებზე აქვს.

მაგრამ რაც შეეხება სისტემებს, სანამ სახელმწიფო თავის შიგნით თვისებებს არ დაკარგავს, მე ყოველთვის ვიქნები შინაგანი ოპოზიციონერი, რადგან მე თავისუფალი ადამიანი ვარ, ჩემი მეგობრების მეგობარი, იმ დიდი პოეტების, არტისტების, რომელთა კოლეგობაც შეამაყება ისევე, როგორც მათ, რადგან ერთმანეთს ვავსებთ, და თუკი არ ვიქნებით თავისუფალნი გარკვეული პოლიტიკური ამბიციებისგან, ჩვენი თავისუფლების ხარისხი პოლიტიკურ ინტერესებზე მაღალა არ დადგება, ხელოვნებას ვგულისხმობ, მაშინ რა აზრი აქვს ჩვენს არსებობას და შემოქმედებას, თუკი თუნდაც საუკუნით თუ არა, რამდენიმე ათწლეულით მაინც არ ვუსწრებთ მასის ცნობიერებას? ეს ერთერთი, აუცილებელი პირობაა ხელოვანისთვის. ადამიანური ეგოიზმი სწორად უნდა წარიმართოს და იმ მდგომარეობას მიაღწიოს, როცა ქრება ყველანაირი ეგოს შეგრძნება.

**– აშკარად ნაფიქრი თემებია...**

– ხო, მაგრამ რა არის, იცი? უმიკროფონოდ უკეთესია. ახლა კი, გინდა ერთ სიტყვაში იმდენი რამე ჩაატო და იმდენ რამეს მიედ-მოედო, მოიცვა ყველაფერი და სინამდვილეში პირიქით ხდება.

**– რა თემებსაც აქამდე შეეხე, შენი კონცეფცია გამორჩნდა...**

– ასეთ საუბრებს მე ვუყურებ ხოლმე, როგორც შემოქმედების ნაწილს და საინტერესო ფრაგმენტები რომ გამოიციეს ხოლმე შემოკლებული ვარიანტით, საინტერესო იქნება. მაგალითად, ხელოვანი საკუთარი თავის შესახებ, ან მის შესახებ რას წერენ, რომ გასაგები იყოს, ვისთან გაქვს საქმე.

**– სხვათაშორის, „ოქროს ზოდებსაც“ რომ ქმნიდე ხელოვნებისთვის, შენი ეს ე. წ. პიროვნული რაკურსი – ავი თუ კარგი – ყოველთვის საინტერესოა და უნდა შეგეძლოს, საზოგადოებას ამ კუთხითაც წარმოუდგე ხოლმე...**

– მე „ოქროს ზოდებს“ არ ვქმნი ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სამაგიეროდ ვასხამ საუკეთესო ხარისხის „ფოლადს“. ასე რომ, „ფოლადის“ მომხრე ვარ.

**– შესაძლებელია, ეს დამაჯერებელი იყოს. თუმცა, ერთი შეხედვით, შენი სახით წარმოგვიდგება იმპოზანტური, არტისტული ტიპი. ეს იმპოზანტურობა და პათეტიზმი კი დღესაც სახეზეა და შეიძლება ზოგს აღიზიანებს, რადგან თითქოს სიყალბისა და მანერულობის სუნი სცემს, რომელიც მერე შენს „ფოლადსაც“ ასდის...**

– „ფოლადის“ ამბავს დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ არ არის აუცილებელი, დადო „ოქრო“, როგორც შენ ახსენე. ეს ჩემთვის კონცეპტუალურად მიუღებელია. რას ნიშნავს „ოქრო“? ჩემთვის, ამ შემთხვევაში, „ოქრო“ ის სტერეოტიპია, რომელსაც გარშემო უტრიალებს მთელი კაცობრიობა. ასეთ დროს ადამიანი გრძნობს პასუხისმგებლობას, რომ თავის თავზე აიღოს რაღაც ტვირთი, თუნდაც ნაგავი გაიტანოს და შეამზადოს ეპოქა, რათა გაჩნდეს ახალი ცნობიერება. და ეს არ არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ჩამოყალიბებული, სტატიკურ მდგომარეობაში მყოფი ხელოვნება, რომელიც სამუზეუმო ექსპონატია და ერთგვარი კერპების დატვირთვასაც ატარებს, ხანდახან კი, უცვლელ დოგმებს წარმოადგენს, რომელიც არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენო.

მე პირიქით მახასიათებს, ყოველთვის აღმა დინებით ვიკვლევ გზას, თუ საკუთარ თავს იტყუებ, არ ხარ დასაჯერებელი ადამიანი. მთავარია, იყო ცოცხალ პროცესში, ქმნიდე იმას, რასაც შენ იტყუებ და არა დივიდენდებს აგროვებდე რათა მერე ცოცხალ კლასიკოსად გამოგაცხადონ. მე არ ვთვლი თავს დაჩაგრულად, მოაზროვნე ადამიანებს ზეპირად თუ პუბლიკაციების მეშვეობით გამოუთქვამთ აზრი ჩემს შესახებ და ამის ამბიციები „მომწვარი“ მაქვს, რადგან, პირველ რიგში, მე ვიცი, ვინ ვარ და რა გამოიკეთებია, რა როგორ მითქვამს. ჩვენ ვიდრე გავთავისუფლდებით ხელოვნების მარწმუნებისაგან, რაღაც გზა უნდა გავიაროთ. არავინ არ იბადება მეფედ და პოეტად, ხელოვანი კი, თავისი ცხოვრებით, ამ ფილოსოფიის ნახევარს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. ამაზე ბევრი არ ფიქრობს და ცხოვრობს ისე, როგორც წერს ან როგორც ხატავს. მათი გაუცხოვება არ ხდება. შეიძლება ადამიანს შეხვდე მაკიაუის გარეშე და ვერ მიხვდე, ვისთან გაქვს საქმე, და მიხვდე, რომ იგი ცდილობს, ვილაცა ან რაღაცა ითამაშოს...

**– ფილოსოფოსობთ კიდევ?**

– არა, ვცდილობ რომ ნაკლებად ფილოსოფოსი ვიყო, ჰოდა, როცა ის ადამიანი თავისი პიროვნული თვისებებით რადიკალურად ეწინააღმდეგება თავის შემოქმედებას, ესე იგი, მას მხოლოდ გარკვეული სტატუსის დამკვიდრება უნდა საზოგადოებაში. მე რისი თქმა მინდა, იცი? ბევრი რომ არ ვიბოდილო – ნაწილობრივ მაინც, ადამიანი უნდა შეესატყვისებოდეს თავის შემოქმედებას.

**– შესატყვისობა-არშესატყვისობაზე გამახსენდა, შენი ლექსები რატომღაც შენივე, მე ვიტყვოდი, შესრულებით, აღიქმება. ამ მომენტს როგორ გააანალიზებდი?**

– მე მაქვს ტექსტები, რომლებიც გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით უნდა წაიკითხო. ეს უფრო საუნდ პოეზიას ეხება ან – ამასაცა არა.. შეიძლება ლექსი აზრს მოკლებული ბგერებისგან და სიტყვებისგან შედგებოდეს, ამასწინათ ნაგიკითხე კიდევ, თუ გახსოვს, ამგვარი ნიმუში, ჰოდა, იქ ის განწყობა და კონცეფციაც არის, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია და ამასთანავე ემატება

ხმის ტემბრი, ინტონაცია... მომავალი გამოცემებიც, მგონია, რომ ასეთი იქნება, ტრადიციულ წიგნს ჩაენაცვლება აუდიო ფორმატის პროზა თუ პოეზია. აქ არ არის ლაპარაკი კონცეპტუალურ სპეკულაციაზე, შეიძლება ბგერას ისეთი მისტიკური თვისება ქონდეს, ის ინვედეს იმ განწყობებს, რასაც ადამიანის გრძობა ვერ მიწვდება, თუ, ვთქვათ, პოლიგრაფიული სახით წაიკითხავს მას. მუსიკასთან ძალიან ახლოა საუნდ პოეზია, და თვით მუსიკაც ხომ ასეა – როცა ის აულერდება, მხოლოდ მაშინ გაიგებ, რასთან გაქვს საქმე. ასეა ჩემთვის პოეზია. თუ მე დაინტერესებული ვარ ფილოსოფიური ლიტერატურით, მოვკალათდები სავარძელში და... და კარგი მკითხველი ვიქნები, ელემენტარული მენტალური ობიექტელი.

– პოეზია უფრო მეტს უნდა იძლეოდეს, არა მარტო აზრს, რაღაცა ხელშეუხებელს, რაღაცა უხილავს...

– მე მახსენდება გია ბულაძის დიდი ხნის წინანდელი პერსონალური გამოფენა, როცა მას თავისი ტილოები უნდოდა ეჩვენებინა მუსიკის და, თუ არ ვცდები, კლასიკური მუსიკის, თანხლებით. ამ იდეამ დიდი დავა გამოიწვია. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ მუსიკა გაამძაფრებს აღქმის ხარისხს და ეს იქნება არანატურალისტური ემოცია, მუსიკის თანხლებით ეს ტილოები შეიძენენ არარსებულ თვისებებს და სიმძაფრეს და ეს არ შეიძლება მივანეროთ ავტორს. ბულაძე ამბობდა, რომ მაღალესთეტიკური შთაბეჭდილებების მოხდენა სურდა და რა გზით მიაღწევდა ამას, არ იყო მნიშვნელოვანი, მე ვფიქრობ, რომ ასეთი აქციები ძალიან საინტერესოა. ხომ არსებობს კინო, როგორც კოლექტიური ხელოვნება, ვთქვათ, სადაც მრავალს მიუძღვის წვლილი. იყოს, ამ ბულაძის აქციაც, ვთქვათ, ბულაძე – ვაგნერ-რაველის ერთობლივი შემოქმედება...

– მაგ ამბავზე გამახსენდა, ლაშა ბულაძე შემხვდა „მზიურის“ ფესტივალის მეორე დღეს, სადაც პოეტები გამოვდიოდით, ლექსებს ვკითხულობდით, ჰოდა მითხრა, ძალიან შთაბეჭდავი იყო, როცა შენ კითხულობდი შენს ტექსტებსო, მერე დავბრუნდი სახლში და ვეცადე, დამევიწყებინა ის ინტონაცია და მივხვდი, რომ არ გამომდის, ანუ ამ ტექსტების სხვანაირად წაკითხვა შეუძლებელია, ისეა დაწერილიო.

– არ დავაკონკრეტებ პოეტებს, იგივე კლასიკოსებს, აი, ხლებნიკოვი, ვთქვათ, წარმოუდგენელია მისი სხვანაირად წაკითხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლა მოგიწევს თვით ტექსტთან. მე მქონდა, თუ გახსოვს, აქცია „ქარვასლაში“, სადაც მე ვკითხულობდი ლექსებს სივრცეში, რომელიც იყო ასპროცენტრული ამიაკით მონადეული. რა თქმა უნდა, დარბაზი წინასწარ დამუშავდა და ვისაც შეხება ჰქონია ამ ნივთიერებასთან, იცის, რომ წვავს სასუნთქ გზებს, ინვესტ ცრემლდენას. მაგრამ ჩემი კონცეფცია ასეთი იყო – თუ მიიღებ ამ სივრცეს, ისიც მიგიღებს შენ, ეს სუნი კი როგორ განწყობას ქმნის, იცი? არავის არ აძლევს რელაქსაციის და ზერელე შეფასების საშუალებას, ანუ, თუ მართლა გაინტერესებს, შეგიძლია გაჩერდე და ჩანვდე ავტორის კონცეფციას, იმას, თუ რასთან გაქვს საქმე. მიუხედავად ამ აუტანელი სუნისა, ცარიელი ადგილი იქ არ დარჩა. თუმცა, ზოგიერთმა ცნობილმა ხელოვანმა ცხვირი შემოყო თუ არა, ნივილ-კივილით გაიქცა, ვინც დაინტერესდა, მან გადალახა ეს წინააღმდეგობა და

ალარც თვალები ენვოდა და ძალიან ბუნებრივ მდგომარეობაშიც იყო. მე შევძელი, თამაშის ეს წესი მომეხვია იმ აუდიტორიისთვის, ვისთვისაც ეს გავაკეთე და ნეიტრალურობის და ზედაპირულობის შეგრძნება გამექრო.

– და მაინც, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მაინც არ აღმოჩნდნენ თქვენს შორის ტალანტები. კი, გაარღვიეთ ტრადიციული ჩარჩოები და შემოგვთავაზესთ ახალი ფორმები. თითქოს ნიჭიერები აღმოჩნდით, მაგრამ ტალანტი არ დაიბადა, ვისაც აიტაცებდნენ, როგორც თავის დროზე, ვთქვათ, ესენინი ან მაიაკოვსკი აიტაცეს. ასეთი ძალა არ გამოჩნდა ქართულ სინამდვილეში აი, იმ 80-იანი წლების მინურულიდან დღემდე...

– ასეთი ცნებაც არის – პარალელური კულტურა. შემთხვევით არ გაჩნდა ეს ტერმინი. არსებობს, რა თქმა უნდა, გენერალური ხაზი...

– რატომ დარჩა გენერალურ ხაზად ტრადიციული ლექსი... რატომ ვერ გაქაჩეთ...

– იყოს, მე ეს არ მიშლის. უამრავი ავტორიტეტია, ვინც ამ გენერალურ ხაზს არ უკავშირდება. რა არის, იცი? მე უფრო ამ პარალელური კულტურის მომხრე ვარ. თუკი რუსული პოეზიისთვის არსებობს პუშკინის ხაზი – გენერალური ხაზი, რომელმაც მერე განვითარება ჰპოვა აგერ, ბროდსკამდე. ამავე დროს არსებობს ალტერნატიული ხელოვნება, აბსოლუტურად სხვა სივრცეებს რომ იკვლევს და კონფლიქტის მიზეზებს არანაირად არ წარმოშობს. პარალელურ ხელოვნებას არ შეიძლება ჰყავდეს ისეთივე დონის და რაოდენობის გულშემატკივარი, როგორც ყველასათვის მისაღებ სახალხო პოეზიას, და ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე ცუდია.

– გადაგვიყიდე, მოკლედ, მაგრამ რაღაც არ მაკმაყოფილებს, თქვენ თითქოს ვალი მოიხადეთ ეპოქის წინაშე, იდეა აღასრულეთ, ამ რანგში აღმოჩნდით ძლიერები. ნიჭმესი და მისი საფეხურებისა არ იყოს, არც ეს საფეხური არ უნდა გამოეტოვებინა ლიტერატურულ თბილისს, მაგრამ არ იშვა ტალანტები... ვალიართ...

– გააჩნია, ტალანტის რა სტერეოტიპზეა ლაპარაკი. ვილაცისთვის ტალანტია ტაბიძე. თუ ვინმე ქიბრონაშვილი მას არ მიესადაგება და მის გზას არ აგრძელებს, მიუღებელია მისთვის. ეს არის მცდარი მიდგომა. მაგრამ, როგორ ფიქრობ, რამდენადაა დაკნინებული ილია ზდანევიჩის პერსონა, ერთ-ერთი უდიდესი პიონერის ავანგარდისტულ ხელოვნებაში იმით, რომ საქართველო მას ვერ აფასებს. არც არაფერი აკლდება და არც ემატება. ზდანევიჩი ზდანევიჩია, და შოთა რუსთაველი შოთა რუსთაველია. ეს პროცესი არსებობს, რაზეც შენ იკითხე. გენერალურ ხაზს არ ვაკნინებ, მას თავისი დანიშნულება აქვს და ბრწყინვალედ ასრულებს. ალტერნატიულ ხელოვნებას კი არ გააჩნია ამხელა აუდიტორია, რადგან მისი ტრადიციები დასამკვიდრებელია, უნდა ხდებოდეს შესწავლა, დაფიქსირება და რაღაც დროის მერე გასაგები გახდება ყველასთვის რომ ჩვენ ვგაქვს კულტურის საკმაოდ საინტერესო და მდიდარი სპექტრი, იქნება ეს ძირითადი თუ მეტ-ნაკლებად განსხვავებული არსებული სტერეოტიპებისგან. და ისიც ასეთივე მისაღები გახდება, თავის ნიშანს დაიკავებს. შენ, მე მგონი, ერთბაშად გინდა მოხდეს ყველაფერი, ჩვენ კი შუა გზამდეც არა ვართ მისული.

– შენს თავს თვლი ტალანტად, ამ შუა გზაზე?

## დილოგი

– მე ვთვლი, რომ რაღაცის მომცემია ეს ხელოვნება, ვილაყას სჭირდება.

– **თავს თვლი ტალანტად?**

– კი, რატომაც არა. საჭიროდ და მნიშვნელოვნად, რომ არ ვთვლიდე, რასაც ვაკეთებ, გავდგებოდი განზე და დავინყებდი ნუნუნს, ვაიმე, ჩემი არ ესმით, ჩემი დრო ჯერ არ მოსულა და ა. შ. ჩემი დრო დიდი ხანია

– მოვიდა და ჩემი აუდიტორია, საკმაოდ წონადი და სოლიდური არსებობს. თუმცა, რომ არ არსებობდეს, მე თვითონ ვიცი, რომ ვაკეთებ იმას, რაც მე მინდა და ვთვლი, რომ საკმაოდ კარგად და ახლაც ამ პროცესში ვარ.

– **შენ წელან თქვი, რომ პოეტი ხარ დროის კონკრეტულ მონაკვეთში, მერე ალბათ აგრძელებ ყოფას და შიგადაშიგ რაღაცეებს უღრმავდები. სხვა, რითი არსებობ?**

– შეიძლება მე გადავიტანო რაღაც ფიზიკური ტვირთი ა პუნქტიდან ბ პუნქტამდე იმიტომ, რომ მერე მივიტანო პური სახლში. ეს ჩემთვის ის გზაა, რომელიც ხელოვნებას სცილდება, იგი მომცა აბსოლუტურად სხვა ფენომენმა, რომელიც კი არ მაკავებს, უბრალოდ მაძლევს იმის შანსს, გადავრჩე და გავთავისუფლდე, და ვიყო ბედნიერი, ვიყო ამაყი..

– **და შენ ბედნიერი და ამაყი ხარ, როცა ა პუნქტიდან ბ პუნქტამდე მიდიხარ? გულწრფელობაა ეს განაცხადი თუ თავს იმშვიდებ?**

– გულწრფელობაა, ეს სულ სხვა ხარისხის ცნობიერებას აღვიძებს – ტრანსცენდენტალურს, ასე რომ ვთქვათ. ამ დროს ვხვდები, რომ პოეზიით არ ინყება და არ მთავრდება ეს ყველაფერი, არი რაღაც ისეთი, რისთვისაც ჩვენ რეალურად ვართ მოსული. ეს არის ის პერსპექტივა, როცა შენს არტისტულ მოვალეობებს მოიხიდი საკუთარი თავის წინაშე, ეს შეთანხმება შენს საკუთარ თავში უნდა მოხდეს. ესეც იმ ტვირთის ნაწილია, რომელიც ა-დან ბ პუნქტამდე უნდა მივიტანო. ეს ერთმანეთთან არის დაკავშირებული,

– **და შენ შენი ნიშა იპოვე, ხარ ბედნიერი შენს მიკრო-სოციუმში?**

– ახლა ცოტა გავთავხედდები და ვიტყვი, რომ მე დიდი აუდიტორიებიც მყოლია და ვერ ვინსენებ, რომ ოდესმე ჩემს მიერ პოეტური პათოსით დასმულ საკითხებს ვინმე გულგრილად შეხვედრია. ესეც იგი, ვილაყას სჭირდება, რომ ვილაყამ გააცისკროვნოს ვარსკვლავები...

## რეპორტაჟი

ეკა ბუჯიაშვილი

# მრისხანებისა და მიკერქოების ბარეში

\*

**ივანე ბუქურაულის  
დოკუმენტური რომანი  
„სამი ივანი“**

გზა ვაჟა-ფშაველამ დაულოცა.

გავიდა ხანი და მის შესახებ გიორგი ლეონიძე წერდა: სად არიან დღეს ისეთი მოღვაწენი, ივანი ბუქურაული რომ იყო.

მისი თხზულებებიდან დღესაც ციტატებს იმონებენ ისტორიკოსები, ფოლკლორისტები, ეთნოგრაფები... ეს საინტერესო ცნობები, მე-19 საუკუნის კავკასიის შესახებ, დროის დინებასთან ერთად, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

სწორედ ასეთ თხზულებებს განეკუთვნება ისტორიული ნარკვევი დალესტინის სამი ივანის შესახებ, რომელიც 1922 წელს დაინერა და მას შემდეგ აღარ გამოცემულა.

ამ დღეებში კი, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა წარდგინება ივანი ბუქურაულის წიგნისა, რომლის ტექსტიც გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო კოტე ჭრელაშვილმა.

\*\*\*

დალესტინის სამი ივანი: ყაზი მოლა (მულა), ჰამზათ ბეგი და შამილი. უფრო კი შამილი – მას ეძღვნება ნარკვევი, რომლის გამოც ავტორს გული სწყდებოდა: წიგნად გამოცემა ვერ მოვახერხეო.

ამის შესახებ ბატონი კოტე ჭრელაშვილი წიგნის წინასიტყვაობაში წერს:

უკვე მოხუცებული ბუქურაული ამ თავისი გულისტკივილის შესახებ რომ შემომჩიოდა, მას მერე გულში ჩამებეჭდა სურვილი, როგორმე მომეხებოდა თავი ამ ყველაფრისთვისო.

მხოლოდ ათწლეულების შემდეგ მოახერხა.

ერთხელაც ყოფილა მცდელობა ამ ნარკვევის გამოქვეყნებისა, გასული საუკუნის ორმოციან წლებში, ჟურნალ „მნათობში“ დასაბეჭდად რეზოლუციაც ედო, მაგრამ... ჩაიშალა.

სალონში გამართულ წარდგინებაზე როსტომ ჩხეიძემ ამ თხზულების მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში უწოდა და წიგნზე საუბრისას მასში აღწერილი ეპოქაც დაგვიხატა:

\*\*\*

არა, ლეგენდაც არ იყო.

ეს ხმები შამილის სიცოცხლეშივე ტრიალებდა, ასე ამბობდნენ: ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო შვილიაო.

თავად შამილი ამ ხმებს არც უარყოფდა და არც ადასტურებდა.

ალბათ ამას პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან იმასაც ამბობდნენ, რომ შამილს გულში ამოსჭრია სურვილი – თუ კავკასიური ომი მისი გამარჯვებით დამთავრდებოდა, პრეტენზია საქართველოს ტახტზეც განეცხადებინა, არა როგორც დალესტინის ივანს, არამედ როგორც ბაგრატიონთა ჩამომავალს. ასეთ შემ-



თხვევაში ეს ხმები ხელსაც აძლევდა. ამიტომაც გაუჩუმდებოდა.

არც უარყოფდა და არც დაადასტურებდა.

იდგა შამილი ლეგენდისა და რეალობის საზღვართან და შორს, თავისუფალი სივრცეებისაკენ იმზირებოდა.

\*\*\*

თავის დროზე, როცა ქართველებიც აუმხედრდნენ და დიდი წვლილიც შეიტანეს შამილის დამარცხებაში, განაწყენდა ჩრდილო კავკასიელთა გმირი – ეს ქართველები რაღას მერჩიან, ამათ მაინც რა დაემართათ, ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ თუ ერთად არ ვიქნებით, მაგათი საქმეც უკან წავაო.

მხოლოდ პატარა გუნდი თანაუგრძნობდა შამილს ქართველებისა, ალექსანდრე ორბელიანის თაოსნობით, მაგრამ ეს წვეთი იყო ზღვაში და საერთო განწყობაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

სამაგიეროდ, წლების შემდეგ, ალექსანდრე ყაზბეგი შამილის იდეალურ სახეს დახატავს თავის „მამის მკვლელში“. სწორედ აქ აღწერს როგორ აფრთხილებს შამილი თავის ჯარს: ბრძოლაში ქართველებს მოერიდეთ, ტყვედ ჩაიგდეთ, ოღონდ სისხლისღვრა თავიდან აიცილეთო.

ძვირად დაუფლება ქართველთა დანდობა შამილს. ილიკო ორბელიანი სწორედ მის ტყვეობაში დაწერს დღიურებს, რომელშიც მარტო თავის განცდებს კი არ აღწერს, იმასაც მიუთითებს, თუ როგორ უნდა შევიდეს რუსის ჯარი შამილის ციხე-სიმაგრეში. ვორონცოვის დავალებით დაწერილი ეს დღიურები გზამკვლევადა იქცევა რუსის ჯარისათვის.

შამილი კი:

ნეტა ეს ქართველები რაღას მერჩიან, ამათ რაღა დაემართათო...

ალექსანდრე ყაზბეგი არ ერჩოდა.

იჯდა და მწერლის კალმით შამილის იდეალურ სახეს ხატავდა.

ის ხმებიც რომ აგორდებოდა, შამილი ჩრდილო კავკასიისთვის კი არა, თავისი ძალაუფლებისთვის იბრძვისო, აქაც გამოეხარჩლება კავკასიელთა გმირს: ეს ყველაფერი ჭორია, შამილს ყველა კარგად იცნობს და მისი ხალხი თავისუფალი რომ ყოფილიყო, ის იქნებოდა მეჯოგე, მხვნელ-მთესველი, ერთი ჩვეულებრივი მთიელი, რომელიც ხელისუფლებისკენ არც კი გაიხედავდაო.

ალექსანდრე ყაზბეგს არ შეეშლებოდა.

\*\*\*

სამოციანი წლების დასაწყისში აკაკისაც ჰქონია სურვილი ასევე შეეფასებინა შამილის სახე. შამილი უკვე დამარცხებულია, ოცდაათწლიანი თავგანწირული ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დამთავრებულია,

შამილი პეტერბურგშია გადასახლებული... და აკაკი წერს ლექსს: „შამილის სიზმარი“. ამ „სიზმარში“ სურს აახდინოს ის, რაც რეალობაში ვერ განხორციელდა, ოცნებაში გაამარჯვებინებს შამილს, იმ ოცნებაში, მარტო ჩრდილო კავკასიელთა გმირის კი არა, უკვე ილიას თაობის ქართველთა გულელებშიც რომ ატეხილა ქარიშხლად.

ლექსი ივანე კერესელიძისათვის გადაუცია „ცისკარში“ დასაბეჭდად, აღფრთოვანებით შეხვდებოდა რედაქტორი ჟურნალისა, მაგრამ დაბეჭდვა მაინც შეშინებია. გრიგოლ ორბელიანისათვის მიუცია წასაკითხად.

– კაცმა რომ თქვას, ორბელიანი რაღა შუაში იყოო, – გაიკვირვებს ბატონი როსტომი, – ორბელიანს ხომ ეს არ ენებოდაო.

მორიდებია დაბეჭდვას ორბელიანი. სხვა თვალთ უყურებდა ამ ყველაფერს ერთ-ერთი თავგადაკლული მონაწილე შამილის შეპყრობისა. ფაქტობრივად, მას მოემზადებინა გეგმა, ბარიატინსკის კი მისი გაკვალული გზით უვლია.

ორბელიანს გადაეწყვიტა შამილის ბედი, ჰოდა, ლექსის ბედსაც ის გადანყვეტდა.

– რა ვქნა, მე კი დავბეჭდავ, მაგრამ ორბელიანი არა შვრებაო, – თავი დაუზღვევია ივანე კერესელიძეს, – თანაც რაღაც ბინის საქმე ცოტა ვერ მაქვს კარგად, დამპირდა რომ მომიგვარებს და როგორმე იქნებ გამიგოო.

აკაკი ივანეს კი გაუგებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი ცხოვრება გადაეკიდებოდა ორბელიანს.

სამარის კარამდის გადაეკიდებოდა – მის დასაფლავებაზეც კი იტყვის: ეს არ იყო ქართველი კაცი, გრიგოლ ორბელიანმა თავადაც არ იცოდა ქართველი იყო თუ რუსიო.

ცხადია, აკაკის თავისი მრწამსი და კონცეფციები ჰქონდა, მაგრამ ამ ყველაფერში პირადულიც რომ ერია, ესეც ხომ აშკარა იყო.

\*\*\*

ერთადერთი ქართველი, ვისაც შამილი ვერ იტანდა, გრიგოლ ორბელიანი იყო.

– თუ სადმე ხელში ჩამივარდა, ტყავს გავაძრობო, – ამბობდა.

– ნეტავი ეს შამილი ჩემი ხელით დამაჭერინაო, – თავისას ფიქრობდა ორბელიანი.

და აი, დამთავრდა კავკასიელთა ომი და პეტერბურგში, ერთ-ერთ წვეულებაზე შეხვდებიან რუსთა მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი შამილი და გრიგოლ ორბელიანი. იქ გაიცნობენ ერთმანეთს, ისაუბრებენ კიდევ...

– ეს რა კარგი კაცი ყოფილაო, – წერდა მოგვიანებით თავის დღიურებში გრიგოლ ორბელიანი.

ალბათ თავისას ჩრდილო კავკასიელთა გმირიც ფიქრობდა...



კოტე ჭრელაშვილი

\* \* \*

განყვეტილა – ასე ჰქვია იმ ადგილს, სოფელ ზემო ალვანში, ბუქურაულების სახლის აივნებიდან რომ მოჩანს.

მოხუცებულ ივანე ბუქურაულს უამბნია კოტე ქრელაშვილისთვის ამ ადგილის ისტორია:

ქართველთა ჯარი ბიძინა ჩოლოყაშვილის მეთაურობით თავს რომ დასხმია ბახტრიონსა და ალავერდში გამაგრებულ სპარსელებს, ბახტრიონში მყოფნი, შველის სათხოვნელად, ალავერდისაკენ გაქცეულან, ალავერდში მყოფნი კი – ბახტრიონისკენ. სწორედ აქ შეხვედრიან ერთმანეთს, აქ ამოუწყვეტია მტერი ქართველ ჯარს და ამ ადგილსაც ასეთი სახელი – განყვეტილა შემორჩენიაო.

ამ ამბავს უკვე კოტე ქრელაშვილი იხსენებს წიგნის წინასიტყვაობაში და იმასაც აღნიშნავს, რომ ბუქურაული თავისი ნარკვევის წერისას, მარტო საარქივო დოკუმენტებს კი არა, უშუალოდ შამილის თანამედროვეების, ზოგი თუშების, ზოგიც ლეკებისა და ჩეჩნების მონათხრობებსაც ყვრდნობა. მაგალითად, შამილის ჩამომავლობასთან დაკავშირებით, ივანე ბუქურაული იმონებს თავისი ბიძის, ლეოს მონათხრობს:

ბიძაჩემმა ლეომ, ვინც ორჯერ იყო მკერდში დაჭრილი, ასე მიაშობო: ჩვენი თუმი ტყვედ რომ ჩავარდნილა, შამილს შეხვედრია პირადად. ასე უთქვამს მას: რას მედავებით ეს ქართველები, ჩემი სამშობლოს თავისუფლებისათვის ვიბრძვიო. თან ისიც დაუმატებია: ერეკლეს შვილიშვილი ვარო.

ივანე ბუქურაულს თავისი ბიძის, ლეოსი სჯეროდა; მე კი – ივანე ბუქურაულისა მჯერაო.

\* \* \*

წინო ვახანიას თქმით:

ალექსანდრე ორბელიანი გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, არც მამინ შეუცვლია თავისი მრწამსი, ისევ სასტიკი მტერი დარჩა რუსული რეჟიმისა.

ღმერთმა კარგად ამყოფოს რუსები, ოღონდ სადაც არიან, იქაო.

სახელმწიფო სამსახურში რომ არ შევიდა, ესეც თავისებური გამოხატულება იყო პროტესტისა. იჯდა სახლში და წერდა.

სიმართლეს წერდა.

ზოგს უბეჭდავდნენ, ზოგს – არა.

ერთხელაც ვორონცოვს დაუბარებია და უჩვენებია წერილი: რაღაც ქართულად ნაწერი ჩამივარდა ხელში, ვერაფერი გაეუგე და იქნებ მითარგმნოო.

ამბობენ, რომ ეს ყოფილა ალექსანდრე ორბელიანის წერილი შამილისადმი და ამ საქციელით ვორონცოვს ორბელიანი გაუფრთხილებია.

მკაცრადაც გაუფრთხილებიაო.

არ ვიცით იყო თუ არა ეს სიმართლე, თვითონ ალექსანდრე კი ამას ყოველთვის უარყოფდა: ლეკებმა ისე გაუჭირეს საქმე პაპაჩემს, აბა, იმათ როგორღა შევეკვრებოდო.

საქმე ის არის, რომ ამჟამად ცნობილია: 1832 წლის შეთქმულებაში კავკასიის მთლიანობის იდეაც იყო და შეთქმულების სულსა და გულს, მის ერთ-ერთ თაოსანს შამილთან ურთიერთობა რომ ჰქონოდა, რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო.

თუ დააბრალეს და არც ეს არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ განწყობა ჩანს – იცოდნენ რა დაებრალეზინათ, რისი დაჯერება შეიძლებოდა, ასე რომ ყველაფერი ტყუილიც რომ იყოს, ჩემთვის ეს განწყობა უფრო მნიშვნელოვანიაო.

\* \* \*

თავად ბარიატინსკი ელოდებოდა მის გამოსვლას ციხე-სიმაგრეიდან.

შამილიც მოდიოდა...

ისეთი ჩაცმული, თითქოს წვეულებაზე ყოფილიყოს, თეთრი ყაბალახიც მოხურა...

მოდიოდა, რაღაცნაირად, გულზვიადი, თითქოს დამარცხებული კი არა, გამარჯვებული, მთის სიამაყით მობიჯებდა...

ეს ისეთი სურათი იყო, მტერსაც კი ღირსეულ გრძნობებს აღუძრავდა.

მტერმაც იცოდა მამინ ღირებულებების ფასი, მაინც, არისტოკრატიული იყო რუსეთის იმპერია, ვიდრე ბოლშევიკურმა რუსეთმა ესეც არ ნაშალა.

მენშევიზმიც და ბოლშევიზმიც ერთი და იგივე იყო, ისინი ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ, თორემ ორივე ერთნაირად დამლუპველი იყო ქვეყნისათვის, – ამას რომ გვიამბობს ქალბატონი მანანა გაბაშვილი, რევაზ გაბაშვილის დანერისლაც გაიხსენებს:

ნოე ჟორდანიას დროს ჩრდილო კავკასიელები ჩამოვიდნენ საქართველოში, ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეით. ქართველებმა კი ამ პასუხით გაისტუმრეს: ჯერ დემოკრატია ააშენეთ და მერე ვილაპარაკოთ ერთიანი სახელმწიფოს შექმნაზეო.

მაშინაც დემოკრატია აღმოჩნდა გამთიშველი, ის დემოკრატია, დღემდე იგივე შინაარსით რომ მუშაობს ჩვენთან.

აი, შამილი კი...

მოდიოდა, რაღაცნაირად, გულზვიადი, მთის სიამაყით... თითქოს დამარცხებული კი არა, გამარჯვებული ყოფილიყოს...

\* \* \*

– არა მხოლოდ შამილის პორტრეტი, არა მარტო მიურიდიზმი (ისლამის ის მიმდინარეობა, რომელსაც ეყრდნობოდა იდეურად შამილის მოძრაობა), არამედ საერთო ფონიც ჩანს წიგნში იმდროინდელი კავკასიის ვითარებისა და უფრო ხელშესახებად გრძნობ იმ დეტალების მნიშვნელობას, ასე უხვად რომ არის გაბნეული წიგნში, – თქვა შეკრებაზე ბატონმა როსტომ ჩხეიძემ, – ძველი რომაელი ისტორიკოსი წერდა:

ისტორია უნდა ვიკვლიოთ მრისხანების და მიკერძოების გარეშეო.

ეს რომაელის სურვილი იყო.

ივანე ბუქურაულს კი, ამის საუკეთესო ნიმუშად, თავისი ნარკვევი დაუწერიაო.

1922 წელი იდგა.

საქართველოში ახალი შეთქმულება მზადდებოდა...

სადღაც, ისტორიის გზაჯვარედინთან, ლეგენდისა და რეალობის საზღვართან შეჩერებულიყო შამილი და კავკასიის მომავალს გამოსცქეროდა...

ალექსანდრე ბატონიშვილის მხერით გამოსცქეროდა...

გიორგი ლობჯანიძე

## „ნამსის წვერით – თვალის უპეიზზე“

ცნობილი მთარგმნელისა და მეცნიერის ნანა ფურცელაძის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც აღმოსავლური ლიტერატურა უყვარს და შუასაუკუნეთა არაბული მწერლობის არაერთი ნიმუში მის ბრწყინვალე თარგმანში ნაუკითხავს.

თავისთავად ცხადია, რამხელა მნიშვნელობა აქვს „ათას ერთი ლამის“ სხვა ენაზე ამეცყველებს, სპეციალისტთათვის კი ეს მნიშვნელობა ერთიორად იზრდება, რადგან ნანა ფურცელაძემ, ქალბატონ თინათინ მარგველაშვილთან ერთად (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული) ქართული „ათას ერთი ლამით“, პრაქტიკულად, სათავე დაუდო არაბული მწერლობის მშობლიურ ენაზე გადმოღების ტრადიციას და ყველა ის მთავარი ორიენტირი მონიშნა, რასაც ამ მწერლობის ქართული სტილისტიკა უნდა დაფუძნებოდა.

სწორედ კონგენიალურად თარგმნილი და არაჩვეულებრივად კომენტირებული „ათას ერთი ლამის“ რვა უზარმაზარი ტომი, რომელთაგან ოთხი (და განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პირველი-მეორე) ქალბატონი ნანა ფურცელაძის გადმოღებულია, არის ის მყარი საძირკველი, რომელზედაც აშენდება არაბული მწერლობის ნებისმიერი ნიმუშის ქართული ორეული, თუკი მომავალი მთარგმნელისათვის ამოსავალი დედნის ერთგულება და, ამასთანავე, მშობლიური ენის სინმინდე იქნება.

სწორედ ეს ორი მთავარი თვისება გამოარჩევს ნანა ფურცელაძის თარგმნილ ნიმუშებს, რომლებიც ქართულად ლაღად, ძალდაუტანებლად იკითხება, მაგრამ ადამიანი, ვისაც თუნდ ერთი-ორი სტრიქონი მაინც უთარგმნია, შესანიშნავად გრძნობს რამხელა გემოვნება, რა გარჯა, საკუთარი საქმის რა სიყვარული და ერთგულება იგულისხმება ამ პროფესიული სილაღის მიღმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნანა ფურცელაძის შემთხვევაში საქმე გვაქვს კლასიკურ არაბულთან, რომელსაც მსოფლიოს ურთულეს ენათა რიცხვს მიაკუთვნებენ და რომლის ისეთი მცოდნე, როგორც ქალბატონი ნანა გახლავთ, მსოფლიოში ალბათ სულ რამდენიმე ადამიანია. მკითხველს ვთხოვ, ასეთ შეფასებას პატარა ერის შვილისათვის დამახასიათებელ თავმომწონეობად ნუ ჩამომართმევს („რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!“). ნანა ფურცელაძით ნამდვი-

ლად შეიძლება თავი მოიწონოს ყველა დიდი ქვეყნის ყველაზე სახელგანთქმულმა სასწავლო-კვლევითმა ცენტრებმა თუ უნივერსიტეტებმა და, რა სასიხარულოა, რომ ეს დიდი ქალბატონი დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამშვენებს. მადლობა ღმერთს, მისი ღვაწლი დაუფასებელი არ დარჩენილა და შარშან ნანა ფურცელაძის მოღვაწეობა ივანე ჯავახიშვილის მედლით, ხოლო მანამდე, 1998 წელს – ივანე მაჩაბლის პრემიით აღინიშნა.

შესანიშნავად მესმის, რომ სხვა ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი ქება უსიამოვნო სადღეგრძელოს დაემსგავსებოდა, მაგრამ ნანა ფურცელაძე ნამდვილად განსხვავებული მოვლენაა, რომელიც ყველა საქებარ სიტყვას, ყველა აღმატებულ ეპითეტს იმსახურებს და მასთან დაკავშირებით არც უსაგნო პათეტიკით ზედმეტმა გატაცებამ უნდა შეგაშინოს, რადგან ამ ქალბატონის ნიჭთან, შრომისმოყვარეობასთან და საოცარ თავდაბლობასთან შედარებით ხუნდება თუნდ ყველაზე ხატოვანი და მრავლისდამტევი ეპითეტი.

თვითონ საოცრად მოკრძალებულს კი საკუთარი თავის მიმართ ისეთი ეჭვიანი მომთხვენელობა გამოარჩევს, რაც მხოლოდ მისი რანგისა და გაქანების ლიტერატორის შეიძლება ახასიათებდეს. ჩემი სიტყვების მაგალითად თუნდაც ის ამბავიც გამოდგება, როგორ დაიბეჭდა XX საუკუნის არაბული პოეზიის ნიმუშთა თარგმანები ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ წინა – ანუ 2006 წლის 23 ივნისის (13) – ნომერში.

კომპიუტერულ დისკზე აკრეფილი ის შესანიშნავი თარგმანი, რომელსაც „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი გაეცნო და რაც დღევანდელი გამოხმაურების საბაზი შეიქნა, ქალბატონ ნანას უნივერსიტეტში ჩემთვის გადმოსაცემად ჩვენი

კათედრის ერთი ახალგაზრდა და სხვათა შორის თვითონაც უკვე წარმატებული მთარგმნელისათვის დაეტოვებინა. მითხრეს: ქალბატონ ნანას რაღაცნაირად მოერიდა, თარგმანი შენთვის პირდაპირ გადმოეცა, ლელავდა, გიორგი რას იტყვისო, და ამჯობინა ნამუშევარი შენთვის ასე მოეწვდინაო.

დაბნეულობისაგან სიცილი ამოვარდა. ნანა ფურცელაძე ჩემი უსაყვარლესი მასწავლებელია. დღეს თუ ჩემს საქმეში რაიმე გამეგება, ჩემთვის საფიცარ რამდენიმე ადამიანთან ერთად, სწორედ მისი დამსახურებაა და, აი, ეს ადამიანი თავისი ბრწყინვალე თარგმანის დასაბეჭდად „კაც-შუაკაცებს მიგზავნიდა...“

რა თქმა უნდა ვიცი, რომ აქ ჩემი რიდი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ეს კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ქალბატონი ნანა ფურცელაძის საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობას სიტყვის, მწერლობისა და თავისი საქმის მიმართ; თვისებას, რაც სამწუხაროდ, დღეს აგრერიგად გაიშვიათდა და მხოლოდ ერთეულ კეთილშობილ ადამიანებსღა შემორჩა.



ნანა ფურცელაძე

იმავე დღეს, კომპიუტერის დისკი რედაქციაში რომ მივიტანე, იქ ერთი ახალგაზრდა, პრეტენზიული პოეტესა დამიხვდა. ხელში ლექსების დასტა ჩაებლუჯა და მეუბნებოდა: აი, მოგიტანეთ და, იმედია, ამ ნომერში თუ არა, მომავალში მაინც დამიბეჭდავთ! მშვიდად ვუთხარი: მთავარია, კარგი იყოს, და დიდხანს არ დავაყოვნებთ! იმან კი – საკუთარ ძალებში სავსებით დარწმუნებულმა პოეტესამ – რალაცნაირი მონყაღე თანაგრძნობით მომიგო: „მე ცუდი არსად არაფერი მიმაქვს!“

აგაშენა ღმერთმა! მაგრამ სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ არა ჰგავს ეს პრეტენზია ნანა ფურცელაძის საქციელს, რომელმაც, იმავე დღეს, მე კი არა, მკითხველს პირველხარისხოვანი თარგმანები ზეპურთათვის ჩვეული რიდითა და კრძალვით მიანოდა.

ამბავი კი ამით როდი დასრულებულა. მას შემდეგ ჩემს ხელში კიდევ არაერთი დისკეტა მოხვდა: ქალბატონმა ნანამ დაგიბარათ – წინა ვარიანტი რალაც აღარ მომწონს, აქა-იქ შეეცვალე და თუ დამიბეჭდავს, ბარემ ეს გაუშვასო.

საქმემ ლამის კურიოზული ხასიათი მიიღო. სამაგიეროდ, ამ ამბიდან რა გამოვიდა, მკითხველმა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე იხილა: ბრწყინვალე თარგმანი, რომლის მნიშვნელობაც ქართული სალიტერატურო პროცესებისათვის მერე და მერე კიდევ უფრო გამოიკვეთება.

ამ ამბავმა ერთ ჭეშმარიტებაშიც დამარწმუნა: როგორც დიდი მსახიობისათვის არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი როლი, ისე დიდი მთარგმნელისათვის – მნიშვნელოვანი თუ ნაკლებლირებული ტექსტი. ის ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს და მუდამ სრულყოფილი შედეგი აინტერესებს. სხვაგვარად რატომ უნდა „შეშინებოდა“ „ათას ერთი ლამის“, „მუალაკებისა“ და მაჰმუდ თეიმურის ნოველათა უბადლო მთარგმნელს მეოცე საუკუნის არაბი პოეტებისა?! მისთვის ხომ ამ პოეტთა თარგმნა ერთი შეხედვით უმარტივესი რამ იყო. ხოლო ქადილის ძალი რომ შესწევდა, უფრო ახალგაზრდასა და გამოუცდელსაც არაერთხელ დამტკიცებინა.

მოკლედ, ისევე „ათას ერთი ლამიდან“ ნანა ფურცელაძისავე თარგმნილი ერთი შესანიშნავი ფრაზა რომ გავიხსენოთ, „ეს ამბავი რომ ნემსის წვერით თვალის უპეებზე დაინეროს, შეგონება იქნებოდა, მისთვის ვინც შეიგონებს...“

მე კი ბოლოს ბარემ ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: როცა რაიმე თარგმანს ვბეჭდავ, ჩემი მხრივ, მეც ნანა ფურცელაძისა „მეშინია.“

ოღონდ, ნანა ფურცელაძისაგან განსხვავებით, ვფიქრობ, ჩემი შიში სავსებით ბუნებრივი და მოტივირებულია.

ხელოვნების ლაბირინთები

ნინო ბაქანიძე

აკვანზა  
დაფრენილი  
ქერა

\*

ლეონარდო და ვინჩი  
უსიქონანალიტიკოსთა თვალთახედვით

ნაშრომში „ერთი ილუზიის მომავალი“ ზიგმუნდ ფროიდი კატეგორიულად მსჯელობს რელიგიის ყალბ არსზე და აღნიშნავს, კარლ მარქსი არა ცდებოდა, როცა რელიგიას ოპიუმს უწოდებდაო; ოღონდ, დასძენს იგი, რელიგია ოპიუმია არამხოლოდ მუშათა კლასისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის... ბოლოს ფროიდი ტონს ოდნავ მაინც არბილებს და დასკვნის, რელიგიათა ჭეშმარიტ ღირებულებაზე ძნელია მსჯელობა, ვინაიდან ბოლომდე შეუძლებელია მათი არსის დასაბუთება. ხოლო რასაც ვერ ვასაბუთებთ, მისი არც უარყოფა შეიძლებაო. სამყაროსეული იდუმალებანი ძალზე ნელა იხსნება კაცობრიობის წინაშე, წერს ფროიდი, ჩვენი ცოდნა კი ჯერ ისევე ძალზე მწირია, მათი კრიტიკულად შეფასება რომ შეეძლოთო.

რელიგიურ მრწამსს ფროიდი ილუზიასთან აიგივებს (რაც, მისი აზრით, არ უნდა აგვერიოს „ცთომილებაში“). ილუზია სურვილიდან მომდინარეობს და ოდითგანვე გამოხატავს ადამიანთა გამუდმებულ ლტოლვას ამა თუ იმ მიზნისაკენ. ამ თვალსაზრისით ფროიდი უპირველესად ყურადღებას ამახვილებს ბავშვის ფსიქიკაში მიმდინარე აფექტურ პროცესებზე, რაც დედის ან მამის კომპლექსითაა განპირობებული და შემდგომში გასდევს ინდივიდის მთელ ცხოვრებას. ხოლო თუ ინდივიდი ნაწილობრივ მაინც მოახერხებს ამ კომპლექსის დაძლევა-გადალახვას (ფროიდის აზრით, მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია!), მხოლოდ მაშინ შეძლებს იგი ქვეცნობიერის სხვა ენერგიად (მაგალითად, ხელოვნების რომელიმე სფეროში) გარდაქმნას ანუ სუბლიმაციას.

ფროიდის ეს მოსაზრებანი თითქოს კონკრეტულ გამოხატულებას ჰპოვებს მის სხვა ნაშრომში „ლეონარდო და ვინჩის სიყრმისეული მოგონებანი“ (1910 წ.).

როგორც დღემდე მიიჩნევენ, ამ უდიდესი მხატვრის შემოქმედება ხელოვნებათმცოდნეობაში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ამოხსნილი და შეფასებული, თუმცა ნაშრომის დასაწყისშივე ფროიდი სიამაყით აღნიშნავს, რომ საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ მათ (ანუ ფსიქონალიტიკოსებმა – ნ.ბ.) შეძლეს ჩანვდომოდნენ იმ საიდუმლოს, რომელიც ლეონარდოში აერთიანებდა დიდ მხატვარსა და ბუნებისმეტყველს.

ცნობილია, რომ ამ უგანათლებულეს, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებულ ფერმწერს, რომელიც ბევრად უსწრებდა წინ თავის დროს, თითქმის არცერთი ნამოწყება არ მიუყვანია ბოლომდე. მისი არაერთი ტილო, ჩანანერი თუ ესკიზი ჟამთა სიავემ გაანადგურა. როგორც

მხატვრის ბიოგრაფი ვაზარი გადმოგვცემს, სასიკვდილო სარეცელზე ლეონარდო სინანულით იხსენებდა თავის ცხოვრებისეულ შეცდომებს და აღიარებდა, რომ მან ბევრჯერ გაანანაყენა ღმერთიცა და ადამიანებიც. ახლა კი ხელოვნების წინაშე ვალმოუხდელი უნდა მომკვდა-რიყო.

ლეონარდოს ფიგურა ფროიდს სწორედ რელიგიასთან მიმართებით იზიდავდა, რაც, მისი აზრით, უშუალო კავშირში იყო მხატვრის ბავშვობისდროინდელ მოგონებებთან. ფროიდის აზრით, სწორედ ამ ორმა ფაქტორმა – ბავშვობისა და რელიგიური უმცირესების დაძლევა – განაპირობა ლეონარდოს შემოქმედების გენიალურობა და თვითმყოფადობა.

ცხადია, ერთი წერილის ფარგლებში შეუძლებელია ამ ვრცელი გამოკვლევის ამომწურავი ანალიზი. ამიტომაც თვალსაჩინოებისათვის შევჩერდებით ლეონარდოს მხოლოდ ერთ ფერწერულ ტილოზე „წმინდა ანა მარიამსა და ყრმა იესოსთან ერთად“ (1508-1512), რომელზეც, თავის მხრივ, ყურადღებას ამახვილებს ფროიდიც.

ბიოგრაფები და მკვლევარები ერთხმად ადასტურებენ, რომ ლეონარდოს სიცოცხლეშივე არა წყდებოდა მითქმა-მოთქმა მისი ეკლესიის მისამართით გამოთქმული მკრეხელური აზრებისა და გამომწვევ ქმედებათა გამო. დიდი მხატვრის ჩვენამდე მოღწეული ჩანაწერები მართლაც აშკარად შეიცავენ ქრისტიანული დოგმატიზმის განმაქიქებელ მოსაზრებებს. მაგალითად, ხატთაყვანისცემის შესახებ ლეონარდო ირონიულად შენიშნავს, რომ „მათ (წმინდანებს – ნ.ბ.) თვალები ღია აქვთ, მაგრამ ვერაფერს ხედავენ; ადამიანები შესთხოვენ და პასუხს ვერ იღებენ; ისინი წყალობას ელიან მისგან, ვისაც ყურები აქვს და არ ესმის; სანთელს უნთებენ მას, ვინც ბრმაა“. არანაკლებ ირონიულია მხატვრის შენიშვნა ვენეზიის პარასკევის საყოველთაო რიტუალის შესახებ: „მთელ ევროპაში მრავალრიცხოვანი ერები დასტირიან ერთ ადამიანს, რომელიც აღმოსავლეთში მიიცვალა“ (საინტერესოა, რომ ვაზარომ თავის წიგნში შეიტანა ლეონარდოს ეს ფრაგმენტული გამონათქვამები, მაგრამ მეორე გამოცემაშივე ამოიღო).

ფროიდი ალბათ არ ცდებოდა, როცა აღნიშნავდა, რომ მხატვრის მიერ გამოსახულ წმინდანთა ფიგურებში საეკლესიო დოგმატიზმის კვალიც კი არა ჩანდა და რომ ლეონარდოს მათში უფრო ადამიანური განცდების აღბეჭდვა აინტერესებდა.

წმინდა ანას კომპოზიციაზე ლეონარდო სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა და მისი ოთხი ვარიანტი შექმნა. მათგან უკანასკნელი, ყველაზე სრულყოფილი, ლუვრის მუზეუმშია დაცული. ჯერ კიდევ 1499-1500 წლებში მხატვარი ქმნის ტილოს „წმინდა ანა მარიამთან, ყრმა იესოსა და იოანე ნათლისმცემელთან ერთად“, რასაც მალე მოჰყვება ზემოხსენებული კომპოზიციის სხვადასხვა ვარიანტები. ორივეგან მარიამი დედის მუხლებზე მოკალათებულია. ანას მხერა მთლიანად მარიამისკენა მიმართული. მარიამს კი ნაზად მოუხვევია ხელები ქრისტესათვის და მზრუნველად დასცქერის თავის პირმშოს. პირველ ტილოზე ყრმა იესო მასზე ოდნავ უფროს იოანე ნათლისმცემელს ეთამაშება, მეორეგან – კრავის ყურებს ებლაუჭება, თან ემძაკურად შესცქერის დედას.

კრავი, ტრადიციული ქრისტიანული სიმბოლიკის შესაბამისად, სინმინდისა და ცოდვების გამოსყიდვის სიმბოლოა. თუმცა, ფროიდის მიხედვით, ლეონარდოს ნაკლებად უნდა აინტერესებდეს ქრისტიანული ტრადიციები. მით უფრო, რომ კომპოზიციის ცენტრალურ ფიგურას ქრისტე ან მარიამი კი არა, არამედ ანა წარმოადგენს. მისი სილუეტი ზვიადად ისახება წარმტაცი ლანდშაფტის ფონზე, როგორც ზეცისა და ხმელეთის კოსმიური ერთობის სიმბოლო. ანას თავი თითქოს ციურ ლაყვარდს შერწყმია, ხოლო მისი შიშველი ფეხები მკაფიოდ ისახება მიწაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წმინდანის იდაყვი ღია და მუქი ტონების (ნათელისა და ბნელის) გამაერთიანებელ ხაზს ერწყმის. საერთოდ, აქ ფონი ერთად მნიშვნელოვანია, რომ ვიდრე მთავარი ფიგურების სიმბოლიკას განვმარტავთ, საჭიროდ ვთვლით, მოკლედ შევეხოთ კომპოზიციის ცალკეულ დეტალებს.

ოსვალდ შპენგლერი გახმაურებულ წიგნში „ევროპის დაცემა“ აღნიშნავს, რომ „მხოლოდ XVI საუკუნეში იწყება დასავლური ფერწერის გადამწყვეტი ფაზა... მხატვრობა გადაიქცა პოლიფონიად, რომელიც უსასრულობისკენაა მიმართული... ფერი ტონად გარდაისახება... ლეონარდოდან იწყება იმპრესიონიზმი“. აღსანიშნავია, რომ ამ თითქოსდა უცნაურ მოსაზრებას დღესაც იზიარებენ მკვლევარები. მაგალითად, ხელოვნებათმცოდნე ევგენი ბოგატი თავის მხრივ აღნიშნავს, რომ „იმპრესიონიზმი, როგორც რეალობა, ამ მიმდინარეობაზე გაცილებით ადრე არსებობდა, ელოდა რა თავის აღმოჩენას. ის XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოაჩინეს მხატვრებმა, რომლებმაც მიატოვეს ბნელი სახელოსნოები და მხერა მიაპყრეს მზეს, წყალს, ადამიანთა სახეებს, რომლებშიც ირეკლება“ დღის ნათელი თუ მოქუფრული დილის ნისლიანი ფერები. რუსი მკვლევარი იმონებს თვითონ ლეონარდოს ჩანაწერებს. მართლაც საოცარია, თუ რაოდენ იმპრესიონისტულ მანერაზე აღწერს ლეონარდო ზღვას: „აღვლევებულ ზღვას ერთ ფერში ვერ აღვიქვამთ. ვინც მას ხმელეთიდან უმზერს, მუქი ჰგონია და ჰორიზონტისაკენ უფრო და უფრო ჩამუქებული ეჩვენება. შიგადაშიგ კრთებიან ეული ნათელი ლაქები, რომლებიც ისე ზანტად მოძრაობენ, როგორც კრავები ფარაში. ხოლო შუაგულ ზღვაში მყოფი ადამიანისათვის წყალი ლურჯი ფერისაა“.

არანაკლებ საინტერესოა ლეონარდოს თვალთ დასახული წვიმა: „წვიმა ეშვება ჰაერში. იგი ტყვიისფერია, რადგან ერთი მხრივ ირეკლავს მზის შუქს, სანინაალმდეგო მხრიდან კი – ჩრდილს... მიწაც მუქდება, ... საგნები, რომელთაც მზის შუქის მიღმა ვხედავთ – ბუნდოვანია, კონტურები გაურკვეველია. ხოლო საგნები, რომლებიც ჩვენს ახლოსაა, უფრო მკაფიოდ აღიქმება“.

„წმინდა ანას“ მხატვრული სივრცე მართლაც რომ იმპრესიონისტულ ტონებშია გადამწყვეტილი. მოყავისფრო-მომწვანო ფერებს ენაცვლება ცის კაბადონის მოცისფერო-მონაცრისფერო ფონი. შპენგლერის შენიშვნით, საერთოდ ყავისფერი ტონი ლეონარდოს ტილოებზე მოასწავებს „სივრცის გამარჯვებას“ მატერიაზე“, ხოლო ცისფერი და მწვანე განმარტოების, სულიერი სიტბოსა და მზრუნველობის გამომხატველი ფერებია, რომლებიც „ამ მომენტს წარსულსა და მომავალთან

აკავშირებენ“. საერთოდ შპენგლერის მოსაზრებანი XVI საუკუნის დასავლური მხატვრობის ნოვაციებზე, ჩვენს აზრით, სავსებით მიესადაგება ლეონარდოს ესთეტიკურ მრწამსს და კერძოდ ჩვენს განსახილველ ფერწერულ ტილოსაც. მაგალითად, შპენგლერის მიხედვით, მხატვრობაში აქამდე უარყოფილი უკანა პლანი უსასრულობის სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო ჰორიზონტი „მარადიულობის დიადი სიმბოლოა“. ასეთივე სიმბოლურ დატვირთვას იძენენ ღრუბლები, „რომელთა გამოსახვაც საერთოდ არ ეხერხებოდა ანტიკურობას“. ამდენად, თუ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ფერწერულ ტილოზე ანას თავი ღრუბლებს უტოლდება, შიშველი ფეხები მიწაზე მყარად დაუბჯენია, ხოლო იდაყვით სამყაროს საპირისპირო სანყისებობის (ზეცა – ხმელეთი, ნათელი – ბნელი) შემაერთებელ „პირობით ჰორიზონტს“ ერწყმის, მაშინ საბოლოოდ ხდება ცხადი, რომ ანას ფიგურა ლეონარდოსათვის მთელი ყოფიერებისა და სამყაროს ერთობის მკაფიო სიმბოლოა.

ცხადია, ჩნდება შეკითხვა, თუ რატომ შეარჩია მხატვარმა თავისი ჩანაფიქრისათვის ხელოვნებაში ნაკლებ პოპულარული ანას ფიგურა და არა, ვთქვათ, მარიამ ღვთისმშობლისა. სწორედ ამ კითხვაზე ეძიებს პასუხს ზიგმუნდ ფროიდიც.

იმთავითვე აღვნიშნავთ, რომ ფროიდის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს ლეონარდოს სიყრმისეული ერთადერთი მოგონება წარმოადგენს, რომელიც მხატვარს თავის სამეცნიერო ტრაქტატზე („Codex Atlanticus“) მიუწერია. ეს ტრაქტატი შეეხება ფრინველთა ფრენის თავისებურებებს. ცნობილია, რომ ლეონარდო მთელი სიცოცხლის მანძილზე აკვირდებოდა და იკვლევდა ფრინველთა აგებულებას, მათი ფრენის თავისებურებას. საფრენი აპარატის მოდელიც კი შექმნა და ოცნებობდა მის ისეთ სრულყოფაზე, რომ ფლორენციის „გედის მთიდან“ გაფრენილიყო: „აქედან დაინყებს ფრენას საუცხოო ფრინველი, რომელიც მთელ ქვეყნიერებაზე გაითქვამს სახელს“. რაც შეეხება ლეონარდოს ადრეული ასაკის შთაბეჭდილებას, ჩანანერი, ერთი შეხედვით, უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე: „ალბათ ბედისგან იყო განსაზღვრული, ასე საფუძვლიანად რომ შევისწავლე ძერა, რადგან მახსენდება ერთი ძალზე ადრეული შემთხვევა: ერთხელ, როცა ჯერ კიდევ აკვანში ვინეკი, ჩემთან მოფრინდა ძერა, პირი გამიღო კუდით და მრავალჯერ შეეხო ჩემს ბაგეს“. ფროიდის აზრით, ლეონარდოს ჩანანერი მხოლოდდამხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია, თუნდაც ვიგულისხმით, რომ აღამიანს შეიძლება ასოვდეს აკვანის ასაკში განცდილი რომელიმე მომენტი. მისი შეხედულებით, აკვანზე დაფრენილი ძერა დედის სიმბოლოს წარმოადგენს, კუდი კი მის მკერდთან ასოცირდება, რომელსაც ჩვილი ხარბად ენაფება. თუმცა ფროიდი იქვე ვარაუდობს მეორე, სრულიად სანინაალმდეგო ვარიანტსაც. იგი შენიშნავს, რომ ფრინველის კუდის აღმნიშვნელი სიტყვა „Coda“ (იტალ.) მამაკაცის სასქესო ორგანოს ნიშნავს. ეს სიმბოლო კი თავისთავად უცხო არ გახლავთ ფსიქონალიზისათვის. ფროიდის მიმდევარი ოტო რანკი, რომელიც შემდგომ განუდგა მასწავლებელს, ასევე მიიჩნევს, რომ ფალოსის ერთ-ერთ გავ-

რცელებულ სიმბოლოს, რომელიც ადამიანის ქვეცნობიერიდან მომდინარეობს, ფრინველი წარმოადგენს („ფსიქონალიზის მნიშვნელობა სულისმეცნიერებაში“). თავისთავად ამ ორ ურთიერთსანინაალმდეგო ინტერპრეტაციას ფროიდი თვითონვე მოხერხებულად აერთიანებს ერთ სიმბოლოში: ეს გახლავთ ეგვიპტელთა ქალღმერთი მუტი, დედა-ღვთაება, რომელსაც ძველეგვიპტურ მითოლოგიაში ქერის თავითა და ფალოსით გამოსახავდნენ. ეს ანდროგენული არსება, რომელშიც მოხსნილია, მორიგებულა საპირისპირო სანყისები, ღვთიურ სრულქმნილებას განასახიერებდა, რისკენაც თავისი ხელოვნებით გამუდმებით ილტვოდა ლეონარდო. ფროიდის აზრით, დიდმა მხატვარმა ეს კონცეფცია ყველაზე მკაფიოდ სწორედ წმინდა ანას სახით წარმოაჩინა.

ფროიდი ცდილობს კიდევ უფრო კონკრეტული ახსნა მოუძებნოს ლეონარდოს ჩანანერს „წმინდა ანას“ ტილოსთან მიმართებით, სახელდობრ, იგი იშველიებს ერთ ჰერმეტიკულ ტექსტს, სადაც ასევე ნათქვამია, რომ ძერა დედობრივ სანყისს განასახიერებს, რამდენადაც ფრინველთა ეს სახეობა მხოლოდ მდებარებითი სქესისაა. სხვა წყარო კი გვამცნობს, რომ ძერა ნაყოფიერდება ფრენისას ქარის მეშვეობით. ფროიდი აღნიშნავს, რომ ეკლესიას ხელს აძლევდა ეს ზღაპარი ძერის ერთსქესიანობისა და ქარით განაყოფიერების შესახებ, ვინაიდან, თუკი ფრინველის შემთხვევაში მოსალოდნელია უბინო ჩასახვა, მაშინ ეს ვერსია უფრო გამართლებული უნდა ყოფილიყო ქალის შემთხვევაში. ეკლესიის მამები დიდი მონდომებით ენეოდნენ ამ თეორიის პროპაგანდას და საკმაოდაა საფიქრებელი, რომ იგი ლეონარდოსთვისაც ყოფილიყო ცნობილი.

ფროიდის შეხედულებანი შეიძლება აქ შეჯამებულიყო, მაგრამ იგი ამდენი ნიაღვრების შემდეგ უეცრად მოულოდნელ დასკვნას გვთავაზობს: „ამ სურათზე მიიღწევა მისი ბავშვობის სინთეზი. სურათის დეტალები მხოლოდდამხოლოდ ლეონარდოს პირადი ცხოვრებისეული განცდების საფუძველზე შეიძლება აიხსნას“. მხატვრის ბიოგრაფიიდან კი ცნობილია, რომ იგი შეძლებული ნოტარიუსისა და მინათმფლობელის პიერო და ვინჩისა და გლეხი ქალის, კატარინას, უკანონო ვაჟი გახლდათ. დაიბადა 1452 წელს, ფლორენციის მახლობლად, პატარა დაბა ვინჩიში. დედა, სავარაუდოდ, რამდენიმე წელიწადში გათხოვდა დონ პიეროს მსახურზე, თუმცა, ზოგიერთი ვერსიით, კატარინას ბოლომდე არ გაუწყვეტია კავშირი შვილთან. დაახლოებით ხუთი წლის ასაკიდან ლეონარდო იზრდებოდა მამის სახლში, სადაც თავს ევლებოდნენ კეთილი დედინაცვალი დონა ალბიერა და ბებია (მამის დედა) მონა ლუჩია. ფროიდის მიხედვით, ლეონარდომ „წმინდა ანას“ კომპოზიციაში: ბებია (ანა) – დედა (მარიამი) – ბავშვი (ქრისტე) სწორედ თავისი ბავშვობის კოდი ჩააქსოვა: მონა ლუჩია (ანა) – დონა ალბიერა (მარიამი) – თვითონ (ქრისტე). თუმცა ფროიდი იქვე გვთავაზობს კიდევ ერთ ვერსიას. რამდენადაც ანასა და მარიამს შორის ფერწერულ ტილოზე თითქმის არ შეიმჩნევა ასაკობრივი ზღვარი, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ლეონარდომ მათში თავისი ორივე დედის სახე ალბეჭდა. ბიოლოგიური დედა – კატარინა (ანა), ისევე, როგორც რეალობაში,

უკანა პლანზეა, ხოლო ბავშვი დონა ალბიერას (მარია-მის) მკლავებშია მოქცეული.

როგორც ვხედავთ, ფროიდი მსჯელობას იწყებს მი-თოლოგიური წიაღსვლებით, მაგრამ საბოლოოდ ინდივი-დუალურ-ფსიქოლოგიური დაკვირვებებით იფარგლება.

გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი რენე გენონი ნიგნში „საკრალური მეცნიერების სიმბოლოები“ დაუნდობლად აკრიტიკებდა რა ფსიქოანალიზს, ირონიულად შენიშნავ-და, რომ „როცა ფროიდი სიმბოლიკაზე საუბრობდა, გუ-ლისხმობდა რალაცას, რაც მხოლოდ ადამიანური ფანტა-ზიის ნაყოფს წარმოადგენდა და არაფერი გააჩნდა საერთო ქეშ-მარიტ, ტრადიციულ სიმბოლი-კასთან“. გენონი ასეთივე დაუნ-დობლობას იჩენდა ფსიქოანა-ლიზის მეორე განშტოების – კარლ გუსტავ იუნგის სკოლის – მიმართ, უნოდებდა რა იუნგის „კოლექტიურ არაცნობიერს“ პათოლოგიასა და დივერსიას. თუმცა ჩვენს შემთხვევაში ინ-ტერესმოკლებული არ უნდა იყოს ცნობილი დაპირისპირება თვით ფროიდისა და იუნგის სკოლებს შორის, რაც სხვათა შორის, ლეონარდო და ვინჩის შემოქმედების განსხვავებულ შეფასებაშიც გამოვლინდა. სა-ხელდობრ, ფროიდის დებულე-ბები მკაცრად გააკრიტიკა იუნ-გის მიმდევარმა ერის ნოიმანმა ნაშრომში „ლეონარდო და ვინჩი და დედის არქეტიპი“ (1954 წ.).

ნოიმანის ძირითადი საყვე-დური ფროიდის მიმართ უკვე კვლევის მეთოდის შერჩევისას მჟღავნდება. იგი წერს: „ჩვენს ნაშრომში გამოყენებულია სხვა მიდგომა, დამყარებული იუნგის ანალიტიკურ ფსიქო-ლოგიაზე. იგი განსხვავდება ფროიდის ინდივიდუალური ფსიქოლოგიისაგან, რომელიც არ ითვალისწინებს ზეპი-როვნულ, არქეტიპულ ფაქტორებს“.

შემდეგ ნოიმანი ირონიულად შენიშნავს, რომ ფროი-დი ქალღმერთ მუტის სიმბოლოს შემოტანით თვითონვე ექცევა ჩიხში, ვინაიდან მუტი მარადქალურის სიმბო-ლოა და შეუძლებელია იგი, ლეონარდოს ჩანანერის მი-ხედვით, ინდივიდუალური აღქმისა თუ ფანტაზიის ნაყო-ფი იყოს. სამაგიეროდ, ნოიმანი იზიარებს ოსკარ ფისტე-რის თვალსაზრისს, რომ „წმინდა ანას“ კომპოზიციაში მარიამის მოსახსნამს ძერის მოხაზულობა აქვს და რომ-ლის კუდიც, ისევე, როგორც ლეონარდოს ჩანანერში, ბავშვის ბაგეს ეხება.

ამრიგად, შესაძლოა, ვიგულისხმოთ, რომ ფერწერულ ტილოზე „დაშიფრულია“ ძერა, როგორც სულისა და მა-რადქალურის სიმბოლო. ნოიმანი ასევე განავრცობს ფროიდის თეზას ქარით ძერის განაყოფიერების შესახებ და დასძენს, ეკლესიას მით უფრო აძლევდა ხელს ეს მო-

ნაჩმახი, რომ, სხვადასხვა თქმულებების მიხედვით, ანა სამჯერ ყოფილა გათხოვილი და ურიცხვი შვილებიც ჰყოლიაო. ამ თქმულებათა მიხედვით, ანა ითვლებოდა დედამიწის სიმბოლოდ, ასევე მშობიარე ქალებისა და მე-მალაროეთა მფარველად.

უფრო მეტიც, ოტო რანკი სტატიაში „ფსიქოანალი-ზის მნიშვნელობა სულისმეცნიერებისათვის“ მოგვით-ხრობს, რომ თვით მარიამისა და ქრისტეს ურთიერთმი-მართებას, უძველესი მითების მიხედვით, შორდება უმ-ნიკვლოების შარავანდი. ამ თქმულებებში პალესტინელ-

თა ღვთაება იეშუა გვევლინება მითიური მარიამის ხან ძედ, ხა-ნაც სატრფოდ.

იმ დროს, როცა ლეონარდოს „წმინდა ანას“ შეკვეთა მისცა ფლორენციის სერვიტერთა მო-ნასტერმა, ეკლესია თავგამოდე-ბით იცავდა უმანკო ჩასახვის დოქტრინას და მხატვრებს ხში-რად უკვეთავდა მარიამის კულ-ტის ამსახველ სურათებს. კათო-ლიკურ თეოლოგიაში ამ მოძრაო-ბამ თავის პიკს ჯერ კიდევ 1494 წელს მიაღწია, როცა გერმანელმა აბატმა და ღვთისმეტყველმა იო-ჰანეს ტრიტემიუსმა გამოსცა ტრაქტატი ლათინურ ენაზე. იგი ანას უმნიკვლობის ვერსიას იცავ-და და ამტკიცებდა, ანაც ისეთივე წმინდანი იყო, როგორც მისი ქა-ლიშვილიო. იქვე ტრიტემიუსი სვამს კითხვას: „მაშ რატომ არ განვადიდებთ მას ისევე, რო-გორც მის ქალიშვილს?“ ერის ნო-იმანის აზრით, სწორედ ამ ხან-გრძლივმა პოლემიკამ შთააგონა ლეონარდოს „წმინდა ანას“ კომ-პოზიცია და მის ქვეცნობიერში



ლეონარდო და ვინჩის ავტოპორტრეტი

ამოტივტივდა დედა-შვილის არქეტიპი, რაც ანასა და მა-რიაამის ერთსახოვნებაში გამოვლინდა (ფერწერულ ტი-ლოზე ანა-მარიამის სხეულები თითქოს ურთიერთშერ-წყმულია). „ორი დედის“ შერწყმაზე ყურადღებას ამახვი-ლებს ფროიდიც, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოი-მანის მიხედვით, ეს შერწყმა ლეონარდოს ინდივიდუალუ-რი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ არქეტიპული კომპლექსია. არქეტიპი წარმოადგენს ზოგადსაკაცობ-რიო გამოცდილებით შექმნილ პირველქმნილ სახეს, რო-მელიც ფსიქიკურ ელემენტებს გარკვეულ ხატებად და წარმოდგენებად აწესრიგებს. არქეტიპი ვლინდება სიზ-მრებში, ზღაპრებში, მითებში, ხელოვნების ქმნილებებში. „წმინდა ანას“ ფერწერული ტილოც სწორედ ლეონარდოს ფსიქიკური ენერგიით გაცოცხლებული ერთ-ერთი ასეთი არქეტიპი გახლავთ, რომელიც, ნოიმანის მიხედვით, კი-დევე უფრო ნიშანდობლივ ასე შეიძლება განვმარტოთ: ჩვეულებრივ სურათებზე ანას გამოსახვენ დედად, ხო-ლო მარიამს – შვილად. ლეონარდოს ტილოზე კი როლები შეცვლილია. მარიამი, რომელიც წინ გადახრილა, რათა



უკეთ დაიჭიროს ბავშვი, წარმოადგენს ქალური სანწყისის დედობრივ ანუ ელემენტარულ ხასიათს, წმინდა ანა კი სულიერ, ზოგადქალურ სანწყისს განასახიერებს, რომელიც სოფიას (უზენაესი სიბრძნის) საუფლოში მყოფობს.

საინტერესოა, რომ ანალოგიურ შეხედულებას ვხვდებით რუსი მწერლისა და ფილოსოფოსის დიმიტრი მერეჟკოვსკის რომანში „აღმსდგარი ღმერთები. ლეონარდო და ვინჩი“. სახელდობრ, „წმინდა ანას“ ტილოს აღწერისას მერეჟკოვსკი აღნიშნავს: „წმინდა ანა მარად ახალგაზრდა სიბილას ნააგავს... მის გვერდით მარიამის ბავშვური გაცისკროვნებული სახე მტრედისებური უბრალოებით სუნთქავს... მარიამი იყო სრულქმნილი სიყვარული, ანა – სრულქმნილი შემეცნება. მარიამმა იცის იმიტომ, რომ უყვარს. ანას უყვარს იმიტომ, რომ იცის... უდიდესი სიყვარული უდიდესი შემეცნების პირმშოა“.

თუ ფროიდის მიხედვით, ლეონარდო თითქმის ერთსა და იმავე ჟამს ქმნის „მონა ლიზასა“ და „წმინდა ანას“, მერეჟკოვსკი გვამცნობს, რომ სურათზე მუშაობისას ლეონარდო ტირან ცეზარე ბორჯას სამსახურში იმყოფებოდა და გულმოდგინედ აგებდა სხვადასხვა სამხედრო დანადგარებსა და მანქანებს. როგორ შეეძლო ერთ ადამიანს შეეთავსებია საკრალურ თემაზე მუშაობა საბრძოლო დანადგარებთან?! მერეჟკოვსკის მიხედვით, ეს შეთავსება არ ყოფილა შემთხვევითი. იგი იშველიებს ლეონარდოსავე მოსაზრებას, რომელსაც დიდი ხელოვანი თავის „მექანიკის სანწყისებში“ გამოთქვამს: „მე ვამტკიცებ, რომ ძალა წარმოადგენს რაღაც სულისმიერს, უხილავს. სულისმიერს იმიტომ, რომ მას სხეული არ გააჩნია, ხოლო უხილავს იმიტომ, რომ სხეული, რომელშიც იბადება ძალა, არ იცვლის არც წონასა და არც სახეს“.

მერეჟკოვსკის მიხედვით, ლეონარდო ერთნაირი ხალისით აკვირდებოდა, თუ როგორ შედიოდა და გადაეცემოდა ძალა მანქანათა ბორბლებს, მუხრუჭებს, ვინტებს, კბილანებს. „სწორედ ასევეა სიყვარული, სულის ძალა, რომელიც ატრიალებს სამყაროებს, გამუდმებით მიედინება, გადადის ზეციდან მიწაზე, დედიდან შვილზე, შვილიდან შვილიშვილზე, იდუმალებით მოცულ კრავზე, რათა შეკრას მარადიული წრე და კვლავ დაუბრუნდეს თავის სანწყის მდგომარეობას“.

ეს ალბათ სწორედ ის მისტიკური ძალაა, რომელმაც ერის ნოიმიანის თქმით, თვით ლეონარდო და ვინჩის ფენომენი შექმნა და რომლის ამოხსნასაც (ფროიდის თავდაჯერების მიუხედავად) დღემდე ამაოდ ცდილობენ მეცნიერები. ამიტომაც ნოიმიანი თავიდანვე ურჩევს მკითხველს, კარგად დაიმახსოვროს იაკობ ბურკჰარდტის სიტყვები: „ლეონარდოს ბუნება ისეთი კოლოსალურია, რომ ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მხოლოდ ძალზე ბუნდოვნად განვჭვრიტოთ მისი ზოგადი კონტურები“.

ეს ალბათ სწორედ ის მისტიკური ძალაა, რომელმაც ერის ნოიმიანის თქმით, თვით ლეონარდო და ვინჩის ფენომენი შექმნა და რომლის ამოხსნასაც (ფროიდის თავდაჯერების მიუხედავად) დღემდე ამაოდ ცდილობენ მეცნიერები. ამიტომაც ნოიმიანი თავიდანვე ურჩევს მკითხველს, კარგად დაიმახსოვროს იაკობ ბურკჰარდტის სიტყვები: „ლეონარდოს ბუნება ისეთი კოლოსალურია, რომ ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მხოლოდ ძალზე ბუნდოვნად განვჭვრიტოთ მისი ზოგადი კონტურები“.

კრიტიკა

როსტომ ჩხეიძე

ნუთისოვლის კულისები და პოეტური ნიღბები

\*

უსცოური ეპიგრამები ქართულად

ეპიგრამების ქართულად ამეტყვევებისას ლევან ბრეგაძე ზოგიერთ შემთხვევაში აქსესუარს იმდენად შეცვლიდა, რომ რამდენიმე ნიმუშისათვის ველარც თარგმანი დაერქმია და ველარც ორიგინალურ ნაწარმოებად მიეჩნია. ვთქვათ, კოტლიარევსკის „ექო, ანუ ეპიგონ პოეტს“:

– Уж сочиняете и вы? – Увы!

ქართულად ასე განმეორდებოდა:

– პუშკინმა მუზა თავისი შენ ხომ არ გადმოგაბარა? – აბა, რა!

ექოს კი აახშიანებდა (გადმოგაბარა – აბა, რა) და თანაც უფრო ზუსტად და ეფექტურად, ვიდრე რუსულადაა, ამას გარდა, პუშკინის ხსენებაც ქართველი ლიტერატორის „თვითნებობა“ (ეპიგრამის შექმნისას „ევგენი ონეგინს“ ავტორი ჯერ დაბადებულიც არ იყო!), მაგრამ რაკილა უმთავრესი (ექოს იდეა) სხვას ეკუთვნოდა, ქართულ ვერსიას ამიტომაც ვერ მიიჩნევდა თავის ორიგინალურ ქმნილებად.

იმასაც დასძენს: ვერც მაშინ, „პუშკინი“ რომ „აკაკით“ შემეცვალა, იმ აკაკით, რომელმაც ეპიგონთა მთელი არმია მოიყოლა თანო.

უმთავრესი სხვას ეკუთვნისო...

არადა, უმთავრესიც სხვას ეკუთვნოდა და მთლიანი აქსესუარიც, მარკუს ვალერიუს მარციალისის, I საუკუნის რომაელი პოეტის, ეპიგრამებს თარგმნისას თავისად რომ გაასაღებდნენ სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ეპოქაში. საამისო ნიმუშები სახელდახელო თვალის გადავლებითაც გამოირჩევა შოთა ქავთარაძის მიერ თარგმნილ „ესპანურ კლასიკურ ეპიგრამაშიც“ და ამ ანთოლოგიური ყაიდის კრებულშიც, ლევან ბრეგაძის მიერ ქართულად გარდათქმული ანტიკური, გერმანული, რუსული და ბულგარული ეპიგრამები რომ მოიყრის თავს.

ესპანელები უცნობი პოეტის ეპიგრამად რომ შეიტანდნენ თავიანთ ანთოლოგიაში ვინმე ვარელაზე შექმნილ ნიმუშს, თურმე ვილაც ანონიმ ესპანელს კი არა, მარციალისს შეეთხზა:

გველმა უკბინა ვარელას და რომ ვნახეთ წყლული, ისე შევწუხდით, არ ვიყავით არავინ დარდით...

**მაგრამ, ნუ იტყვით, გველმა მალე გააფრთხო სული, ვარელა, ვითომც არაფერი, უვნებლად დადის.**

ან ხუან დე კასტროს რომ მიეწერებოდა ვინმე კლიტოზე შექმნილი ეპიგრამა:

**როგორც კი მტერი შენიშნა კლიტომ,  
იმ წუთში გულში ჩაირტყა დანა!  
ეჰ, სისულელე არ არის განა?  
მტერი მეტს რაღას უზამდა ვითომ?!**

განა კვლავ რომელი პოეტი არ ამოიცინობა, ისევე, როგორც ხუან დე ირიარტეს მიერ დალაქის გაქილიკების მიღმა?

**მარჯვე ხელი აქვს ჩვენს დალაქს როხასს,  
მადლიერია ერი და ბერი...  
ვიდრე მეორეც გამპარსა ლოყა,  
პირველზე ისევ ამოჩნდა წვერი.**

პირველწყაროთა წარმოჩენა ამ შემთხვევაში საბაბი უფრო აღმოჩნდა შოთა ქავთარაძის თარგმნილ ნიმუშთა გასახსენებლად, მის მიერ მშვენივრად მოძებნილი ინტონაციისა და რიტმის შესაგრძობად. ერთადერთი „წუთში“ და „გულში“ ასე ერთმანეთის გვერდით ყურსაჭრის, მაგრამ მისი გამოსწორება უმტკივნეულოდ შეიძლება: „წუთას გულში“.

ამ ანთოლოგიურ კრებულში კი ლესინგის მიერ უნიჭო კრიტიკოსის გაბიაბრუება მარციალისის სტრიქონებს მიჰყვება სიტყვა-სიტყვით:

**კვლავ წერ ჩემზე ფელეტონებს?  
ეჰ, მომგვარო ლამის თვლემა.  
რასაც არვინ არ კითხულობს,  
დანერილად არ ითვლება.**

საგანგებო შედარება-შეპირისპირებამ შესაძლოა არაერთი განმეორება დაადასტუროს. მკვლევარებს მასალა არ მოაკლდებათ და აშკარა ნასესხობანი თუ უნებლიე მსგავსებანიც მაშინ გაირკვევა დაბეჯითებით.

ამჯერად კი:

ანტიკურმა ლექსწყობამ არ იცის რითმა, ეს უფრო გვიანდელი მოვლენაა ევროპულ პოეზიაში, და რაკილა მარციალისის სატირულ-იუმორისტულ პოეტურ მინიატურებს გართმავდნენ, უკვე თავიანთი ეგონათ. ცოტა შეიძლება შეჭოჭმანებულიყვნენ კიდეც, მაგრამ, აი, იდეის გამოყენებისას საყოყმანოს ვერაფერს დაინახავდნენ. ეპიგრამები არაკუბივით მოივლიდნენ სხვადასხვა ენობრივ სივრცეებს და სასიკეთო ზეგავლენასაც მოახდენდნენ ამ ნიჭით დაჯილდოებულ ავტორებზე.

ყველა ქვეყანასა და საქართველოშიც, რუსთველის განსაზღვრებისა არ იყოს, ეს ჟანრი „მესამე ლექსად“ მიიჩნეოდა?

მერე რა – უიმისობა მაინც რაღაცას დააკლებდა სამწერლო პროცესს, მისი მიყრუებაც კი, არამცთუ სრული განდევნა ელიტარული ჟანრების წრიდან. მისგან მოგვრილი სიამე ყურს დააკლდებოდა. ამიტომაც არ თაკილობ-

დნენ ეპიგრამის შეთხზვას გოეთე თუ ლესინგი, ბერსი თუ ჰაინე... თაკილობდნენ კი არა, ძალიანაც ესახელებოდათ, ეს ნიჭიც რომ მოსდევდათ და სატირულ-იუმორისტულ მინიატურებშიც გამოთქვამდნენ გულისწყრომასა თუ ზიზღს, მძაფრ შეურიგებლობასა თუ მსუბუქ ათვალწუნებას, სალალობო განცდასა თუ ამხანაგთა გასათრეველ შექილიკებას. პუშკინიც თავს გამოიღებდა ეპიგრამების სიმახვილით...

ჩვენში ბესიკ გაბაშვილამდე ვერ დაგვიდასტურებია ლიტერატურული ეპიგრამა. ნეტა მანამდელი ნიმუშები უკვალოდ გაქრა თუ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შეერწყა? ის იდეები, ის მახვილი თუ მოულოდნელი სვლები, რუსთველსაც რომ ეამებოდა.

აკაკი წერეთელს უთუოდ ძალიან ენანებოდა ძველი ეპიგრამებისა და კაფიების უკვალოდ გაქრობა, რუსთველის თანამედროვე თუ უფრო ადრეულ ეპიგრამისტთა ჩაკარგვა დრო-ჟამის უწყალო დინებაში; მათ სანაცვლოდ თვითონვე შეთხზავდა სატირულ-იუმორისტულ მინიატურებს და „თორნიკე ერისთავში“ საგანგებოდ ჩაურთავდა, თითქოს დავით კურაპალატის ეპოქის პოეტური ქმნილებანი ყოფილიყოს – პატივს ასე მიაგებდა უსახელოდ გადაგებულ ეპიგრამისტთა ხსოვნას.

მეფის წვეულებაზე შაირობა და ზმების ტყორცნაც რომ გაიმართებოდა, ყველას კარის ხუმარა ნააჭარბებდა და ბოლოს ორბელიძე „მოსწრებულად, გალექსულად, ცალფეხ ზმების საპასუხოდ“ ორლესულად მოუჭრიდა სიტყვას:

**მალლით წვიმა მოდიოდა,  
ნაზადმა ვერ დამფარაო,  
დამასველა მან, თავიდან  
ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო !**

გიჯობნიაო – მიუგებდა ხუმარა, მორჩილად ვკაკვავ თითს, მაგრამ ერთი კი უნდა მოგასხენო მონინებით და ფრთხილადო:

**ხუმარადაც ვარგებულხარ,  
ვაჟკაცობით პირველიო,  
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,  
თუმც მის ადგილს ს უ ლ ე ლ ი ო !**

მხოლოდ სიუჟეტური ქარგის გამოსახლისებლად არ არის ჩართული პოემაში ეს პოეტური გააქეკრება, აქ უნდა გაისმას პირველად თორნიკე ერისთავის სახელი და, რასაც დავით კურაპალატს მანამდე ვერ უმხელდნენ, ასეთნაირად უნდა გააგებინონ, ეპიგრამით მიანიშნონ, მეფის საუკეთესო სარდალი ამქვეყნიურ საზრუნავს რომ ჩამოსცილებია და სულეირი შვეების მოსაპოვებლად ეკლესიისათვის მიუშურებია.

ბესიკ გაბაშვილამდე ვერ დაგვიდასტურებიაო...

ბესიკის შემდგომ ერთი-ორჯერ ალექსანდრე ჭავჭავაძეც მოსინჯავდა.

თუმც ეს „ერთი-ორი“ ისაა, რაც შემოგვრჩა, ისევე, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძემდეც იქნებ სანთლით საძებნელიც არა ყოფილიყვნენ მარჯვე მოკაფიავები, თორემ წინანდლის მებატონის ექსპრომტებით სახელი

გაეთქვა და მის სალონში მოულოდნელად გამოჩენილ სტუმარს მაშინვე ეპიგრამას შეაგებებდა.

თუნდაც ანა და მანანა ორბელიანებს მოჰკრავდა თუ არა თვალს, ჯერ ოთახში ვერც კი მოასწრებდნენ ფეხის შემოდგმას, სულაც მაჯამას სტყორცნიდა:

**სევმ მანვიმა მანანა:  
მომივილინა მან ანა;  
მას თან მოჰყვა მანანა,  
მინანავა მან ნანა.**

მოდურიც გახდებოდა სახუმარო ლექსებით გაკამათება და ნიკოლოზ ბარათაშვილიც შეეცდებოდა იმ რანგის ეპიგრამების შექმნას, რუსთველს რომ ათქმევინებდა: ჩვენ მისიცა გვეამებისო.

ის მახვილსიტყვაობანი და ოხუნჯობანი, ბარათაშვილს რომ მიეწერებოდა, ძალაუნებურად გვაფიქრებინებდა, რომ გული ისე არ დაუდგებოდა, „მესამე ლექსშიც“ არ მოესინჯა თავი. და თუმცა ორიოდ ნიმუში თუ შემოგვრჩებოდა – ერთი ის, კნიაზ მიხეილ ბარათაშვილის აზარფეშაზედ წარწერილი, და ორიც ლუარსაბ ორბელიანის, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის, ქალიშვილებზე თქმული – დიდი ამოცნობა არა სჭირდება, რომ მხოლოდ ამ ნაკუნებს არ იმყოფინებდა. საგულისხმოა, რომ ელენე და მარიამ ორბელიანებიც არ დარჩენიან ვალში და გამკილავი სტრიქონებისათვის არანაკლებ გამკილავი სტრიქონები შეუგებებიათ.

რაო რუსთველმა?

სააშკოვდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველადო?

საამისოდ მზად იქნებოდა ბარათაშვილის თაობა, როგორც კი ცრემლს შეიშრობდნენ ქვეყნის ბედზე და გულის გამოკეთებას მოინდომებდნენ – სახალისო წამები რომ გამოეგლიჯათ წუთისოფლისათვის. კიდევ შემდგომ ილია ჭავჭავაძისთვისაც მარჯვე და შესაფერისი მხატვრული ფორმა აღმოჩნდებოდა და აკაკი წერეთლისთვისაც, ალექსანდრე ყაზბეგიც გამოიყენებდა და ვაჟა-ფშაველაც, იოსებ დავითაშვილიც იხალისებდა, და თუ იმ ოთხეულისათვის ეპიგრამა უმთავრესად სატირული თვალსაზრისით აღმოჩნდებოდა სასურველი, პოეტი-ხელოსანი ლალი იუმორით შეაფერადებდა, სახალხო მელექსეები კი სულაც ძველ ფოლკლორულ ტრადიციას გააგრძელებდნენ – კაფიის პოეტიკას: პარასკევა (გაბიდაური) თუ გოგრიწყელა, ჯაბანი (გიგოლაური) თუ ფოთოლათ მერცხალა, ფრუშკა თუ დაქუხათ პაპი, მოგვიანებით ყრუ გიორგი შეემატებოდათ, აქეთ კი, სამწერლო ცხოვრებაში, ლადო ასათიანი მიანიჭებდა ახალ სუნთქვას ამ ჟანრს – ფუნაგორის სახელით უფრო მახლობელს მისთვის... და მერეც გაგრძელებოდა და გაგრძელებოდა ლიტერატურულ თუ ფოლკლორულ ციკლად: ეს შეთეო, ეს ალექსი ჭინჭარაულიო, ეს ჯანსუღ ჩარკვიანიო, ეს ტარიელ ჭანტურიო, ეს ვახტანგ ჯავახაძეო, ეს ზაურ ბოლქვაძეო, ეს ვახუშტი კოტეტიშვილიო, ეს ზეზვა მდელაშვილიო, ეს ვახტანგ თვარელაშვილიო, ეს რუსლან მიქაბერიძეო...

აქვე უნდა ვიგულისხმოთ ეპიგრამათა ის ციკლიც, 1978 წლის 14 აპრილის სატირულ-იუმორისტულ გამოძახილად რომ შეიქმნა და გიორგი ბაქანიძის მოგონებათა

ნიგნმა შემოგვინახა, აგრეთვე, ის მძაფრი პოეტური შეფასება... თუმცა მთლად ჩამოთვლასაც ნუ გადავყვებით.

გაკაფიების ნიმუშებს მიხეილ ჯავახიშვილი რომანში ჩაურთავდა – „თეთრი საყელო“, თუმცა ეს რა გასაკვირია, როდესაც ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „რაინდები“ პერსონაჟები ბრძოლის ველზე ჯერ პოეტური სიტყვით ეკინწლავებიან ერთმანეთს:

**ე, მოხუცო, დაჭრილთ შორის  
რომ დამდგარხარ უცხენოთ,  
ზიარებას თუ უმზადებ,  
მოვახერხებ უშენოთ.**

დაცინვით მიმართავს არჩილი, რის პასუხადაც დამხვდურიც ეპიგრამას შემოაგებებს:

**ანჩაბაძეს მეძახიან,  
საოხუნჯოთ – გრძელწვერასო;  
თუ საომრად მობრძანდები,  
რაზედ ხარჯავ ფუჭ სიტყვასო.**

და თითო კაფიაც უნდა გაცვალონ, ვიდრე ხმალდახმალ მივიდოდნენ ურთიერთზე.

შესადგენი და გამოსაცემი გვაქვს ქართული ეპიგრამის ანთოლოგია, და თუ იდუმალად ისედაც ვგრძნობდით მის საჭიროებას, ამ პატარა ნიგნის გამოსვლა – „სააშკოვდ, სალალობოდ. უცხოური ეპიგრამები, ქართულად გარდათქმული ლევან ბრეგაძის მიერ“ („ლომისი“, 2004) – კიდევ უფრო დააჩქარებს ამ უდავოდ მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი სალიტერატურო ცხოვრებისათვის.

თავის დროზე თამარ ერისთავი რობერტ ბერნსის ლექსების ბადალ ორეულს რომ შეგვიქმნიდა ქართულად, საგანგებოდ ჩაურთავდა კრებულში მის ეპიგრამებსაც – ბერნსის პოეტური ნიჭის მრავალფეროვნების დასტურად. თუნდაც ამ პანია ლექსს „სიღარიბის მრწამსს“ დაარქმევდა, არადა, მედროვეთა, ფარისეველთა, სულიერ ქვეშევრდომთა ზოგად სილუეტს უფრო მოხაზავდა:

**ნუ გაერევი პოლიტიკაში,  
ჯიბეში ფული თუ არ გიჭყავის,  
ენდე დიდკაცთა თვალებს და ყურებს,  
თვითონ ყრუ-მუნჯი და ბრმა იყავი!**

ვერც ლორდ გალოვეი დაივიწყებდა ვერასოდეს მის მწარე, დაუნდობელ ჩხვლეტებს:

**ო, გალოვეი, სისხლი დიდკაცთა  
შენამდე მოჰყვა წინა თაობებს,  
ასე, რომის გზაც დიდ სივრცეს გასცდა  
და შეერია ბოლოს ჭაობებს.**

მარციალისის რამდენიმე პოეტური მინიატურა თამაზ ჩხენკელს გადმოელო თეთრ ლექსად და ლაისისადმი მიძღვნილი სტრიქონები ასე გახშიანდებოდა ქართულ ენაზე:

**ო, ქალთა შორის უტურფესო ლაის, როცა მე  
ერთი ლამის ფასს გეკითხები, – შენ დაჟინებით**

**და უსირცხვილოდ, ურიდად მთხოვ ოქროს  
ტალანტებს:  
სინანულს ასე ძვირად როდი ვყიდულობ, ლაის!**

ცალკე წიგნად კი არავინ ეცდებოდა ეპიგრამის ნიმუშთა თარგმნას, ვიდრე შოთა ქავთარაძე მოჰკიდებდა ხელს ესპანელ ავტორთა სატირულ-იუმორისტული პოეტური მინიატურების გადმოქართულებას და 1989 წელს პანია კრებულადაც გამოიტანდა მზის სინათლეზე.

ლევან ბრეგაძე მონონებით შეხვდა თანამოკალმის ამ წარმატებულ მცდელობას, რეცენზიითაც გამოეხმაურებოდა და მის მეორე გამოცემასაც („ინანიება ფრანსისკო ცოდვეს“, 1996) ურედაქტორებდა, საერთოდ კი შეაფასებდა, როგორც ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის შენაძენს: „ესპანური გონება მახვილობის ნიმუშები ჩინებულად გრძნობენ თავს ქართულ ენობრივ გარემოში და არც ქართული ლექსის არტახები ევიწროებათ. ეს თარგმანები ქართული სალექსო მეტყველების ფართო შესაძლებლობათა დემონსტრირებას გახლავთ“.

იქვე ხიდს გასდებდა ჩვენებურ კაფიასთან, რათა მკითხველს იმთავითვე შინაურულად ეგრძნო თავი უცხოური პოეტური მინიატურების სამყაროში: ვინც ქართული კაფიის მაღლი და ყადრი იცის, იმას არც ეგროპული ეპიგრამა დატოვებს გულგრილსო.

ვის-ვის და მას კი მოეხსენებოდა, თუ რა ძნელია ეპიგრამის თარგმნა, როგორი ჯაფითაა მისაღწევი ის ბუნებრიობა და გარეგნული უზრალეობა, რაც გარეშე კაცს, რა გასაკვირია, ადვილადაც აცდუნებდეს – ამას ხომ მეც შეეძლებო. არადა, შესანარჩუნებელია იუმორი თავისი ნატიფი მრავალმხრივობით, მახვილი ეფექტებითა თუ ნიუანსობრივი ქვეტექსტებით (ისე არც შხამი გამოერევა იშვიათად), შესანარჩუნებელია სიღრმე და განზოგადების ძალა... არ შეეძლო ეს შთამბეჭდაობა არ დაეფასებინა ესპანური ეპიგრამების ქართული ვერსიისათვის, პანია კრებული დიდი სილალით რომ სუნთქავდა.

წლებია, თვითონ რაც გადმოჰქონდა ქართულად მსოფლიო ეპიგრამის მიღწევანი და ჯერ კრებულისათვის თავი ვერც მოეყარა. ცალკეული ნიმუშები მიმოიფანტებოდა სხვადასხვა გამოცემაში და, როგორი მომხიბლავიც უნდა ყოფილიყო ის ნიმუშები მკითხველისათვის, საერთო შთაბეჭდილების განსაკუთრებულობა მაინც აკლდა. კრებულად სულ სხვაგვარად წარმოჩნდებოდა ამ თარგმანის გამორჩეული ღირსებანი, მაგრამ წიგნი იგვიანებდა – ჯერ უფრო უნდა შევსებუდიყო, მერე კი... მერე ის, რომ თვითონ მთარგმნელს ეთანაღრებოდა გული. გადამეტებული სიფრთხილე უფრო აფერხებდა მის გამოსვლას, ვიდრე წიგნის გამოცემის სიძნელენი.

ამასობაში ლევან ბრეგაძე ქართული ეპიგრამის იმ მომავალ ანთოლოგიაშიც დაიდებდა წილს ზეზვა მედულაშვილის მახვილგონივრულ პოეტურ სხარტულეზე აგებულ მოხდენილი მინიატურების ციკლით – ესაა ის ფონი,

რომელმაც ეპიგრამის იუმორისტული, მხიარული შინაარსი, ზოგჯერ არცთუ უწყინარი, უდანაკარგოდ უნდა წარმოუჩინოს მკითხველს. ხან გარეშე კაციც იოლად გაერკვევა ეპიგრამის შინაარსში, მაგრამ ხან ის გარემო თუ არ აღდგა, სადაც ექსპრომტად წარმოითქმის სატირულ-იუმორისტული ლექსი, აუცილებელი კომენტარი თუ არ დაერთო, როგორ გინდა ზოგიერთი მინიშნება ამოიცნო, თანაც მნიშვნელოვანი, იქაურობას სულაც სიცილ-ხარხარით რომ შეძრავდა.

თვითონ მთარგმნელს ეთანაღრებოდა გულიო... ყოყმანის ამ გზაზე გადამწყვეტი როლი იქნებ ქუთაისის უნივერსიტეტში ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გამართულმა ლიტერატურულმა თავყრილობამაც ითამაშა – ეპიგრამის საღამო რომ დაერქვა და გადაიქცა ლევან ბრეგაძის თარგმანების თავისებურ გენერალურ დათვალეერებად?

ქუთათურთა ის ინტერესი, ის აღტაცება ხომ არ გამოდგა გადამწყვეტი ბიძგი, ჩიტი ხეზე რომ ზის და ხელის აქნევას ელოდება?

ხელიც აქნეულიყო და... კიდევც მალევე მოეზოდა თავი მახვილგონიერებისა და მხიარულების იმ ერთგვარ კარნავალს, ამ გამოცემის გარეკანში რომ მოქცეულა და გარეგნული იერიითაც უკეთესი საჩუქარი ბევრი არც მოიძებნება – მარჯვედ მოძებნილი ფორმატი, კარლო ფაჩულიას შესანიშნავი მხატვრობა.

„მესამე ლექსი კარგი არსო“ – თვით რუსთველი ირწმუნებოდა, და ეს წიგნიც კარგია სანადიმოდაც, სამღერელადაც, სააშიკოდაც, სალალობოდაც, ამხანაგთა სათრეველადაც, და შიგნით ის სინათლე და სიმსუბუქე ტრიალებს, რაც ჭეშმარიტი სატირულ-იუმორისტული პოეტური აზროვნების ხვედრია.

ნეტა რუსთველიც თუ მოხიბლულიყო მარციალის ის სხარტულეებით?

ნეტა ხელი თუ მიუწვდებოდა?

ეპიგრამის მამამთავრის სახელი განსაკუთრებულ პოპულარობას მოიხვეჭდა აღორძინებისა და შემდგომ ეპოქებში, მაგრამ შუა საუკუნეებშიც საკმაოდ აფასებდნენ – მწერლობის კლასიკოსად ისიც აღიარებულიყო და საუკეთესო მკითხველები უეჭველად გაეცნობოდნენ მის მხიარულ სამყაროსაც.

მაშინ, ცხადია, არც რუსთველი დატოვებდა წაუკითხავს.

მესამე ლექსის ოსტატებს რომ უსმენდა, იქნებ გუნებაში მარციალისსაც ადარებდა, უკეთესი საზომი ანკი რა უნდა ყოფილიყო. და თუ ვინმე უნებლიეთ თუ შეგნებულად რომაელ პოეტს გაიმეორებდა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა: ნუ გინდა საქმე საჭოჭმანებო.

მაგრამ არც მათი ნაკლებობა იგრძნობოდა, რომელთა ხელოვნების წყალობითაც ეპიგრამა ქართულ სინამდვილეშიც ცალკე ჟანრად დამკვიდრდებოდა, და „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ის სტრიქონები ამიტომაცაა მონონებით აღსავსე.



და რა გასაკვირია, თუკი მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების თანამედროვე კანონმდებელიც რუსთველური სიხარულით განაცხადებს: ჩვენ მისიცა გვეამებისო.

და ამ ანთოლოგიური კრებულის მთარგმნელს იგულისხმებს.

რას იფიქრებდა მარციალისი, ახალ ჟანრს თუ ანიჭებდა დასაბამსა და სიცოცხლეს. ეპიტაფიების სახოტბო სტილს გაურბოდა, ქება-დიდებას იუმორით, ირონიით, მსუბუქი დაცინვითა თუ სულაც სარკაზმით ცვლიდა, ყოფითობაში ჩაიძირებოდა, და თემებს მხოლოდ იქ გამოძებნიდა – გარეგანი ფასადისა და პომპეზურობის მიღმა სამყაროში, ინადიმებდა, იმღერებდა, იაშიკებდა, ილალობებდა, არც ამხანაგთა გათრევას მოერიდებოდა და წყინდა, მის მახვილგონივრულ პოეტურ თამაშს ხან ხელაღებიტაც რომ ითვისებდნენ, უმნიშვნელო დეტალებს შეცვლიდნენ, არსებითი კი უშუალო სახით გადაჰქონდათ და მარციალისი პლაგიატორ დეკლამატორთა მოზღვაგებასაც აქცევდა ეპიგრამის თემად:

**მე მაგ ლექსში, ფიდენტინუს, ჩემი ლექსი შევიცანი, მაგრამ ისე ცუდად ამბობ, ამავე დროს შენიც არი.**

არაფერი შემორჩენილა ამ ფიდენტინუსისა, ან მარციალისი როგორ გაეძარცვა, ან სხვანი, მხოლოდ სახელი დარჩენილა პლაგიატორთა წინამორბედად. ისე რამდენი საუკეთესო პოეტის სახელი გამქრალა უკვალოდ, ეს კი ეპიგრამის ქარგაში ჩარჩებოდა და ჩარჩებოდა.

ეპიგრამის მამამთავარი ამ თავის თანამედროვეს კი არ აპატიებდა მის პოეტურ სამყაროში უბოდიშო ხელის ფათურს, მაგრამ საუკუნეებში სადღა ედევნა, სად ეპოვნა თავისი ათასგვარად გაბნეული მინიატურები და ყველგან აღებეჭდა თავისი ტვიფარი. ეგაა, მკითხველის გულისყურსა და ალღოს მიანდობდა და იმით გამოარჩევინებდა ერთმანეთისაგან გავლენის ნაყოფსა და ორიგინალურ ქმნილებებს.

უნიჭო მთარგმნელისაგან მის გადარჩენას ბერსი შეეცდებოდა, შეიტყობდა თუ არა, ელფინსტონი რომელი ეპიგრამისტის გადმოინგლისურებასაც ჩაჯდომიაო, მაშინვე ჩაერეოდა სუსხიანი სიტყვით. თუ მაინც ვერ შეაჩერებდა, შეფასებით ხომ წინასწარვე შეუფასებდა, და თანაც სცოდნოდა ელფინსტონს, ნამდვილი ეპიგრამა როგორ გახმინდებოდა ინგლისურ ენაზე:

**ვერ შესძელ ლექსის უღლის განწევა,  
პროზამ პანლურით გამოგაძევა;  
მარციალს მიწვდი? ეს რა გდომია,  
ეხსენ, სანამ არ შემოგკვდომია.**

საუკუნეები ეცოცხლა უკვე და ახლა ამისთანების წე-რაც გამხდარიყო – ელფინსტონისა და ელფინსტონების?..

ხოლო მიმბაძველნი თავს იმართლებდნენ: არაკებიც ხომ ასეა, ვის ჩათვლია საავტორო უფლების ხელყოფად მათი განმეორება უცვლელად თუ მცირეოდენი ვარიაციებით, ეზოპეს სიუჟეტები ხან სად მოხვედრილა და ხან სად, და ამას თუ შეჰგუებთან, მარციალისთან გადაძახილი ჩვენ რატომ გვეძრახებო.

გადაძახილის უწყინარი სახელით მონათლავდნენ თავიანთ საქციელს. და მოარული სიუჟეტებისა და ორიგინალური მხატვრული მიგნებების ერთმანეთში არევისაც შეეცდებოდნენ.

სხვათა შორის:

ლაფონტენი გალექსავდა ეზოპეს არაკებს და თავის ორიგინალურ ქმნილებად მიიჩნევდა. ბოლოსდაბოლოს, ლექსად განწყობა მისი გახლდათ.

კრილოვი რუსულად თარგმნიდა ლაფონტენს და... თავის სახელს მოაწერდა.

მაგრამ, აი, აკაკი წერეთელი კრილოვს ქართულად რომ გადმოიტანდა, თავისი სახელით კი არ გამოაქვეყნებდა, არამედ ლაფონტენის იმ რუსი განმეორებლისა, საიდანაც თვითონ ეთარგმნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიმუშები სრულფასოვანი ორიგინალური შემოქმედების შთაბეჭდილებას ტოვებს, აკაკის პოეზიის ერთი რკალისა.

და ლევან ბრეგაძეც: ექოს იდეა სხვისიაო.

აკაკი წერეთლის მორალური სკოლა უბიძგებდა აქეთ, იდუმალი ნოტა ურჩევდა თარგმანისა და ორიგინალის მიჯნაზე შეეჩერებინა იმ რუსული ეპიგრამის ასერიგად განსხვავებული ქართული ორეული, თანაც როგორ გარემოში, ეს ჩვენი სამწერლო ყოფა რომ წარმოგვიდგება – სადაც მითვისება, თავისად გასაღება, ხან უღმერთო ძარცვაც სტილის, სიუჟეტის, ათასგვარი მხატვრული მიგნებისა სარეველასავით მოდებულა.

არადა, ჩხრეკა და ძიება იქნებ არც არავის დაეწყო პირველმთქმელისა, ისე მოგვაგონებს სრულფასოვანი ორიგინალური შემოქმედების ნიმუშებს ეს სხარტი პოეტური გაელვებანი.

ვთქვათ, „რჩევა“ რატომ არის მარციალისის?

**ბევრს თხოულობს მოსამართლე,  
შენ რომ საქმე მიაბარე.  
რალა მაგას უვსებ ჯიბეს,  
მევალებს მიე, ბარემ.**

მახვილგონივრულ რითმას (მიაბარე – მიე, ბარემ) ამჯერად ყურადღებას ნურც მივაქცევთ.

ან „დროების მომჭირნეობა“ რატომ არის ფრიდრიხ ფონ ლოგაუსი:

**დროების უკულმართობამ  
მომჭირნეობა დაბადა:  
ქორწილს და ბავშვის ნათლობას  
ერთად უძღვება თამადა.**

დროების სიმწირეც გაგვეგონა, ტრაგიზმიც, დრამატიზმიც, უნაყოფობაც, ქაოტურობაც, მაგრამ მომჭირნეობა? თანაც ასეთი? ჩვენს ჟამსაც რომ ძალიან წააგავს? და იქნებ XVII საუკუნის გერმანიელის სახელი მისტიფიკაციისთვისაა მოხმობილი?

ან ლათინური ენის მოკლე ავტობიოგრაფიას ფილიპ ჰარსდიორფერზე არანაკლებ ქართველი ეპიგრამისტი ვერ იტყოდა?

**ამითვალწუნა მე მშობელმა ერმა; მერე მთლად  
დამივინყა და... ახლა ვცხოვრობ გერმანელებთან.**

ან „მდიდარი შინაბერა“ გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგს რატომ მიეწერება?

**ამ შინაბერას, მთელ ქალაქში ყველაზე მდიდარს, ქმრად უნდისხარო, მესმის მისი გაცნობის დღიდან. რას აღარ სჩადის, რომ თანხმობა ჩემგან მიიღოს!.. მაგრამ ასაკი?.. აფსუს, უფრო ხნიერი იყოს!**

„შავი იუმორი“, ასე გამჭვირვალედ გამომკრთალი ბოლო სტრიქონში, განა ქართული მახვილსიტყვაობისთვისაა უცხო?

მითუმეტეს: ეს ეპიგრამა მისიც არაა და მარციალისი გადმოუღია გერმანულად!..

ან „მემკვიდრის პრესტიჟზე მზრუნველიც“ მისივე რატომ უნდა იყოს?

**მან უანდერძა ჰოსპიტალს, რაც სიკვდილამდე აგროვა, რომ გლოვა მისი მემკვიდრის არ მიიჩნიონ ყალბ გლოვად.**

არა, ამჯერად ისეთი არაფერი იფიქროთ და პირველწყაროსაკენ ნუ გადაგიქანდებათ ფიქრი.

იქნებ აღარც ალექსანდრე პუშკინის ეპიგრამებს ჩახედო, როდესაც სატირულ ეპიტაფიას ამოიკითხავ „ერთი მელექსის გარდაცვალების გამო“:

**მიუვა ვითომ მის სულს მადლი სანთელ-საკმევლის? ცოდვილია და, ვეჭვობ, გახდეს სამოთხის ღირსი. დავინწყებოდეს უფალს მისი ავი საქმენი, როგორც მკითხველებს დაავინწყდათ ლექსები მისი.**

ან მინავეი სად უნდა ექებო და მისი ვინაობა აზუსტო, როდესაც „ცილისწამებას“ გადაავლებ თვალს:

**ერთ ადგილს ვტკეპნით? – ვინ თხზავს ამ ჭორებს! სულს ურჩევნია ტყუილი ცრუ კაცს! ჩვენ ერთ ადგილზე რა გაგვაჩერებს, ერთად და ძმურად მივდივართ... უკან.**

როგორი ძალდაუტანებელი და ლაღია, არა? მითუმეტეს, ერთად რომ მოუყრიათ თავი და მხიარული კარნავალის შუაგულში მოგიხდება ტრიალი. ეპოქები ერთიანდება, თვითონვე ერწყმის ერთიმეორეს და ველარც ისინი დაგიშორებია და ველარც განსხვავებას პოულობ შენთვის განკუთვნილი სიცოცხლის უამისაგან.

პერსონაჟებსაც იოლად ამოიცნობ – ყველას, უკლებლივ ყველას.

ისინი არსადაც არ გამქრალან: არც დუმილით მოვაჭრენი, მუქთად არაფრისდიდებით რომ არ გაჩუმდებიან; არც ბრძოლის ველიდან გაქცეული მამაცთაგან უამაცესნი, სულ შემდგომისათვის რომ სდებენ შუაგულ ომში შესვლას, მაგრამ ყოველთვის იქიდან აორთქლება ურჩევნით; არც ჭამაში მარჯვე მსახურები, საქმე ლამის წელში რომ წყვეტთ და სჯობს ფეხებით ჭამდნენ და ყბებით დადიოდნენ; არც საფლავთა ამყროლები მევახშეები, და-

მარხვისას უნებლიეთ სულსაც რომ ჩაატანდნენ თან; არც ცრუპენტლები, რომელნიც ერთადერთხელ თუ მოვატყუებენ, როდესაც, რაღაც სასწაულით, ძლივს წამოცდებათ მართალი; არც ის მკვლევარები, რომელნიც „ჩვენს“ რომ გაიძახიან, თავისდაუნებურადვე ადასტურებენ, მათ ნაშრომებში საკუთარს ნაპარავი რომ სჭარბობს; არც ის დრამატურგები, რომელთა პიესებსაც მხოლოდ იმიტომ ვერ დაუსტვენ, რომ ამთქნარებ; პლაგიატორებიც არა, ანტიგუგულებივით სხვის კვერცხებს რომ იპარავენ და საკუთარ ბუდეში ალაგებენ; არც მტრები, ჩვენზე ძვირს რომ ამბობენ, თუმც თვითონაც არა სჯერათ, და არც ის მეგობრები, ვინც ყურს უგდებენ და ფიქრობენ, კი ჰგავს ეს სიმართლეს ცოტაო; არც პერკულესად თვითგანდიდებული ადამიანები, ავგიას თავლის დაგვას რომ იქადიან, იქ შესულნი კი ისე მოჩანან, თითქოს ნაგავს ნაგავი მიმატებოდეს; არც უნმანურ ლექსთა ოსტატები, რომელთათვისაც მუზას ლოყაზე კი არა, ანტილოყაზე უკოცნია; არც ისინი, ვერსად რომ ვერ ივარგებენ და, სხვა რა დაგრჩენია, უნდა გაამინისტრო; არც სხვანი, წარმატებისაგან ლამის გადარეულნი, სვამენ, რათა წერონ, და წერენ, წერენ, რათა დალიონ; არც კიდევ სხვანი, ის ბრიყვები, რომელნიც ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან, მაგრამ ჩვენს მხარეს მათი სიბრიყვე იბრძვის; სულ არა – სხვათა ბედნიერებით დანაღვლიანებულნი; არც ახალი ბაირონები, რომელნიც ბრიტანეთის ზვიადი შვილისაგან განსხვავებით, რეალურ ცხოვრებაში კი არა, პოეზიაში კოჭლობენ; არც ისინი, სახლს სარკეებით რომ გამოტენიან, იმით დაიმედებულნი, რომ სარკეში კაცის ჭკუა არა ჩანს; არც რედაქტორები, ორი სახის ინფორმაციის დაუფარავი სიყვარულით რომ სჭირთ: ბეჭდავენ, რაც ყველამ ისედაც იცის, ან რისი ცოდნაც არავის არა სურს; არც... არც... არც...

არცერთი ადგილი ცარიელი არა რჩება ცხოვრების სპექტაკლში, ერთი რეალური პერსონაჟი აუცილებლად უნდა შეცვალოს სხვამ, დაუსრულებლივ უნდა მეორედებოდეს ნუთისოფლის ეს საიდუმლოებაც და, რა გაგვიკვირდეს, უცხოური ეპიგრამის ამ ანთოლოგიაშიც უამრავ ნიღაბს ძალდაუტანებლად რომ ვიცნობთ ჩვენს თანამედროვეთა შორის – თითქოს მათზე დაწერილიყოს.

და უფრო მახლობელი ხდება ეს სატირულ-იუმორისტული გარემო, კომიზმიც უფრო ხელშესახები და მხიარულებაც უფრო თავანყვეტილი, და გეოგრი ინჩევის მახვილ სიტყვასაც უფრო იოლად ირწმუნებ:

**სიცილი არის შვება, – ძალიან ხშირად ხდება, სნეული ფეხზე დგება, როცა სიცილით კვდება.**

უდიდესია სიცილის სამყარო – თავისი უამრავი მიდრეკილებით, დანაშრევით, სივრცეში განფენილი თუ მოკლედ მოჭრილი სიტყვით, და ეპიგრამა მისი ერთი მომხიბლავი რკალია, მიმოფანტულიც ეფექტური, მაგრამ მონუმენტურად წარმომდგარი სულ სხვა შთამბეჭდაობით გამოიკვეთება.

„სააშკოად, სალალობოდ“ აქეთ მიჰკვალავს გზას, ლევან ბრეგაძე აქეთაც მიგვიძღვის.

... ისე მართლაც მოსალოდნელია, შოთა რუსთველს მარციალისიც რომ ნაკითხული ჰქონოდა.

თეიმურაზ ნადარეიშვილი

# სულის ფოტოგრაფიები

\*

## ლიტერატურული ჩანახატები

ცხოვრებაში საკმაოდ მოიპოვება საინტერესო, არაორდინარული ფაქტები და მოვლენები, რომელთა შესამჩნევად აღდამიანმა ცოტაოდენი ძალდატანება უნდა მოახდინოს საკუთარ თავზე – ყურადღება, გონება დაძაბოს! სასურველია მან ეს გარჯა იმით დააგვირგვინოს, რომ ჩანანერებში „დაატყვევოს“ საკუთარი ფიქრები, სადაც გარდა კონკრეტული მოვლენების დაფიქსირებისა, გარკვეული განზოგადებებიც იქნება. ეს ჩანახატები (ისინი ჩემი „სულის ფოტოგრაფიებია“) ამგვარი „ძალდატანების“ მოკრძალებული ნიმუშია.

\* \* \*

ძალიან მომწონს თბილისის ერთ-ერთ ელიტარულ უბანში გორაკის დასახელება – ფიქრის გორა! (დანამდელებით არც კი ვიცი თუ რატომ ეწოდა ამ ადგილს ასეთი ფილოსოფიური სახელი!). როგორც ვაჟა ბრძანებდა: „ნისლი ფიქრია მთებისა!“ აქ კი, ამ ადგილას, თითქოს თვით ფიქრი „გაქვავებულა“ გორად! (მცირე ზომის მთად).


\* \* \*

სენტ-ეგზიუპერი ძირითად პროფესიას (სამოქალაქო და სამხედრო მფრინავი) შეეწირა – იგი ერთ-ერთი სადაზვერვო გაფრენიდან აღარ დაბრუნდა! ვინ იცის სხვა, უფრო მშვიდობიანი პროფესია რომ აერჩია ან მხოლოდ მწერალი ყოფილიყო, რამდენ „პატარა უფლისწულის“ მსგავს შედეგს დაგვიტოვებდა?! თუმცა ბევრი მისი ქმნილება („ლამის გაფრენა“, „აღამიანთა მინა“ და ა.შ.) ამ მართლაც ვაჟკაცური პროფესიითაცაა განპირობებული – ზემოდან ხომ უკეთ ჩანს დედამიწა, უფრო უმნიშვნელო და სასაცილოც კი გვეჩვენება ადამიანური ვნებები და ამიტომ შენც უფრო გლობალურად, ღრმად აზროვნებ!

\* \* \*

ზოგიერთ კონკურსში არცერთ მონაწილეს არ მიენიჭება პირველი პრემია. კარგია, როცა ჟიური აბსოლუტური და არა ფარდობითი საზომით აფასებს პროფესიონალიზმს!

\* \* \*



დენის მავთულები დაბვის გარეშე უბრალო, „უნყინარი“ ლითონის საგნებია, ხოლო დენის გავლისას ისინი კარგავენ ამ „უნყინარობას“ და ამასთანავე ფუნქციას იძენენ! ასევე, როცა პოეტში „მუზა გადის“, იგი საინტერესო, მიმზიდველი ადამიანია, მუზისგან „დაცლილი“ კი, ხშირად უინტერესო, მოსაბეზრებელი პიროვნებაა! (პუშკინი ასე ახასიათებს უმუზოდ დარჩენილ პოეტს: „Меж детей ничтожных мира, быть может, всех ничтожней он!“).

\* \* \*

ლიბიაში (ამ რელიგიური ფანატიზმით „გაჟენთილ“, ტოტალიტარულ ქვეყანაშიც კი!) შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე მმართველმა კადაფიმ საკუთარ თავს არ მისცა უფლება პოლკოვნიკზე მეტი წოდება ჰქონოდა (ჩვენთან კი ყველა გენერალია, ამ სიტყვის პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით!). თუ მართლაც ქვეყნის ჯარი არ აკმაყოფილებს გენერლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, მაშინ არც უნდა ჰქონდეს ვინმეს (პრეზიდენტსაც კი!) ეს სამხედრო წოდება!

\* \* \*

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გრძელი და წყალუხვი მდინარე ნილოსი, მსოფლიოს ყველაზე უფრო დიდ და უწყლო საჰარის უდაბნოს აღმოსავლეთით კვეთავს (ნილოსი ხომ ამ უდაბნოს ერთადერთი მდინარეა!) – თითქოს საჰარისათვის „განკუთვნილი“ მთელი წყალი ნილოსმა „მიითვისა“! რას იზამ?! ბუნება ზოგჯერ (თავისი „სურვილის“ შესაბამისად!) ასე არათანაბრად ანაწილებს საკუთარ წყლობას, რადგანაც როგორც ვაჟა ბრძანებდა: „ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა!“

\* \* \*

კარგია თუ არა, როდესაც შენი აზრები ყველასათვის გასაგებია? კარგია, რა თქმა უნდა, რადგანაც გასაგები ხარ, მაგრამ შესაძლოა ცუდიც იყოს – იმიტომ ხარ გასაგები, რომ ახალს არაფერს ამბობ!

\* \* \*

თუ თვალს გადავავლებთ აღმოსავლურ პოეზიას, განგვაცვიფრებს პოეტების დამოკიდებულება სიყვარულ-



ლისადმი – როგორ, რა გრძნობით, რა დეტალებში არის აღწერილი ქალისადმი ლტოლვა ჰაფეზის, საადის, რუდაქის და ა.შ. პოეზიაში! მითუმეტეს გასაკვირია ამ ფონზე მრავალცოლიანობის ინსტიტუტის არსებობა მუსლიმანურ ქვეყნებში – ამ ქმედებით ხომ უფასურდება, „უხეშდება“ ეს უფაქიხესი გრძნობა!

\* \* \*

თუ ასე გაგრძელდა, თბილისმა შეიძლება მისი ერთ-ერთი უბნის – ნაძალადევის სახელი მიიღოს, რადგანაც თბილისის ყველა „კუთხე-კუნჭულში“ უკანონო (ნაძალადევი!) მშენებლობების ნამდვილი ბუმი!

რუსული მენიუ

ტელევიზორის შექმნისას მოულოდნელად შემდეგ პრობლემას „შევეჯახე“: აღმოჩნდა, რომ ე.წ. რუსული მენიუთი, ეს „სასარგებლო ყუთი“, მთელი 30-40 დოლარით უფრო იაფი ღირს, ვიდრე ინგლისურით (არხების დაყენებისას ინსტრუქცია ეკრანზე შესაბამისად რუსულ და ინგლისურ ენებზე იწერება). ასე რომ, რუსული ჩექმის ბატონობის ინერციამ ასეთ მოულოდნელ ვითარებაში იჩინა თავი (მთავარი ხომ სწორედ წვრილმანებში, დეტალებში გამოვლინდება ხოლმე!): ჩვენთვის, რა თქმა უნდა, უფრო „მშობლიურია“ რუსული ენა, ვიდრე მართლაც უცხო ენად აღქმული ინგლისური! მაგრამ, მე მგონი, გარკვეული დროის შემდგომ სურათი შეიცვლება და ინგლისური მენიუ რუსულზე იაფი გახდება – რას იზამ, ჩვენ ძველი, „რუსი“ დრაკონი მოვკალით, მაგრამ ახლის, „ამერიკელის“ გარეშე ცხოვრება გვიძინელებს!

\* \* \*

რა არის უტოპია? ეს ის შემთხვევაა, როდესაც აზრი იმდენად წინ უსწრებს რეალობას (იმდენად „ამოვარდნილია“ სინამდვილიდან!), რომ შეუძლებელი ხდება მისი რეალობად ქცევა! (მისი სინამდვილეში „დაბრუნება“!).

\* \* \*

რა განსხვავებაა შრომასა და ბრძოლას შორის? შრომა ადამიანური დონეა (ტერმინია!) ბრძოლისა! ცხოველის ბრძოლა კი საკვების მოსაპოვებლად ჩვენს მიერ არ აღიქმება შრომად (თუმცა არსებობს გამონათქვამი „ფუტკარივით მუშა ადამიანი“!).

\* \* \*

ხშირად არ გვახსოვს წარსულის ესა თუ ის მოვლენა, მაგრამ კარგად გვახსოვს ამ მოვლენის ჩვენეული შეფასება! როგორც ჩანს, საკუთარი შეფასებები ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უშუალოდ ის, რამაც ეს შეფასებები წარმოშვა!

ალუბლის კურკა

ჩემს მეგობართან ერთად რუსთაველის მეტროს ვუახლოვდებოდი. უცბად მეგობარს რაღაცაზე ფეხი აუცურდა და ნაიქცა (ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ხელის შეშველება კი ვერ მოვასწარი!). როდესაც იგი წამოვაყენე, ეს „რაღაც“ ალუბლის კურკა აღმოჩნდა! ორივეს პირველი რეაქცია ჩვეულებრივი („ზედაპირზე მდები!“) ადამიანური გრძნობა – აღშფოთება იყო და ჩვენ ერთი გვარიანად შევუკურთხეთ ამ კურკის იქ დამგდებს! მაგრამ შემდგომ, როცა მარტო დავრჩი, დამაფიქრა ამ შემთხვევამ (ცხოვრებაში ხშირად ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალის მიღმა მნიშვნელოვანი რამ „იმალება“).

თვითონ კურკა იმისათვის არის „მონოდებული“, რომ ახალ სიცოცხლეს – ალუბლის ხეს „აჩუქოს“ სიცოცხლე, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ის, სულ მცირე, სათანადო გარემოში – მინაში მოხედეს, ხოლო როცა კურკა მისთვის „შეუფერებელ“ ადგილას, მეტროს წინ ასფალტზე „აღმოჩნდა“, იგი მაშინათვე სახიფათო საგნად – „წყეულ“ კურკად იქცა!

ასევე, მე მგონი, როდესაც ადამიანს საკუთარი ნიჭის, შესაძლებლობების შესაფერისი ადგილი უკავია საზოგადოებაში, მაშინ იგი სხვა ადამიანებისათვის მხოლოდ სიკეთის, სარგებლობის მომტანია, ხოლო როცა თვითონაც არ იცის რა უნდა, ალუბლის კურკასავითაა „გადაგდებული“ ცხოვრებისეულ „მორევში“, მაშინ იგი სხვებისთვის ხელისშემშლელი და სახიფათოც კი შეიძლება გახდეს!

\* \* \*

მართლაც უცნაური მიჩვევა და სიყვარული სცოდნია დაბადების ადგილს (სადაც „ისარი გისროლია“!). მიუხედავად იმისა, რომ „ბებერი“ მთანმინდა ამჟამად ძალზე სავალალოდ გამოიყურება (განსაკუთრებით 2002 წლის აპრილის მინისძვრის შემდგომ!) „ჩაჟამებული“, მეორე თუ მესამე კატეგორიის ავარიული სახლებით, მინგრეულ-მონგრეული ქუჩებით, სადაც საღამოთი (ჩვენი გარე განათების პირობებში!) გავლაც კი სახიფათოა...

ეს ადგილი მე მაინც ძალიან მიყვარს და მალიზიანებს კიდევ აქა-იქ სოკოებივით „ამოსული“, ევრორემონტიანი „ახალი“ ქართველების სახლები (ამ სახლებს, მე მგონი, არ დახატავენ მთანმინდას „შემოსეული“ სამხატვრო აკადემიის სტუდენტები).

\* \* \*

იმდენად მგავს ჩემი პანია ანკა, რომ როცა მას შევავლებ ხოლმე თვალს, ასე მგონია საკუთარ გამოსახულებას ვუმზერ სარკეში, ოღონდ უცნობ კეთილ ფერიას მხოლოდ რამოდენიმეჯერ შეუმცირებია ჩემი სახის ზომები და სხვა არაფერი შეუცვლია მასში! თითქოს შევისმინე შექსპირის მე-16 სონეტის შეგონება:

**სხვა თუ შექმენი, ის გახდება შენი სახატე, სხვამ რად დაგხატოს, შენი სახე თვითონ დახატე!**

(თარგმანი რეზო თაბუკაშვილის)

\* \* \*

ზოგი ადამიანი შენთან თბილია, უშუალოა, ხოლო სხვა ადამიანებთან ერთად, იგი სულ სხვანაირად გექცევა – გარკვეულ სიმკაცრეს, ირონიას ავლენს! რას ნიშნავს ეს? როდის არის ეს ადამიანი გულწრფელი?! მე მგონი, მაინც უმჯობესია მასთან ურთიერთობას მოვერიდო!

\* \* \*

მართებულია ვენეციის ერთ-ერთ ძველ ციხეში ტუსაღის მიერ კედელზე ამოკანწული შემდეგი შინაარსის წარწერა: „ღმერთო დამიფარე იმათგან ვისაც ვენდობი! ვისაც არ ვენდობი, მე თვითონ დავიცავ თავს!“

აკი კლარენსიცი შექსპირის „რიჩარდ III“-ში ბრმად მიენდო საკუთარ ტირან ძმას რიჩარდს (თუმცა კლარენსი ინტრიგების დიდოსტაგია თავად!) და ამიტომ მისი შეძახილი რიჩარდის მიერ მოგზავნილი მკვლელებისადმი ტაუერის ციხეში აბსოლუტურად გულწრფელია: „მაჩვენეთ საბუთი, რომელიც მე მამტყუნებს!“

საქმის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი საბუთი არ არსებობს – კლარენსი რიჩარდის საიდუმლო ბრძანებით უნდა გამოესალმოს სიცოცხლეს!

\* \* \*

საინტერესო ბიოლოგიური ფაქტია, რომ მოჭრილი ვარდი სხვა მის „ბედს ქვეშ“ მყოფი ყვავილების გვერდით „მოიწყენს“ ხოლმე, მარტო კი დიდხანს ინარჩუნებს საკუთარ „მომხიბლაობას“!

ასევე ზოგიერთი ადამიანი (განსაკუთრებით კი შემოქმედი!) მხოლოდ მარტოობაში გრძნობს თავს კარგად! ალბათ ამ ფსიქოლოგიური მდგომარეობის ერთგვარი გამოხატულებაა მიქელანჯელოს შემდეგი პარადოქსული გამონათქვამი: „მე მარტო მაშინ ვარ, როცა ხალხში ვიმყოფები!“

მართლაც შემოქმედი ადამიანისათვის თავად შემოქმედებითი პროცესია მთავარი, რაც უმეტესწილად განმარტოებას, კამერული ატმოსფეროს შექმნას საჭიროებს, ხოლო სხვა ადამიანებთან ყოფნა კი მხოლოდ ხელისშემშლელი ფაქტორია!

\* \* \*

იდეალი აბსოლუტურიცაა და იმავდროულად ფარდობითიც! მართლაც თითოეული ადამიანისათვის იდეალი აბსოლუტურია, მაგრამ ამ თითოეულ ადამიანს საკუთარი იდეალი გააჩნია და ამიტომ იგი ფარდობითიცაა!

\* \* \*

ევერესტის პირველმა „დამპყრობმა“ ნეპალელმა მთამსვლელმა ნ. თენსინგმა საკუთარი წარმატება შემდეგნაირად ახსნა: „ევერესტს ჩემამდე ვერ „იმორჩილებ“

დნენ“ იმიტომ, რომ მას როგორც მტერს, ისე უყურებდნენ, ჩემთვის კი იგი დედა-ბუნებაა და ამიტომ როგორც შვილს, ისე მიყვარს!“ (ყველგან და ყოველთვის სიყვარული მართლაც რომ „მშენებელია“, მტრობა კი, მხოლოდ „დამანგრეველი“!).

ნიშანდობლივია, რომ ეს ფრაზა სწორედ ნეპალელმა მთამსვლელმა წარმოთქვა, რადგანაც ევერესტი ნეპალის და ჩინეთის საზღვარზე მდებარეობს (ნ. თენსინგის მწყვილე ამ ასვლაში ახალ ზელანდიელი ალპინისტი ე. ჰილარი იყო). ვინ იცის, იგი ბავშვობიდან შეჰყურებდა ევერესტს და ამიტომაც მართლაც დედასავით შეუყვარდა მწვერვალი (გარდა იმისა, რომ ოცნებობდა მასზე ასვლას).

ამგვარად, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ „შიშველი“ პროფესიონალიზმი არ არის საკმარისი ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად, არამედ აუცილებელია აგრეთვე (დ. უზნაძის განწყობის თეორიის შესაბამისად!) სათანადო კეთილგანწყობილი ფსიქოლოგიური აღქმა დასმული ამოცანისა!

\* \* \*

ზოგჯერ სისულელე უნდა თქვა, რომ დაგიჯერონ, რადგანაც ადამიანის აზროვნება „ეკონომიური“ – შედარებით მარტივს ითვისებს (ბრძნული აზრი, „არასისულელე“ კი, „სამწუხაროდ“ უფრო რთული გასაგებია).

**დონ ჟუანი –  
კამერული ფილოსოფოსი**

საინტერესოა აიხსნას დონ ჟუანის მანდილოსნებში ლეგენდარული წარმატების მიზეზი. რა თქმა უნდა, აქ მთავარია მისი მამაკაცური ღირსებები, მომხიბველობა და ა.შ. მაგრამ ეს პრობლემის „ზედაპირზე მდები“ მხარეებია. შეიძლება სხვა, უფრო „ღრმა“, შინაგანი მხარეების მოძიებაც!

კერძოდ, ადამიანს შესაძლოა არ ეძლეოდეს იმის საშუალება, რომ საკუთარი მრწამსი, შეხედულებები, აზრები ფართო საზოგადოებაში გამოამჟღავნოს გარკვეული მიზეზების გამო და მაშინ, თუ იგი ნამდვილად ნიჭიერი ადამიანია, ცდილობს საკუთარი ინტელექტი გამოავლინოს იმ გარემოში, სადაც მას ამის შესაძლებლობა ეძლევა.

დონ ჟუანს ასეთი შესაძლებლობა მიეცა სუსტი სქესის წარმომადგენლებთან. მათთან ყოფნისას იგი საკუთარ აზრებს, პროტესტს გარე სამყაროს მიმართ „მთელი ძალით“ ამჟღავნებს, სრულად „იხსნება“, ხოლო მანდილოსნები საკუთარი ფსიქიკური წყობის გამო საკმაოდ ემოციურად აღიქვამენ მამაკაცის ასეთ აღსარებებს და ალბათ, ესეც ხდება მათი „დამორჩილების“, „დანებების“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი!

თუმცა, რასაკვირველია, დონ ჟუანის გულწრფელობაში „დიდი პროცენტი“ იმას უკავია, რომ მან მორიგი „მსხვერპლის“ გული მოინადიროს, მაგრამ ყველაფრის მოგონება და თამაში შეუძლებელია! ასე რომ, დონ ჟუანი ერთდროულად „ორ კურდღელს იჭერს“ – თავის ნამ-

დვილ სათქმელს ამბობს და მეორეც, ამ ქმედებით კონკრეტულ „ხორციელ“ მიზანსაც აღწევს!

ამიტომ, მე მგონი, დონ ჟუანს შეიძლება ვუნოდოთ კამერული ფილოსოფოსი!

\* \* \*

მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა ავიაგამანადგურებლების სმბ-ების კონსტრუქტორებს მეოცე საუკუნის მიწურულს შემდეგი თავსატეხი გასჩენიათ: ფრენის უსაფრთხოებისა და მართვის სრულყოფისათვის თვითმფრინავზე დამონტაჟებული კომპიუტერები მამაკაცის (მეთაურის!) ენით იძლეოდნენ ბრძანებებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ხმა პილოტებისათვის დამორგუნველი ყოფილა და ამ მიზეზით რამდენიმე ავიაკატასტროფაც კი მომხდარა!

მხოლოდ ამის შემდგომ კომპიუტერები ქალის ხმით „ალაპარაკდნენ“! ძალზე საინტერესო მოვლენასთან გვაქვს, მე მგონი, საქმე! კერძოდ, პილოტი ცაში ყველაფრის ბატონ-პატრონი უნდა იყოს და ის პირობითობები, რაც დედამიწაზეა მიღებული, მან ისევ მიწაზე უნდა დატოვოს – ჩვენ ხომ „უხმოდ“ ვიტანთ ჩვენს „ხელქვეითობას“, ჩვენზე „უფროსის ბატონობას“ და სწორედ ცაში (ექსტრემალურ სიტუაციაში!) პილოტს აღარ შეუძლია ამ „თამამის წესის“ დაცვა! (და პირიქით, მამაკაცების უმრავლესობას ხომ ქალთან შედარებით ლიდერის როლი აკისრია და ეს ფაქტორი იქ, ზევით გადამწყვეტი ხდება – მფრინავს მისი „ხელქვეითი“ – „ქალი“ კომპიუტერი „ესაუბრება“!).

**საახალწლო ნაჰკის ხე**

ყველას გვიხარია ახალი წლის დადგომა (თუმცა ღრმად თუ ჩაუკვირდებით, შეიძლება დიდად სასიხარულოც კი არ იყოს ეს მოვლენა – თითოეული წლის მომატებით ხომ გვიმცირდება ამ ქვეყნად ისედაც მცირე „სტუმრობის“ ვადა, მაგრამ როგორც ნათქვამია – „სულს დღესასწაული სწყურია“!

მთავარი „მოქმედი პირი“ ახალ წელს, რა თქმა უნდა, ნაძვის ხეა (ამ წეს-ჩვეულებას თავისი რელიგიური „დასაბუთება“ გააჩნია!) და დეკემბრის მიწურულს მასთან დაკავშირებით „ციებ-ცხელება“ იწყება ხოლმე – დედაქალაქში შემოდის უამრავი „კანონიერი“ თუ უკანონო ნაძვის ხე, ვცდილობთ მატერიალური გაჭირვების გამო ჩვენ თვითონ „მოვიპოვოთ“ სასურველი ხე, მისი ტოტი მაინც და ა.შ.

მოკლედ ახალ და ძველ ახალ წელს (ჩვენ ხომ ყველაფრის ორჯერ აღნიშვნა გვიყვარს!) ყოველ ოჯახში აუცილებლად გვაქვს მორთულ-მოკაზმული ბავშვების (და არა მარტო მათი!) „შთაგონების წყარო“ ნაძვის ხე!

მაგრამ იანვრის მეორე ნახევარში ჩვენი „მთავარი გმირი“ უკვე ხელისშემშლელი ხდება და უმოწყალოდ ვიშორებთ მას! ეს პრობლემა ყველა დიდ ქალაქს გააჩნია და მას სხვადასხვაგვარად წყვეტენ – ზოგან პირდაპირ ნაგავსაყრელზე აგდებენ ნაძვის ხეს, უფრო მეტად

„ჭკვიანები“ ამუშავენ მერქანს (წინვებსაც კი!) და ამიტომ არაფერს კარგავენ, ხოლო როგორც ახლახან გავიგე, ბერლინის ზოოპარკში სპილოების საკვებადაც კი იყენებენ მას (სპილო მთლიანად მიირთმევს ხეს – ასეთ ძლიერ არსებას მერქნის გადამუშავებაც კი შეუძლია თურმე!). ასე რომ, ნაძვის უეცარ დროებით „აღზევებას“ რამდენიმე დღით, შემდგომ ასეთივე უეცარი დაცემა მოჰყვება ხოლმე.

განა შესაშური არ არის იმ ნაძვის ხის „ბედი“, რომელიც ისევ ტყეში დარჩა და ამიტომ არ აღმოჩნდა სპილოს კუჭში!

ამიტომ არ არის მართებული იტალიელი ფაშისტების ბელადის ბენიტო მუსოლინის ლოზუნგი: „სჯობს ერთი დღე ლომი იყო, ვიდრე ასი დღე ცხვარი!“ (თავად დუჩემ ხომ სიცოცხლე სწორედ ნაძვის ხეზე თავდაღმა დაკიდებულმა დაასრულა).

\* \* \*

კოკო შანელი გაჭირვების გამო მონასტერში იზრდებოდა, სადაც „მკაცრი“ სავალდებულო ფორმა ეცვა. ამიტომ იგი ოცნებობდა განთავისუფლებულიყო ამ „სიმკაცრისაგან“ და თავისუფალი ტანსაცმელი შეექმნა (მან „გამოიგონა“ მაგალითად, შარვალი ქალებისათვის, თუმცა აღნიშნავდა, რომ კაცს უფრო შეეფერება იგი!).

საინტერესო ფაქტია – ბავშვობაში განცდილმა შეზღუდვებმა მას გარკვეული მიზანი გაუჩინა! ასე რომ არ მომხდარიყო, გახდებოდა კი შანელი თანამედროვე მოდის ერთ-ერთი კანონმდებელი?!

\* \* \*

ხშირად შუალედურ, დაუსრულებელ პროცესებს გარკვეული ხიბლი გააჩნიათ. მაგალითად, ხეხილი (ატამი, ალუბალი, ვაშლი და ა.შ.) გაცილებით მიმზიდველია ყვავილობისას, სანამ იგი ნაყოფს (საბოლოო შედეგს) გამოიღებდეს!

ასევე ზოგჯერ შინაგანი „სამზარეულო“ შემოქმედისა უფრო საინტერესოა, ვიდრე დასრულებული ნაწარმოები. მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანმა ხელოვნურად უნდა გაახანგრძლივოს მიზნის მიღწევის პროცესი – სწორედ საბოლოო შედეგი ავგირგვინებს და აზრს სძენს ადამიანის აქტივობას!

\* \* \*

ტვინი ფიქრების სამჭედლოცაა და სატუსალოც, რადგანაც მხოლოდ ტვინში იბადება „იჭედება“ ფიქრები, ხოლო შემდგომ კი მეხსიერების უთვალავ „საკანთაგან“ ერთ-ერთში ხდება მათი დატყვევება სხვადასხვა ვადით, ზოგიერთ მათგანს კი სამუდამო პატიმრობა (უმალღესი სასჯელი „განვითარებულ“ ქვეყნებში!) აქვს „მისჯილი“ – ძალზე ღრმა აზრი ხომ ხშირად მთელი ცხოვრება გვახსოვს!

დასასრული შემდეგ ნომერში



ფელიქს ბრაუნი

**მევიოლინა ქალის სიკვდილი**

სულ ოთხმოცდარვა გაფრენა ჰქონდა დიდ ფრანგ პილოტს ჟან დე ლა ნუის თავის ორლიდან ნიუ-იორკამდე – ნიუ-იორკიდან უკან, ორლიმდე ბედნიერად დასრულებული. ატლანტიკური ღრუბლების თავზე, ცაზე, რომელიც უხსოვარ დროში მონტესუმას და კორტესს უხილავთ, ზვირთების თავზე, სადაც სიღრმეში წყალმცენარეებს ზვიგენები შეჰფარებიან, სადაც გემები არ დაცურავენ, სადაც დელფინი არ დასრიალებს მფრინავი თევზიც წყლის სიღრმეში არ გამოკრთება. უდაბნოეთში, რომლის ხსენებაც ბავშვობიდანვე ჟრუანტიელს გგვრიდა, რუხყვითელი ტალღების თავზე თეთრ შხეფებშეყრილ ქულა ღრუბლებში ჟან დე ლა ნუის თავის შტურვალი გამირის ხელებით ეჭირა მტკიცედ. ოთხმოცდარვაჯერ დაეშვა იგი იქ, სადაც კოლუმბს კარაველას კიჩოდან შორით უცხო ნაპირი არ დაუზვერავს. პილოტთან ერთად იმ ხომალდში მსახურობდა სულ შვიდი კაცი და ორი ქალი. ოცდათვრამეტ მგზავრს, სავარძლებში მსხდომთ მათთვის საფრენად მიენდო თავი. ამერიკელებს, ფრანგებსა და მრავალთა სხვათა, სულსწრაფ ხალხს, ვისაც გემი ნელი ეჩვენებოდა. დღემოკლეთ სურდათ დროის მოგება, ფულის მოგება მინათმორწმუნეთ, პატივმოყვარეთ დიდება სურდათ, ძალის დიდება სურდა მოკრივეს, ვინც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის სუნთქავდა მხოლოდ, იმას სწყუროდა ჩემპიონობა. სურდა მსოფლიო ჩემპიონად აღიარება (ოლონდ ვიცით კი ჩემპიონად ვინ იწოდება?) ჰოდა ისიც ხომ დიდებაა,

ზეცის ლაჟვარდში ერთადერთი ვიოლინო რომ დანანაობს? მევიოლინეს დახრილ თავზე ჰანგებს დააღვრის, ქალს, ვისაც ძველი ვიოლინო უძვირფასესი ნიკაპითა და მხრით უჭირავს ნაზად, სათუთად. ო, ვიოლინო! ძველთუძველესი ოსტატს შენთვის არ შეუქმნია. იგი ხომ თვითონ არ უკრავდა მას მხოლოდ ყურთან მიჰქონდა იგი ხით და ჰაერით და სიმებით ის ბგერებს გრძნობდა. ო, ვიოლინო ხემის გარეშეც ნეტარებით მას უმღეროდა.

ოთხმოცდამეცხრედ დღეს მოვფრინავ დასავლეთისკენ, ფიქრობდა გულში დე ლა ნუი და აი მის ქვეშ მწვანედ ხასხასებს პანანინა კუნძულთა წყება. სამხრეთული მთები ნაზია, კლდოვან კუნძულებს მწვერვალები არ აქვთ მაღალი. იქნებ გავბედო და ახლოდან ვიხილო იგი? უნახავს ვინმეს ციდან ეს სილამაზე? ნეტავ რა ჰქვიათ? რუკა სად არის? სადღაც მივაგდე? არა, აქ არის! სანკტ მიხაელის კუნძულები ყოფილა თურმე. რა ლამაზია ეს სახელი. მეც ხომ მაქვს ფრთები, როგორც მიხაელს, ვინც სატანას მარცხი აგემა. ახლა ნელ-ნელა ქვემოთ ვეშვები. როგორ მიყვარხარ, მარტოსულო კუნძულო ჩემო, როგორც კაცთაგან ყველა სიშორე. – ო, მეგობრებო! არცერთ თქვენგანს არ უხილავს შავბნელი ხელი, იქვე, ახლოს ვერაგულად რომ დაფათურობს, ფარისეველურად გიაღერებს თითებზე ისე, რომ საფრთხეს სულ არ ელოდები და მცირე ადგილს უთმობ შტურვალთან, ზუსტად იმდენს, რამდენიც კმარა გადახვევა ველარ მოასწრო, ალვერიას კლდე შენს წინ როცა აღიმართება!

ახ! ვინ უმღეროს შეჯახებას ან თუნდაც ვარდნას, ძველი, ჩამქრალი ფულკანინიდან ამოფრქვეულ ციცხლს, ან ვინ უმღეროს მოტორის მსხვრევას, როცა ხელიდან გაუსხლტება მავანს ხომალდი? უვიოლინოდ ვინ უმღეროს ამას ყველაფერს, თუკი ვერც მის ფერფლს, ველარც თავის ცხვრებს ვერ იპოვიან ფარის მწყემსები?

მევიოლინე ქალის ფერფლს ხომ ვერ იპოვიან ვერც პანანინა ნორჩი ბატკნები. – ჟინეტ! ო, ჟინეტ ნევო! ანდრომედასებრ ვარსკვლავების ქვეშ რომ ხარ ჩასამული, რომლებიც ცაზე ჩანგისებურად განლაგებულან. ოლონდაც ჟინეტ, იქ მარტო ხარ, უვიოლინოდ და თქვენს სიკვდილს ვერ დაუკრავ საბრალო სულელებს შენთან ერთად უსახელოდ ზეცაში ასულთ.

თუმცა ისინი სხვაგან მაინც იციმციმებენ.  
ჩანგში კი მხოლოდ შენი ძმა და შენ იციმციმებთ,  
ვისაც ოდესღაც ბავშვურ შიშებს უზიარებდი,  
კვლავ და-ძმურად გადაჯაჭვულხართ  
თქვენს სიცოცხლეში უკანასკნელ შიშის წინაშე.  
მილივლივებით და ყვიროდით, რომ ანგელოზს  
ცეცხლის ალისგან მხოლოდ თქვენთვის  
იქნებ როგორმე გადაერჩინა ვიოლინო  
სტრადივარიუსის.

შენ ხომ გიპოვეს და შენთან ერთად ვიოლინოც,  
გაშეშებული ხუთი თითით რომ ჩაფრენოდი,  
ახ, როცა უნინ ნაზად გეჭირა იგი!  
გეჭირა და დემონს არაფრით არ ანებებდი.  
განა მან მწვერვალს შენი ხომალდი  
ამ ნადავლისთვის არ მიანარცხა?  
შენც, ვიოლინოს, მძინარეებს მოგაგნეს მერე,  
ხელი დაგავლეს და ორივე შინ წაგიყვანეს  
კუპერინისა, ცეზარ ფრანკის და რაველის დიდ  
სამყაროში,

იქ განისვენებთ სამარადისოდ.  
მაგრამ თქვენ მაინც დაგტირიან ადამის ძენი,  
ოლონდ ტირილი ჩემი არ იყოს, ვისაც მართლა არ  
ეხერხება,

მათ სურთ იმ კუნძულს დაადგან ფეხი  
და სალამოხანს ალვერიას პიკზე ავიდნენ.  
როცა ღრუბლები შეფერადდება,  
ისინი მეჩხერ ბალახებში წამოწვებიან  
ან ჩაცუცქულნი მშვიდ გარემოს აყურადებენ,  
მაგრამ ბალახში ხავერდოვანი მწვანე ფერის  
მხოლოდ ხელიკი დაშარიშურობს  
და სადღაც ნაზად გალობს ეული ჩიტი.  
ან სიოს მოაქვს თევზისა და მარილის სუნი  
წყალმცენარეთა სუნთან შერწყმული.  
ცა იღრუბლება, თუმცა დიდხანს მოქუფრულ  
ღრუბლებს

მენამული არშიები გარს ახვევია.  
გვაცალე კიდევ ცოტახანს წოლა,  
გვაცალე ყური მივუგდოთ მანამ,  
სანამდე, ჟინეტ, ვიოლინო არ ამღერდება.  
ო, ჟინეტ, ხომ არ დაგვიწყებია  
უვნებელ ხელში უვნებელი გიჭირავს იგი.  
მაშ რაღას უცდი, ახშიანე,  
იგი ოქროსებრ ბგერებს ჩამოღვრის.  
ხემი არა გაქვს? დაგენვა ხემი?  
შენ ვიოლინო გაფითრებულ ლოყასთან მიგაქვს  
და იცდი, ვინმე ნეტარი სული  
ანგელოზის ხემს როდის მოგანვდის.  
იქნებ იქ, გაღმა, სხვანაირი იციან დაკვრა?  
უვიოლინოდ, უხემოდაც კარგად უკრავენ?  
იქნებ სულები უხმოდ მღერიან?  
სილატაკესაც არაფერი უჭირავს ხელში,  
მაგრამ ვინ მღერის მასავით ამოდ?

**მეგობარი**

ის, რაც მე შენთვის გამინდვია, ვინ იცის ახლა?  
ის, რაც შენს მეტმა არვინ უწყოდა, ვინ უჩურჩულებს  
ერთ-ერთ აჩრდილს და თან ანიშნებს,  
რომ არაფერი გამიგონია?  
ო, საყვარელო, ყოველთვის მუდამ  
სასურველო! როგორ შესძელი  
ხუმრობითა და მანჭვა-გრეხით ისე შენიღბვა,  
რომ არაფერი შემიმჩნევია – თურმე სარკის წინ  
შეძრწუნებულს სული გითრთოდა. მისი შიშველი  
საიდუმლო იქ არეკლილი  
ყოველდამე გაოგნებას ინვევდა შენში?  
ო, ღმერთო ჩემო, ჩვენ მეგობრებსაც  
ვუმაღლავთ იმას, რაც ზურგს გვაქცევს  
და შენც ის გრძნობა, რასაც სულაც არ გაურბოდი,  
მაშინვე მხოლოდ იმ ერთს მიანიშნე,  
ვინც განგვერიდა.  
ოლონდ ვაი რომ ნავსაყუდელად  
შენ ჩემი გული არ აირჩიე.

დღეს შემოდგომის პირველი დღეა. შენ აღარ გახსოვს,  
ზღვის სველ სიოს როგორ მოაქვს ჩვენსკენ სიცივე,  
როგორ იკვალავს გზას დუნე ნისლში,  
შუადღემდე რომ მოიზღაზნება.  
შენ დაგავინწყდა, რომ მქრქალ მინდვრებზე  
აფენია ხმელი აგვიტი,  
აჩრდილებივით ამოდიან ლილისფერი სათოვლიები  
და ვერცხლისფერი თავები გვიმრის  
მთვარის გარშემო მიმობნეულ ვარსკვლავებს ჰგვანან.  
ზემოთ, უმზეო ქარაფებზე მოციმციმე ნაზი სითეთრე  
ახალი თოვლი გეგონება.  
ხოლო ქვემოთ, გლეხურ ბალებში, ყვითლად დუიან  
სადაფნი და ქრიზანთემები. მაშ ჩაგვატარე  
ნაშუადღევს ტბის ნაპირებზე, ოლონდ  
გოსლამდე ნუ მიგვიყვან, იგი შორსაა,  
შენ ხომ არ გიყვარს სიარული,  
სამაგიეროდ გიყვარს სოფლის  
პატარ-პატარა სასტუმროები.  
იქ გემოს ატან უბრალო კერძებს,  
მარდი გოგონა ხალისით რომ მოგვართმევს ხოლმე.  
რაკი თუთუნი გაახვიე აუჩქარებლად,  
რალა გვაკლია გულითადი საუბრისათვის?  
ამ დროს უეცრად ტბის ტალღები უფრო ღონივრად  
მოასკდება ქვით ნაგებ შვერილს, რაზეც ვერანდა  
არის მკვიდრად დაშენებული.  
ადრეულ დაისს ზოგჯერ ქარის სუსხი ერევა,  
შენ ხელს მიანვდენ ალბურ მოსასხამს,  
უხერხულად მოიგდებ მხრებზე  
და კვლავ სიგარეტს მიუბრუნდები,  
თუმც მოკიდებას ამაოდ ლამობ,  
თითქოს ნიავი ჭინკასავით გეთამამება  
და ალს გტაცებს ანცად და მარდად.  
შემდეგ ესპანელ მწერლებს ახსენებ  
კალდერონსა და ლოპე დე ვეგას

და არც სმეტანას „გაყიდული პატარძალი“ არ  
გავინწყდება,  
ცრემლის გარეშე რომ არასდროს მოგისმენია.  
მერე იხსენებ ჩვენს პოეტებს, გრილპარცერს,  
ნესტროს,

არც მეგობრები არ გავინწყდება.  
ოლონდ ყველაფერს გირჩევნია  
მხოლოდ ქალებზე ლაპარაკობდე,  
რადგანაც შენთვის დედამიწას მათი რონინი ალამაზებდა.  
მინც არცერთი ქალთაგანი შინ არ წამოგყვია,  
რადგან ბევრისკენ გაგირბოდა ყოველთვის თვალი.  
თვალს არ აშორებ ახლაც ცბიერ ქალს, რომ გვეკითხება  
აქ გარეთ ძალზე ხომ არ ცივაო (რადგანაც ჩვენი  
მოშორება

უნდა თავიდან). შენ მძიმედ დგები –  
აქ ხომ ჯდომა გსიამოვნებდა. მე გული დიდხანს  
მინც არსად არ მიდგებოდა,  
რაიც ყოველთვის გულისწყრომას ინვევდა შენში,  
წინ დიდი გზა გვაქვს და საუბარიც მრუშე ღამეში  
უფრო ჯობია. ბევრი რამ მინდა ახლა გაიმბო.  
ნეტავ ვისა აქვს შენებრ დიდი მოსმენის ნიჭი  
და მოთმინება. ფრთხილად იყავი!  
ხედავ ჭადარი როგორ ჩრდილავს საკუთარ ფესვებს?  
სახლში საყვარლად ინთება შუქი.  
ვახშამზე უკვე დავაგვიანეთ.  
ტბაზე მიცურავს ეული ნავი და ნიჩბებს ალბათ უზის  
შვედი ასული, შენ საალერსო სახელი რომ შეგიჩქმევი.  
ახ, ამბობ ახლაც და ხელს აიქნევ, ალბათ ვილაც  
თავქარიანი მას უეჭველად უზისო ნავში.  
ჩვენ ვლაპარაკობთ შვედ ასულზე, სხვა გოგონებზეც,  
საჩვენო სულაც რომ არ არიან, თითქოს უფლება  
გვექონდეს იმედის.  
და აი აქ დგას შენი სახლი. ღამემ ისევე გადაჩრდილა  
ჩვენი საღამო, როგორც ჭადარმა თავის ფესვები.

რა დროა ახლა? შენი სახლის წინ დაეყუდებულვარ,  
შენ იქ შეხვედი, ოლონდ ჯერაც არ გამოსულხარ.  
თითქოსდა ყველა ფანჯარაში ჩამქრალა შუქი.  
ყველა სტუმარი ალბათ ვახშმობს, შენ კი რასა იქმ,  
ჭიშკრიდან რომ არ გამოდიხარ? სახლს ირგვლივ ისევე  
ახვევია  
მრუშე სიბნელე, ვერც კედლებს ვარჩევ, ველარც  
სახურავს.

მამ რა მღლის ასე? ყველაფერს სჯობდა,  
შენს ოთახში რომ მომენახე.  
ნეტავ ჭიშკარი რატომ იყო გამოკეტილი?  
ვინ გადასწია შიდა ურდული?  
ახლა ვერავინ, გვიან მოსული, სახლში თავისით ველარ  
შეაღწევს.  
უეცრად მივხვდი, რომ ყველას სძინავს, შენც გძინავს  
ალბათ

და მეც ძილი უცებ მერევა. ნეტავ სადამდე გაგრძელდება  
ჩემი ლოდინი ღამეულ ქარში? იქნებ შენ კიბით  
ჩამოდიხარ, ურდულსაც გასწევ. მაშინ ჭიშკარი  
გაიღება და შემომიშვებს თავის წიაღში.

**ზიარება**

მოძღვარი თესავს  
თეთრ თესლს პირთა  
ღია ხნულებში.

მონანიეთ, მუხლმოდრეკილთ  
ყველას არგუნებს.  
უეცრად ხე რომ ამოიზარდოს!

ისე დგებიან საკურთხეველიდან,  
ტყესავით რომ დგას  
ყველას სულელებში.

ნუთუ ლოცვებში შრიალებს იგი? ნუთუ ტყე ჰქვია  
ტანშიშველ და განტოტვილ ხეებს,  
მწვანე ვარჯი სხეულივით ზედ რომ ჰკიდიათ!

ო! ის სხეული ჩემშია, ჩემში!  
ო! როცა წითლად ამოხეთქავს  
ის ხუთ ყვავილად!

ხის წმინდა ბდვილი, წყლად და სისხლად  
როცა მოწვეთავს! ო, სისხლო, ჩემს სისხლს შემოერიე!  
სისხლის ნაყოფი ნეტავ ოდესმე ვით დამნიფდება?  
ქრისტე ჯვარზე ჩემში ჰკიდია! შენს ჯვარზე! შენში!  
ჩვენში, ყველაში!

ხელით შეეხოს, ვინც კი მისწვდება! სამყოფ მინას  
ვინ არგუნებს ნეტავ თეთრ ფესვებს?

ვინ შეინახავს იმდენ წყალს, რომ იგი მოიწყას?  
ნეტავ ეთერი კერწეროებს ვის უგუგუნებს?  
და ვის უნათებს საკმარისად შინაგანი მზე?

ქრისტე! არა, იესო ჩვენში! ო, ხელები ანგელოზების  
ის თქვენ ფრჩხილებს ამოგიბრუნებთ,  
ვისი თითებიც უხვად არის ეკლებით სავსე.

სად მარხავთ იმას? ასეთი გული საკმაოდ ღრმაა  
გარდაცვლილისთვის? საკმაოდ ღრმაა  
ცოცხლად მყოფი ანგელოზისთვის?

ღრმაა მორწმუნე ქალთა თვალებისათვის,  
მას რომ აღარ უთვალთვალებენ? მაგრამ იქ მიდის იგი  
უკვე როგორც მათი მეზღვე. –

„Yte. Missa est“. ყურს ვინ უგდებდა ორღანის ხმას,  
როცა გარშემო ტყე შრიალებდა,  
მოძაგძაგე ტყე ტანგაძარცულ დიდი ხეების?  
ფეხარეულნი როგორ შედიან ღია კარში ტაძრის  
ორღანის!

ყოველი კაცი თავისიანს სახლში აბრუნებს,  
ის, ვინც მისი ძარღვების ხეში სამარადისოდ ჩაიკარგება.

იქ სულიერად თავის საქმეს აგრძელებს იგი, მაგრამ დიდხანს გრძელდება მხოლოდ გარდაუქმნელი არსი თვისი თეთრი თესლისა.

და დედა ჩვენი, სათნო დედა კერას დარაჯობს და ინარჩუნებს თავისი თეთრი სიყვარულით.

იგი ხედ არ გადაქცეულა. ის კვლავ ღმერთის და სულიწმიდის საკუთრებაა, რომელიც ჩვენზე გადმოდის, მაგრამ ჩვენ მათით ტკობა არ გვინერია.

გერმანულიდან თარგმნა  
დალი ფანჯიკიძე

გამოსმაურება

შოთა იათაშვილი

საკუთარი სქესის  
სალხინებელი

როგორც წესი, ადამიანები ცხოვრებაში სიგიჟეს მალავენ, ნაწერებში – იგონებენ. მაგრამ მოგონილ სიგიჟეს მოკლედ ფხვნი აქვს – შორს ვერ მიდის. იმ ადამიანურ სიღრმეებში ვერ მიდის, სადაც ნებისმიერი გარეგნულად მოწესრიგებული ინდივიდი, ნებისმიერი პრაგმატიკი და ჩინოვნიკი კი გიჟია, შლეგია, შფოთიანია. დამწყები ლიტერატორისათვის ეს ლიტერატურული სიგიჟე ერთგვარ სასინჯ ქვასაც კი წარმოადგენს. იქ, სადაც პროფესიონალიზმი დიდი დოზით ჯერ არ არსებობს და ტექსტის ქმნისას მისი ფაქტორი ნაკლებად განმსაზღვრელია, მით უფრო რელიეფურად ჩნდება, თუ რამდენადაა ახალგაზრდა ავტორი საკუთარ, თუ საერთოდ, ადამიანთა სულიერ არეულობაში კალმის ფათურისაკენ მონოდეტული.

„ჩვენი მწერლობის“ 2006 წლის მე-11 ნომერში იმ ნინო თარხნიშვილის ლიტერატურული დებიუტი შედგა, რომელიც აპირებს გახდეს 27 წლის და რომელიც უკვე იხვეწება, ამაზე მეტს ნულარაფერს დაანერინებენ მისი ცხოვრებისეული ფაქტების შესახებ, ვინაიდან, როგორც ჩანს, წერა მისთვის ძალიანაა ამ გარეგნული ფასადის განგრევა და ფარული, იდუმალი – ვნებებით, ისტერიკებით, სიხარულიანი შიშებით და შიშისანი სიყვარულებით გამოტენილი ბინის აღწერა. ეს ბინა ყველაზე სიმბოლურად მის მინიატურაში „ჩემი მისამართია სალხინებელი“ არის ნაჩვენები.

„ჩემი ჭერი სულით ავადმყოფის იატაკია, ჩემი იატაკი მღვდლის ჭერი... მე სალხინებელში ვცხოვრობ... მოკლედ შუაში ვარ, და მე რა შუაში ვარ...“

თითქოს ნაცნობი, კლასიკური სენდვიჩისებური მოდელია, თითქოს ფროიდის ქვეცნობიერის, ცნობიერისა და ზეცნობიერის მოდელთანაც აჩენს მსგავსებას, მაგრამ ერთი განსხვავებით: აქ ყველაფერი ამოყირავებულია. სამოთხე ქვემოთაა, ჯოჯოხეთი ზემოთ, ზეცნობიერი ქვემოთ, ქვეცნობიერი ზემოთ... მხოლოდ და მხოლოდ პროტაგონისტის მდგომარეობა არ იცვლება: იგი კვლავაც შუაშია, კვლავაც სალხინებელშია და დაჟინებით სთხოვს ვიღაცას (ვის?), ნამდვილი წერილები (არა იმილი, არა აკადემიკოსურით) მოსწეროს ხშირ-ხშირად მას.

მასთან მოსალენვემა გზავნილმა კი, როგორც ირკვევა, მეტად სახიფათო გზა უნდა გაიაროს: პატარა შეცდომა და სულით ავადმყოფის მიერ შესანსლული შეიძლება აღმოჩნდეს, პატარა შეცდომა და მღვდელს ლოცვაში შეიძლება ხელი შეუშალოს, პატარა შეცდომა და ადრესატის ქალიშვილი შეიძლება გააღვიძოს... და რაც მთავარია, „მიდი და ეძებე ამ დიდ ქალაქში, სად ცხოვრობს პირველ სართულზე მღვდელი, მესამეზე სულით ავადმყოფი და შუაში მე...“

ნინო თარხნიშვილის ეს მყარი სალხინებელი ამოყირავებული სამოთხე-ჯოჯოხეთით სწორედ ის ზუსტი ლიტერატურული სიგიჟეა, რომელიც მას ორსული მატლის ბებიაქალად დააყენებს, მსოფლიოში პირველ იმ მოლაღატე ძალად აქცევს, რომელიც ფერებს ხედავს, სხვისი გატეხილი სიტყვების შემწებებლად და საკუთარი სიტყვების მღვანავად ამუშავებს...

თანაც, მთელი ეს უკულმართობები (გარეგნულიც – მინიატურა „მატლი“ პოსტსკრიპტში თავშია და არა ბოლოში, მეორე მინიატურას კი საერთოდაც „ნეგატივი“ ჰქვია), არც მეტი – არც ნაკლები, ქალური, მდებარეული, დედური შიზოფრენიებია, გადამეტებული თუ ნაკლები სიყვარულით გამოწვეული. ამ ტექსტების მოწყვლადი ბუნება მაფიქრებინებს, რომ სამომავლოდ იგი პოეტური ფორმებისაკენ უფრო შეიძლება გადაქანდეს, ვიდრე სხვა ლიტერატურული ჟანრებისაკენ. ხომ ყველამ ვუნწყით, რომ საუკეთესო პოეტი ქალები, სხვაგანაც და ჩვენშიც, როგორც წესი, არა მეტაფიზიკურს ან რეალისტურს, არამედ საკუთარი სქესის ნეგროტული ბედნიერება-უბედურების მუტაციას არიან მიცემულნი. ანუ, ნინო თარხნიშვილისებურად რომ ვთქვათ, სალხინებელს. საკუთარი სქესის ამ

სალხინებელში დედობრივი გრძნობა თითქმის ყოვლისმომცველია (ზოგ პოეტ-ქალთან შეუმდგარი, ზოგთან შემდგარი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ყოვლისმომცველი), და ამიტომაცაა, რომ მშობიარობის შემდეგ მატლი ნითელ-ლოყებიან ვაშლში ცხოვრობს და ბებიაქალ-ავტორს დედას ეძახის, ამიტომაცაა მინიატურა „ის დღე“-ში ასეთი ამოძახილი:

„– ფაფა?

გიჟი არა ვარ? აბა რა ვარ! – საკუთარი შვილის ფაფას რომ დანვავ, მამ რა ხარ?“

ჰო, ასეა. მე ბოლომდე ვეთანხმები ავტორისეულ შეფასებას. ნინო თარხნიშვილი მთელი თავისი მონაცემებით ლიტერატურული გიჟია და მინდა გზა დავულოცო ამ ზიგზაიან გზაზე, გზაზე, რომელიც სიყალბეს ვერანაირად ვერ იტანს. მით უმეტეს, რომ მან თავის ლიტერატურულ საყუდარს – საკუთარი სქესის სალხინებელს – უკვე მიაგნო.

მაჰმუდ ალ-ბადავი

## ბოლო ვაგონი

ტრამვაის ბოლო ვაგონი ერთადერთია, რომელიც ღამის პირველ საათსა და თხუთმეტ წუთზე მალიქის მოედნიდან გიზისაკენ გადის. ვაგონში თავს ხალხის უცნაური ნაზავი იყრის: ღამის გასართობი ადგილების ხშირი სტუმრები, უკანასკნელი სეანსების მაყურებლები; გოგოები, რომლებიც ღამე სანაპიროებზე დასეირნობენ; მთვრალი კაცები, რომლებიც ღამეს სამიკიტნოებში ატარებენ და ტროლეიბუსის მუშები, შინისაკენ რომ მიემშურებიან.

ტრამვაის მძღოლი მოედნიდან თავის დროზე დაიძრა. ვაგონი უკიდურესი სისწრაფით მიჰქრის ლიანდაგებზე. ალ-აზჰარის მოედანს მიუახლოვდა თუ არა, მძღოლმა ცოტათი შეუნელა სვლას. სწორედ ამ ადგილიდან იწყება მგზავრების ასვლა-ჩამოსვლა.

მგზავრები ვაგონის შუა ნაწილში შეგროვილიყვნენ. ხმაამოუღებლად ისხდნენ, რადგან სახეზე ყველას დაღლილობა ეტყობოდა. მთვრალი კაცები ამოსვლისთანავე ხმაურობდნენ. როდესაც ზამთრის სიცივე დასუსტავდათ, ჩუმდებოდნენ. ღამის ნაირ-ნაირი გოგოები, რომელთაც სახეზე უსიცოცხლობა ეტყობოდათ, ვაგონის კუთხეში მიმსხდარიყვნენ. ნაირ-ნაირი ფერუმარლით მოთხიზნილ სახეებზე, აშკარა დაღლილობის მიუხედავად, მაინც ღიმილი აღბეჭდოდათ ახალი „ნანადირევის“ გამოსაჩქერად. მთვრალი კაცები თუ რომელიმე ქალს დაინახავდნენ გაჩერებაზე, კისერს დაიგრძელებდნენ და ხელს უქნევდნენ. მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ვაგონში ჩაჯდებოდა, ისე გაჩუმდებოდნენ, თითქოს არცკი დაენახათ.

ტრამვაი მიჰქროდა კასრ ალ-აინის ქუჩაზე. ღამის სინყნარეს არღვევდნენ მისი ხმაურიანი ბორბლები... მგზავრები ცოცხლად ადი-ჩამოდიოდნენ ვაგონიდან.

მძღოლი მარტო იდგა ვაგონის წინა ნაწილში. ასეთ ძლიერ სუსხში ვერავინ შეძლებდა მის ადგილას ყოფნას. ზამთრის სიცივეს ის მარტოდ-მარტო, პირისპირ ხვდება. რადგანაც ვაგონს წინა მინა არა აქვს, ქარი ყურებში უწივის და სახეს უწვავს. შინ დედა ჰყავს დატოვებული უკანასკნელ დღეში და არ იცის, დასამარხ თანხას სად იშოვის. უშედეგოდ მთელი დღე ამაზე ფიქრს მისი გონება დაუღლია.

ჩერდება გაჩერებაზე და იძვრება აუჩქარებლად. მძღოლი დაბნეულს ჰგავს. ხელს ავტომატურად აქანავებს, როგორც ზამბარას. თვალები უძრავად მისჩერებიან ცარიელ ქუჩებს. გზა ელავს მოციალე ლამპიონების შუქზე...

ამ ვაგონში იჯდა იუსუფ ნაგარი – 40 წლის უძრავი ქონების მაკლერი. სუსტი აღნაგობის, მრგვალი სახით,

გაბრტყელებული ცხვირითა და წვრილი თვალებით, მაგრამ დიდი თავითა და სავსე ენერგიით. მთელი დღე მოძრაობაშია, ფუტკარივით დასტრიალებს კლიენტებს. ღამე ამ ყველაფერს თავს ანებებს და მიდის მუჰამედ ალის ქუჩაზე მდებარე პატარა სამიკიტნოში, ჯდება ერთ ბნელ კუთხეში მდგარ ხის ქუჩყიან მაგიდასთან, იწყებს ღვინის სმას და თან დღის განმავლობაში გაკეთებულ საქმეებს იხსენებს. როცა სამიკიტნო იკეტება, ისე გამოდის, თითქოს არც ერთი წვეთი არ დაელიოს. იწყებს ხეტიალს, როგორც ეს დღისითაც სჩვევია. როცა საათის ისრები დღის პირველ საათს მიუახლოვდება, მიდის მოედნისაკენ და ჯდება ვაგონში. იუსუფი უცოლოა. ქალი ცხოვრებაში არასოდეს ჰყოლია. მიუხედავად ამისა, იგი კმაყოფილი იყო საკუთარი თავითა და ბედით. არასოდეს უფიქრია იმაზე, რომ რაიმე აკლდა. ასეთი რამ თავში აზრადაც არ მოსვლია.



იუსუფის პირდაპირ იჯდა ნარგიზ ქამილი. ამ ქალს ოჯახური ცხოვრება წარუმატებლად წაუვიდა. მან თავის ადრეულ სიყმანვილეში პროფესიად ცეკვა აირჩია. მაგრამ ბედმა ზურგი აქცია და ქუჩაში აღმოჩნდა. ბოლოს ღამის გასართობი ადგილის პატრონმა თანაუგრძნო მას და სალაროში მუშაობა დაანყებინა. როდესაც ნარგიზი სალაროს დაკეტავდა, მიდიოდა დასალევად, რათა თავისი გარდასული ახალგაზრდობა დაეინყებია.

დამთავრდებოდა თუ არა ცეკვის საღამო, ის უკანა კარიდან გავიდოდა და ბოლო ვაგონს მიაშურებდა. იჯდა მარტო. თუ ახალგაზრდა ბიჭს მოჰქრავდა თვალს, დაუნყებდა ცქერას სურვილითა და ტკივილით, მისი ახალგაზრდობა უკვე გამქრალიყო. ესიზმრებოდა, თითქოს ახალგაზრდა ღონიერ ბიჭთან ზის მარტო, რომელიც მას ხელში იტაცებს... მაგრამ მთვრალების ხმაურმა გამოაღვიძა ნარგიზი და აზრზე მოიყვანა.

ქალის წინ იჯდა ჯამალ ედ-დინ ასიმი. იგი იყო 35 წლის ბანქოს პროფესიონალი მოთამაშე: მაღალი, გამხდარი, არწივისებური ცხვირით, გამოკვეთილი ნიკაპით, განიერი სახითა და მახვილი მზერით. იგი თამაშობდა ყველაფერზე, თავის ცოლზეც კი. სამიკიტნოებიდან „კორსალი“ და „ბარზიანა“ დედაქალაქის უბინძურეს უბნებში „სილსილასა“ და „ნუჯუმ ზაჰბისაკენ“ მიემართებოდა. ფსონის ჩასვლას გინებთ იწყებდა და მილიმებით ამთავრებდა. ის არენიდან, ჩვეულებებისამებრ, წაგებული გადიოდა. დანაკარგს ყოველთვის აუღელვებლად ხვდებოდა. მაგრამ დღეს სა-



სონარკვეთილებასა და ღრმა უფსკრულში ჩავარდნას გრძნობდა.

ჯამალი დამცინავად უყურებდა ნარგიზს და თან ხარბად ეწეოდა.

მის პირდაპირ იჯდა აბას ად-დავი, 20 წლის დახელოვებული ჯიბის ქურდი. საოცრად გამჭრიახი და უეშმაკესი. ის გვერდით მსხდომთ ათვალეერებდა და თან ტურჩებზე ღიმილი დასთამაშებდა. იხსენებდა დღის განმავლობაში თავის ჩადენილ ქურდობებს, რომლებიც ხალხის უგუნურობასა და უყურადღებობაზე მიუთითებდა.

აბასის გვერდით იჯდა აბდ ალ-ატი მანსური. იგი იყო შეიხი სოფლიდან. რაც ტრამვაიში ამოვიდა, თვალი არ მოუშორებია თეთრი კეკლუცი გოგონასათვის, მის პირდაპირ რომ იჯდა. შეიხი უყურებდა გოგოს და ადარებდა თავის მეუღლეს მუნირას, რომელსაც თავისი ახალგაზრდობა საოჯახო საქმეებსა და შვილების აღზრდაში გაეღლია. კაცმა გაახალგაზრდავება ინატრა, რათა ერთი ღამე მაინც გაეტარებინა ამ გოგონასთან. შეიხი წავიდა ფიქრებში... ად-დავი ფხიზელი თვალით აკვირდებოდა მის შეფიქრებულ სახეს.

მანსურის გვერდით იჯდა ზაქი გადი, 30 წლის ბიჭი, რომელსაც ყოველთვის ვიღაცის ვალი ჰქონდა. იგი მუდამ იცინოდა. ზაქი ყველაზე ბოლო ადიოდა ტრამვაიში, რადგან დროს არასოდეს ითვლიდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რას უქადდა ცხოვრება. ნუთისოფლის მსხვილმან-წვრილმანი მის თვალში გათანაბრებულიყო და მისთვის ყველაფერი უმნიშვნელოდ ქცეულიყო. არც მოიწყენდა რამეზე და არც მწუხარებდა. ცხოვრების სიტყბო და სიმწარე ისე ჩაუვლიდა თვალწინ, მის ბაგეს ღიმილი არ ტოვებდა.

ლაპარაკი დაიწყო ხმამაღლა, რათა ყველას ყურადღება მიექცია. მას ერთი საინტერესო ამბავი გადახდენოდა თავს, რომელიც მგზავრთათვის აუცილებლად უნდა მოეყოლა. მარჯვე შემთხვევა იპოვა თუ არა, გასწორდა და დაიწყო:

„რამდენიმე წელი ვსწავლობდი ლიონის უნივერსიტეტში. არდადეგებს პარიზში ვატარებდი ხოლმე და ერთ-ერთ სამეარსკვლავიან სასტუმროში ლათინურ უბანში ვჩერდებოდი. სასტუმროში შევხვდი ერთ გოგოს, რომლის წარმომავლობა დღემდე არ ვიცი. სამი დღის შემდეგ დავურეკე, გოგონა ტიროდა. მითხრა ფეხმძიმედ ვარო. მდინარე სენაში აპირებდა თავის დახრჩობას, რათა ამ სირცხვილისგან განწმედილიყო. გულუბრყვილოდ მივინდე და მივეცი, თუ რამ ფრანკი მებადა.“

იცინოდა ზაქი, იცინოდნენ მგზავრებიც...

ტრამვაიმ სწრაფად ჩაუარა საავადმყოფო „კასრ ალ-აინს“ და ვიდრე სადგურ „ფამ ალ-ხალიჯთან“ მივიდოდნენ, მძლოლს მთვრალი კაცების ხმა შემოესმა. ხმამაღალი სტვენის შემდეგ ყვირილიც გაისმა. მან სასწრაფოდ გადაატრიალა გასაღები და ტრამვაი გააჩერა.

მძლოლი ვაგონიდან ჩამოვიდა და გაემართა იქით, საითაც მგზავრები გარბოდნენ. ერთი-ერთი მგზავრი, რომელიც გაქანებული ტრამვაიდან ცდილობდა ჩამოსვლას, ლიანდაგებში ჩავარდნილიყო. ეს იყო აზარტული მოთამაშე ჯამალ ედ-დინი. ხალხი მის გარშემო შემოიკრიბა. მაინცდამაინც ღრმა ჭრილობა არ უჩანდა.

სასწრაფო დახმარების მანქანამ დაშვებული წაიყვანა.

**მხატვარი ლევან მუზაშვილი**

უბედური შემთხვევის გამო მგზავრები ვაგონიდან ჩამოვიდნენ და დარჩენილი გზა ფეხით გააგრძელეს. იუსუფ ნაგარიც ფეხით გაუყვა გზას. მას სწრაფი სიარული სჩვეოდა. როდესაც მსუბუქი ფეხის ხმა შემოესმა, შემობრუნდა და სწრაფად მომავალი ქალი დაინახა. ცოტა ხანში დაენია და კიდევ გაუსწრო. ეს ქალი ნამდვილად ნარგიზი იყო.

გონებაში ერთმა აზრმა გაუელვა: რატომ არ უნდა გამოეღაპარაკოს და დაპატიჟოს შინ. რატომ არ აკეთებს ამას, როგორც სხვა რომელიმე კაცი?! ნარგიზი ხომ ერთ-ერთი ლამაზმანია! რატომ ატარებს ცხოვრებას ეულად და უინტერესოდ?! რა აზრი აქვს უქალო ცხოვრებას?! დღემდე უნაყოფო უდაბნოში ბინადრობდა, არ უნახავს ოაზისის ჩრდილი, არ დაუღევია მდინა-



რის ანკარა წყალი. ის ღამეული მწყურვალაია, ძალიან მწყურვალაია...

ამ ფიქრებში იყო გართული, აღელვებული სხეული რომ იგრძნო. სუნთქვასაც მოუხშირა. უახლოვდება ნარგიზს, მაგრამ ჩერდება, გამბედაობა არ ჰყოფნის. ბოლოს იგრძნო, რაღაც ძალამ მისკენ როგორ უბიძგა. დაენია და უთხრა შეშინებული ხმით:

„სალამო მშვიდობისა!..“

ქალმა შეხედა და სახე აარიდა, უნდოდა, აღარ დაენახა. მაგრამ იუსუფი ისევე გვერდით მიჰყვებოდა და თან საუბარს აგრძელებდა. ნარგიზი ხმას არ იღებდა. ბოლოს კაცმა უთხრა:

„ყველაფერს მოგცემ, რასაც ისურვებ! ხუთი გინება... ათი.. რამდენიც გინდა, იმდენი აიღე!“

ფულის გაგონებაზე ქალს თვალელები გაუფართოვდა და უყოყმანოდ გაჰყვა.

ნარგიზმა პალტო გაიხადა და მისაღებ ოთახში დაჯდა. იუსუფმა ქალის წინ პატარა მაგიდაზე ღვინის ბოთლი დადგა. სვამდნენ ღვინოს და თან საუბრობდნენ. იუსუფს უნდოდა, გამბედაობა მისცემოდა და სხეულიდან ზამთრის სიცივე განეშორებინა. ქალს კი უნდოდა, დაეღია, რათა თავდავიწყებასა და ზარხოშს მინებებოდა მისი მახინჯი, კეთროვანი სახე რომ აღარ დაენახა.

კაცი ნარგიზის შიშველ კისერს, ყელს, სხეულის ყოველ ნაწილს ხარბად შესცქეროდა. მის ასეთ ქცევაში იყო რაღაც, რაც ქალში დაცინვასა და ზიზღს იწვევდა. თავს არ უჯერებდა, რომ ქალთან იყო. მალე ჩაიკრავს მას გულში და ჩაიქრობს ვნების ცეცხლს. დაეკონება მის ტუჩებს... ნუთუ მართლა ხდება ყოველივე ეს ამ ხანგრძლივი და უსარგებლო წლების შემდეგ?! თვალში ცრემლი მოერია, დაეცა ნარგიზის ფეხებთან და კოცნა დაუნყო...

ღილით ქალს თანამგზავრზე ადრე გამოეღვიძა. მან დახედა იუსუფის სახესა და ტანს. მისი სიმახინჯე და კეთროვანება უსაზღვრო ზიზღს ჰგვრიდა. სასწრაფოდ წამოხტა ნარგიზი ლოგინიდან და შეჰკვივლა. კაცმა თვალელები გაახილა, ქალს დამცირებული ძალღივით შეხედა და ხმის კანკალით უთხრა: „რა მოხდა?“ ქალმა ზიზღით შეხედა და თან მთელი ტანი სიბრაზისაგან უთრთოდა. შემდეგ ხმამაღლა დაუყვირა:

„შე ბინძურო ძაღლო! როგორ გაბედე, ქალს მიჰკარებოდი?! შენ მე მომკალი! შეუძლებელია ნუხანდელი ღამის ჩემი გონებიდან ამოშლა... შეუძლებელია შენი საზიზღარი სახის დავიწყება... აიღე შენი ფული!..“ შემდეგ ფული სახეში შეაყარა და წავიდა.

იუსუფმა თავი საბანში ჩამალა. ატირდა...

მზე ამოინვერა თუ არა, ტანისამოსი ჩაიცვა და სამსახურში გასწავა. მისი სხეული ადრინდელს აღარ ჰგავდა. უწინდელი აღარც სული შერჩენოდა. გარშემო ყველაფერი შეცვლილიყო. გრძნობდა ცხოვრების სიმძიმესა და სიძნელეს, რასაც მისი გული მოულოდნელად მოეცვა. თავის ცხოვრებაში პირველად დაეჭვდა.

მიდის ახალ საქმეზე და თან უხერხულობას გრძნობს იმის გამო, რომ ხალხი, განსაკუთრებით კი კლიენტები დასცინებენ და მახინჯად მიიჩნევენ. ამას ურჩევნია მინა გაუსკდეს და შიგ ჩავარდეს. წყეულმა ქალმა სასიკვდილო ისარი ესროლა და სულის სიმშვიდე დააკარგვინა. მისთვის არც ერთ კლიენტს არ უთქვამს, მახინჯი ან კეთროვანი ხარო. თავისმა საქმემ გადაავიწყა ყოველივე ეს. ახლა კი, რაც ბედმა ეს ქალი შეახვედრა, სულიერად გატყდა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნაკლებს მუშაობდა. ცხოვრებასა და ხალხზე შეხედულება შეეცვალა. გახდა სულიერად აფორიაქებული, აღვზნებული და სამუდამო ნაღვლით დაჭრილი. ქუჩაში გზააზნეულივით დაეხეტებოდა. უნდოდა, დღის ნათელი საუკუნო წყვდიადით შეცვლილიყო, რათა არავის დაენახა. ერთადერთ ხსნას საკუთარი თავისა და ხალხის ბოროტებისაგან ძილში პოულობდა.

ერთ ღამეს, მთვრალმა გასწავა იბრაჰიმის მოედნიდან ბოლო ტრამვაისაკენ. იუსუფი ვაგონის ერთ კუთხეში ჩამოჯდა, თვალელებზე სქელი ნისლი ჩამოაწვა და თვლემ დაიწყო... ცოტა ხანში ქალის ხმა გამოაღვიძა, თვალი გაახილა და მიტრიალდა. ის იცნობდა ამ ხმის პატრონს. იგი ნამდვილად ნარგიზი იყო! ქალი გასავლელ კართან იდგა. როდესაც ტრამვაი გაჩერებაზე გაჩერდა, ქალი ჩავიდა. იუსუფი წამოხტა სკამიდან და უკან გაჰყვა. გრძნობდა, როგორ სურდათ მის ხელებს ნარგიზის ყელს შემოხვეოდნენ. ქალი კი მასში მხოლოდ ფარულ ზიზღს იწვევდა... ტრამვაიდან ჩამოსული ისე დაეცა მიწაზე, რომ არავის გაუგია.

მგზავრები დიდი გულისყურით უსმენდნენ ვაგონის უკვდავ გმირს ზაქი გადის. იგი უყვებოდა მათ თავის უკვდავ თავგადასავალს – გოგონას ამბავს, რომელსაც პარიზში შეხვედროდა.

**არაბულიდან თარგმნა  
ნატა თაითრუაშვილმა**

**მთარგმნელისაგან**

მაჰმუდ ალ-ბადავი (1911-1985) ეგვიპტელ ნოველისტთა რჩეულ პლეადას ეკუთვნის. იგი დაიბადა ქ. ალ-აქრადში. ლიტერატურას სწავლობდა კაიროს უნივერსიტეტში. მისი პირველი პუბლიკაციები ჩეხოვის ნოველათა თარგმანები იყო, რომელსაც 1933 წელს დროდადრო „არ რისალაში“ აქვეყნებდა. მისი პირველი ნიგნი „არ-რაჰილი“ გამოვიდა 1935 წელს. აქედან მოყოლებული ეგვიპტელი ნოველისტი ქმნის თავის ნაწარმოებებს 19 კოლექციად.

და დღეს ალ-ბადავი რეალისტური ეგვიპტური ნოველის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან დიდი წვლილი შეიტანა ამ ჟანრის განვითარებაში. მის ნოველებში დიდი ოსტატობითაა ასახული ეგვიპტური რეალობა და ყოფითი სურათები.

\* \* \*

ნიკო კეცხოველს ყველაფერი უნდა სცოდნოდა უნივერსიტეტისა, ყველა მსხვილმანი თუ წვრილმანი, ყველა გარემოება თუ დეტალი. მის სიმკაცრეზეც ლეგენდები დადიოდა და მის გულმონყალეუბაზეც.

შორს დარჩენილიყო ასპინძის ფრონტი, თურქების წინააღმდეგ ისიც რომ იდგა იარაღით ხელში და უახლოესი მეგობარიც დაეღუპებოდა ამ ბრძოლებში – გრიგოლ მეგრელიშვილი, მთის ნიავის სახელით ცნობილი პოეტი, ვის ხსოვნაზეც ნიკო კეცხოველი იზრუნებდა და კიდევ გამოაქვეყნებდა მის პოეტურ კრებულს. გარდა მეცნიერებისა, მწერლური ნიჭიც მომადლებოდა და საბუნებისმეტყველო მოთხრობების მთელს ციკლსაც შექმნიდა, სამოგზაურო ჟანრის ჩინებულ ქმნილებებს და თვითონაც გადაინაცვლებდა რომანის ფურცლებზე. უნივერსიტეტის რექტორის პროტოტიპი სწორედ ის გახლავთ ნოდარ დუმბაძის „მზიან ღამეში“.

დასტრიალებდა თავს უნივერსიტეტს.

და რაკილა ყველაფერი უნდა სცოდნოდა, არც ის გამოჩნებოდა, რომ სტუდენტ ვახანიას... ჭიჭიკო ერქვა, რექტორის თვალში სრულიად შეუფერებელი სახელი ახალგაზრდა კაცისათვის. და ურჩევდა: გადაირქვიო. იმას ძალიანაც მოსწონდა თავისი სახელი, ყოველ შემ-



მეგობრული შარყი ვახტანგ ბერიძისა

თხვევაში, შესჩვეოდა და მისი შეცვლა ვერ წარმოედგინა, მაგრამ ნიკო კეცხოველი თუ რაიმეს იტყოდა, კიდევ აღასრულებდა. რჩევას აინუნშიც არ ჩაუგდებდა სტუდენტი? ან იქნებ კიდევ ჩაუგდებდა, მაგრამ თავის სახელს ვერ შეეღოდა? ცოტას აცლიდა და უკვე მკაცრად მოსთხოვდა: ოფიციალურად გამოიცვლი, ფულს გადაიხდი, როგორც წესია, და მოწმობას მაჩვენებო.

სახელის გამოცვლა 15 მანეთი ღირდა.

გადაიხდიდა ჭიჭიკო ვახანია იმ 15 მანეთს და მილიციის საპასპორტო განყოფილებიდან ვახტანგ ვახანიად გამოცვლიდა.

პასპორტს, ცხადია, რექტორს გადაუშლიდა და მისი ნების აღსრულებას დაუდასტურებდა.

ბენო დობორჯგინიძე ახალ ამბავს ასე მოსდებდა თანაკურსელებს:

– ჭიჭიკოს მამამ სახელიც საყიდელი დაუტოვაო!..

დიდი მემკვიდრეობით იქნებ სხვებსაც ვერ მოეწონებინათ თავი, მაგრამ სახელი მაინც არ გახდომიათ საყიდელი.

– ჭიჭიკო! ჭიჭიკო! – მაინც ასე ეძახდნენ სიყრმისა და სიჭაბუკის მეგობრები უკვე ცნობილ მეცნიერს, და იმას ისე ძალიან უხაროდა, თითქოს სადღაც დაკარგული სიყმანვილე თვალნათლივ გამოეცხადაო.

\* \* \*

1900 წელს მაქს პლანკი „ენერგიის კვანტს“ რომ ახსენებდა, ან თვითონ რას წარმოიდგენდა, ან სხვანი, რომ ამ იდეით სულ მალე გადატრიალება მოხდებოდა ფიზიკაში – ნილს ბორის თაოსნობით კვანტური მექანიკა ჩაისახებოდა და ერთბაშად ისეთ სიმაღლეს მიადნებდა, მეტი აღარაფერი ექნებოდათ სალაპარაკო ფიზიკოსთა წრეებში.

ხმაური შორს გასცდებოდა ერთი მეცნიერების საზღვრებს და ყოველდღიურობაშიც ჩაერთოდა.

კვანტური ფიზიკა, კვანტური ფიზიკა, – გაისმოდა ყველგან და



მათგანაც, შორეულზე შორეული წარმოდგენაც რომ არ გააჩნდათ ამ თეორიაზე.

შალვა ნუცუბიძეს ეს სიტყვათშეთანხმება რატომღაც სევდას აღუძრავდა და მახვილ კალამბურს დრამატულ განცდაში გახვევდა:

– მთელს მსოფლიოში კვანტური ფიზიკაა მოდებული, ჩვენში – ფიზიკური კვანტი!

სიტყვათთამაშის რომელიმე მოყვარულისათვის „ფიზიკური კვანტი“ იქნებ წიგნის სათაურადაც გამოდგეს.

წიგნი კი მიეძღვნა ნილს ბორსა და შალვა ნუცუბიძეს.

\* \* \*

80-იანი წლების დასაწყისი და მისაღებ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის კომისიის თავმჯდომარე მზექალა შანიძეა, მოადგილედ კი ვახუშტი კოტეტიშვილი მიუწვევია.

გამოცდა დილის რვა საათზე დაიწყო და უკვე საღამოს შვიდი საათია. ვახუშტი ისე გადაღლილა, თავს ველარ იკავებს, შუბლს სკამის ზურგზე ჩამოსდებს და თვლევს.

თავმჯდომარე სიმხნევს ინარჩუნებს.

აბიტურიენტები ბილეთებს ჩასცქერიან და გულისკანკალით მოელიან გამოძახებას. მზექალა შანიძის წინ ნიწნამხდარი გოგონა დგას, ჩაფლავდა და სასიკეთო ნიშნის იმედი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ვედრებით ევედრება, იქნებ არ ჩამჭრათ და სამიანი მაინც დამინეროთ, ქულებში არ მეყოფა, მაგრამ გარეთ მთელი სოფელი მელოდება და არ მინდა მათ წინაშე შერცხვენილი გავიდეო.



მეგობრული შარყები ვაჟა ორბელიანისა

სიმკაცრით განთქმულ თავმჯდომარესაც მოუღებდა გული. მითუმეტეს, ამ სამიანით სხვა არავინ დაიჩაგრება.

– მამ კარგი, ომარ ხაიამი თუ გაგიგონიათ?

– დიას, როგორ არა, – პასუხობს გაოგნებული აბიტურიენტი.

– რომელ საუკუნეში ითარგმნა ქართულად?

– ის ამკარად ალაღბებზე დაასახელებს:

– მეოცეში.

არადა, სწორია, რას ერჩი!..

– მთარგმნელი ცოცხალია თუ მკვდარი? – თავმჯდომარე არა და არ ეშვება.

აბიტურიენტი ფიქრობს, ფიქრობს... ნეტა ისევე „გაარტყამს“ თუ არა?

და ვახუშტი ოდნავ წამოინევს:

– ცოცხალ-მკვდარი, – გოგონას მაგივრად პასუხობს და თავს ისევე სკამის საზურგეზე მისდებს.

\* \* \*

ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი მაკა ჯოხაძეს ძღვნად გამოუგზავნის თანამედროვე ფრანგი მწერლის მიშელ უელბეკის რომანს „ელემენტარული ნაწილაკები“, თარგმნილს გიორგი ეკიზაშვილის მიერ.

რისთვისაც ეს იუმორისტული მინიატურა იწერება, სულ არ არის აუცილებელი არც წიგნის ავტორისა და სათაურის და არც მთარგმნელის ვინაობის დაზუსტება, მთავარია, რომ ფრანგები გზავნიან, მაგრამ რაკილა საშუალება გვეძლევა, ვახსენოთ კიდევ ერთი ფრანგი მწერალიც და ჩვენი ჩინებული მთარგმნელი და კოლორიტული პიროვნებაც.

კონვერტზე წარწერაა:

„მაკა მახარაძეს. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ პროზის განყოფილების გამგეს!“

ჩვენც ხომ მეტი არ გვინდა:

– მაკა მახარაძის საჩუქარი უნებურად მოხვედრილა შენს ხელში, მაგრამ სამსახური რომ შენია მითითებული? იმას ხომ არ გაუცვალე ადგილი და გვიმალავ? მუსიკაზე დავედიოდიო, რომ გვიმტიციცებ, ეტყობა, ბალეტზე დადიოდი.

მაკა შემცბარია.



მეგობრული შარყი ზაალ სულაკაურისა

არა, მაინც რატომ უნდა შეშლოდათ?

კონვერტს გახევეს, წიგნს ამოიღებს და შიგ ჩადებულ მოკლე ბარათს გადაშლის, ფრანგულად დაწერილს, და იქ კი მისი გვარი საესვებით სწორადაა აღნიშნული: ჯოხაძე.

– რა გამოდის, – ახალ მასალას ვმოულობთ გასახუმრებლად, – საფრანგეთში უკეთ გიცნობენ, ვიდრე საქართველოში?! ფრანგმა მკითხველებმა წაგვართვეს შენი თავი და ეგაა.

– შენი ამბავი რომ ვიცი, ნაკვეთებში კიდევ მოვხვდები!

მაკა – ჯოხაძე, ჯოხაძე და არა მახარაძე – დამანამუსებლად მიცქერის.

– მე რა შუაში ვარ, თვითონვე აღმოჩნდი ნაკვეთში, კონვერტზე წარწერამ მოგახვედრა და მხოლოდ ფორმალაა შესასრულებელი.

ფრანგული კულტურის ცენტრის გამოცემები ძალზე არათანაბარია – შერჩევის მხრივაც, თარგმანის ხარისხითაც, ერთმანეთს ენაცვლება თვალსაჩინო ქმნილებანი და ყოვლად სუსტი წიგნები, რატომ დაინერა და, მითუმეტეს, რატომ ითარგმნა, ვერაფრისდიდებით რომ ვერ გაიგებ.

საბედნიეროდ, მიშელ უელბეკის „ელემენტარული ნაწილაკები“ კარგი რომანია.

დიდიაო, ირწმუნებიან ფრანგი კრიტიკოსები.

დიდისა რა მოგახსენოთ!..

**უნდა აღიგაპრო  
პირისაგან მინისა**

იდგა 1940 წლის ივნისი. ლორენს ოლივიე და ვივიენ ლი შეერთებულ შტატებში იმყოფებოდნენ. მათი სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ ნიუ-იორკში, როგორც იტყვიან, ჩავარდა. მაგრამ ეს მარცხი რა მოსატანი იყო ევროპაში დატრიალებულ მოვლენებთან. კბილებამდე შეიარაღებული ნაცისტური გერმანია გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდა. დაეცა ბელგია, დაეცა პოლანდია. საფრანგეთის ბედი ბენზეუ ეკიდა. შეერთებული შტატების ელჩმა ლონდონში ჯოზეფ კენედიმ განაცხადა: ინგლისს ღონე გამოეცალა და დამარცხების პირას არისო.

თითქოსდა ამის პასუხად გაისმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის სიტყვა პარლამენტში. აი, ერთი ნაწყვეტი მისი გამოსვლიდან:

„ჩვენ არ დავნებდებით და არ დავემორჩილებით. ჩვენი სიმტკიცე უსაზღვროა. ჩვენ ვიბრძოლებთ საფრანგეთში, ჩვენ ვიბრძოლებთ ზღვებსა და ოკეანეებზე, ჩვენ ვიბრძოლებთ ჰაერში მზარდი გულდაჯერებითა და მომძლავრებული ძალებით. ჩვენ დავიცავთ ჩვენს კუნძულს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ჩვენ ვიბრძოლებთ სანაპიროზე, ჩვენ ვიბრძოლებთ მტრის გადმოსხმის პუნქტებში, ჩვენ ვიბრძოლებთ მინდვრებსა და ქუჩებში, ჩვენ ვიბრძოლებთ გორაკებზე, ჩვენ არასოდეს დავნებდებით. და თუნდაც ჩვენი კუნძული, ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, მტერს ჩაუვარდეს ხელთ – რაც ნუთითაც არ მჯერა – და ადამიანებს შიმშილით სიკვდილი დაემუქროს, ჩვენი ზღვისმიერი იმპერია, იარაღსხმული და ინგლისის ფლოტის მიერ დაცული, ბრძოლას გააგრძელებს მანამდე, ვიდრე ღვთის მიერ უწყებულ დღეს ახალი სამყარო მთელი თავისი ძალ-ღონით და სიმძლავრებით აღიმართება ძველი სამყაროს გადასარჩენად“.

ლორენს ოლივიეს სამშობლოში მიეჩქარებოდა, რათა აქტიური მონაწილეობა მიეღო მომავალ ბრძოლებში ინგლისის გადასარჩენად. მაგრამ თავისი მეგობრის, ინფორმაციის მინისტრის დაფ კუპერის დეპუტა მოუვიდა: ურჩევდა, დაყოვნდო. ნიუ-იორკში ჩავიდა ინგლისელი კინორეჟისორი ალექსანდრ კორდა, რომელიც აპირებდა ჰოლივუდში გადაეღო ფილმები ძლიერი პროპაგანდისტული განხრით. მან თანამშრომლობა შესთავაზა ოლივიეს და ამცნო, რომ იპოვა იდეალური სიუჟეტი, ამაღელვებელი და პატრიოტული – ადმირალ ნელსონისა და ემა ჰამილტონის ამბავი. არნუნებდა, ფილმის გადაღებას სულ ექვსი კვირა დასჭირდება და, რაც მთავარია, მისი შემოსავალი იმ ზარალს აგინაზღაურებთ, „რომეო და ჯულიეტას“ კატასტროფამ რომ მოგაყენათო.

როგორც აღნიშნავენ, ამ ფილმში თამაში ყველაზე ბედნიერი დრო გამოდგა ლორენს ოლივიეს და ვივიენ ლის კინემატოგრაფიულ პრაქტიკაში.

და უეცრად, როდესაც ნახევარი ფილმი უკვე გადაღებული იყო, კორდას გაახსენდა, რომ თავბრუდამხვევ სიჩქარეში გადაავიწყდათ აუცილებელი ფორმალბობა – ვიზა სცენარისათვის ამერიკელი ცენზორისგან.

ჯოზეფ ბრინმა ასეთი ვერდიქტი გამოიტანა:

– ამ სურათის გადაღება არაფრით არ შეიძლება. რომელიმე ეპიზოდის შეცვლას როდი ვგულისხმობ, მთელი სიუჟეტი მიუღებელია. თქვენ აჩვენებთ კაცს, რომელიც სხვის ცოლთან მრუშობს, როდესაც ჰყავს კანონიერი ცოლი და ქალსაც ჰყავს კანონიერი ქმარი. ეს ქალი ამ კაცისგან შეიღს აჩენს. არც ერთი და არც მეორე არ განიცდიან სინ-

დისის ქენჯნას. ისინი ვერც კი ხვდებიან, რომ უზნეოდ იქცევიან. გამორიცხულია!

უხსნიდნენ, რომ ფილმის

გადაღება თითქმის დასრულდა. დახარჯულია მილიონამდე დოლარი!

– ძალზე სამწუხაროა. დროზე რომ მიმელო სცენარი, გააფრთხილებდით და თქვენ დაზოგავდით ფულს.. მთელი უბედურება ისაა, რომ თქვენ ხელს აფარებთ დანაშაულს, აქცევთ ამაღელვებელ და რომანტიკულ მოვლენად.

კორდას თავზარი დაეცა. იმდენი ფული ჰქონდათ დახარჯული, რომ გადაღებას ვერ მიატოვებდნენ. გამოსავალს სცენარისტმა მიაგნო. მას გაახსენდა, რომ ადმირალ ნელსონის მამა იყო სოფლის მღვდელი და ფილმში სახელდახლოდ შეიტანეს ასეთი სცენა: ნიკრისისგან ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული მამა თათხავს შვილს: „შენ უზნეოდ იქცევი. შენ სჩადიხარ დანაშაულს, რომელსაც დაძრახავდა ყოველი უბინო ადამიანი. ეს უბედურებას მოგიტანს და მე გვევიდრები, აღარ შეხვდე ამ ქალს“.

დათრგუნული ნელსონი პასუხობს: „შენ ცამდე მართალი ხარ. მესმის, რომ საზიზღრად ვიქცევი. ვერავინ მაპატიებს. ჩემი სისუსტისა მრცხვენია“.

ამ მოგონილმა დიალოგმა, არავითარი ისტორიული საფუძველი რომ არ გააჩნდა, დააკმაყოფილა ამერიკელი ცენზორი და „ლედი ჰამილტონი“ გადაარჩინა.

ნარმოუდგენლად მოკლე დროში გადაღებულმა ფილმმა, სადაც გრანდიოზულ ტრაგედიაგარის ბრძოლაში გემის მკეტები ერკინებოდნენ ერთმანეთს, ხოლო სცენარისტები ყოველდღე დამატებით რეპლიკებს თხზავდნენ, დიდი სახელი მოიხვეჭა ინგლისშიც და სხვა ქვეყნებშიც.

ფილმში აშკარად იგრძნობოდა პარალელი მიმდინარე მოვლენებთან. იგი იდეალურად შეესაბამებოდა დრო-ჟამის სულისკვეთებას და, ალბათ, ამიტომაც იქცა ჩერჩილის საყვარელ ფილმად. 1941 წლის აგვისტოში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გემით მიემგზავრებოდა აშშ პრეზიდენტთან შესახვედრად და გზაში, თურმე, უკვე მეხუთედ უნახავს „ლედი ჰამილტონი“.

ამასობაში აშშ სენატის საგარეო საქმეთა კომისია შეუდგა მოსმენებს ამერიკაში უცხოეთის აგენტთა საქმიანობის შესახებ. სენატორებმა ნაიმ და ვანდენბერგმა კორდას კინოკომპანია შერაცხეს პროპაგანდისტულ და ჯაშუშურ ცენტრად, რომელიც ემსახურებოდა ინგლისს. „ლედი ჰამილტონის“ მამხილებელ სცენად დაასახელეს ეპიზოდი ინგლისის საადმირალოში, სადაც ნელსონი (ლორენს ოლივიეს ბრწყინვალე შესრულებით) ნარმოთქვამს მგზნებარე სიტყვას დიქტატორთა წინააღმდეგ და დაჟინებით ამტკიცებს, რომ მათთან დაზავება არ ეგების. „ისინი უნდა მოსპო – ალგავო პირისაგან მინისა“. ადმირალი ნელსონი, ცხადია, გულისხმობს ნაპოლეონს, მაგრამ მინიშნება ჰიტლერზე ერთობ გამჭვირვალე იყო. ეს გარემოება კი ჩრდილს აყენებდა შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტს.

კორდას მოსთხოვეს ამ სცენის ისტორიული უტყუარობის საბუთი. რეჟისორს მსგავსი არაფერი მოეპოვებოდა.

1941 წლის 12 დეკემბერს კორდა უნდა გამოცხადებულიყო დაკითხვაზე – სენატის კომისიის წინაშე. მაგრამ 7 დეკემბრის ტრაგედია აზრი დაუკარგა ამგვარ გამოძიებებს. როგორც ცნობილია, იაპონიის თვითმფრინავებმა დაბომბეს პერლ-ჰარბორი და ამერიკელებიც ჩაებნენ მეორე მსოფლიო ომში.

ყველაზე მტკივნეული სატკივარი

საქართველოში დამკვიდრებული კათოლიკე მისიონერი დიონიჯო კარლი თავის რელაციაში, რომელიც დათარიღებულია 1687 წლით, აღნიშნავს: „ყველაზე გასაოცარი მაინც ისაა, რომ გადახდილი ომების მიუხედავად, რაც მათ აიძულებს მუდმივად იარაღში იხსდნენ, და იმის მიუხედავად, რომ მათი ქვეყანა ყოველმხრივ ძლიერი მტრებითაა გარშემორტყმული, თანაც ყველა ისინი ურწმუნო მაჰმადიანები არიან, იმდენი სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინეს, რომ ბოლომდე შეინარჩუნეს ქრისტიანული სარწმუნოება. ეს ამბავი მართლაც რომ ღირსია განცვიფრებისა და ქებისა“.

ეს სტრიქონები არჩილ მეფეს რომ ნაეკითხა, ვინ იცის, ეგებ განითლებულიყო კიდეც. მის მშობელ ხალხს ხოტბას ასხამდნენ რჯულის ერთგულებისათვის, ის კი, წინამძღოლი ხალხისა, მტრის ნებს დაჰყვა და გამაჰმადიანდა, რათა კახეთის სამეფო ტახტი მოეპოვებინა. შემდგომში ლამის ცრემლით ინანიებდა ჩადენილ ცოდვას ერთ ლექსში: „რად მოვილორე, ვერ დავიღვარე სისხლი ქრისტესთვის, ვა ჩემს სწავლასა!“

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არაერთი ქართველი მეფე თუ დიდებული, მიუხედავად იძულებითი გამაჰმადიანებისა, დიდ სამსახურს უწევდა სამშობლოს. არჩილიც ერთი მათგანი იყო. მანამდე იმერეთში სცადა გაბატონება, მაგრამ ირან-ოსმალეთის 1639 წ. ზავი შეუწყნარებლად მიიჩნევდა ქართლის ბაგრატიონთა ნაშვირის გამეფებას იმერეთში, რომელიც ოსმალეთის გავლენის სფეროდ იყო აღიარებული. ირანის შაჰმა კატეგორიულად მოსთხოვა არჩილს იმერეთის დატოვება და სანაცვლოდ კახეთი უბოძა. ყიზილბაშებმა ამით სათავე დაუდეს მომავალ ქიშპსა და სისხლისღვრას, ვინაიდან კახეთის სამეფო ტახტს კანონიერი მემკვიდრე ჰყავდა – სახელგანთქანი თეიმურაზ პირველის შვილიშვილი, რუსეთში გადახვეწილი ერეკლე ბატონიშვილი.

მეფე ქართლისა ვახტანგ V ანუ შაჰნავაზ-ხანი და მისი ძე – ახალი მეფე კახეთისა არჩილი ანუ შაჰნაზარ-ხანი თავის დასაცავად ემზადებოდნენ.

გადამწყვეტი შერკინება მოხდა 1664 წლის შემოდგომაზე. ქართლის სამეფო კარის პოეტს ფეშანგი ხითარიშვილს თავისი პოემის („შაჰნავაზიანი“) ერთი თავი მიუძღვნია ამ

ბრძოლისათვის და სათაურად პროზაული ტექსტი წაუძღვარებია: „აქა ერეკლე მძიმის

ლაშქრით ამა ორთა სახელოანთა მეფეთა თავს დაესხა ჟამსა შუალამისასა. იახლა თუში, დიდო, ღლიღვი, დურძუკი, ფშაველი და ხევსური, მაგრამ ქართველთაგან (ე.ი. ქართლელთაგან) იძლივნეს ასრე, რომე ერეკლე და მცირე ლაშქარი ძლივ მორჩა. დახოცეს, ამოსწყვიტეს ასრე, რომე ცათა ღმერთი შეარისხეს. ზოგმა ათი მოკლა, ზოგმა ცხრა და ზოგმა ხელთა დაიტანა. ორთა მეფეთა თვით თავის მკლავით ნახოცსა ანგარიშსა ძვირად აუღებ. კაცი კაცსა ჰკრიან და ვითა კატა მოკლიან“.

ფეშანგის, როგორც ჩანს, ვეფხისტყაოსანი კარგად სცოდნია და, საჭიროებისამებრ, იყენებს კიდეც რუსთველის გამოთქმას: „დახოცეს და ამოსწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს“. ოღონდ ეს გამოთქმა ასახავს როსტევეან მეფისა და ავთანდილის ნადირობის აპოთეოსს და არა – მოძმეთა უღელს.

გალექსილი ტექსტში გაცილებით შემადრწუნებელი სურათი წარმოჩინდება, თვალს რომ დაგიბნელებს და გულზე მოგანგება:

„მოვიდენ სპანი ყოველგნით, იგ ომთა გამამკიდენი, მოილეს თავი თუშისა ცხენ-ჯორთა ანაკიდენი; ზოგს ათი მოაქვს, ზოგს ხუთი, მტერისა წამამკიდენი, მოულოცევდენ მეფეთა, თავით აივსო კიდენი... თავებს ტყავები დააძვრეს, უბძანა: „თივით ტენეთა, გოგრისა კოშკი ამართეთ, ზედ ვირი მიაყენეთა“.

ეს სულისშემძვრელი სურათი ფეშანგის მჭლე პოეტური ფანტაზიის ნაყოფი როდია. აღნიშნულ ამბავს ვახუშტი ბატონიშვილიც მოგვითხრობს: „გარნა მოსწყვიტნეს სიმრავლითა, რამეთუ ალაგო თავთა მათთაგან კოშკი მეფემან და ტყავანი თავთანი წარუფლინა ყეენსა“.

ყიზილბაშური წესი დახოცილთა თავებისგან კოშკის აგებისა საქართველოშიც შემოჭრილა.

„ქართლის ცხოვრებას“ ტყუილად როდი დაუჩივლია მრავალ სატიკვართაგან, ალბათ, ყველაზე მტკივნეული: „და მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა“.

მტერს მშვიდობიან ხანაში მიუღწევია იმისათვის, რაც ომით ვერ მოახერხა.

ქრონიკა

ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისაგან, თუ მცხუნვარე მზის გულიდან ავარჯერებული თბილისელი ფანების მასშტაბებს რას გასწვდებოდნენ, მაგრამ ტრადიცია მაინც არ დაარღვიეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ინტელექტუალურ ზრახვათა უკმარიზობის აღმოსაფხვრელად დროს არ შეეპუენენ და საჯარო ლექცია გამართეს საკუთარ ჭერქვეშ, 16 ივნისს, საკონფერენციო დარბაზში.

საჯარო ლექცია მოიცავდა თემას – ვერგილიუსი და კლასიკური ტრადიცია. საუბარი წარმართა ლიტერატორმა და მეცნიერმა ზაზა შათირიშვილმა.

ვერც ეს საჟურნალო ინფორმაცია შემოფარგლავს იმ მასშტაბებს, მომხსენებელი რომ მიწვდა და მსმენელიც დაინტერესა. მაინც შევეცდებით, ქვეთავები შემოგთავაზოთ იმ ლექციისა.

ა) ვერგილიუსი არის ის ადამიანი და ავტორი, რომელმაც საფუძველი დაუდო ევროპულ პოეზიას.

ბ) რატომ ვერგილიუსი და არა ჰომეროსი?

გ) ევროპული განათლების ცენტრები და ავტორები.

დ) „ენეიდას“ VI თავი – „ღვთაებრივი კომედიის“ შესაძლო შთავგონების წყარო.

ე) ვერგილიუსი დასავლეთის ეკლესიებში მოიხსენიება ქრისტემდე ქრისტიან ადამიანად, რომელმაც იწინასწარმეტყველა მაცხოვრის შობა.

ვ) ნაციონალური პოეტი, ანუ დიდი ეპოსი არ შეიქმნება იმპერიის გარეშე.

ზ) პარალელები ქართული პოეზიის შედევრებთან...

ერთი სიტყვით, თემატიკის მრავალფეროვნების მიუხედავად, საჯაროდ ლექცია გაუჭიანურებლად დასრულდა და როგორც მასპინძელმა, ემზარ ჯგერენიამ დაიმეფებულად დასძინა, შინ დაბრუნებული დამსწრე საზოგადოება აუცილებლად მოიძიებდა „ენეიდას“ და VI თავს მაინც გადაიკითხავდა სულმოუთქმელად.

ემზარ ჯგერენიამ საჯარო ლექციათა პროექტის მიზნებიც გაანდო საზოგადოებას. კერძოდ, განზრახული ჰქონიათ, ყოველი მომხსენებლის ზეპირი გამოსვლა, სათანადო რედაქტირების მერე, ერთ დიდ კრებულად გამოსცენ წლის ბოლოს.

ასე რომ, დაველოდოთ მეტად საინტერესო, სამეცნიერო-პოპულარულ კრებულს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზიდან.